ევროსტუდენტი VIII-ის კვლევის შედეგების ანალიტიკური ანგარიში

2023

სარჩევი

აკრონიმები 4

შესავალი 5

კვლევის მეთოდოლოგია 6

შემაჯამებელი დასკვნა 10

კვლევის ძირითადი მიგნებები 12

ცალკეული ქვეჯგუფების კვლევის ძირითადი მიგნებები 31

თავი 1: სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 39

თავი 2. სწავლის მიმდინარე მდგომარეობა 48

თავი 3: საგანმანათლებლო ფონი - ხელმისაწვდომობა 55

თავი 4: კოვიდ-19 პანდემიის გავლენა 61

თავი 5: სასწავლო პირობები 70

თავი 6. სასწავლო პროცესის გაციფრულება და სტუდენტური ცხოვრება 101

თავი 7. სტუდენტთა საცხოვრებელი პირობები და ფინანსური მდგომარეობა 132

7.1. სტუდენტთა საცხოვრებელი პირობები 132

7.2. სტუდენტთა დასაქმების გამოცდილება 135

7.3. სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობა 148

7.4. სტუდენტთა სტაჟირება 170

თავი 8: საერთაშორისო მობილობა 173

თავი 9. სტუდენტთა ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა 215

თავი 10: ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა 221

თავი 11: დისკრიმინაციის გამოცდილება 229

თავი 12: ცალკეული ქვეჯგუფების ჭრილში მონაცემების ანალიტიკური ანგარიში 235

1. 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტები; 22-დან 25 წლამდე სტუდენტები; 25-დან 30 წლამდე სტუდენტები; სტუდენტები 30 წლის და ზემოთ 235

2. სსსმ/შშმ სტუდენტები 253

3. სტუდენტები, რომელთაც შვილები ჰყავთ 267

4. სტუდენტები, რომელთაც აქვთ მუშაობის გამოცდილება (სტუდენტები შრომის ბაზრის გამოცდილებით) 278

5. სტუდენტები, რომლებიც მშობლებთან, დამოუკიდებლად / მარტო და სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრობენ 291

6. სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო მხარდაჭერას იღებენ / არ იღებენ 298

დანართი 302

დანართი #1 - შერჩევითი ერთობლიობის გადანაწილება 302

დანართი #2 - კვლევაში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები 304

დანართი #3 - მონაცემების შეწონვის მოდელი 307

დანართი #4 - ISCED-ის კლასიფიკაცია 308
დანართი #5 - სასწავლო მიმართულებები და ქვედარგები 309
დანართი #6 312
დანართი #7 314
დანართი #8 316
დანართი #9 317
დანართი #10 319

აკრონიმები

ა(ა)იპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სსსმ	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
უსდ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შშმ	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
ISCED	International Standard Classification of Education - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია

შესავალი

„ევროსტუდენტი 8“ არის ფართომასშტაბიანი საერთაშორისო პროექტი, რომელიც განხორციელდა ევროსტუდენტის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ. კონსორციუმის ხელმძღვანელია უმაღლესი განათლების კვლევისა და მეცნიერების შესწავლის გერმანული ცენტრი (DZHW). პროექტი შეისწავლის ევროპის უნივერსიტეტების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ცხოვრების პირობებს, სწავლის თავისებურებებს, საერთაშორისო მობილობას და ა.შ.

პროექტში მონაწილე ერთ-ერთი ქვეყანა არის საქართველო, რომელიც კვლევას პირველად 2014 წელს შეუერთდა პილოტური ქვეყნის სტატუსით. მიმდინარე კვლევა საქართველოსთვის რიგით მეოთხეა (2022-2024). იმის გათვალისწინებით, რომ კვლევა თანადროულად ტარდება ევროპის ოცზე მეტ ქვეყანაში, შედეგების მიხედვით, შესაძლებელია კროს-კულტურული თავისებურებების იდენტიფიცირება. „ევროსტუდენტის“ ძირითადი მიზანი სწორედ ევროპის უმაღლესი განათლების სოციალური სფეროს შესახებ შედარებითი მონაცემების შეგროვებაა. ამდენად, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დეტალური ანალიზი საფუძვლად უდევს ერთიანი ევროპული განათლების სივრცის ფუნქციონირების პრობლემებისა და ბარიერების გამოვლენას.

„ევროსტუდენტის“ პროექტის მიზნებს შორის ერთიანდება ისეთი საზოგადო მნიშვნელობის საკითხი, როგორიცაა ევროპის უმაღლესი განათლების სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მონიტორინგის სისტემის შექმნა. ამ მიზნით კვლევა უზრუნველყოფს სტუდენტების სპეციფიკური ჯგუფის ზოგადი მახასიათებლების, თავისებურებების გამოვლენასა და გაანალიზებას.

პროექტის ფარგლებში, თანადროული კვლევის განმავლობაში, უნიფიცირებული ფორმით შეგროვდა ინფორმაცია ევროპის ოცზე მეტი ქვეყნიდან. საერთო სტრუქტურირებული კითხვარისა და ფორმატის საფუძველზე გაკონტროლებულია მონაცემების სანდოობა და შესაძლებელია საერთაშორისო დონეზე შედარებითი ანგარიშების მომზადება.

„ევროსტუდენტის“ ზოგადი მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ამ ყველაფრის სასწავლო პირობებსა და თავისებურებებთან შესაბამისობის შესწავლა. ამდენად, „ევროსტუდენტი 8“-ის ფარგლებში შესწავლილია ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ-ში) შესვლა
- სტუდენტების სოციალური მდგომარეობა
- სტუდენტთა ზოგადი მახასიათებლები
- სწავლის ტიპი და ინტენსივობა
- დასაქმება და დროის განაწილება
- სტუდენტების ფინანსური წყარო
- სტუდენტების ხარჯები
- საცხოვრებელი პირობები
- მობილობა და ინტერნაციონალიზაცია
- სტუდენტების სამომავლო გეგმებისა და სწავლის შეფასება
- კოვიდ-19 პანდემიასა და დისტანციურ/ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები
- სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა
- დისკრიმინაციის გამოცდილება

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს განათლების პოლიტიკის შემუშავების პროცესში, როგორც ადგილობრივ (ეროვნულ), ისე საერთაშორისო დონეზე.

კვლევის მეთოდოლოგია

სოციოლოგიური კვლევა **„ევროსტუდენტი 8“** საქართველოში ჩატარდა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონებში არსებული უსდ-ის სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ამასთანავე, მათი სასწავლო და საცხოვრებელი პირობების შესწავლა. აგრეთვე, დისტანციურ სწავლებასთან და პანდემიასთან დაკავშირებული სტუდენტური ცხოვრების საკითხების გაანალიზება.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, საქართველოს მოქალაქეებიცა და უცხოელებიც, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უსდ-ებში. უსდ-ებად განისაზღვრა: **1. უნივერსიტეტები,** რომლებსაც აქვს სწავლების სამივე საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), **2. სასწავლო უნივერსიტეტები** (აქვს მხოლოდ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურები) და **3. კოლეჯები** (აქვს მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხური).

კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად. **პირველი ეტაპის** ფარგლებში განხორციელდა კვლევის ინსტრუმენტის - კითხვარის მოდიფიკაცია, რაც გულისხმობდა მის თარგმნას და საჭიროების შემთხვევაში, მასში ადგილობრივი (ქართული) საგანმანათლებლო გამოცდილების შესაბამისი ცვლილებების შეტანას. ძირითად საერთაშორისო კითხვარს დაემატა, აგრეთვე, ეროვნული კითხვარი, რომელიც შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დეკლარირებული ინტერესების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ევროსტუდენტის ეროვნული პროექტის“ ქვეპროგრამის წარმომადგენლობის მიერ.

კითხვარის საბოლოო ვერსია შედგებოდა 8 ქვეთავისგან, რომლებიც განსხვავებულ საკითხებს შეეხებოდა:

1. სწავლის მიმდინარე მდგომარეობა
2. საგანმანათლებლო ფონი - ხელმისაწვდომობა
3. კოვიდ-19 პანდემიის გავლენა
4. სასწავლო პირობები
5. სასწავლო პროცესის გაციფრულება და სტუდენტური ცხოვრება
6. საცხოვრებელი პირობები
7. საერთაშორისო მობილობა
8. პირადი ინფორმაცია
9. ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
10. დისკრიმინაციის გამოცდილება

პროექტის ფარგლებში მოწოდებული ორიგინალი (ინგლისურენოვანი) კითხვარის თარგმნის შედეგად მომზადდა ქართულენოვანი და რუსულენოვანი კითხვარები. სამივე ენაზე არსებული კითხვარი ჩაიტვირთა პროგრამაში, რათა სტუდენტს მისთვის სასურველ ენაზე შეევსო (მსგავსი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უცხოელი სტუდენტების გათვალისწინებით).

კვლევის **პირველ ეტაპზე** მომზადდა საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლები და საინფორმაციო ვებ-ბანერები, რომლებიც აერთიანებდა კვლევის შესახებ ინფორმაციას. საინფორმაციო ვიდეორგოლები და ვებ-ბანერები გავრცელდა სამიზნე აუდიტორიაში - განთავსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე. პროექტის ფარგლებში მომზადებული ვიდეორგოლები და სარეკლამო ბანერები განთავსებულია, აგრეთვე, საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge „ევროსტუდენტის ეროვნული პროექტის“ სივრცეში და „ევროსტუდენტის“ საერთაშორისო პროექტის ვებ-გვერდზე: www.eurostudent.eu

კვლევის **მეორე ეტაპზე** ჩატარდა საველე სამუშაოები. გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი, კერძოდ - ანკეტური გამოკითხვა. სტუდენტების გამოკითხვა განხორციელდა როგორც ელექტრონული (ონლაინ) მეთოდით, ასევე, უნივერსიტეტებში მისვლით და სტუდენტების მიერ ტაბებში (პლანშეტებში) ჩატვირთული კითხვარის შევსებით (ინტერვიუერთა მონიტორინგის ფარგლებში).

საველე სამუშაოების ჩატარების **პერიოდი:**

- დაწყების თარიღი - 11 მაისი, 2022
- დასრულების თარიღი - 24 ივლისი, 2022

<u>შერჩევა</u>

საერთაშორისო კვლევა „ევროსტუდენტი 8” ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად რესპონდენტები შეირჩა ალბათური შერჩევის ტიპის - **სტრატიფიცირებული შერჩევის** გამოყენებით.

სტრატიფიკაცია დაეფუძნა შემდეგ კრიტერიუმებს:

1. სქესი (ქალი, კაცი)
2. რეგიონი (უსდ-ის ადგილი)
3. ასაკი (21 წლამდე, 22-დან 25 წლამდე, 25-დან 30 წლამდე, 30 წლის ან მეტის)
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი (უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი, კოლეჯი)
5. სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ერთსაფეხურიანი სასწავლო პროგრამა, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და ა.შ.)
6. სასწავლო პროგრამები/მიმართულებები (აგრარული მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება, განათლება, ინჟინერია, სოციალური მეცნიერებები, სამართალი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ა.შ.)
7. ადგილობრივი/უცხოელი სტუდენტები (საქართველოს მოქალაქე, სხვა ქვეყნის მოქალაქე)

გენერალური ერთობლიობიდან შერჩეული პოპულაცია ისე განისაზღვრა, რომ თითოეულ სტრატაში მიღებული მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ყოფილიყო. შედეგად, კვლევის ფარგლებში **სულ გამოიკითხა 4771 სტუდენტი.**

შერჩევის თავდაპირველ ეტაპზე შერჩევითი ერთობლიობა, ცდომილების გათვალისწინებით, გადანაწილდა სტრატებში - სტრატების თითოეულ კატეგორიაში 95%-იან სანდოობის დონეზე ცდომილების მაჩვენებელი არ უნდა აღმატებოდა 5%-ს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და განზოგადებადი მონაცემების მიღება. შერჩევის დამაბოლოებელი წერტილი იყო სტუდენტი, რომლის ამორჩევა მოხდა როგორც შემთხვევით, ისე მიზნობრივად. კერძოდ, ონლაინ გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტი თავად „ირჩევდა“ საკუთარ თავს იმის მიხედვით, თუ რამდენად მოტივირებული იქნებოდა გამოკითხვაში მონაწილეობისათვის

(N=2984). რაც შეეხება უნივერსიტეტებში სტუდენტთა „ფიზიკურ“ გამოკითხვას, აქ მათი შერჩევა მოხდა მიზნობრივად, სხვადასხვა სტრატის შესაბამისი კვოტების გათვალისწინებით (N=1787).

დიფერენცირებულ სტრატებში შერჩევითი ერთობლიობის განაწილება იხილეთ დანართში #1:

გამოკითხვის ადმინისტრირების პროცედურა

მეორე ეტაპით გათვალისწინებული საველე სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

კვლევის შერჩევის ჩარჩოს მიხედვით, თავდაპირველად განზრახული იყო 59 უსდ-ის სტუდენტების მონაწილეობა გამოკითხვაში. იმის გათვალისწინებით, რომ უსდ-ების უმრავლესობას სტუდენტების ონლაინ რეგისტრაციის სისტემა აქვს, ასეთი უნივერსიტეტების ადმინისტრაციამ, უმაღლესი სასწავლებლების საკონტაქტო პირების მეშვეობით, შეძლო ყველა სტუდენტისთვის მიეწოდებინა კვლევის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც თან ახლდა კითხვარის შესავსები ელექტრონული მისამართი („ლინკი“) და ინსტრუქცია. საკონტაქტო პირები უსდ-ების მიერ სპეციალურად კვლევის მიმდინარეობის დასახმარებლად იყვნენ გამოყოფილნი.

ამრიგად, ონლაინ კითხვარის ელექტრონული ბმული სტუდენტებმა ძირითადად სასწავლებლების ელექტრონულ პორტალების მეშვეობით მიიღეს.

უმაღლესი სასწავლებლების საკონტაქტო პირებმა ორგანიზება გაუწიეს, რომ სტუდენტებს ონლაინ კითხვარის შევსების შესაძლებლობა მისცემოდათ უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ კომპიუტერულ ოთახებში.

კითხვარის მოცულობიდან გამომდინარე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტები არ იყვნენ ვალდებულნი, ერთ ჯერზე, მიყოლებით, შეევსოთ მთელი კითხვარი. „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“ ტექნიკურად უზრუნველყო კითხვარის სამუშაო ვერსიის შენახვა და შემდგომ გაგრძელების შესაძლებლობა. ამ ტექნიკურმა სპეციფიკამ კვლევის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

იმ შემთხვევისთვის, თუკი უსდ-ს არ ექნებოდა სტუდენტების ონლაინ სარეგისტრაციო/სასწავლო სისტემა, წინასწარ განსაზღვრული იყო გამოკითხვის ორი ალტერნატიული მიდგომის გამოყენება:

1. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: უსდ-ების ადმინისტრაციამ მოგვაწოდა სტუდენტების ელექტრონული ფოსტის მისამართები, რომელთა საშუალებითაც მათ დაეგზავნათ კითხვარის „ლინკი“. ტექნიკურად, რესპონდენტებს აღარ უწევდათ შევსებული კითხვარის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნა, რადგან პირდაპირ იტვირთებოდა შესაბამის სერვერზე.

იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტებმა თავად არ იაქტიურეს გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად, ანუ საკუთარი ინიციატივით არ შეავსეს კითხვარი, ზემოთ განხილულ სტრატებში რეპრეზენტატული მონაცემების მიღების მიზნით, გამოკითხვის პროცესში გამოყენებულ იქნა მეორე მიდგომა, რომლის განხორციელებაში ჩაერთვნენ „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ ინტერვიუერები.

2. უსდ-ებში სტუდენტებთან ფიზიკური კომუნიკაცია: „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ ინტერვიუერები პირადად მივიდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამ შემთხვევაში გამოკითხვა ტაბების (ტაბლეტების, ელექტრონული მოწყობილობების) მეშვეობით განხორციელდა. ვინაიდან კვლევა თვითადმინისტრირებული გამოკითხვის მეთოდით განხორციელდა, ინტერვიუერი მხოლოდ მონიტორინგს უწევდა კითხვარის შევსების პროცესს. ამდენად, გამოკითხვას არ ჰქონია

პირისპირ ინტერვიუს ფორმა - სტუდენტები გაეცნენ შეკითხვებს და თავად (დამოუკიდებლად) შეავსეს კითხვარი.

ნებისმიერი გზით შევსებული კითხვარი ავტომატურად იტვირთებოდა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ სერვერზე. ამასთან, თითოეულ შემთხვევაში სრულად იყო დაცული სტუდენტების **ანონიმურობა**. მეტიც: კითხვარის დასაწყისში სტუდენტი ავსებდა ინფორმირებული თანხმობის ფორმას და მხოლოდ თანხმობის ფორმალურად დაფიქსირების შემდეგ აგრძელებდა გამოკითხვაში მონაწილეობს. შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობა, ანონიმურობასთან ერთად, **ნებაყოფლობითი** იყო.

შერჩევის სქემით გათვალისწინებული 59 უმაღლესი სასწავლებლიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს 58 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა. კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა და საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა. თუმცა აგრარული უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი გამოკითხვაში საკუთარი ინიციატივით მაინც ჩაერთო.

კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების სრული ჩამონათვალი და გამოკითხულ პირთა რაოდენობა დეტალურად იხილეთ დანართში #2.

მონაცემების შეწონვა და ანალიზი

კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა SPSS პროგრამის მეშვეობით. თავდაპირველად, საველე სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, სტატისტიკოსმა შექმნა მონაცემთა ბადე, სადაც ავტომატურად იტვირთებოდა პირველადი („ნედლი“) მონაცემები. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა მონაცემთა გაწმენდა და შეწონვა. მონაცემების შეწონვა განხორციელდა რეგიონის, უმაღლესი სასწავლებლის ტიპის (**e_hei**), სწავლის საფეხურის/კვალიფიკაციის (**e_qualification),** საგანმანათლებლო (სასწავლო) მიმართულების (**e_field)**, ასაკის (**e_age),** სქესისა (**e_sex**) და საქართველოს მოქალაქეობის ცვლადების გათვალისწინებით.

შეწონვის მოდელი დეტალურად იხილეთ დანართში #3.

მონაცემთა **სტატისტიკური ანალიზი** განხორციელდა როგორც უნივარიაციული, ისე ბივარიაციული მეთოდების გამოყენებით. კერძოდ, ა) უნივარიაციული ანალიზის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სიხშირული განაწილება და ცენტრალური ტენდენციის საზომები (მოდა, მედიანა, საშუალო, სტანდარტული გადახრა); ბ) ბივარიაციული ანალიზის ფარგლებში კი გაანალიზდა ცვლადებს შორის კროსტაბულაციური და კოლერაციული მიმართებები.

შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს უსდ-ების სტუდენტების უმრავლესობისთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარებდნენ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საგანმანათლებლო საფეხურებს შორის ტრანზიციის პერიოდი მცირეა - სტუდენტების ძირითადი ნაწილი წყვეტის/შესვენების გარეშე აგრძელებს ზოგადი განათლების საფეხურიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლას. მსგავსი პრაქტიკაა დომინანტური საბაკალავროდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლის შემთხვევაშიც, რაც, ინდივიდის სურვილის გარდა, სოციალურ-კულტურულ კონტექსტსაც უკავშირდება.

გამოკითხული სტუდენტების ძირითადი ნაწილი კმაყოფილია სასწავლო პირობებით, სწავლების ხარისხით, ლექტორების მომზადების დონით, მათი უკუკავშირით და ა.შ. თუმცა ყველა ტიპის უსდ-ში იკვეთება უკმაყოფილო სტუდენტთა მცირე ჯგუფი, რომელიც მიუთითებს დასახელებულ პარამეტრებთან დაკავშირებით კოლექტიურ პრობლემებზე (ლექტორების პროფესიონალიზმის დონე, სწავლასთან დაკავშირებით ლექტორების მხრიდან სასარგებლო უკუკავშირისა და მოტივაციის მიცემის ნაკლებობა და ა.შ.). პრობლემების შესახებ უფრო ხშირად საუბრობენ უნივერსიტეტების სტუდენტები.

უშუალოდ სტუდენტებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება იკვეთება, რადგან, როგორც წესი, თავს გარიყულად არ გრძნობენ. ამას ისიც მოწმობს, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში თითქმის არ ფიქსირდება არანაირი ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები, არც სტუდენტებისგან, არც აკადემიური პერსონალისა თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა თანამშრომლებისგან.

უმაღლესი განათლების სფეროში კოვიდ-19 პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. სწავლის შეცვლილი ფორმატი და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა სტუდენტთა დიდი ნაწილისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა. მსგავს დამოკიდებულებას ავლენენ ძირითადად ზედა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები. ეს სწორედ ის ჯგუფია, რომლის ძირითადი ნაწილი ანაზღაურებად სამსახურშია დასაქმებული, დისტანციური ფორმატის მოქნილობა კი სწავლისა და სამსახურის შეთავსების მეტ შესაძლებლობას ქმნის. პანდემიის პირობებში სტუდენტები, როგორც წესი, უზრუნველყოფილნი იყვნენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რათა აქტიურად ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში. კოვიდ-19 პანდემიის პოზიტიური სოციალური შედეგი იყო ტრანსპორტირების და საკვების ხარჯების შემცირება, თუმცა ზოგიერთ სტუდენტს მოუწია ლეპტოპის/კომპიუტერის/პლანშეტის შეძენა, რაც მაინც ნეგატიურად აისახა ხარჯებზე. ამასთან, სტუდენტთა ნაწილმა პანდემიისას სამსახური დაკარგა, რის გამოც საყოფაცხოვრებო და სასწავლო ხარჯების გაწევა გაუჭირდა.

სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას მათ მჭიდრო კავშირს საკუთარ ოჯახებთან და მშობლებთან, რაც გამოიხატება საცხოვრებლით უზრუნველყოფითა და ფინანსური მხარდაჭერით. სწორედ პირველადი სოციალური ჯგუფია სტუდენტების დომინანტური დამხმარე აქტორი - როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სასწავლო ხარჯების გაწევის მხრივ. საცხოვრებლის ხარჯები განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის, რადგან დედაქალაქში ბინის ქირაობა უწევთ. ამის მიზეზი სტუდენტური საცხოვრებლების ხელმიუწვდომლობაცაა. როგორც კვლევა აჩვენებს, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები უფრო მეტ ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ მშობლიური ოჯახებისგან, რადგან ძირითადად დასაქმებული არ არიან და სწორედ მშობლების დახმარებით უწევთ როგორც საცხოვრებლის, ისე სწავლის ხარჯების დაფარვა.

სტუდენტების ოჯახის წევრების (პირველ რიგში, მშობლების) აქტიური ჩართულობა იმითაცაა განპირობებული, რომ სტუდენტების ძირითადი ნაწილი დასაქმებული არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი წილი სწავლის პარალელურად მუშაობს. დასაქმების მიზნები განსხვავებულია -

მაგალითად, თუკი საქართველოს მოქალაქეები ძირითადად შრომის ბაზარზე გამოცდილების მისაღებად და მისი მოთხოვნების შესასწავლად მუშაობენ, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტთა შემთხვევაში უფრო მეტად გავრცელებულია პროფესიული განვითარების მიზნით დასაქმება და არა შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ზოგადი მდგომარეობის აღსაწერად ხაზგასასმელია, რომ ანაზღაურებადი სამსახურის ქონა ყველა ტიპის უსდ-ის სტუდენტთათვის (ვინც სწავლის საფასურს იხდის) სტუდენტის სტატუსის შენარჩუნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ანაზღაურებადი სამსახურის ფუნქციად მხოლოდ დამატებითი შემოსავლების მიღება განისაზღვრება და ნაკლებად უკავშირდება უნარ-ჩვევების ამაღლებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ სტუდენტი საკუთარი ან მომიჯნავე პროფესიით არ მუშაობს.

როგორც ჩანს, უსდ-ები მომავალი პროფესიის უკეთ გასაცნობად სემესტრში რამდენჯერმე აწყობენ დამსაქმებლებთან/ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრებს/ტრენინგებს, თუმცა, სტუდენტთა ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიებები არაეფექტიანია. ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, მსგავსი აქტივობების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის დაბალი დონე იყოს.

კვლევა აჩვენებს, რომ ანაზღაურებადი სამსახურის ქონა, ფინანსური ბენეფიტების გარდა, სწავლის შედეგების მიმართ დამოკიდებულების ცვლილებასაც იწვევს, რაც, მაგალითად, იმით გამოიხატება, რომ დასაქმებული სტუდენტები უფრო მეტად ამჩნევენ სასწავლო პროგრამების შინაარსსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის ნაპრალებს.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ მწირია სტუდენტების სტაჟირების პრაქტიკა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პოზიტიური გამოცდილების შემთხვევაში კი სტაჟირება არის ნებაყოფლობითი, ანუ არა სასწავლო კურიკულუმის ნაწილი, და არაანაზღაურებადი. სავარაუდოდ, სტუდენტების სტაჟირების გავლის მოტივაციაზე ნეგატიურად აისახება ის ფაქტი, რომ ძირითად შემთხვევაში იშვიათი მოვლენაა გავლილი სტაჟირების კრედიტების სახით აღიარება. მწირია იმ სტუდენტთა წილიც, ვისაც საზღვარგარეთ, თუნდაც სემესტრულად, სწავლის გამოცდილება აქვს. ამ მიმართულებით პრობლემურ საკითხებად განიხილება, ერთი მხრივ, სტუდენტების უნარები, ხოლო, მეორე მხრივ, გარემო და შესაძლებლობები. მათ შორის მოიაზრება უცხო ენის არასათანადო ცოდნა, ინფორმაციის ნაკლებობა, ფინანსური შესაძლებლობების სიმწირე, ემოციური მდგომარეობა, რაც შეიძლება გამოიწვეული იყოს სოციალურ წრესთან განშორებით, და, რაც მთავარია, მოტივაციის ნაკლებობა, რადგანაც, სტუდენტთა ნაწილის შეფასებით, უცხოეთში სწავლა, საქართველოში სწავლასთან შედარებით, ნაკლები სარგებლის მომტანია. პრობლემურად განიხილება ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვის შიში და ხელახლა დასაქმების მცირე შესაძლებლობა. საზღვარგარეთ სწავლა, როგორც წესი, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით ხდება და წამყვან როლს ერაზმუს (+) ასრულებს.

კვლევა აჩვენებს, რომ კვლავ პრობლემურია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირები (შშმ და სსსმ სტუდენტები) ხშირად არაინფორმირებული არიან მათ საჭიროებებთან ადაპტირებული სასწავლო რესურსებისა თუ საკონსულტაციო მომსახურებების შესახებ. მეორე მხრივ, როგორც რესურსების, ისე გარემოს ადაპტირებულობის შეფასებისას, სტუდენტები ძირითადად ნეიტრალურ პოზიციას იკავებენ, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა.

კვლევის ძირითადი მიგნებები

სწავლის მიმდინარე მდგომარეობა

რესპონდენტთა უმრავლესობა (88%) **უნივერსიტეტის,** ანუ ისეთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტია, რომელსაც აქვს სწავლების სამივე საფეხური - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა . ყოველი მეათე ირიცხება სასწავლო უნივერსიტეტში (11%), ხოლო კოლეჯის სტუდენტთა წილი 1%-საც ვერ აღწევს. გამოკითხულთა უმრავლესობა (70%) ბაკალავრიატის **საფეხურის** სტუდენტია, თითქმის მეხუთედი კი - ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (18%). სქესის ჭრილში გაანალიზებისას იკვეთება, რომ ქალ სტუდენტებს შორის (12%), მამაკაცებთან შედარებით (9%), მაგისტრანტთა წილი სჭარბობს, ხოლო მამაკაცთა შორის (22%), ქალებთან შედარებით (15%) - ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ოდენობა.

როგორც გამოიკვეთა, ჯანდაცვის, სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების **სასწავლო პროგრამები** ყველაზე მეტ სტუდენტს იზიდავს და პოპულარობით სარგებლობს, ამას მოსდევს ინჟინერია და სამართალი. სხვა სასწავლო პროგრამების სტუდენტთა წილი, ცალკეულ შემთხვევაში, 10%-საც არ უტოლდება. ამ საკითხთან დაკავშირებით იკვეთება **გენდერული სხვაობები**. როგორც ჩანს, საქართველოში ჯერ კიდე არსებობს პროფესიები, რომლებიც უფრო მეტად შესაფერისად მიიჩნევა ქალებისთვის, ვიდრე კაცებისთვის და, პირიქით. გამონაკლისად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება, რომელიც ორივე სქესის შემთხვევაში თანაბრად პოპულარულია (ქალი - 14.8%, კაცი - 13%). თუმცა ქალებისთვის ყველაზე მეტად პოპულარულია სოციალური მეცნიერებები (19%), მაშინ, როდესაც კაცების შემთხვევაში ამ სტატუსით სარგებლობს ჯანდაცვა (20%) და ინჟინერია (19%). ცხადია, მსგავს არჩევანს ნაწილობრივ განაპირობებს ინდივიდის პირადი ინტერესები, თუმცა გასათვალისწინებელია კულტურული კონტექსტიც - ტექნიკური მიმართულებები, ტრადიციულად, უფრო მეტად „მამაკაცურ“ პროფესიად იდენტიფიცირდება, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები კი - ქალებისთვის შესაფერისად.

იკვეთება, რომ, **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლოკაციების** მიხედვით, განსხვავებულია დომინანტური სასწავლო მიმართულებები. მაგალითად, კახეთში თითქმის ყოველი მეორე სტუდენტი (47%) აგრარული მეცნიერებების პროგრამაზე სწავლობს, სამცხე-ჯავახეთში დომინანტური კატეგორია ბიზნესის ადმინისტრირებაა (44%).

ამასთან, საქართველოს **მოქალაქეობის** არმქონე პირთა ნახევარზე მეტი (56%) ჯანდაცვის მიმართულებით სწავლობს, რაც შესაძლოა საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, განათლების უფრო ადვილად ხელმისაწვდომობას გამოკვეთდეს. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ისეთ ძვირადღირებულ სფეროზე, როგორიც მედიცინაა. სავარაუდოდ, უცხოელი სტუდენტებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ მიმართულებით შეთავაზებული სწავლების დონე და სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომი და მისაღებია.

უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში **სასწავლო საფეხურებს შორის ტრანზიციის პერიოდი** ძირითადად ხანმოკლეა - სტუდენტთა 55% ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში გახდა მაგისტრანტი. სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას იკვეთება, რომ უწყვეტად სწავლის გამოცდილება კაც რესპონდენტებს უფრო მეტად აქვთ (63%), ვიდრე ქალებს (49%). შედეგი შესაძლოა გამოწვეული იყოს ქართული კონტექსტით - კაცი სტუდენტები, სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების მიზნით, ხშირად შესვენების გარეშე განაგრძობენ სწავლას შემდგომ სასწავლო საფეხურზე.

<u>საგანმანათლებლო ფონი - ხელმისაწვდომობა</u>

ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტთა დიდი უმრავლესობის გარემოებებს შემდეგი დებულებები აღწერს:

- საშუალო სკოლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი) საქართველოში მიიღო - 91%;
- ატესტატი მიიღო საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ 6 თვის ფარგლებში - 97%;
- საშუალო სკოლის დასრულებიდან ორი წლის ფარგლებში გააგრძელა სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - 94%;
- გამოკითხვის პერიოდში სწავლობს იმავე პროგრამაზე, რომელზეც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩარიცხვისას ჩააბარა - 88%;
- არასოდეს შეუწყვეტია სწავლა ძირითად სასწავლო პროგრამაზე - 94%

აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარებამდე სტუდენტთა დაახლოებით მესამედი (31%) სხვადასხვა პირობებით მუშაობდა. **რეგიონის ჭრილის** გათვალისწინებით, სამსახურის ქონაზე შედარებით იშვიათად მიუთითებენ სტუდენტები სამეგრელო-ზემო სვანეთში (21%), ხოლო ყველაზე ხშირად -აჭარაში (44%), კახეთსა (39%) და შიდა ქართლში (37%).

როგორც ირკვევა, სტუდენტთა შედარებით დიდი ნაწილი (45%) თავს ბედნიერად მიიჩნევს. **რეგიონული განაწილებით** აღნიშნულს შედარებით ნაკლებად ეთანხმებიან თბილისში (42%), ხოლო სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტად - სამეგრელო -ზემო სვანეთსა (69%) და კახეთში (65%).

<u>კოვიდ-19 პანდემიის გავლენა</u>

კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა (61%) 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, ანუ კოვიდ-19 პანდემიის დაწყებამდე, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო.

რესპონდენტებს ეთხოვათ შეეფასებინათ კოვიდ-19 პანდემიის გავლენა მათ სასწავლო პროცესზე. შედეგად, გამოვლინდა, რომ კოვიდ-19 პანდემიამ სტუდენტების შემთხვევაში უარყოფითად იმოქმედა სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვენებზე (47%), რესპონდენტთა მოტივაციაზე, არ ჩამორჩნენ სწავლას (42%), სწავლების ხარისხზე (48%) და სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე (54%).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის ჭრილში იკვეთება, რომ უნივერსიტეტების სტუდენტები შედარებით ხშირად მიუთითებენ კოვიდ-19 პანდემიის უარყოფით გავლენაზე, ვიდრე კოლეჯისა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები. კონკრეტულად, ეს ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სწავლის ხანგრძლივობა (უნივერსიტეტი - 39%; სასწავლო უნივერსიტეტი - 43%; კოლეჯი - 49%), სტუდენტთა მოტივაცია, არ ჩამორჩნენ სწავლას (უნივერსიტეტი - 34%; სასწავლო უნივერსიტეტი - 42%; კოლეჯი - 51%), სწავლების ხარისხი (უნივერსიტეტი - 29%; სასწავლო უნივერსიტეტი - 37%; კოლეჯი - 51%) და სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსება (უნივერსიტეტი - 36%; სასწავლო უნივერსიტეტი - 42%; კოლეჯი-61%). მეორე მხრივ, კოლეჯისა და უნივერსიტეტების სტუდენტებთან შედარებით, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შედარებით ხშირად ადასტურებენ კოვიდ-19 პანდემიის უარყოფით გავლენას პროფესიული უნარ-ჩვევების (უნივერსიტეტი - 40%; სასწავლო უნივერსიტეტი - 38%; კოლეჯი - 61%) და სწავლის საფასურის გადახდის (უნივერსიტეტი - 53%; სასწავლო უნივერსიტეტი - 45%; კოლეჯი - 60%) საკითხებში.

სასწავლო მიმართულებების ჭრილში მონაცემთა განხილვის საფუძველზე ვლინდება, რომ კოვიდ-19 პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა **სამართლის** მიმართულების სტუდენტებისათვის მოტივაციისა (49%) და სწავლის საფასურის გადახდის (39%) თვალსაზრისით. სხვა სტუდენტებთან

კონტაქტსა (60%) და პროფესიულ უნარ-ჩვენებზე (48%) უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო აღმოჩნდა **სოციალური მეცნიერებების** მიმართულების სტუდენტებისათვის. სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევების (40%), ასევე, სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსების (45%) თვალსაზრისით უარყოფით შეფასებებს ყველაზე ხშირად აფიქსირებენ **მეცნიერების/საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** მიმართულების სტუდენტები. მეორე მხრივ, კოვიდ-19 პანდემიის გავლენას, როგორც უარყოფითს, ყველაზე იშვიათად ასახელებენ **აგრარული მეცნიერებების** მიმართულების სტუდენტები, კერძოდ, ეს ეხება სტუდენტთა მოტივაციას, არ ჩამორჩნენ სწავლას (28%), სწავლის ხარისხს (32%), სხვა სტუდენტებთან კონტაქტს (38%), სწავლის საფასურის გადახდას (19%), საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევას (25%).

როგორც აღმოჩნდა, **რეგიონის ჭრილის** გათვალისწინებით, კოვიდ-19 პანდემიის უარყოფით გავლენაზე ყველაზე ხშირად მიუთითებენ **თბილისში.** კერძოდ, აღნიშნული ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სწავლასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები (32%), სტუდენტთა მოტივაცია, არ ჩამორჩნენ სწავლას (44%), სწავლის ხარისხი (50%), სხვა სტუდენტებთან კონტაქტი (56%), სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსება (38%), პროფესიული უნარ-ჩვევები (42%), სწავლის საფასურის გადახდა (35%) და საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევა (40%).

რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ რა სახით შენარჩუნდება კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სხვადასხვა ასპექტებზე. კონკრეტულად, სტუდენტთა შედარებით დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კოვიდ-19 პანდემიის გავლენა არანაირ გავლენას არ იქონიებს მათ სამომავლო სწავლაზე (47%) ან სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებაზე (50%). მეორე მხრივ, რესპონდენტები მიახლოებით თანაბრად აფიქსირებენ, რომ მათ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კოვიდ-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა შენარჩუნდება (41%) ან არ ექნება არანაირი გავლენა (43%).

<u>სასწავლო პირობები</u>

სასწავლო პირობების შეფასების თვალსაზრისით რესპონდენტთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ ჩვეულებრივ, ლექტორები სასარგებლო უკუკავშირს აძლევენ სწავლასთან დაკავშირებით (59%), ლექტორები აძლევენ მოტივაციას, რათა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ (56%), ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (62%), იცნობენ ბევრ ისეთ სტუდენტს, რომლებთანაც შეუძლიათ განიხილონ კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები (56%), თავიანთ მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გაუწევდნენ (63%) და ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლიდნენ (79%). მეორე მხრივ, რესპონდენტები არ ეთანხმებიან დებულებებს, რომლის თანახმადაც ხშირად აქვთ განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში მათი ადგილი არ არის (67%) და უარყოფენ ფიქრს იმაზე, რომ საერთოდ თავი დაანებონ უმაღლესში სწავლას (71%).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპის ჭრილში მონაცემთა ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ზემოაღნიშნულ დებულებებს დადებითად აფასებენ კოლეჯის შემდეგ- სასწავლო უნივერსიტეტის, ბოლოს კი, უნივერსიტეტის სტუდენტები. კერძოდ, პროცენტები შემდეგი სახით ნაწილდება:

- ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (უნივერსიტეტი - 57%; სასწავლო უნივერსიტეტი - 69%; კოლეჯი - 78%);
- ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (უნივერსიტეტი - 53%; სასწავლო უნივერსიტეტი - 72%; კოლეჯი - 81%);
- ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (უნივერსიტეტი - 60%; სასწავლო უნივერსიტეტი - 76%; კოლეჯი - 84%);

- ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (უნივერსიტეტი - 62%; სასწავლო უნივერსიტეტი - 75%; კოლეჯი - 83%).

სასწავლო მიმართულებების ჭრილში სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები განსაკუთრებით ხშირად მიუთითებენ, რომ მათი ლექტორები სასარგებლო უკუკავშირს აძლევენ სწავლასთან დაკავშირებით (66%), ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (70%) და ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლიდნენ (86%). ამავდროულად, ყველაზე ხშირად უარყოფენ დებულებას, რომ უმაღლეს განათლებაში მათი ადგილი არ არის (73%). **განათლების მიმართულების** სტუდენტები, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ხშირად ასახელებენ, რომ ბევრ ისეთ სტუდენტს იცნობენ, რომლებთანაც შეუძლიათ განიხილონ კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები (65%) და მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გაუწევდნენ (72%). **ჰუმანიტარული მეცნიერებების** სტუდენტები ყველაზე ხშირად მიუთითებენ, რომ ლექტორები აძლევენ მოტივაციას, რათა შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ (62%) და, ამავდროულად, უარყოფენ უმაღლესში სწავლისათვის თავის დანებებაზე ფიქრს (81%).

რეგიონის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ სხვა რეგიონებთან შედარებით, **თბილისში** გამოკითხული სტუდენტები შედარებით იშვიათად აფასებენ დადებითად სხვადასხვა ინტერვენციებს. კონკრეტულად, ეს ეხება სწავლასთან დაკავშირებით სასარგებლო უკუკავშირის მიღებას ლექტორების მხრიდან (58%), ლექტორების მხრიდან მოტივირებას, რომ საკუთარი მაქსიმუმი გამოავლინონ (54%) და ლექტორების მიერ საკითხების/თემების კარგად ახსნას (60%).

რესპონდენტთა უმრავლესობა (64%) ამბობს, რომ სმენია სწავლასთან დაკავშირებული კონსულტაციის შესახებ. 46% არის სტუდენტთა წილი, ვისაც კონსულტაციით უსარგებლიათ კიდეც. სხვა შემთხვევებში, როგორებიცაა ფსიქოლოგიური (55%), ფინანსური (55%) და საბინაო (61%) კონსულტაცია - რესპონდენტები ამბობენ, რომ ასეთი მომსახურების შესახებ არ სმენიათ.

რეგიონის ჭრილში საკითხის გაანალიზების შედეგად იკვეთება, რომ **სწავლასთან დაკავშირებული** კონსულტაციის შესახებ ინფორმირებულობა სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია თბილისში (63%) და მაღალია კახეთში (78%), შიდა ქართლსა (79%) და სამეგრელო- ზემო სვანეთში (79%). **ფსიქოლოგიური კონსულტაციის** შესაძლებლობაზე ინფორმაციის მიღებას შედარებით იშვიათად ადასტურებენ თბილისსა (44%) და იმერეთში (42%), ხოლო ყველაზე ხშირად- სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (69%).

ფინანსური კონსულტაციის თვალსაზრისით ინფორმაციის მიღებაზე შედარებით იშვიათად მიუთითებენ თბილისში (42%), ხოლო შედარებით მნიშვნელოვნად - სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (76%). **საბინაო კონსულტაციის** არსებობაზე ყველაზე ნაკლებად საუბრობენ თბილისში (36%), ხოლო შედარებით ხშირად- აჭარასა (62%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (59%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა.

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ან შედარებით დიდი ნაწილი ეთანხმება, რომ მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს მათ აკადემიურ წარმატებაზე (53%), ხელს უწყობს მათ არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას (43%), ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში უზიარებენ დამატებით წყაროებს (63%) და საუნივერსიტეტო რესურსები მათ საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად გაეცნონ საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს (62%).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში ქვემოთ ჩამოთვლილ დებულებებს ყველაზე ხშირად ეთანხმებიან კოლეჯის, ხოლო შედარებით იშვიათად, უნივერსიტეტის სტუდენტები:

- ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს ჩემს აკადემიურ წარმატებაზე (უნივერსიტეტი - 51%, სასწავლო უნივერსიტეტი - 71%; კოლეჯი - 81%)
- ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს ჩემს არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას (უნივერსიტეტი - 40%, სასწავლო უნივერსიტეტი - 63%; კოლეჯი - 73%)
- ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში მიზიარებენ დამატებით წყაროებს: სამეცნიერო კვლევებს, ლიტერატურას, მონაცემთა ბაზებს და სხვ. (უნივერსიტეტი - 61%, სასწავლო უნივერსიტეტი - 76%; კოლეჯი - 79%)
- საუნივერსიტეტო რესურსები (ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები და ა.შ.) საშუალებას მაძლევს, დამოუკიდებლად გავეცნო ჩემთვის საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს (უნივერსიტეტი - 60%, სასწავლო უნივერსიტეტი - 74%; კოლეჯი - 81%)

სტუდენტთა შეფასებით, მათი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (54%), საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (58%), კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (60%), სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (53%), პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (52%), გუნდური მუშაობა (57%), აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (60%), განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (63%), კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (51%) და ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (54%).

სასწავლო მიმართულებების ჭრილში მონაცემთა გაანალიზებით გამოიკვეთა, რომ **სოციალური მეცნიერებების** მიმართულების სტუდენტები, სხვა მიმართულებებთან შედარებით, ხშირად ადასტურებენ საგანმანათლებლო დაწესებულებში ისეთი უნარების გამომუშავებას, როგორებიცაა: საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (72%), კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (74%), გუნდური მუშაობა (67%), აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (75%) და განსხვავებული სოციალური ფონის მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (76%).

სტუდენტთა მიახლოებით ნახევარი (47%) მიუთითებს, რომ მომავალი პროფესიის უკეთ გასაცნობად მათი სასწავლო დაწესებულება სემესტრში ერთხელ მაინც ახორციელებს დამსაქმებლებთან/ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრებს/ტრენინგებს. ამავდროულად, მაღალია რესპონდენტთა წილი (44%), ვისაც აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ აქვს. რესპონდენტთა უმრავლესობა (55%) მიიჩნევს, რომ მათ სასწავლო პროგრამაში მიღებული ცოდნა საკმარისია პროფესიის ფარგლებში ამა თუ იმ მიმართულების არჩევისას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

სტუდენტების შედარებით დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მათთვის ადეკვატური სამსახურის პოვნის შესაძლებლობა ექნებათ როგორც ეროვნულ შრომის ბაზარზე (46%), ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე (39%).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის მიხედვით ადეკვატური სამსახურის პოვნის შესაძლებლობას მეტად პოზიტიურად აფასებენ კოლეჯისა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, ვიდრე ის რესპონდენტები, ვინც უნივერსიტეტში სწავლობს. აღნიშნული ეხება როგორც ეროვნულ (უნივერსიტეტი - 44%; სასწავლო უნივერსიტეტი - 63%; კოლეჯი - 73%), ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარს (უნივერსიტეტი - 37%; სასწავლო უნივერსიტეტი - 48%; კოლეჯი - 62%).

ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე ადეკვატური სამსახურის მოძიების შესაძლებლობები გაანალიზდა **სასწავლო მიმართულებების ჭრილში.** როგორც ირკვევა, ეროვნულ ბაზარზე ადეკვატური სამსახურის მოძიების თვალსაზრისით შედარებით ნაკლებ ოპტიმისტურად არიან განწყობილი სოციალური მეცნიერებების (35%), ხელოვნების (35%) და მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (35%) სასწავლო მიმართულებების სტუდენტები. მეორე მხრივ, სხვა მიმართულებებთან შედარებით დადებითად განწყობილი არიან აგრარული მეცნიერებებისა (56%) და განათლების (57%) მიმართულების სტუდენტები.

საერთაშორისო დონეზე დასაქმების მოძიების თვალსაზრისით ნაკლებ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ხელოვნების (31%) სასწავლო მიმართულების სტუდენტები. საპირისპიროდ, აგრარული მეცნიერებების (47%) სტუდენტები, სხვა მიმართულებების სტუდენტებთან შედარებით, უფრო მეტად დადებითად უყურებენ საერთაშორისო ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობებს.

რეგიონის ჭრილში საკითხის გაანალიზება გვიჩვენებს, რომ ეროვნულ შრომის ბაზარზე პირად შესაძლებლობებს ყველაზე დადებითად აფასებენ სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (72%) გამოკითხული რესპონდენტები, ხოლო შედარებით ნაკლებ პოზიტიურ შეფასებას აფიქსირებენ თბილისსა (45%) და აჭარაში (49%). რაც შეეხება საერთაშორისო შრომის ბაზარს, თავიანთ შესაძლებლობებს შედარებით დადებითად უყურებენ კახეთში (52%), ხოლო ნაკლებ პოზიტიურად - სამეგრელო-ზემო სვანეთსა (33%) და თბილისში (37%).

<u>სასწავლო პროცესის გაციფრულება და სტუდენტური ცხოვრება</u>

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ყოველი მესამე რესპონდენტი ნახევარჯერ სრულად დისტანციურად, ნახევარჯერ კი სრულად პირისპირ სწავლობს, რაც ამავე რაოდენობის სტუდენტთათვის დროის გადანაწილების იდეალურ თანაფარდობას წარმოადგენს სააუდიტორიო და ციფრულ სწავლებას შორის. საგულისხმოა, რომ ისეთ სტუდენტთა წილი, რომლებიც უპირატეს მნიშვნელობას, როგორც იდეალურ ვარიანტს, პირისპირ სწავლებას ანიჭებენ, დაახლოებით 9%-ით აღემატება სრულად დისტანციური სწავლების მომხრეთა წილს (16%). **რეგიონის ჭრილში** საკითხის დამუშავება ცხადყოფს, რომ სრულად დისტანციურ სწავლებას უფრო მეტად მიმართავენ კახეთის რეგიონში (55%) , ვიდრე სხვა რეგიონებში. ხოლო სრულად პირისპირ სწავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა შიდა ქართლსა (29%) და თბილისში (23%). **სასწავლო საფეხურების მიხედვით,** სრულად დისტანციურად ან უფრო მეტად დისტანციურად, ვიდრე პირისპირ სწავლა ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა აღმოჩნდა მაგისტრატურის (56%) საფეხურის სტუდენტებისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ თითქმის ყოველი მეოთხე მაგისტრანტისთვის სწავლის იდეალური მეთოდი სრულად პირისპირ რეჟიმში ჩატარებული სააუდიტორიო მეცადინეობაა. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე** საკითხის გაანალიზებამ გამოავლინა, რომ სასწავლო პროცესის სრულად/უმეტესად დისტანციურ ფორმატში ჩატარების მეთოდს ყველაზე მეტად კოლეჯებში მიმართავენ (81%). თუმცა საინტერესოა, რომ მიუხედავად ამისა, კოლეჯის სტუდენტთა მხოლოდ 32%-მა დაასახელა სწავლების მათთვის იდეალურ ვარიანტად საგანმანათლებლო პროცესის სრულად/უმეტესად ონლაინ წარმართვა. უნივერსიტეტების სტუდენტთა 37%-სთვის სწავლების იდეალური ფორმატი ლექციების პირისპირ რეჟიმში ჩატარება აღმოჩნდა. რაც შეეხება სასწავლო უნივერსიტეტებს, სტუდენტების 44% დისტანციურ სწავლებას ემხრობა, 33% კი -პირისპირს. **სასწავლო პროგრამების დონეზე** მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ სრულად/უფრო მეტად დისტანციურ ფორმატში ლექციები ყველაზე ნაკლებად უტარდებათ ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის პროგრამების სტუდენტებს; ჯანდაცვისა (48%) და სოციალური მეცნიერებების (42%) სტუდენტთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სწავლის იდეალური ფორმატია პირისპირ სწავლება. რაც შეეხება იმ სასწავლო პროგრამებს,

რომლის სტუდენტთა დიდი ნაწილი უპირატეს ვარიანტად განიხილავს ონლაინ მეთოდით სწავლებას, არის განათლება (47%), აგრარული მეცნიერებები (43%) და ბიზნესი და ადმინისტრირება (43%).

სახლში ყოფნისას სწავლისთვის საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სულ მცირე, ყოველი მეორე რესპონდენტი ფლობს ისეთ მატერიალურ საგნებს, რომლებიც მეცადინეობისთვის მნიშვნელოვანია (კომპიუტერი/ლეპტოპი/პლანშეტი, სამუშაო მაგიდა და ა.შ.). შედარებით მცირეა მათი წილი, რომლებიც სწავლის პროცესში მშვიდი გარემოთი (39%) არიან უზრუნველყოფილნი. სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების/მასალის ციფრული ხელმისაწვდომობის მიმართ რესპონდენტთა კმაყოფილების შეფასება აჩვენებს, რომ სტუდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი „ძალზე კმაყოფილი+უფრო მეტად კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილოა“ მოთხოვნილ სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობით - 62%; ასევე, ყოველი მეორე რესპონდენტი შეფასების იმავე პოზიციას იზიარებს პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსების/ლექციების, ონლაინ გამოცდების და ადმინისტრაციული მომსახურების მიმართ. უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი შედარებით მაღალია ისეთი სერვისების შემთხვევაში, როგორებიცაა ლექციების ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობა (20%) და საკონსულტაციო მომსახურება (19%). **რეგიონების ჭრილში** მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხულ სტუდენტთაგან ყოველი მეორე **ძალზე კმაყოფილია** პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსებით/ლექციებით, ლექციების ჩანაწერებზე/აუდიომასალაზე ხელმისაწვდომობით, ონლაინ გამოცდებით, სწავლის პროცესში საჭირო მასალებზე (წიგნები, ტესტები და სხვ.) წვდომით, ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებებით. სხვა რეგიონებში ანალოგიური განწყობის მქონეთა პროცენტული მაჩვენებელი 25-42%-ს შორის ვარირებს. **სასწავლო საფეხურის დონეზე** საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ლექციებით (65%), ონლაინ რეჟიმში ჩატარებული გამოცდებით (67%) და დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე ლექციების/კურსების აუდიოჩანაწერზე ხელმისაწვდომობით (57%) ყველაზე მეტად კმაყოფილი მაგისტრანტები არიან. მოთხოვნილ სასწავლო მასალაზე ხელმისაწვდომობით კმაყოფილ რესპონდენტთა წილი კვლავ მაგისტრანტებს (66%) შორის არის ყველაზე მაღალი, რასაც მცირედით ჩამორჩება ანალოგიური განწყობის (61%) ბაკალავრების რაოდენობა. **სასწავლო პროგრამების** მიხედვით**,** დისტანციურად ჩატარებული ლექციების/კურსების აუდიოჩანაწერებზე ხელმისაწვდომობის საკითხით კმაყოფილია აგრარული მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და ადმინისტრირების, სამართლის და მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების სტუდენტთა უმრავლესობა (ვარირებს 51%-58%-ს შორის). აღნიშნული მომსახურებით უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი განსაკუთრებით მაღალია ხელოვნების (38%) პროგრამაზე. მოთხოვნილი სასწავლო მასალით კმაყოფილია თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული, სულ მცირე, ყოველი მეორე რესპონდენტი.

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა 64%-მა აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლის პროცესში მათ მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობები ობიექტურად ფასდებოდა. **საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის** მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტებსა (57%) და კოლეჯებში (51%) გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მათი აკადემიური მოსწრება სრულიად ობიექტურად ფასდებოდა; უნივერსიტეტებში გამოკითხულთა შორის ანალოგიური პოზიცია რესპონდენტთა 34%-ს გააჩნია. **სასწავლო პროგრამების დონეზე საკითხის** გაანალიზება აჩვენებს, რომ თითოეული საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტთა უმრავლესობას, დისტანციური სწავლის დროს, მათი სასწავლო აქტივობების ობიექტურად (სრულად ობიექტური, ან უფრო მეტად ობიექტური) შეფასების გამოცდილება გააჩნია. აღნიშნული პრაქტიკის მქონეთა შორის ყველაზე

მაღალი პროცენტული წილით ფიქსირდებიან სოციალური (73%) და ჰუმანიტარული (69%) მეცნიერებების მიმართულების სტუდენტები.

დისტანციური სწავლისას დავალების/გამოცდის წერილობით შესრულების პროცესში **სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის** საკითხს პრობლემურად მიიჩნევს გამოკითხულ სტუდენტთა მეხუთედზე მეტი - 22%. იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პასუხისმგებლობას სტუდენტები არ/ნაკლებად გრძნობენ, განსაკუთრებით მაღალია **თბილისსა** (23%) და **აჭარაში** (23%). ამისგან განსხვავებით, კახეთში გამოკითხულთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ონლაინ სწავლების პროცესში სტუდენტები პირნათლად იცავენ აკადემიურ კეთილსინდისიერებას, რაც სხვა რეგიონების პროცენტულ მაჩვენებლებს დაახლოებით 20%-ით აღემატება. **საგანმანათლებლო საფეხურების** მიხედვით იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც თვლიან, რომ დისტანციური სწავლისას დავალების/გამოცდის წერილობით შესრულების პროცესში სტუდენტი აკადემიურ კეთილსინდისიერებას სრულად ან უფრო მეტად იცავს, ვიდრე არა - თითქმის მსგავსია და 45%-50%-ს შორის ვარირებს. **უსდ-ების ჭრილში** საკითხის გაანალიზებამ გამოავლინა, რომ სასწავლო უნივერსიტეტებსა (63%) და კოლეჯებში (74%) გამოკითხული რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სტუდენტების მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პასუხისმგებლობა გაზიარებულია, ვიდრე უნივერსიტეტებში (44%). **სასწავლო პროგრამების** მიხედვით, დისტანციური სწავლისას დავალების/გამოცდის წერილობით შესრულების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხი ყველაზე მეტად აგრარული მეცნიერებების (58%), ბიზნესის და ადმინისტრირების (53%) და განათლების (53%) სასწავლო მიმართულებების სტუდენტებისთვის მნიშვნელობს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპის დონეზე, უნივერსიტეტების სტუდენტთა 59% მიიჩნევს, რომ მათი ციფრული ცოდნა საკმარისია ონლაინ სწავლების პროცესში ოპერირებისთვის, რასაც რამდენადმე აღემატება ანალოგიური განწყობის მქონე რესპონდენტთა წილი სასწავლო უნივერსიტეტებსა (76%) და კოლეჯებში (82%). ამასთან, ყოველი მეორე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ დისტანციური სწავლების პროცესი, მთლიანობაში, გამართული იყო. **რეგიონების ჭრილში** ამ უკანასკნელი საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ ონლაინ ლექციებითა და კურსებით განსაკუთრებით კმაყოფილი არიან კახეთში მცხოვრები სტუდენტები (52% - სრულიად გამართული იყო). სხვა რეგიონებში ასეთთა წილი 22%-დან 36%-მდე მერყეობს. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის** მიხედვით, საკითხის მიმართ საკუთარ შეფასებას დადებითი ნიშნულებით გამოხატავს უნივერსიტეტების სტუდენტთა 50%, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი სასწავლო უნივერსიტეტებში 73%-ს უტოლდება, ხოლო კოლეჯებში - 85%-ს. აღნიშნულთან ერთად საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტთა გადანაწილება, რომლებმაც დისტანციური სწავლების პროცესის გამართულობის ხარისხი დადებითი მნიშვნელობის ნიშნულებით შეაფასეს („სრულიად გამართული იყო+უფრო მეტად გამართული, ვიდრე გაუმართავი“), თითოეული პროგრამის შემთხვევაში 45%-დან 58%-მდე მერყეობს.

<u>**სტუდენტთა საცხოვრებელი პირობები**</u>

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტების უმრავლესობა (61%) **მშობლებთან/მეურვეებთან** (ან ბებიასთან, ბაბუასთან, ბიძებთან, დეიდებთან და ა.შ.) ცხოვრობს. 10%-დან 20%-მდე მერყეობს მათი წილი, ვინც დამოუკიდებლად ან სხვა ადამიანებთან (სტუდენტებთან, მეგობრებთან, დედმამიშვილებთან და ა.შ.) ერთად ცხოვრობენ. მსგავსი შედეგი ქართულ კონტექსტს უნდა დავუკავშიროთ - არ არის გავრცელებული სრულწლოვნობის მიღწევის შემდეგ მშობლიური სახლის

დატოვება და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება. დედაქალაქში, სხვა რეგიონებთან შედარებით, შემცირებულია მშობლებთან/მეურვესთან მცხოვრებ სტუდენტთა წილი, თუმცა მაინც უმრავლესობას წარმოადგენს (56%). ამასთან, კაც სტუდენტებში (17%), ქალებთან შედარებით (10%), მეტადაა გავრცელებული მარტო ცხოვრების პრაქტიკა.

ასეთი შედეგები შესაძლოა უკავშირდებოდეს ნაკლებად ხელმისაწვდომ **სტუდენტურ საცხოვრებელს**. მსგავსი შესაძლებლობით მხოლოდ 11% სარგებლობს, რომელთა შორისაც უნივერსიტეტის სტუდენტთა წილი შედარებით მაღალია (12%). ამასთან, სტუდენტურ საცხოვრებელში კოლეჯის არცერთი სტუდენტი არ ცხოვრობს. სტუდენტური საცხოვრებლების არსებობისა და ხელმისაწვდომობის პრობლემა მნიშვნელოვანი ბარიერია სტუდენტებისთვის. საცხოვრებელი პირობების სიძვირისა და სტუდენტური საცხოვრებლის დაბალი ხელმისაწვდომობის გამო, სტუდენტთა ნაწილი რეგიონებში რჩება ან სასწავლო ქალაქის მომიჯნავე ქალაქებში ცხოვრობს, სადაც, სავარაუდოდ, საცხოვრებელი ხარჯი ნაკლებია. თუმცა ამ შემთხვევაში მზარდია ტრანსპორტირების დრო და ხარჯები.

<u>ანაზღაურებადი სამსახურის ქონის გაუმოცდილება</u>

გამოკითხულ სტუდენტთა ნახევარზე მეტი (58%) **უმუშევარია,** თითქმის მესამედს (30%) **მთელი სემესტრის განმავლობაში აქვს რეგულარული სამსახური,** ხოლო მეათედზე მეტი (12%) **დროდადრო მუშაობს.** დაუსაქმებელ სტუდენტთა წილი შედარებით მაღალია იმერეთში (71%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (68%) და შიდა ქართლში (65%). დასაქმებულ სტუდენტთა შორის შედარებით სჭარბობენ, ერთი მხრივ, **მაგისტრანტები (59%);** ბაკალავრიატი - 45%, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 39%, ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა - 22%**),** ხოლო, მეორე მხრივ, **ბიზნესის ადმინისტრირების** წარმომადგენლები. ამ მიმართულების სტუდენტების დაახლოებით ნახევარი (48%) მთელი სემესტრის განმავლობაში რეგულარულად მუშაობს. ანაზღაურებადი სამსახურის არქონის მაჩვენებლით ყველაზე მეტად გამოირჩევიან **ჯანდაცვის** მიმართულების სტუდენტები. მსგავსი შედეგი შეიძლება უკავშირდებოდეს, ერთი მხრივ, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო, მეორე მხრივ, სასწავლო პროგრამის სპეციფიკას - ხშირად სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობა კურიკულუმითაა განსაზღვრული და პრაქტიკის კომპონენტში ითვლება.

<u>დასაქმების მიზნები</u>

სწავლის თანადროულად დასაქმება, შესაძლოა, რამდენიმე მიზანსა თუ აუცილებლობას უკავშირდებოდეს. დასაქმებულ რესპონდენტთა უმრავლესობა **შრომის ბაზარზე გამოცდილების მისაღებად** მუშაობს (63%), ან იმისთვის, რომ **შეიძინოს სხვადასხვა ნივთი, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ შეიძენდა** (64%). თუკი საქართველოს **მოქალაქეების** 64% სამუშაო გამოცდილების მისაღებად მუშაობს, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების შემთხვევაში მაჩვენებელი 39%-მდე მცირდება. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქართველი სტუდენტები აქვე, ქვეყანაშივე, აპირებენ ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებას, რისთვისაც აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, გააზრება და ამ მხრივ გამოცდილების დაგროვება. საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთათვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარება და არა შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ამასთან, ანაზღაურებადი სამუშაოს ქონა სტუდენტის სტატუსის შენარჩუნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს როგორც **უნივერსიტეტის,** ისე **სასწავლო უნივერსიტეტის** და განსაკუთრებით **კოლეჯის** სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს **სასწავლო პროგრამის შინაარსისა და დასაქმების ურთიერთმიმართება.** ვლინდება, რომ მიმდინარე სემესტრში მიღებული შრომითი გამოცდილება დაკავშირებულია სასწავლო პროგრამის შინაარსთან (48%). მსგავს პოზიციას, უნივერსიტეტის სტუდენტებთან შედარებით (47%), უფრო მეტად გამოკვეთენ სასწავლო უნივერსიტეტებისა (53%) და კოლეჯების სტუდენტები (53%).

ზოგადი პოზიტიური ტენდენცია შენარჩუნებულია თითქმის ყველა სასწავლო პროგრამაზე. გამონაკლისს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულება, რომელთა სტუდენტთა საშუალოდ 42% შინაარსობრივ კავშირს ვერ ხედავს სასწავლო პროგრამასა და სამსახურს შორის.

<u>სტუდენტების თვითაღქმა</u>

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა 71% **უპირველესად თავს სტუდენტად მიიჩნევს და დასაქმების კომპონენტს მეორეხარისხოვნად განიხილავს.** მსგავსი პოზიცია განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება **ჯანდაცვის** სტუდენტებში (81%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - **განათლების** მიმართულების სტუდენტებში (56%). შედეგი უნდა დავუკავშიროთ სასწავლო პროგრამების სპეციფიკას - ჯანდაცვის მიმართულებით სწავლების პერიოდი, სხვა პროგრამებთან შედარებით, ხანგრძლივია; ამასთან, როგორც აღინიშნა, დასაქმების კომპონენტი ძირითადად კურიკულუმის შემადგენელ ნაწილად ითვლება. განხილული ფაქტორების კომბინაციით კი ლოგიკურია, რომ ამ მიმართულების სტუდენტები საკუთარ თავს პირველყოვლისა სტუდენტებად აიდენტიფიცირებენ. სასწავლო საფეხურის მიხედვით, სტუდენტების თვითაღქმა მკვეთრად განსხვავებულია. უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის სტუდენტად აღქმა დამახასიათებელია ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების 84%-თვის, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სხვა სასწავლო საფეხურის რესპონდენტებთან შედარებით. მსგავსი პოზიცია ფიქსირდება ბაკალავრიატის სტუდენტთა 74%-ში და მაგისტრანტების 52%-ში. მსგავს შედეგზე, სავარაუდოდ, ისიც ახდენს გავლენას, რომ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან შედარებით ბაკალავრიატის სტუდენტთა მცირე ნაწილია ანაზღაურებად სამსახურ(ებ)ში დასაქმებული და, შეიძლება ითქვას, მათი ძირითადი საქმიანობა სწავლაა.

<u>ციფრული მოწყობილობების მნიშვნელოვნება</u>

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ **კომპიუტერი და სხვა ციფრული მოწყობილობები მნიშვნელოვანია როგორც სწავლაში (86%), ისე ყოველდღიურ ცხოვრებასა (82%) და ამჟამინდელ სამუშაო გარემოში (76%).** სწავლის მიმართულებით პოზიტიური შეფასებები ნარჩუნდება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპის, ისე სასწავლო საფეხურების ჭრილში. მსგავს მოწყობილობებს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები (89%). რაც შეეხება სამუშაო გარემოში ციფრული მოწყობილობების მნიშვნელოვნებას, იკვეთება, რომ **ბიზნესის ადმინისტრირების** მიმართულების სტუდენტების ყველაზე დიდი წილი აფიქსირებს პოზიტიურ შედეგს (90%). კომპიუტერსა და სხვა მოწყობილობებს ყველაზე უმნიშვნელოდ აფასებენ **ხელოვნების** მიმართულების სტუდენტები (17%).

<u>სტუდენტთა ხარჯები</u>

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ **პირველადი სოციალური ჯგუფი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი აქტორია.** მისგან იღებენ როგორც ნაღდ ფულს/საბანკო გადარიცხვით დახმარებას, ისე არაფულად დახმარებებს. ამასთან, ხშირია პრაქტიკა, როდესაც ოჯახის წევრები სტუდენტს გადასახადებს უხდიან. ოჯახის ფულადი კონტრიბუციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი **სამეგრელო-ზემო სვანეთში** ფიქსირდება (77%), ხოლო ყველაზე დაბალი - **იმერეთში** (55%). განსაკუთრებით ხშირია ოჯახის ფულადი ჩართულობა **საბაკალავრო** საფეხურისა (64%) და **ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის** (84%) სტუდენტების შემთხვევაში. ამასთან, ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა უფრო მეტად იკვეთება საქართველოს **მოქალაქეობის** არმქონე სტუდენტებში, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებში. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არ არის და შემოსავლის სტაბილური წყარო საქართველოში არ აქვს. დომინანტური მხარდამჭერი აქტორი კი სწორედ ოჯახია.

გამოიკვეთა, რომ **ყველაზე დიდი ხარჯი საცხოვრებელზე** (საკუთარი ჯიბიდან - 430 ლარი, სხვის მიერ გადახდილი - 250 ლარი) და **საკვებზე** (საკუთარი ჯიბიდან - 275 ლარი, სხვის მიერ გადახდილი - 187 ლარი) მოდის. როგორც აღმოჩნდა, სტუდენტები **ყველაზე ნაკლებს ხარჯავენ ჯანდაცვის მიმართულებით** (საკუთარი ჯიბიდან - 32 ლარი, სხვის მიერ გადახდილი - 22 ლარი). ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია სტუდენტების საყოველთაო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ- ცალკე სტუდენტური დაზღვევით, რაც ხარჯებზე პოზიტიურად აისახება, რადგან დაზღვევის გამოყენების შემთხვევაში ინდივიდს ნაკლები თანხის გადახდა უწევს. **სასწავლო მიმართულებით გაწეული ხარჯის** შემთხვევაში სხვების კონტრიბუცია (348 ლარი) აღემატება სტუდენტის მიერ საკუთარი ჯიბიდან გადახდილ ოდენობას (219 ლარი).

ფაქტი, რომ საქართველოს **მოქალაქეობის** არმქონე სტუდენტების მიერ საცხოვრებელზე საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯი (585 ლარი) აღემატება საქართველოს მოქალაქეების ხარჯს (400 ლარი), განპირობებულია საცხოვრებელი პირობებით - არაქართველი სტუდენტები, როგორც წესი, ქირით ცხოვრობენ, ხოლო ქართველები, როგორც კვლევამ აჩვენა, უმეტესწილად, საკუთარ მშობლიურ ოჯახში რჩებიან და დამატებითი ხარჯის გაწევა აღარ უწევთ. საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა მიერ საუნივერსიტეტო გადასახადის მიმართულებით დახარჯული თანხის ოდენობაც აღემატება ქართველების ხარჯს. მსგავსი შედეგი შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები, უმეტესწილად, ადგილობრივი სახელმწიფო პროგრამებით არ სარგებლობენ და თავად უწევთ სასწავლო ხარჯის დაფარვა.

სტუდენტთა მეხუთედზე მეტი (22%) მიიჩნევს, რომ **დისტანციური სწავლის პერიოდში სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები გაიზარდა.** მზარდ დომინანტურ კატეგორიებად კი განისაზღვრა ტექნიკის შეძენა (24%), ინტერნეტის ხარჯი (23%) და კომუნალური გადასახადების (22%) ოდენობა.

გამოკითხულთა მესამედს აჭარბებს მათი წილი (35%), ვინც **ამ პერიოდში სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებაზე** მიუთითებს. კონკრეტულად დასახელდა, რომ დისტანციური სწავლებისას კვებისა (26%) და ტრანსპორტის (38%) ხარჯები შემცირდა.

<u>სახელმწიფო მხარდაჭერის ან სტუდენტური სესხის აღების პრაქტიკა</u>

გამოკითხვაში მონაწილე ყოველი მეორე სტუდენტი (51%) არანაირ **გრანტს/სტიპენდიას თუ სტუდენტურ სესხს** არ იღებს. სახელმწიფო მხარდაჭერის ყველაზე გავრცელებული ფორმა სახელმწიფო გრანტია (24%), რისი მიღებაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგზეა დამოკიდებული. ყველაზე მცირეა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდიის მიმღებთა წილი (1%).

გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში, სხვა **ტიპის უსდ-ებთან** შედარებით, მაღალია სახელმწიფო გრანტის მიმღებთა წილი (26%). ამდენად, შესაძლოა ითქვას, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგის მქონე აბიტურიენტები საკუთარ არჩევანს სწორედ უნივერსიტეტზე აკეთებენ. ამასთან, ამ კატეგორიაში ერთიანდებიან სხვადასხვა სასწავლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტები.

ლოგიკურია, რომ საქართველოს **მოქალაქეობის** არმქონე სტუდენტთათვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი სხვა ქვეყნისგან სახელმწიფო გრანტის/სტიპენდიის ან სესხის მიღების პრაქტიკა (10%), ვინაიდან საქართველოში სწავლა არ გულისხმობს, რომ უცხოელი სტუდენტის ფინანსურ მხარდაჭერაზე სრულად საქართველოს მხარეა პასუხისმგებელი.

<u>სტუდენტთა შემოსავლები</u>

სტუდენტთა **საშუალო თვიური შემოსავლის** ოდენობა 710 ლარს უტოლდება. ორი **ძირითადი წყაროა** სამსახურის ანაზღაურება (250 ლარი) და ოჯახის მიერ გაცემული ნაღდი ფული ან საბანკო გადარიცხვა (188 ლარი). თვიურად საშუალოდ 61 ლარს უტოლდება სახელმწიფო გრანტის ოდენობა, რაც პირდაპირ სწავლის დაფინანსებას ხმარდება.

ოჯახის ფინანსურ მხარდაჭერას ყველაზე დიდი ოდენობით (304 ლარი) იღებენ **ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის** სტუდენტები. ამ სასწავლო საფეხურის სტუდენტთა შორის ყველაზე დაბალია ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა (90 ლარი). ეს შედეგი, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ სტუდენტთა კლინიკებში დასაქმება კურიკულუმის ნაწილად განისაზღვრება და არა ანაზღაურებადი სამსახურის კატეგორიად. სამსახურიდან მიღებული ანაზღაურების საშუალო თვიური ოდენობა **ბაკალავრიატის** სტუდენტთა შორის 244 ლარს უტოლდება, ხოლო მაქსიმალურ ნიშნულს მაგისტრანტთა შემთხვევაში აღწევს (609 ლარი).

საქართველოს **მოქალაქეობის** არმქონეთა შორის თითქმის გაორმაგებულია პირველადი სოციალური ჯგუფისგან, ოჯახისგან, მიღებული ფინანსური დახმარების ოდენობა (324 ლარი), ქართველ სტუდენტებთან შედარებით (172 ლარი). ფაქტი, რომ არაქართველი სტუდენტების ძირითად ნაწილს ანაზღაურებადი სამსახური არ აქვს, განაპირობებს შემოსავლის ოდენობებს შორის სხვაობას. თუკი ქართველი სტუდენტების შემთხვევაში ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავალი 271 ლარს უტოლდება, საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა შორის მაჩვენებელი 87 ლარამდე მცირდება. მთლიანობაში, შემოსავლების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს მოქალაქეების საშუალო თვიური შემოსავალი 719 ლარს შეადგენს, ხოლო არაქართველი სტუდენტების შემთხვევაში მონაცემი 636 ლარამდე მცირდება.

<u>ფინანსური ტვირთი</u>

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტთა 43% **ფინანსური პრობლემების** წინაშე დგას. მხოლოდ მეოთხედი მიუთითებს, რომ მსგავსი სირთულე არ აწუხებს. ფინანსური პრობლემები **ქალებისთვის** უფრო

მეტადაა აქტუალური (46%), ვიდრე **კაცებისთვის** (40%). თუკი **372 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯის გადახდის აუცილებლობა დადგება,** სტუდენტთა 45% თავად ვერ შეძლებს მის დაფარვას, თუმცა ვინმე (მშობლები, ოჯახი, პარტნიორი და ა.შ.) გადაუხდის. 23%-ს უტოლდება მათი წილი, ვინც დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსების მობილიზებით, მოახერხებდა მსგავსი ტიპის გამოწვევასთან გამკლავებას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სტუდენტების ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია.

<u>სტუდენტთა სტაჟირება</u>

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ სტუდენტებს ძირითადად არ აქვთ **სტაჟირების გამოცდილება**. რესპონდენტთა 58%-ს არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ არ გაუვლია სტაჟირება, სტუდენტთა 31% საქართველოში ყოფილა ერთ ან მეტ სტაჟირებაზე, ხოლო გამოკითხულთა 11%-ს უცხოეთში აქვს სტაჟირება გავლილი. იკვეთება, რომ სტაჟირებაგავლილი რესპონდენტები ძირითადად დედაქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები არიან (46%). სტაჟირების გამოცდილების არმქონეთა წილი ყველაზე მაღალია სამეგრელო- ზემო სვანეთში (80%), ხოლო ყველაზე დაბალი - თბილისში (54%). იკვეთება, რომ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ სტაჟირებაგავლილი სტუდენტების ყველაზე დიდი ნაწილი უნივერსიტეტში სწავლობს: საქართველოში სტაჟირება - 31%, საზღვარგარეთ სტაჟირება - 12%.

საქართველოში გავლილი სტაჟირება ძირითად შემთხვევაში ნებაყოფლობითი (77%) და არაანაზღაურებადია (66%). სასწავლო პროგრამების ჭრილში მცირედი განსხვავება იკვეთება. ზოგადი ტენდენციისგან განსხვავებით, **განათლების** მიმართულების (59%) სტუდენტების უმრავლესობას საქართველოში **სავალდებულო** ტიპის სტაჟირება აქვს გავლილი. ამასთან, აგრარული მეცნიერებების (53%) მიმართულების სტუდენტების უმრავლესობის მიერ საქართველოში გავლილი სტაჟირება, ზოგადი ტენდენციისგან განსხვავებით, **ანაზღაურებადი** იყო.

<u>საერთაშორისო მობილობა</u>

საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილების მქონე სტუდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი - 37% აცხადებს, რომ მათ სამუშაო მობილობას „ერაზმუს (+)“ პროგრამამ გაუწია ორგანიზება. თითქმის მეხუთედი (19%) კი ასეთ ხელშემწყობ სტრუქტურად ევროკავშირის სხვა პროგრამებს ასახელებს. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში** საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ „ერაზმუს (+)“ პროგრამას უფრო მეტად მიმართავენ სასწავლო უნივერსიტეტების (40%) სტუდენტები, ვიდრე უნივერსიტეტების (15%). ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილისთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა სხვა (არა ევროკავშირის) პროგრამები (32%) ან მსგავსი აქტივობის დამოუკიდებლად ორგანიზება (36%). ამასთან, კოლეჯის სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობაც დამოუკიდებლად გაემგზავრა საერთაშორისო სამუშაო გამოცდილების მიღების მიზნით. საზღვარგარეთ სტაჟირების გასავლელად ერაზმუს (+) პროგრამის ფარგლებში გამგზავრების გამოცდილება უფრო მეტად გააჩნიათ **ბაკალავრიატისა (23%) და მაგისტრატურის (24%)** სტუდენტებს, ვიდრე სხვა სასწავლო საფეხურების წარმომადგენელ ახალგაზრდებს. ევროკავშირის სხვა პროგრამებს უფრო მეტად მიმართავენ ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (43%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (33%) სტუდენტები. აღნიშნული აქტივობის დამოუკიდებლად ორგანიზების გამოცდილება უფრო მეტად ბაკალავრიატისა (40%) და მაგისტრატურის (35%) სტუდენტებს აღმოაჩნდათ. **საგანმანათლებლო პროგრამების** დონეზე სტუდენტთა პროცენტული გადანაწილება აჩვენებს, რომ ერაზმუს (+) პროგრამას უფრო მეტად იყენებენ სოციალური მეცნიერებების მიმართულებაზე

ჩარიცხული სტუდენტები (56%), ყველაზე ნაკლებად კი - ჰუმანიტარული მეცნიერებებისა (13%) და ჯანდაცვის (5%) სასწავლო პროგრამების წარმომადგენლები.

სტუდენტთა უმრავლესობისთვის საზღვარგარეთ გავლილი ბოლო სტაჟირება იყო ნებაყოფლობითი და არა სასწავლო პროგრამის ნაწილი (60%). მათ შორის, რომლებმაც აღნიშნულის სავალდებულოობაზე (40%) მიუთითეს, ყველაზე მაღალია ბიზნესის ადმინისტრირების, განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტთა (50%-ზე მეტი) წილი. იდენტური გამოცდილების მქონე სტუდენტთა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აგრარული მეცნიერებების (14%), ჯანდაცვის (18%) და მიმართულებათაშორისი დარგების ან სპეციალობების (17%) სტუდენტთა შორის. **სასწავლო საფეხურის** ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ ოთხივე საგანმანათლებლო საფეხურზე ჩარიცხულთა უფრო მეტი ნაწილი საზღვარგარეთ სტაჟირების გასასვლელად ნებაყოფლობით გაემგზავრა (55%-80%-ს შორის მერყეობს).

საზღვარგარეთ ანაზღაურებადი საერთაშორისო სტაჟირების გავლის პრაქტიკაზე სტუდენტთა მხოლოდ 32%-მა მიუთითა, 68% კი საპირისპირო გამოცდილებაზე საუბრობს. ასეთ სტუდენტთა 28% იმ პერიოდში მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე სწავლობდა (N=54), რომელთაგან ყველაზე დიდი ნაწილი - 63% ბაკალავრის საფეხურის სტუდენტი იყო. აქვე საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელთაგან 50% იყო ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტი, 39% - სოციალური მეცნიერებების, 30% კი - აგრარული მეცნიერებების. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების** ჭრილში საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ საზღვარგარეთ სტაჟირებაზე გამგზავრების პერიოდში სასწავლო უნივერსიტეტების სტუდენტთა 60% მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე (ბაკალავრიატის საფეხური) ირიცხებოდა, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა შორის 22%-ს უტოლდება.

კვლევამ აჩვენა, რომ **საზღვარგარეთ გავლილი სტაჟირების კრედიტების სახით აღიარება არცთუ ისე ხშირი მოვლენაა.** რესპონდენტთა მხოლოდ მეხუთედმა დაადასტურა სასწავლო პროგრამის მიერ სტაჟირების კრედიტებად აღიარების გამოცდილება. დარჩენილთაგან 41%-მა საპირისპირო პრაქტიკაზე მიუთითა. სასწავლო პროგრამების დონეზე საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ განათლებისა და ინჟინერიის, სულ მცირე, ყოველ მესამე სტუდენტს ამ თვალსაზრისით პოზიტიური გამოცდილება აქვს. რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომელთა შემთხვევაშიც სტაჟირების კრედიტების სახით აღიარება ვერ/არ განხორციელდა, ყველაზე მაღალი პროცენტული წილით ფიქსირდებიან აგრარული (57%) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (54%) სტუდენტები, ასევე, ხელოვნებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტების სტუდენტთა 50-50 პროცენტი. რესპონდენტთა **საგანმანათლებლო საფეხურის** ჭრილში ზემოაღნიშნული საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ სტაჟირების კრედიტებად აღიარების საკითხი ყველაზე მეტად პრობლემური აღმოჩნდა ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის (არ აღიარეს - 46%). აღნიშნული გამოწვევას წარმოადგენს დანარჩენი სამი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა არცთუ ისე მცირე ნაწილისთვისაც (მათი რაოდენობა 38%-44%-ს შორის მერყეობს).

რესპონდენტთა 88%-ს, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარების შემდეგ, არ გააჩნია **საზღვარგარეთ დროებით (მაგ. სემესტრულად) სწავლის გამოცდილება.** ასეთთა შორის განსაკუთრებით მაღალია სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტთა წილი (90%-ზე მაღალი). რაც შეეხება საპირისპირო პრაქტიკებს, საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება ყველაზე მეტად ინჟინერიის (22%) პროგრამის სტუდენტებს აღმოაჩნდათ. **საგანმანათლებლო საფეხურის** დონეზე

საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში პირველად ჩაბარების შემდეგ საზღვარგარეთ დროებით სწავლის გამოცდილების მქონე სტუდენტების წილი ყველაზე მაღალია ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (21%), ხოლო მათი წილი, რომლებიც საპირისპირო პრაქტიკას აფიქსირებენ, შედარებით მაღალია ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში (90%).

იმ სტუდენტების 31%-ის შემთხვევაში, რომელთაც საზღვარგარეთ დროებითი სწავლის გამოცდილება აქვთ, აღნიშნულ აქტივობას ორგანიზება გაუწია ერაზმუს (+) პროგრამამ, 28%-მა კი ასეთ სტრუქტურად ევროკავშირის სხვა პროგრამები დაასახელა. ერაზმუს (+) ყველაზე მეტად პოპულარული აღმოჩნდა სოციალური მეცნიერებების (53.1%), ხელოვნებისა (46.7%) და აგრარული მეცნიერებების (43.5%) მიმართულებების სტუდენტებისთვის. სხვა ისეთ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით, რომლებიც ევროკავშირის მიერ არ იყო ინიცირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტები (56%) გამოირჩევიან. საინტერესოა, რომ საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად გასამგზავრებლად ერაზმუს (+) პროგრამით ისარგებლა **უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების** სტუდენტთა თანაბარმა რაოდენობამ (თითოეულ შემთხვევაში 31%). **სასწავლო საფეხურის ჭრილში** საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ მაგისტრატურის სტუდენტთა 52% საზღვარგარეთ სწავლობდა ერაზმუს (+) პროგრამის ფარგლებში, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 41%-ს უტოლდება, ხოლო სხვა საგანმანათლებლო საფეხურებზე ჩარიცხულთა შორის 29%-ს არ აღემატება.

სწავლის მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრების პერიოდში სტუდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (33%) მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე სწავლობდა, რომელთა შორის 46% სამართლის, 41% კი ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტი იყო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ იმ სტუდენტთა შორის, რომლებიც სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებისას მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე ირიცხებოდნენ, ყველაზე მაღალია კოლეჯის სტუდენტთა წილი (57%). ასეთთა რაოდენობა უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების შემთხვევაში 39%-ს არ აღემატება.

სასწავლო პროგრამის (საქართველოში) მიერ საზღვარგარეთ სწავლის პროცესში მოპოვებული **კრედიტების** სრულად აღიარების გამოცდილება თითქმის ყოველ მეორე რესპონდენტს აქვს (49%), ნაწილობრივ აღიარებაზე კი სტუდენტთა 29%-მა მიუთითა. სტუდენტების **სასწავლო პროგრამების** მიხედვით, კრედიტების სრულად აღიარების გამოცდილება ყველაზე მეტად ხელოვნების (62%), აგრარული მეცნიერებების (61%), ბიზნესის ადმინისტრირებისა (60%) და განათლების (61%) საგანმანათლებლო მიმართულებების სტუდენტებს აქვთ. საპირისპირო გამოცდილებაზე ყველაზე მეტად მიუთითებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტუდენტები (21%). საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების სრულად აღიარების თვალსაზრისით გამორჩეულია სასწავლო უნივერსიტეტების სტუდენტთა გამოცდილება (56%).

კვლევის ფარგლებში სტუდენტთა 44%-მა აღნიშნა, რომ სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით წასვლას არ აპირებს. თითოეულ **სასწავლო პროგრამაზე** ისეთ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც მიმდინარე პერიოდში საზღვარგარეთ სწავლის მიზნით დროებით გასამგზავრებლად ემზადებიან, ყველაზე მაღალია ჯანდაცვის სასწავლო პროგრამაზე (18%), ხოლო ყველაზე დაბალი - ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტზე ჩარიცხულთა შორის (4%). აღსანიშნავია, რომ სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ყოველი მეორე სტუდენტის სამომავლო გეგმას

წარმოადგენს საზღვარგარეთ სწავლის მიზნით დროებით გამგზავრება. ანალოგიური მიზნის მქონე სტუდენტთა წილი სხვა დანარჩენ სასწავლო მიმართულებებზე 35%-46% შორის ვარირებს. უმაღლესი **საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში** საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (69%) არ აპირებს სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით წასვლას. ასეთთა წილი სასწავლო უნივერსიტეტებში 46%-ს, უნივერსიტეტებში კი 43%-ს უტოლდება. სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებას, მაგისტრანტების (35%) გარდა, სხვა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა 44%-ზე მეტი ასახელებს სამომავლო გეგმად.

საზღვარგარეთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (52%) დამაბრკოლებელია ფინანსური ტვირთის/ხარჯების გაზრდა („დიდი დაბრკოლება+უფრო მეტად დაბრკოლება, ვიდრე არა“). გამოკითხულთაგან ყოველი მესამე შეფასების იმავე ნიშნულებს იყენებს უარყოფითი გავლენის მომხდენი ისეთ გარემოებების შესაფასებლად, როგორებიცაა: უცხო ენის არასათანადო ცოდნა - 35%; ინფორმაციის ნაკლებობა, რომელსაც მაწვდის ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - 33%; სოციალურ წრესთან (მეგობრები, მშობლები, ა.შ) განშორება - 34%; კერძოდ, უცხო ენის არასათანადო ცოდნა (53%) და ინფორმაციის ნაკლებობა (48%) ყველაზე მეტად დამაბრკოლებელი აღმოჩნდა განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის. მოტივაციის ნაკლებობა კი შედარებით აქტუალურია განათლების (43%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (42%) მიმართულების სტუდენტებისთვის. იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ საზღვარგარეთ სწავლა მცირე სარგებლის მომტანია საქართველოში სწავლისთვის, შედარებით სჭარბობს განათლებისა (39%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (38%) მიმართულებებზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ საზღვარგარეთ სწავლის თვალსაზრისით უცხო ენის არასათანადო ცოდნა ყველაზე მეტად კოლეჯის სტუდენტებს (65.7%) აბრკოლებს. ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა, როგორც საზღვარგარეთ სწავლის შემაფერხებელი ფაქტორი, მნიშვნელობს უნივერსიტეტებში გამოკითხულთა მეოთხედზე მცირედით მეტისთვის და სასწავლო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ჩარიცხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობისთვის (ყოველი მესამე სტუდენტი). სამივე საგანმანათლებლო დაწესებულებაში შედარებით მცირეა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც დაბრკოლებად ასახელებენ საზღვარგარეთ სწავლით მიღებული სარგებლის დაბალ დონეს: უნივერსიტეტი - 27%; სასწავლო უნივერსიტეტი - 24%; კოლეჯი - 24%.

სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობის გამო საზღვარგარეთ ყოფნის გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი, ჯამში, 25%-ს არ აღემატება, საპირისპირო გამოცდილების მქონეთა პროცენტული მაჩვენებელი კი 75%-ს უტოლდება. **სასწავლო პროგრამების მიხედვით,** ისეთი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების ფარგლებში საზღვარგარეთ არ ყოფილან, გამოკვეთილად მაღალია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებაზე ჩარიცხულთა შორის (87%). 70%-დან 76%-ს შორის მერყეობს ანალოგიური გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი აგრარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების, განათლების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სასწავლო პროგრამების შემთხვევაში. **სტუდენტთა სასწავლო საფეხურის ჭრილში** საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ ოთხივე საგანმანათლებლო საფეხურზე საკმაოდ მაღალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების გამო საზღვარგარეთ არ გამგზავრებულან: ბაკალავრიატი - 75%; მაგისტრატურა - 73%; ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 65%; ერთსაფეხურიანი

სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა - 75%.

<u>მოქალაქეობა</u>

ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა 85% საქართველოს მოქალაქეა. საერთაშორისო სტუდენტების უმრავლესობა ინდოეთიდანაა, რომლებიც ძირითადად ჯანდაცვის მიმართულებით სწავლობენ. ზოგადადაც, როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის მიმზიდველი სწორედ ჯანდაცვის მიმართულებაა (38%).

<u>მშობლების განათლების დონე</u>

მშობლების მიერ მიღწეული განათლების დონეც კიდევ ერთხელ გამოკვეთს გენდერული ნიშნით პროფესიების სეგრეგაციას. მაგალითად, იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებელთა მომზადებისა და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებში დედების წილი მამებისას აჭარბებს, შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროს წარმომადგენლების ე.წ. „იდეალურ ტიპად“ მეტწილად ქალები მოიაზრებიან. ის ფაქტი, რომ მაგისტრანტ სტუდენტთა შორის შედარებით მაღალია მშობლების მიერ მაგისტრის ხარისხის ფლობა, შეიძლება მიუთითებდეს, რომ მშობლების განათლების დონე შვილებისთვის ერთგვარი მამოტივირებელი ფაქტორია.

<u>ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა</u>

სტუდენტთა უმრავლესობის (54%) ოჯახის ფინანსური მდგომარეობა საშუალოდ უზრუნველყოფილია. აქვე ხაზგასასმელია, რომ ქართველ სტუდენტებთან შედარებით (24%) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების შედარებით დიდი წილი (42%) მიუთითებს ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

<u>სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ინკლუზიური გარემო</u>

გამოკითხულ სტუდენტთა 70%-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აქვს. მოტორიკისა და სენსორული დარღვევის მქონე სტუდენტების ძირითადი ნაწილი ნეიტრალურად აფასებს უსდ-ების გარემოსა და სასწავლო რესურსების მათ საჭიროებებზე ადაპტირებულობას. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირთა 43% მეტ-ნაკლებად, 26% კი - ძალზე იზღუდება ყოველდღიური აქტივობების განხორციელების მხრივ. ჯანმრთელობის პრობლემები ხელის შემშლელია სწავლის პროცესში მონაწილეობისთვისაც - 44% მეტ-ნაკლებად იზღუდება, ხოლო 25% - ძალზე. ამასთან, გამოიკვეთა, რომ სწავლის მხრივ არსებული პრობლემების გადასალახად საკმარისი არ არის საჯარო და ორგანიზაციული მხარდაჭერა (სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა 30%). მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უსდ-ები საკმარის ყურადღებას ვერ აქცევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს და ვერ უზრუნველყოფენ მათზე მორგებული მომსახურების ხელმისაწვდომობას.

<u>ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა</u>

რესპონდენტთა მიერ შედარებით ხშირად სახელდება დეპრესია (27%) და შფოთვითი აშლილობა (21%), როგორც არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. გარდა ამისა, ასევე

მნიშვნელოვანწილად სახელდება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის აშლილობა (ADHD) (12%) და პიროვნული აშლილობა (10%). სტუდენტებს შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა და, ამავდროულად, მიუთითეს, რომ ამ მიზეზით სრულიად ან მეტ-ნაკლებად ეზღუდებათ სწავლა, შედარებით დიდი ნაწილი (43%) ამბობს, რომ მათ მდგომარეობასთან დაკავშირებით სამედიცინო პროფესიონალის დიაგნოზი არ არსებობს.

რესპონდენტები დადებით განწყობებს აფიქსირებენ გასული 2 კვირის გამავლობაში, კერძოდ, ემხრობიან შემდეგ დებულებებს :

- თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე - 64%
- თავს ვგრძნობდი აქტიურად და ენერგიულად - 59%
- ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ჩემთვის საინტერესო რაღაცებით შეივსო - 57%

რესპონდენტთა უმრავლესობა აფიქსირებს, რომ იშვიათად ან არასდროს გრძნობს თავს გარიყულად სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებისგან (60%), ოჯახისგან/პარტნიორისგან (67%), მეგობრებისგან (65%) და ზოგადად სხვებისგან (57%). **მოქალაქეობის ჭრილში** საკითხის განხილვის შედეგად ვლინდება, რომ იმ სტუდენტებს შორის, ვინც იხსენებს გარიყულად შეგრძნების შემთხვევებს, შედარებით ხშირად არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე რესპონდენტები, ვიდრე საქართველოს მოქალაქე სტუდენტები. აღნიშნული ეხება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს, კერძოდ:

- სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 21%; საქართველოს მოქალაქე - 17%)
- ოჯახისგან/პარტნიორისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 25%; საქართველოს მოქალაქე - 14%)
- მეგობრებისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 21%; საქართველოს მოქალაქე - 14%)
- ზოგადად, სხვებისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 21%; საქართველოს მოქალაქე - 18%)

<u>დისკრიმინაციის გამოცდილება</u>

სტუდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ თავს დაცულად გრძნობს თავის უბანში ღამით მარტო სეირნობისას (54%) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე სეირნობისას (63%). **მოქალაქეობის ჭრილში** საკითხის განხილვის შედეგად ვლინდება, რომ საქართველოს მოქალაქეები მეტ დისკომფორტს გრძნობენ როგორც საცხოვრებელ უბანში (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 15%; საქართველოს მოქალაქე - 21%), ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 11%; საქართველოს მოქალაქე - 15%) ღამით მარტო სეირნობისას.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა უარყოფს სხვადასხვა გარემოებების მიზეზით მათდამი დისკრიმინაციის შემთხვევებს სწავლის პერიოდში. კონკრეტულად, ასეთი მახასიათებლებია: კანის ფერი (92%), წარმომავლობა/ეროვნება (92%), რელიგია (93%), სქესი (92%), სექსუალური ორიენტაცია (94%), ასაკი (94%), წონა (92%), ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდვები (94%), ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა (94%), შემოსავალი (93%) და მშობლების განათლება (95%).

მოქალაქეობის ჭრილში საკითხის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ დისკრიმინაციის სხვადასხვა გამოვლინებები მცირედით უფრო ხშირია საქართველოს არამოქალაქე სტუდენტების მიმართ,

ვიდრე საქართველოს მოქალაქეების. კერძოდ, რესპონდენტები საუბრობენ, რომ გასული წლის ან მეტი პერიოდის განმავლობაში ერთხელ მაინც:

- მოუსმენიათ, უნახავთ ან წაუკითხავთ, სხვები როგორ ხუმრობენ მათზე, ან დასცინიან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 35%; საქართველოს მოქალაქე - 27%)
- ეძახდნენ მეტსახელს, ან მოისმინეს/დაინახეს, როგორ გამოიყენეს მათი იდენტობა შეურაცხმყოფლად (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 27%; საქართველოს მოქალაქე - 20%)
- მოჰქცევიან ისე, თითქოს სხვებს მათი ეშინიათ (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 28%; საქართველოს მოქალაქე - 20s%)
- დაჟინებით უყურებდნენ ანდა ხელს იშვერდნენ მათკენ (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 37%; საქართველოს მოქალაქე - 20%)
- მოუსმენიათ, რომ მათნაირი ხალხის ადგილი აქ არ არის (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 32%; საქართველოს მოქალაქე - 17%)

ცალკეული ქვეჯგუფების კვლევის ძირითადი მიგნებები

21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტები; 22-დან 25 წლამდე სტუდენტები; 25-დან 30 წლამდე სტუდენტები; სტუდენტები 30 წლის და ზემოთ

- თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში ბაკალავრიატის სტუდენტები სჭარბობენ (21 წლის ან ნაკლები ასაკის - 82%, 22-24 წლის - 66%, 25-29 წლის - 58%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 61%). ის ფაქტი, რომ 22 წლიდან ზემოთ რესპონდენტთა უმრავლესობა ამ საფეხურზე სწავლობს, შესაძლოა, ერთი მხრივ, განპირობებული იყოს საბაკალავრო საფეხურზე განმეორებით ჩაბარების შესაძლებლობით, მეორე მხრივ კი, იმით, რომ პირმა სემესტრების განსაზღვრულ რაოდენობაში (8 სემესტრი) ვერ მოახერხა ბაკალავრის ხარისხის მიღება. სავარაუდოა, ზედა ასაკობრივ კატეგორიებში მაგისტრანტთა წილის ზრდა მათ სამუშაო დატვირთვას უკავშირდებოდეს - რადგანაც მაგისტრატურა, ბაკალავრიატთან შედარებით, უფრო მოქნილია, სწავლისა და სამსახურის შეთავსების მეტი საშუალებას იძლევა.
- 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტების უფრო დიდი წილი გამოკვეთს კოვიდ-19 პანდემიის უარყოფით გავლენას მათ დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე და საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. მსგავსი შედეგი შესაძლოა სწორედ იმით იყოს განპირობებული, რომ ზედა ასაკობრივი ჯგუფის წევრების გაცილებით დიდი ნაწილია ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული, ამდენად, ისინი, ძირითად შემთხვევაში, თავად წევენ ყველა სახის ხარჯს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში კი უფრო დიდი იყო სამსახურის დაკარგვის ალბათობა და ამ მიზეზით სხვადასხვა ხარჯის გაწევის გართულება.
- თითოეული ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ ეროვნულ შრომის ბაზარზე ადეკვატური სამსახურის მოძიების შესაძლებლობა არსებობს. თუმცა ის ფაქტი, რომ მსგავსი პოზიცია 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტებში ყველაზე ხშირია, შესაძლოა მიანიშნებდეს უფროს ასაკში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გააზრებულ ჩაბარებაზე, რა დროსაც სამომავლო დასაქმების კომპონენტის გათვალისწინებაც ხდება.
- სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (21 წლის ან ნაკლები ასაკის - 24%, 22-24 წლის - 32%, 25-29 წლის - 35%), 30 წლის ან მეტი ასაკის პირებში ყველაზე დიდია მათი წილი (39%), ვინც სწავლის იდეალურ მოდელად დისტანციურ ფორმატს განიხილავს, რაც, სავარაუდოდ, ცხოვრების სტილს უკავშირდება. უფრო მეტად შესაძლებელია, რომ ზედა ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტები სწავლის გარდა სხვა აქტივობებში იყვნენ ჩართულნი და სხვა პასუხისმგებლობები გააჩნდეთ, მათ შორის- ანაზღაურებადი სამსახური. დისტანციური მოდელი კი, პირისპირთან შედარებით, უფრო მოქნილია, რაც ზრდის დამატებითი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.. ამას ისიც მოწმობს, რომ 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტებში ყველაზე დაბალია დასაქმებულ სტუდენტთა წილი (34%). დასაქმებულ რესპონდენტთა წილი კი ყველაზე მაღალ ნიშნულს სწორედ 30 წლის ან მეტი ასაკის პირებში აღწევს (66%).
- ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია საცხოვრებელი გარემო. თუკი 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტთა 64% მშობლებთან/მეურვესთან ერთად ცხოვრობს, 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტებში მაჩვენებელი 37%-მდე მცირდება. საცხოვრებელი გარემოს შეფასებისას მნიშვნელოვანია ცხოვრების წესის/სტილის შეფასება. ერთი მხრივ, ქვედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების საწყის ეტაპზე არიან, რაც ხშირად გამოიხატება მეგობრებთან ერთად ქირით გადასვლით ან

სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრებით, ხოლო ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები უფრო მეტად დამოუკიდებელნი არიან, მათ შორის ფინანსურადაც, და ცალკე ცხოვრებას ახერხებენ.

- მართალია, თითოეულ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების ძირითადი ნაწილი ოჯახისგან რეგულარულად იღებს ნაღდ ფულს ან საბანკო გადარიცხვით თანხას, ან ოჯახი პირდაპირ უხდის გადასახადებს, თუმცა მსგავსი პრაქტიკა განსაკუთრებით მაღალია 21 წლის ან ნაკლები ასაკის პირების შემთხვევაში (82%). ასაკის ზრდასთან ერთად მზარდია ოჯახის არაფულადი დახმარებებით უზრუნველყოფის პრაქტიკა. ასაკის ზრდას თან ახლავს საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯის მატებაც. ის ფაქტი, რომ ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ხშირად დამოუკიდებლად ცხოვრობენ, აქვთ რეგულარული ანაზღაურებადი სამსახური, ჰყავთ შვილები, საკუთარი ჯიბიდან გაწეულ ხარჯებზე ნეგატიურად აისახება და სხვა სამიზნე ჯგუფების შედეგებს აჭარბებს. საერთო საცხოვრებელი ხარჯის ოდენობა, რასაც რესპონდენტი საკუთარი ჯიბიდან იხდის, 21 წლის ან ნაკლები ასაკის პირებში საშუალოდ 1078 ლარს უტოლდება, ხოლო 30 წლის ან მეტი ასაკის ჯგუფისთვის თანხის ოდენობა 1659 ლარამდე იზრდება.
- შემოსავლის წყაროებზე მსჯელობისას დომინანტური კატეგორიები, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, განსხვავებულია. თუკი 21 წლის ან ნაკლები ასაკის პირებისთვის მთავარი აქტორი პირველადი სოციალური ჯგუფია- ოჯახი, ვისგანაც თვიურად საშუალოდ 210 ლარს იღებს- ზედა ასაკობრივ კატეგორიებში ძირითადი შემოსავლის წყაროდ განიხილება ანაზღაურებადი სამსახური: 22-24 წლის - 239 ლარი, 25-29 წლის - 343 ლარი, 30 წლის ან მეტი ასაკის - 609 ლარი. 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტების შემთხვევაში ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)იდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავალი 190 ლარს უტოლდება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს, ერთი მხრივ, სტაბილური სამსახურის არქონას, ხოლო მეორე მხრივ, სწავლაზე ორიენტირებულობას .

სსსმ/შშმ სტუდენტები

- რესპონდენტთა 30%-ს ჯანმრთელობის გარკვეული ტიპის დარღვევა/შეზღუდვა აქვს. სსსმ/შშმ სტუდენტთა 60% ქალია, ხოლო, შესაბამისად, 40% - მამაკაცი. ასაკობრივი გადანაწილება კი შემდეგია: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 31%, 22-24 წლის - 50%, 25-29 წლის - 14%, 30 წლის ან მეტის - 5%. სსსმ/შშმ სტუდენტთა უმრავლესობა (87%) უნივერსიტეტის სტუდენტია, მეათედს აღემატება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა წილი (12%), ხოლო 1%-ია მათი რაოდენობა, ვინც კოლეჯში სწავლობს.
- კვლევის ძირითადი მიგნებების თანახმად, როგორც შშმ/სსსმ (38%), ასევე, ამავე სტატუსის არმქონე (42%) სტუდენტების ძირითადი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას მათ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტური სამუშაოების არსებობის შესახებ. ამასთან, იმ შშმ/სსსმ სტუდენტებს შორის, რომლებიც ინფორმირებული არიან აღნიშნულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, 29% ხაზს უსვამს ასეთი სამუშაოების ყველასთვის ხელმისაწვდომობას, 19% კი საპირისპირო პრაქტიკაზე მიუთითებს (არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი). შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე საუბრობს არაშშმ/არასსსმ სტუდენტების 14%.
- შშმ/სსსმ და ჯანმრთელობის გარკვეული შეზღუდვების არმქონე სტუდენტთაგან ყოველი მეორე არ ფლობს ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურების არსებობის შესახებ. ამასთან, ორივე სამიზნე ჯგუფში რესპონდენტთა თითქმის თანაბარი რაოდენობა

ადასტურებს ასეთი სერვისის არსებობას და ყველასთვის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას.

- ყოველ მესამე შშმ/სსსმ სტუდენტს (33%) არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად არის მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მათ საჭიროებებთან ადაპტირებული. მეოთხედზე მცირედით მეტი კი დასძენს, რომ უსდ-ების ინფრასტრუქტურული მოწყობა მათ საჭიროებებზე მორგებულია (27%).
- შშმ/სსსმ და ამავე სტატუსის არმქონე რესპონდენტების დიდი უმრავლესობა უნივერსიტეტის სტუდენტია. ამასთან, ორივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს (შშმ/სსსმ - 73%; არაშშმ/არასსსმ - 69%;).
- შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სტატუსის არმქონე სტუდენტებში უფრო დაბალია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე ანაზღაურებად სამსახურში დასაქმების მაჩვენებელი, ვიდრე შშმ/სსსმ სტუდენტებს შორის. ამ უკანასკნელთაგან უსდ-ში ჩარიცხვამდე უმუშევრობის პრაქტიკას ხაზი გაუსვა 65%-მა, რასაც რამდენადმე აღემატება მეორე სამიზნე ჯგუფში ანალოგიური გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი (71%).
- სწავლასთან დაკავშირებული ასპექტების შეფასებისას გამოვლინდა, რომ შშმ/სსსმ სტატუსის არმქონე სტუდენტები უფრო მეტად არიან კმაყოფილი ცალკეული მოცემულობით, ვიდრე შშმ/სსსმ პირები. სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ლექტორებისგან სასარგებლო უკუკავშირის მიღების (შშმ/სსსმ - 52%; არაშშმ/არასსსმ - 61%) და საკუთარი აკადემიური უნარების მაქსიმალურად გამოვლენის (შშმ/სსსმ - 46%; არაშშმ/არასსსმ - 59%) შესაძლებლობა. ამასთან, შშმ/სსსმ სტუდენტების 55% და სტატუსის არმქონეთა 66% ამბობს, რომ სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გაუწევდა. იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც უარყოფითი კონოტაციის მქონე მოსაზრებებს არ დაეთანხმნენ („საერთოდ არ ეთანხმებიან+უფრო არ ეთანხმებიან, ვიდრე კი“), შედარებით მაღალია არაშშმ/არასსსმ სტუდენტთა წილი. მაგალითად:
    - შშმ/სსსმ სტუდენტთა 58%-ს და ამავე სტატუსის არმქონე სტუდენტების 70%-ს არ აწუხებს განცდა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი ადგილი არ არის.
- დასაქმების პერსონალური შესაძლებლობების შეფასებისას შშმ/სსსმ სტატუსის არმქონე სტუდენტების უფრო დიდმა ნაწილმა დააფიქსირა მსგავსი პოტენციალის არსებობა, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე, ვიდრე ჯანმრთელობის გარკვეული შეზღუდვების მქონე სტუდენტებმა („**ძალიან მაღალი+უფრო მეტად მაღალი, ვიდრე დაბალი შესაძლებლობა“:**
    - ადგილობრივი შრომის ბაზარი - შშმ/სსსმ - 37%; არაშშმ/არასსსმ - 50%;
    - საერთაშორისო შრომის ბაზარი - შშმ/სსსმ - 31%; არაშშმ/არასსსმ - 42%;
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების არმქონე სტუდენტებს (48%) უფრო მეტად აქვთ ბედნიერების განცდა (ყველაფრის გათვალიწინებით), ვიდრე აღნიშნული სტატუსის მქონე პირებს (36%) **(„ძალიან ბედნიერი+უფრო მეტად ბედნიერი, ვიდრე არა“)**.
- სამომავლო გეგმებზე (სწავლა, დასაქმება) კოვიდ-19 პანდემიის გავლენის შეფასებისას, როგორც შშმ/სსსმ (30%-45%), ასევე, აღნიშნული სტატუსის არმქონე სტუდენტთა ჯგუფებში (46-52%), რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ პანდემიას ნულოვანი გავლენა აქვს მოცემულ საკითხებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ შშმ/სსსმ სტუდენტების მეოთხედზე მეტმა (29%) ხაზი გაუსვა პანდემიის უკიდურესად უარყოფით გავლენას მათ

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ანალოგიური შეფასება არაშშმ/არასსსმ სტუდენტების 14.4%-მა დააფიქსირა.

- იმ შშმ/სსსმ სტუდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მათ მიკროსოციუმში მყოფი ადამიანებისგან (სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხული სხვა სტუდენტები, ლექტორები და ა.შ.) თავს გარიყულად გრძნობენ, უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური განწყობის მქონე არაშშმ/არასსსმ პირების რაოდენობა. ამ უკანასკნელთა შორის 70%-ზე მეტი აცხადებს, რომ გარიყულობის განცდა **„არასდროს ან უფრო იშვიათად, ვიდრე ხშირად“** რჩებათ ოჯახთან/პარტნიორთან და მეგობრებთან ურთიერთობის პროცესში. მოცემული განწყობა გაზიარებულია სსსმ/შშმ რესპონდენტების 47%-ში.
- კვლევის ძირითადი მიგნებები აჩვენებს, რომ შშმ/სსსმ პირთაგან თითქმის ყოველი მესამე (32%), სულ მცირე, ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, 55%-სთვის უგრძნობინებიათ, რომ ისინი სხვებთან შედარებით ნაკლებად ჭკვიანები/უნარიანები არიან, 37%-ს ჰქონია განცდა, რომ მისი ადგილი კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში არ იყო (ზედმეტად აგრძნობინეს თავი), 48% კი ერთხელ მაინც გამხდარა სხვების დაცინვის ობიექტი (ბულინგის მსხვერპლი). ანალოგიური გამოცდილების მქონე არასსსმ/არაშშმ სტუდენტთა წილი 7%-20%-ს შორის მერყეობს.
- მიმდინარე სემესტრში სსსმ/შშმ სტატუსის მქონე სტუდენტები უფრო მეტად არიან ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული, როგორც რეგულარულად (37%), ასევე, დროდადრო (18%), ვიდრე აღნიშნული სტატუსის არმქონე პირები (რეგულარულად - 28%; დროდადრო - 10%).
- ორივე სამიზნე ჯგუფში სტუდენტთა თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ ოჯახი და პარტნიორი მათ რეგულარულად უზრუნველყოფს არაფულადი დახმარებებით. ოჯახისგან ფულადი/საბანკო გადარიცხვებით დახმარების მიმღებები, როგორც პარტნიორისგან (შშმ/სსსმ - 57%; არაშშმ/არასსსმ - 68%), ასევე, ოჯახისგან (შშმ/სსსმ - 61%; არაშშმ/არასსსმ - 68%), უფრო მეტად არიან არაშშმ/არასსსმ სტუდენტები, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები. ისეთი ფინანსური ბენეფიტით, როგორიცაა გადასახადების გადახდაში დახმარების გაწევა, უფრო მეტად სარგებლობენ შშმ/სსსმ პირები, ვიდრე ჯანმრთელობის შეზღუდვების არმქონენი.
- შშმ/სსსმ სტუდენტები უფრო მეტად არიან სასწავლო სახელმწიფო გრანტის ან სხვა სახის ფინანსური მხარდაჭერის (სწავლაზე ორიენტირებული) მიმღებები, ვიდრე არაშშმ/არასსსმ-ები. ამ უკანასკნელთა 57% არანაირი ფინანსური ბენეფიტით არ სარგებლობს, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა შორის 33%-ს არ აღემატება.

სტუდენტები, რომელთაც შვილები ჰყავთ

- გამოკითხვაში მონაწილეთა შორის მხოლოდ 7.2%-ს უტოლდება შვილ(ებ)იანი სტუდენტების წილი.
- ძირითადი მიგნებები აჩვენებს, რომ კვლევაში მონაწილე როგორც შვილიანი სტუდენტების (67%), ასევე, ისეთთა გამოკვეთილი უმრავლესობა, რომელთაც შვილები არ ჰყავთ (70%), ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტია. მაგისტრანტი შვილიანი სტუდენტების რაოდენობა (19%) თითქმის ორჯერ აღემატება ამავე საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფი უშვილო სტუდენტების რაოდენობას (10%).

- ისეთი შვილიანი სტუდენტების წილი, რომლებიც მიმდინარე სასწავლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შეწყვეტის პრაქტიკაზე მიუთითებენ (15%), თითქმის სამჯერ აღემატება ანალოგიური გამოცდილების მქონე უშვილოთა რაოდენობას (6%).
- შვილიანი სტუდენტები (18%) უფრო ნაკლებად განიცდიან ბედნიერებას („ძლიერ უბედურად“ გრძნობს თავს), ვიდრე ისინი, რომელთაც შვილები არ ჰყავთ (8%).
- სწავლების ხარისხზე, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სწავლის ხანგრძლივობაზე პანდემიის უარყოფით გავლენაზე უფრო მეტად ის სტუდენტები მიუთითებენ, რომელთაც შვილები არ ჰყავთ, ვიდრე შვილიანი სტუდენტები. ამასთან, მათ შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ თითოეულ ასპექტთან დაკავშირებით კოვიდ-19 პანდემიას არანაირი გავლენა არ ჰქონია, შვილიანი სტუდენტების შემთხვევაში 39-45%-მდე მერყეობს, ხოლო იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც არ ჰყავთ შვილები, 28%-36%-მდე ვარირებს.
- იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც ჰყავთ(28%) ან არ ჰყავთ (18%) შვილები და **<u>სმენიათ და უსარგებლიათ</u>** სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურებით, 10%-იანი სხვაობა ვლინდება. ორივე სამიზნე ჯგუფში 40%-ს აღემატება ისეთთა წილი, რომელთაც **<u>სმენიათ, მაგრამ არ უსარგებლიათ</u>** აღნიშნული სერვისით.
- სტუდენტებს შორის, რომელთაც არ ჰყავთ შვილები, უფრო მაღალია ისეთთა რაოდენობა, რომლებსაც არ სმენიათ ფსიქოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ (არ სმენია - 55%), ვიდრე საპირისპირო დემოგრაფიული მდგომარეობის მქონე სტუდენტებში (არ სმენია - 46%).
- რესპონდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილები (29%), საკუთარ აკადემიურ მოსწრებას, სხვა სტუდენტების მიღწევებთან შედარებით, უფრო მეტად აფასებენ დადებითად, ვიდრე ისინი, რომელთაც არ ჰყავთ შვილები (19%).
- სტუდენტები, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები, კვირის თითოეულ დღეს საშუალოდ უფრო მეტ დროს უთმობენ სწავლას (დროის საშუალო (Mean) ხანგრძლივობა ვარირებს 2.72-5.58 საათს შორის), ვიდრე შვილიანი რესპონდენტები (დროის საშუალო (Mean) ხანგრძლივობა ვარირებს 1.68-4.78 საათს შორის).
- იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც ჰყავთ შვილ(ებ)ი, უფრო მაღალია მთელი სემესტრის განმავლობაში ანაზღაურებად სამსახურებში დასაქმების მაჩვენებელი (47%), ვიდრე მათ შორის, რომელთაც არ ჰყავთ (29%).
- შვილიანი სტუდენტებიდან ყოველი მეორე (52%) და იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც არ ჰყავთ შვილები, 43% მიუთითებს მონეტარულ (ფინანსურ) სირთულეებზე **(„ძალიან სერიოზულად მაწუხებს+უფრო მეტად მაწუხებს, ვიდრე არა“).**
- სტუდენტებს, რომელთაც ჰყავთ შვილები, კვირის განმავლობაში უფრო მეტად აქვთ მხიარულების განცდა **ყოველთვის ან უმრავლეს შემთხვევაში** (56%), ვიდრე მათ, რომელთაც არ ჰყავთ შვილები (44%).
- იმ სტუდენტთა უმრავლესობა (61%), რომელთაც არ ჰყავთ შვილები, მიმდინარე სასწავლო სემესტრის განმავლობაში მშობლებთან/მეურვესთან ერთად ცხოვრობს, მაშინ, როდესაც შვილიან რესპონდენტთა შორის მშობლებთან ერთად ცხოვრებაზე მხოლოდ მეოთხედმა მიუთითა.
- სტუდენტების 69%-ს, რომელთაც არ ჰყავთ შვილები, ოჯახი რეგულარულად უზრუნველყოფს ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით, მაშინ, როდესაც შვილიან რესპონდენტთა შორის ასეთ მხარდაჭერაზე მხოლოდ 39%-მა მიუთითა.

- სტუდენტები, რომელთაც შვილები ჰყავთ, თვის განმავლობაში საშუალოდ 118.17 ლარის (Mean=118.17) ფინანსურ დახმარებას ოჯახისგან, ხოლო საშუალოდ 124.42 (Mean=124.42) ლარის ოდენობის მხარდაჭერას პარტნიორისგან იღებენ ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით.

სტუდენტები, რომელთაც აქვთ მუშაობის გამოცდილება (სტუდენტები შრომის ბაზრის გამოცდილებით)

- სემესტრის განმავლობაში მუდმივად (27%) ან პერიოდულად (47%) მუშაობით გამოირჩევიან 22-დან 25 წლამდე სტუდენტები. უმუშევართა შორის კი 21 წლამდე ასაკის პირები (39%) სჭარბობენ. მსგავსი შედეგი შესაძლოა აიხსნას ქვედა ასაკობრივ კატეგორიაში პროფესიული ცოდნისა და სამსახურებრივი გამოცდილების დაბალი დონით, რაც ხშირად მიმზიდველი არ არის დამსაქმებლებისთვის.
- სემესტრის განმავლობაში დაუსაქმებელ რესპონდენტთა 67%-ს ბაკალავრიატის სტუდენტები წარმოადგენენ. შემდგომ პოზიციას იკავებენ ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები (24%), რაც სასწავლო საფეხურის სპეციფიკასაც უკავშირდება. ერთი მხრივ, სწავლის ხანგრძლივობა შესაძლოა მათ დასაქმებას უშლიდეს ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტების შემთხვევაში კლინიკაში დასაქმება ხშირად სასწავლო კურიკულუმის ნაწილია, რაც ცალკე ანაზღაურებად სამსახურად არ მოიაზრება.
- სტუდენტების დასაქმების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამჟამად დასაქმებული რესპონდენტების საშუალოდ 43% უსდ-ში ჩაბარებამდეც მუშაობდა, ზოგი - უწყვეტად, ზოგი - მცირე პერიოდით. უმუშევართა შორის მსგავსი გამოცდილება მხოლოდ მეხუთედს (20.3%) აქვს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების დასაქმების წარსული პრაქტიკა მათ ამჟამინდელ სამუშაო სტატუსს მეტ-ნაკლებად განაპირობებს.
- კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სხვადასხვა ტიპის ხარჯის გაწევაზე, სტუდენტთა ძირითადი ნაწილის შეფასებით, ნეიტრალურია. თუმცა, თუკი დასაქმებული სტუდენტების საშუალოდ 34%-ს პანდემიის გამო სწავლის საფასურის გადახდა გაუჭირდა, დაუსაქმებელ რესპონდენტთა შორის მსგავსი გამოცდილება 30%-ს აქვს. შესაძლოა, ამის მიზეზი უმუშევარი სტუდენტების ოჯახის ფინანსური კონტრიბუციაა, რაც უზრუნველყოფს სწავლის საფასურის დაფარვას, თავად სტუდენტის ხარჯი კი მეორეხარისხოვანია.
- დასაქმებული რესპონდენტები შედარებით სკეპტიკურად აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. სავარაუდოდ, მიზეზი ისაა, რომ შრომის ბაზარზე ჩართულმა პირებმა უკეთ იციან ამ მხრივ არსებული შესაძლებლობები და მოთხოვნები, ვიდრე მსგავსი გამოცდილების არმქონე სტუდენტებმა. აგრეთვე, სავარაუდოდ, სემესტრის განმავლობაში მუდმივად თუ დროდადრო დასაქმებული რესპონდენტები შესაძლოა უფრო მეტად ადეკვატურად აფასებდნენ იმ ნაპრალს, რომელიც არსებობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნას შორის.
- სასწავლო მოდელების იდეალური თანაფარდობის შეფასებისას, მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებულ პირთა ძირითადი ნაწილი (42%) უპირატესობას ანიჭებს დისტანციურ მოდელს. დროდადრო დასაქმებულ (40%) და ამჟამად უმუშევარ პირთა შორის (41%) პოზიცია უფრო იხრება პირისპირი სასწავლო მოდელისკენ. სავარაუდოა, რომ შედეგი

სწორედ სამუშაო დატვირთვითა და სასწავლო მოდელების ეფექტიანობით იყოს განპირობებული - მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებულ პირს, სამუშაო დატვირთვიდან გამომდინარე, სამსახურისა და სწავლის შეთავსების მიზნით, ფორმატის მოქნილობის გამო ურჩევნია სწავლის დისტანციურ რეჟიმში გაგრძელება.

- ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ როგორც დასაქმებული, ისე უმუშევარი სტუდენტებისთვის ფინანსური კონტრიბუციის მთავარი აქტორი არის პირველადი სოციალური ჯგუფი, ანუ ოჯახი. მისი ჩართულობა განსაკუთრებით იკვეთება ნაღდი ფულის მიცემით/საბანკო გადარიცხვების განხორციელებით. დომინანტური მიმღები ჯგუფი კი, ცხადია, ამჟამად დაუსაქმებელი სტუდენტები არიან. ამდენად, ლოგიკურია, რომ დასაქმებულ პირთა მიერ საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯის ოდენობა აღემატება უმუშევართა მიერ დახარჯულ თანხას. მეორე მხრივ კი, დაუსაქმებელი სტუდენტების მიერ ოჯახისგან მიღებული თანხის ოდენობა სხვა სამიზნე ჯგუფის ოდენობას აჭარბებს.
- ის ფაქტი, რომ სემესტრის განმავლობაში დროდადრო დასაქმებული ან უმუშევარი სტუდენტების საშუალოდ 49% თავად ვერ შეძლებდა 372 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯის გადახდას, თუმცა ვინმე, მათ შორის მშობელი, ოჯახი, გადაუხდიდა, კიდევ ერთხელ გამოკვეთს სტუდენტების ცხოვრებაში ოჯახის ფინანსურ ჩართულობას. მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული პირების ძირითადი ნაწილი (40%) თავადვე შეძლებდა ამ ხარჯის დაფარვას, თუმცა თითქმის ყოველი მესამე მიიჩნევს, რომ სხვისი დახმარება დასჭირდებოდა.
- სტუდენტთა დასაქმების პრაქტიკა მათ სტაჟირების გამოცდილებაზე გავლენას ძირითად შემთხვევაში არ ახდენს, თუმცა იკვეთება, რომ სემესტრის განმავლობაში მუდმივად ან პერიოდულად დასაქმებულ სტუდენტთა უფრო დიდ ნაწილს (საშუალოდ 40%) აქვს საქართველოში სტაჟირება გავლილი, ვიდრე ამჟამად უმუშევარ სტუდენტებს (20%).

სტუდენტები, რომლებიც მშობლებთან, დამოუკიდებლად / მარტო და სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრობენ

- მარტო მცხოვრები სტუდენტები შედარებით ხშირად მიუთითებენ მთელი სემესტრის განმავლობაში მუშაობაზე (35%). ხოლო საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტთა მეოთხედი (24%) ამბობს, რომ სემესტრის განმავლობაში დროდადრო მუშაობს.
- საცხოვრებელ სივრცეში სხვადასხვა საჭიროებებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მშობლებთან მცხოვრები სტუდენტები უფრო მეტად უზრუნველყოფილნი არიან, ვიდრე მარტო ან საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები. აღნიშნული ეხება კომპიუტერზე/ლეპტოპზე/პლანშეტზე (77%), სამუშაო მაგიდაზე (74%) და საკმარის ინტერნეტ კავშირზე (73%) წვდომას. მეორე მხრივ, სასწავლად მშვიდი გარემოს არსებობას მარტო მცხოვრები სტუდენტები უფრო მეტად ადასტურებენ (59%), ვიდრე საერთო საცხოვრებელში მცხოვრები რესპონდენტები (50%).
- ის რესპონდენტები, რომლებიც მარტო ცხოვრობენ, მნიშვნელოვანწილად მიუთითებენ, რომ მუშაობენ იმისათვის, რათა დაფარონ საკუთარი საცხოვრებელი ხარჯები (56%). მეორე მხრივ, მშობლებთან მცხოვრები სტუდენტები ხშირად ასახელებენ, რომ ა) ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე ვერ შეძლებდნენ ყოფილიყვნენ სტუდენტები (41%), ბ) მუშაობენ, რათა ფინანსურად დაეხმარონ სხვებს (48%), გ) მუშაობით შეუძლიათ იყიდონ ნივთები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ შეიძენდნენ (67%).
- საინტერესოა, რომ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ხშირად მიუთითებენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მხრიდან მათ

გარიყვაზე. კონკრეტულად, აღნიშნული ეხება სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებს (28%), ოჯახს/პარტნიორს (35%), მეგობრებს (28%) და ზოგადად სხვებს (25%).

- მშობლებთან (42%), მარტო (46%) და საერთო საცხოვრებელში (44%) მცხოვრები სტუდენტები მიახლოებით თანაბრად მიუთითებენ, რომ ამჟამად ფინანსური პრობლემები აწუხებთ. ამავდროულად, საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტთა (44%) შედარებით დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სხვა ოჯახებთან შედარებით მათი ოჯახები ფინანსურად უზრუნველყოფილნი არიან, ვიდრე მარტო მცხოვრები სტუდენტები (33%).

სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო მხარდაჭერას იღებენ / არ იღებენ

- სახელმწიფო დახმარების არმიმღები სტუდენტები შედარებით ხშირად მიუთითებენ სრული სემესტრის განმავლობაში ან დროდადრო მუშაობაზე (47%), ვიდრე სახელმწიფო მხარდაჭერის მიმღები სტუდენტები (39%).
- ამავდროულად, სახელმწიფო დახმარების არმიმღები სტუდენტები, რომლებიც სემესტრის განმავლობაში მუშაობენ, თავს პირველ რიგში აღიქვამენ როგორც სტუდენტს, შემდეგ კი, როგორც დასაქმებულს (76%). იგივე მაჩვენებელი შედარებით დაბალია სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის (67%).
- სახელმწიფო მხარდაჭერის მიმღები სტუდენტები შედარებით ხშირად მიუთითებენ არასალექციო პერიოდში მუშაობის გამოცდილებაზე (56%), ვიდრე დახმარების არმიმღები სტუდენტები.
- როგორც ირკვევა, სახელმწიფო დახმარების მიმღები (45%) და არმიმღები (42%) სტუდენტები, მიახლოებით თანაბრად მიუთითებენ ამჟამად ფინანსური პრობლემების გამო წუხილზე.
- სტუდენტებს შორის, ვინც სახელწიფო დახმარებას არ იღებს, მეოთხედი (26%) ამბობს, რომ შეძლებდა გადაეხადა 372 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯი. სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის იმავე მოსაზრებას ადასტურებს სტუდენტთა მეხუთედი (20%).
- სახელმწიფო დახმარების არმიმღებთა დაახლოებით მეხუთედს (20%) აქვს საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება, როდესაც სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის ეს მაჩვენებელი 7%-ია.
- აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დახმარების მიმღებთათვის საზღვარგარეთ სწავლების ორგანიზატორი უმეტეს შემთხვევაში არის ერაზმუსი (31%) ან მათი დამოუკიდებელი ძალისხმევა (31%). სახელმწიფო დახმარების არმიმღებთათვის კი ეს წყაროებია ერაზმუსი (31%) ან ევროკავშირის სხვა პროგრამები (30%).
- სახელმწიფო დახმარების მიმღები რესპონდენტები (24%) შედარებით ნაკლებად მიუთითებენ მათი მშობლების ფინანსურ უზრუნველყოფაზე, ვიდრე ის სტუდენტები, ვინც სახელმწიფო დახმარებას არ იღებს (29%).

თავი 1: სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა შორის მდედრობითი **სქესის** წარმომადგენლები (54%) სჭარბობენ (მამრობითი - 46.%). რაც შეეხება რესპონდენტთა **ასაკობრივ** გადანაწილებას, მიღებული მონაცემები ოთხ ჯგუფად გაერთიანდა, რომელთა შორისაც 22-დან 25 წლამდე ასაკის სტუდენტების წილი (46.3%) აღემატება სხვა ასაკობრივ ჯგუფებში რესპონდენტთა განაწილებას: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 33.7%, 25-დან 30 წლამდე - 15.7%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 4.3%.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (85.2%; N=4237) **საქართველოში დაიბადა.** სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალია იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც **ინდოეთში** დაიბადნენ (5.2%; N=186). მცირეა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც დაიბადნენ რუსეთში (1.3%; N=54), აზერბაიჯანში (1.3%; N=30) ან იორდანიაში (1%; N=30). ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია მშობლების დაბადების ქვეყნის განხილვისასაც. დედის დაბადების ადგილს სტუდენტთა 85.5%-სთვის საქართველო წარმოადგენს. მამების შემთხვევაში მაჩვენებელი 85.9%-ს უტოლდება.

ამდენად, რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (88.1%), ისევე, როგორც მათ მშობლებს (დედა - 85.9%, მამა - 85.2%), **საქართველოს მოქალაქეობა** აქვს.

როგორც აღინიშნა, უცხოელ სტუდენტთა შორის შედარებით სჭარბობს ინდოელთა წილი. არსებული რეალობის გათვალისწინებით, ცნობილია, რომ მსგავსი შემოდინება ძირითადად ჯანდაცვის სფეროს უკავშირდება. სწორედ ამ ტენდენციასთანაა დაკავშირებული, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე რესპონდენტთა მესამედზე მეტი (37.7%) ჯანდაცვის მიმართულებით სწავლობს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=708893, p<0.05) (იხ. ცხრილი #1.1).

ცხრილი #1.1

საქართველოს მოქალაქეობა (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (%) (N=4771)	არის საქართველოს მოქალაქე	არ არის საქართველოს მოქალაქე	არ იცის
აგრარული მეცნიერებანი	92.1	7.9	-
ბიზნესის ადმინისტრირება	93.1	6.9	-
განათლება	92.4	7.6	-
ინჟინერია	90.3	9.1	0.5
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	92.9	7.1	-
სამართალი	98.3	1.2	0.4
სოციალური მეცნიერებები	97.9	2.1	-
ხელოვნება	92.6	7.4	-
ჯანდაცვა	62.3	37.7	-
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	97.9	2.1	-
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	82.8	17.2	-
<არ არის გაწერილი>	95.8	4.2	-

ამასთან, გამოიკვეთა, რომ **თბილისში, სხვა რეგიონებთან** შედარებით, მაღალია საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა რაოდენობა (13.7%). აჭარაში 5%-ს უტოლდება ამ ჯგუფის სტუდენტთა წილი, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში არცერთი არაქართველი მოქალაქე არ სწავლობს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=77075, p<0.05) (იხ. ცხრილი #1.2).

ცხრილი #1.2

საქართველოს მოქალაქეობა (რეგიონების ჭრილში) (%) (N=4771)	არის საქართველოს მოქალაქე	არ არის საქართველოს მოქალაქე	არ იცის
თბილისი	86.1	13.7	0.2
კახეთი	98	2	-
იმერეთი	97.9	2.1	-
აჭარა	95	5	-
შიდა ქართლი	98.1	1.9	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	-	-
სამცხე-ჯავახეთი	98.2	1.8	-

შემდგომ ეტაპზე, მხოლოდ იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომელთაც მიუთითეს, რომ საქართველოში არ დაბადებულან- შეფასდა, **საქართველოში ჩამოსვლისას მოითხოვეს თუ არა თავშესაფარი/დაცვა, როგორც ლტოლვილებმა.** აღმოჩნდა, რომ მსგავსი გამოცდილება მხოლოდ 12 სტუდენტს აქვს (13.5%), ხოლო 63-ს თავშესაფარი არ მოუთხოვია (86.5%).

სტუდენტთა **ფინანსური მდგომარეობის** შეფასებისას კვლევამ გამოკვეთა, რომ მათი დომინანტური მხარდამჭერი აქტორი არის პირველადი სოციალური ჯგუფი. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და აკადემიურ მოსწრებაზე დიდწილად ოჯახური გარემო ახდენს გავლენას, გამოკითხვის ფარგლებში შეფასდა რესპონდენტების მშობლების/მეურვეების განათლების დონე და ოჯახის ფინანსური მდგომარეობა.

სტუდენტების **დედების/მეურვეების** მეოთხედზე მეტს (26.1%) უმაღლესი პროფესიული **განათლების** დიპლომი აქვს მიღებული, ხოლო მეხუთედს (20.3%) - ბაკალავრის ხარისხი. ყოველი მეათე სტუდენტის შეფასებით, მის დედას/მეურვეს მაგისტრის ხარისხი აქვს მინიჭებული (10%). მეათედს აჭარბებს მათი წილი, ვისი დედის/მეურვის მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი საფეხური საშუალო ზოგადი განათლებაა (12.8%).

რაც შეეხება სტუდენტების **მამების/მეურვეების განათლების დონეს,** თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა მამას/მეურვეს უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი (21.7%) ან ბაკალავრის ხარისხი (21.5%) აქვს. დედებთან/მეურვეებთან შედარებით, 16.3%-მდეა გაზრდილი საშუალო ზოგადი განათლების მქონე მამების წილი. ამ შემთხვევაშიც ყოველი მეათე სტუდენტი აღნიშნავს, რომ მამას/მეურვეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი აქვს მინიჭებული (10%).

ძირითადად, განათლების ცალკეული დონე დედებსა და მამებში პროცენტულად მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, ისეთ კატეგორიებში, როგორებიცაა მასწავლებელთა მომზადების პროგრამები, ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა, დედების/მეურვეების პროცენტული წილი მამებისას/მეურვეებისას მცირედით, მაგრამ აჭარბებს. მსგავსი შედეგი, ერთი მხრივ, ინდივიდის ინტერესებს უნდა დავუკავშიროთ, თუმცა, მეორე მხრივ, ალბათ, კულტურული კონტექსტიც გასათვალისწინებელია. ქართულ საზოგადოებაში, მით უმეტეს, უფროს ასაკობრივ ჯგუფებში, რომელთაც რესპონდენტების მშობლები მიეკუთვნებიან, მასწავლებლისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ე.წ. „იდეალურ ტიპად“ მეტწილად ქალი მოიაზრება. რესპონდენტთა მშობლების/მეურვეების მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი დონის პროცენტული გადანაწილება დეტალურად იხილეთ ცხრილში #1.3.

ცხრილი #1.3

რომელია თქვენი მშობლების / მეურვეების მიერ განათლების მიღწეული უმაღლესი დონე? (%) (N=4771)	დედა/მეურვე	მამა/მეურვე
დაწყებითი განათლება	4	2.9
საბაზო ზოგადი განათლება	4	3.5
საშუალო ზოგადი განათლება	12.8	16.3
საბაზო პროფესიული განათლება	4.4	5.2
საშუალო პროფესიული განათლების პროგრამის დიპლომი	6.8	6.8
უმაღლესი პროფესიული განათლება	26.1	21.7
ბაკალავრი	20.3	21.5
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი	0.6	1.4
მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი	1.3	1.1
მაგისტრი	10	10
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის დიპლომი	1.3	0.7
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დიპლომი	0.2	0.2
მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დიპლომი	0.9	0.3
დოქტორი	3.2	3.2
არ ვიცი / არ ეხება	4	5.2

იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და სწავლის მოტივაციაზე შესაძლოა ოჯახური ფონი ახდენდეს გავლენას, მშობელთა განათლების დონე შეფასდა სტუდენტთა **სასწავლო საფეხურების** ჭრილში. გამოიკვეთა, რომ თითოეული საფეხურის სტუდენტთათვის, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, დომინანტურია მშობლების მიერ უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომის ან ბაკალავრის ხარისხის ფლობა. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მაგისტრანტ სტუდენტთა შორის, სხვა სასწავლო საფეხურებთან შედარებით, მაღალია მათი წილი, ვის დედას/მეურვეს (15.2%; მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=214334, $p<0.05$) ან მამას/მეურვეს (18%; მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=237873, $p<0.05$) თავად აქვს მაგისტრის ხარისხი. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მშობლების განათლების დონემ ერთგვარი მოტივაცია გაუჩინა შვილსაც, რომ ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლა მაგისტრატურაზე გაეგრძელებინა (იხ. ცხრილი #1.4).

ცხრილი #1.4

რომელია თქვენი მშობლების / მეურვეების მიერ განათლების მიღწეული უმაღლესი დონე? (სასწავლო საფეხურის ჭრილში) (%) (N=4771)		ბაკალავრიატი	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	მაგისტრატურა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
დაწყებითი განათლება	დედა/მეურვე	4.1	4.9	2.3	4.6
	მამა/მეურვე	2.8	4.8	3.3	2.9
საბაზო ზოგადი განათლება	დედა/მეურვე	3.8	2.4	6.5	3.3
	მამა/მეურვე	3.7	4.8	1.9	3.5
საშუალო ზოგადი განათლება	დედა/მეურვე	14	11	14	7.5
	მამა/მეურვე	18.4	10.7	14.8	9.4
საბაზო პროფესიული განათლება	დედა/მეურვე	5.1	3.7	3.8	2.3
	მამა/მეურვე	5.5	3.6	6.7	3.3
საშუალო პროფესიული განათლების პროგრამის დიპლომი	დედა/მეურვე	7.4	11	7.9	3.4
	მამა/მეურვე	7.8	4.8	7.1	3.3
უმაღლესი პროფესიული განათლება	დედა/მეურვე	27.6	23.2	16.7	26.1
	მამა/მეურვე	22.1	22.6	15.9	23.7
ბაკალავრი	დედა/მეურვე	19.6	15.9	24.2	21
	მამა/მეურვე	20.7	17.9	23	24.2
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი	დედა/მეურვე	0.6	1.2	0.2	1
	მამა/მეურვე	1.6	2.4	0.8	1
მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი	დედა/მეურვე	1	-	1.7	2.1
	მამა/მეურვე	1.1	2.4	1.5	0.9
მაგისტრი	დედა/მეურვე	8.2	7.3	15.2	14.3
	მამა/მეურვე	7.4	8.3	18	15.4
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის დიპლომი	დედა/მეურვე	0.9	-	1	3.4
	მამა/მეურვე	0.4	1.2	0.8	1.5
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დიპლომი	დედა/მეურვე	0.2	-	0.4	0.3
	მამა/მეურვე	0.3	1.2	-	-
მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დიპლომი	დედა/მეურვე	0.6	-	1	1.9
	მამა/მეურვე	0.2	-	1.3	0.1
დოქტორი	დედა/მეურვე	3.1	4.9	2.3	4.1
	მამა/მეურვე	2.8	-	2.7	5.4
არ ვიცი / არ ეხება	დედა/მეურვე	3.8	14.6	2.7	4.6
	მამა/მეურვე	5.4	15.5	2.3	5.3

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა ნახევარზე მეტის (52.3%) არცერთ მშობელს უმაღლესი განათლება არ აქვს მიღებული, ანუ არ აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რომელიმე სასწავლო საფეხურის დიპლომი. იმ სტუდენტთა 75.4%, რომელთა მშობლებიც მსგავსი

გამოცდილებით ხასიათდებიან, თბილისში სწავლობს. დედაქალაქში დაფიქსირებული ასეთი მაღალი მაჩვენებელი შესაძლოა უკავშირდებოდეს რეგიონიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს და არა მხოლოდ დედაქალაქის მცხოვრებლებს. დაახლოებით ყოველი მეათე სტუდენტი (11.1%), ვის არცერთ მშობელსაც უმაღლესი განათლება არ აქვს, აჭარაში სწავლობს, ხოლო 8.5% - იმერეთში (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=95170, p<0.05) (იხ. დიაგრამა #1.1).

დიაგრამა #1.1



ამასთან, იკვეთება, რომ იმ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (86.2%), რომელთა არცერთ მშობელსაც უმაღლესი განათლების საფეხური არ აქვს დასრულებული, უნივერსიტეტის სტუდენტია, მეათედს აღემატება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა წილი (13%), ხოლო 0.8% კოლეჯში სწავლობს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=16176, p<0.05).

იმ სტუდენტთა 75.1%, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს აღებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რომელიმე სასწავლო საფეხურის დიპლომი, ამჟამად ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს, ხოლო მეათედზე მეტი (13.9%) - ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ-საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე. მშობელთა მსგავსი საგანმანათლებლო ფონის მქონე რესპონდენტთა ყველაზე დაბალი წილით გამოირჩევიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (1.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=92197, p<0.05) (იხ. ცხრილი #1.5).

ცხრილი #1.5

სტუდენტთა სასწავლო საფეხური (მშობლის მიერ უმაღლესი განათლების არქონის ჭრილში) (N=2499)	%
ბაკალავრიატი	75.1
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	1.8
მაგისტრატურა	9.2
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	13.9

ოჯახური ფონის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ფინანსური მდგომარეობა. რესპონდენტებმა შეაფასეს, **სხვა ოჯახებთან შედარებით, საკუთარი მშობლების (მეურვეების)**

ფინანსურად უზრუნველყოფის ხარისხი.[1] საკითხის შეფასებისას სტუდენტებს წარედგინათ ორი დამატებითი პირობა: ა) თუ ერთი ან ორივე მშობელი გარდაცვლილი ჰყავთ, მაშინ უნდა ეპასუხათ მშობლების ბოლო ფინანსური მდგომარეობის მიხედვით, ბ) თუ მშობლები გაშორებულები/განქორწინებულები არიან, მაშინ საკითხის შესაფასებლად უნდა ეხელმძღვანელათ მათი ფინანსური მდგომარეობის საშუალო მაჩვენებლით. რესპონდენტების 53.8% ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას საშუალოდ უზრუნველყოფილად (ქულა 3) აფასებს. მეოთხედს მცირედით აჭარბებს მათი წილი, ვისი ოჯახიც ფინანსურად უზრუნველყოფილია (26.2%), ხოლო მეხუთედი ნეგატიური პასუხების ველში ექცევა (20%) (იხ. დიაგრამა #1.2).

დიაგრამა #1.2



ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება **რეგიონულ ჭრილში** საკითხის გაანალიზებისასაც, დომინანტური კატეგორიაა ოჯახის ფინანსური მდგომარეობის საშუალოდ უზრუნველყოფილად შეფასება: თბილისი - 53.8%, კახეთი - 58.7%, იმერეთი - 58.2%, აჭარა - 49.1%, შიდა ქართლი - 54.3%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 63%, სამცხე-ჯავახეთი - 63.5%. პოზიტიური შედეგი (ქულები 1 და 2) ყველაზე მაღალი, თითქმის თანაბარი, პროცენტული მაჩვენებლით აჭარასა (30.9%) და შიდა ქართლშია (30.4%) წარმოდგენილი, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით - კახეთში, სადაც მხოლოდ 10.9% აფასებს საკუთარი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას სხვებთან შედარებით უზრუნველყოფილად. შესაბამისად, კახეთში დომინანტურია იმ სტუდენტთა წილი, ვისი ოჯახიც ფინანსურად უზრუნველყოფილი არ არის (30.4%) (ქულები 4 და 5). დედაქალაქში ნეგატიური შედეგი დაფიქსირდა თითქმის ყოველი მეხუთე რესპონდენტის შემთხვევაში (19.9%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=87021, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #1.3).

[1] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალზე უზრუნველყოფილნი არიან“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ არიან უზრუნველყოფილნი“.

დიაგრამა #1.3



მოქალაქეობის ჭრილში საკითხის გაანალიზება გამოკვეთს, რომ ორივე ჯგუფის წარმომადგენლების ძირითადი ნაწილი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას საშუალოდ უზრუნველყოფილად აფასებს: საქართველოს მოქალაქე - 57.1%, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 43.8%. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები, ქართველებთან შედარებით, საკუთარი მშობლების ფინანსურ მდგომარეობას გაცილებით პოზიტიურად აფასებენ (ქულები 1 და 2): საქართველოს მოქალაქე - 24.4%, მოქალაქეობის არმქონე - 41.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=57089, p<0.05) (იხ. დიაგრამა #1.4).

დიაგრამა #1.4



როგორც **უნივერსიტეტის** (54%), ისე **სასწავლო უნივერსიტეტისა** (51.8%) და **კოლეჯის** (54.5%) სტუდენტების უმრავლესობის შეფასებით, მათი მშობლების ფინანსური უზრუნველყოფის დონე, სხვა ოჯახებთან შედარებით, საშუალოდ ფასდება (ქულა 3). მეორე მხრივ, იკვეთება, რომ კოლეჯის სტუდენტთა 30.3% საკუთარი მშობლების ფინანსურ მდგომარეობას პოზიტიურად აფასებს (ქულები 1 და 2), რაც მაღალი მაჩვენებელია სხვა ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების

სტუდენტთა მონაცემებთან შედარებით: უნივერსიტეტი - 26.1%, სასწავლო უნივერსიტეტი - 26.7% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=21317, p<0.05) (იხ. დიაგრამა #1.5).

დიაგრამა #1.5



როგორც შემოსავლების წყაროებისა და ოდენობების შეფასებისას გამოიკვეთა, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტების უმრავლესობა ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული არ არის და ძირითადად სწორედ ოჯახზეა ფინანსურად დამოკიდებული. პირველადი სოციალური ჯგუფი აქტიური აგენტია ქართველი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის მხრივაც, თუმცა, შემოსავლის ოდენობის თავლსაზრისით, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტებისთვის ოჯახისგან გაწეული ფინანსური კონტრიბუცია უფრო დიდ თანხას შეადგენს. მიღებული შედეგიც მიუთითებს არაქართველი რესპონდენტების ოჯახების უფრო უზრუნველყოფილ ფინანსურ მდგომარეობაზე.

სტუდენტების დემოგრაფიული მახასიათებლების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მათ დიდ უმრავლესობას (92.8%) **შვილ(ებ)ი არ ჰყავს.** ბავშვიანი სტუდენტების შემთხვევაში, შვილების **რაოდენობა** 1-დან 5-მდე დიაპაზონში მონაცვლეობს; ამასთან, უმრავლესობას 1 შვილი ჰყავს (64.3%), მეხუთედზე მეტს კი - 2 შვილი (22.3%). მხოლოდ 4-მა 5-შვილიანმა სტუდენტმა მიიღო კვლევაში მონაწილეობა (იხ. დიაგრამა #1.6).

დიაგრამა #1.6



უმცროსი შვილის ასაკი საშუალოდ 4 წელს უტოლდება (Median=3). სტუდენტთა თითქმის მეოთხედს 1 წლის ასაკის უმცროსი შვილი ჰყავს (23.8%), მეხუთედს - 2 წლის ასაკის (20.1%), ხოლო მეათედზე მეტს - 3 წლის (13.2%). კვლევაში უფროსი ასაკის სტუდენტებიც ერთვებოდნენ, ამდენად, უმცროსი შვილის ასაკის მაქსიმალური წლოვანება 20 წელს უტოლდება (N=2). სტუდენტები, რომელთაც

შვილები ჰყავთ, ჩვეულებრივ, **კვირის განმავლობაში ბავშვის მოვლაზე 30.88 საათს** ხარჯავენ (Median=20).

თავი 2. სწავლის მიმდინარე მდგომარეობა

კითხვარის პირველი სამი შეკითხვა წარმოადგენდა ფილტრ კითხვებს, რათა გამოკითხვაში მონაწილეობა მიეღოთ საკვლევი საკითხების მცოდნე სტუდენტებს. პირველი შეკითხვა შეეხებოდა საქართველოში, მიმდინარე სემესტრში, სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონას. ამდენად, კვლევაში ჩაერთვნენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებიც გამოკითხვის პროცესში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობენ და არ არიან გაცვლითი პროგრამის სტუდენტები.

მეორე შეკითხვა შეეხებოდა სასწავლო პროგრამის ტიპს - ოფიციალურად განისაზღვრება თუ არა სტუდენტების სასწავლო პროგრამა, როგორც დისტანციური სწავლების პროგრამა. ხოლო მესამე შეკითხვა - სტუდენტის ძირითად საცხოვრებელ ქვეყანას. იმ შემთხვევაში, თუკი რესპონდენტი სწავლობდა დისტანციური სწავლების პროგრამაზე და ძირითად საცხოვრებლად საქართველოს არ უთითებდა, მონაწილეობას ვერ იღებდა გამოკითხვაში, რადგან ამ ჯგუფს ყოველდღიური შეხება არ აქვს საგანმანათლებლო სივრცესთან. შესაბამისად, მათ ვერ ექნებოდათ სრულყოფილი ინფორმაცია სასწავლო პირობების, პროცესისა და ლექციების შესახებ.

ზემოთ განხილული ფილტრი შეკითხვების გათვალისწინებით, გამოკითხვაში სულ მონაწილეობა მიიღო **4771-მა სტუდენტმა.** მათი უმრავლესობა (87.7%) სწავლობს **უნივერსიტეტში**, ანუ ისეთი ტიპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელსაც აქვს სწავლების სამივე საფეხური: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. რესპონდენტთა მეათედს მცირედით აჭარბებს **სასწავლო უნივერსიტეტის** სტუდენტთა წილი (11.5%) (აქვს მხოლოდ ბაკალავრიატი და მაგისტრატურა). გამოკითხულთა მხოლოდ 0.8% სწავლობს **კოლეჯში** (აქვს მხოლოდ ბაკალავრიატი).

გამოკითხულთა 80.7% სწავლობს **დედაქალაქში**, თბილისში. შესაბამისად, ყოველი მეხუთე არის რეგიონული უნივერსიტეტის სტუდენტი (19.3%).

რაც შეეხება **სწავლების საფეხურს,** მონაცემთა ანალიზის ეტაპზე კითხვარში წარმოდგენილი 8 კატეგორია, ISCED-ის კლასიფიკაციის მიხედვით, 4 ჯგუფად გაერთიანდა. გამოიკვეთა, რომ სტუდენტების 69.8% სწავლობს ბაკალავრიატის საფეხურზე, ხოლო მეათედი (10.6%) - მაგისტრატურის საფეხურზე (იხ. ცხრილი #2.1).

ცხრილი #2.1

რა ხარისხის მინიჭებას გულისხმობს თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა? (N=4771)	%
ბაკალავრი (ISCED 6)	69.8
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი (ISCED 6)	1.9
მაგისტრი (ISCED 7)	10.6
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის დიპლომი / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დიპლომი (ISCED 7)	17.7

სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზებამ ცხადყო, რომ ქალ სტუდენტებს შორის (12%), მამაკაცებთან შედარებით (9.1%), სჭარბობს მაგისტრანტთა წილი, ხოლო მამაკაცთა (21.5%) შორის, ქალებთან შედარებით (14.5%) - ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ოდენობა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=46271$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #2.2).

ცხრილი #2.2

რა ხარისხის მინიჭებას გულისხმობს თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა? (სქესის ჭრილში) (%) (N=4771)	სქესი	
	ქალი	კაცი
ბაკალავრი	72	67.2
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი	1.6	2.2
მაგისტრი	12	9.1
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის დიპლომი / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დიპლომი	14.5	21.5

სასწავლო საფეხურის გარდა, კვლევის ფარგლებში შეფასდა, თუ რომელ **დარგობრივ მიმართულებაზე** სწავლობენ სტუდენტები. დომინანტური სასწავლო მიმართულებები, რომლებზეც გამოკითხულთა მეათედზე მეტი სწავლობს, შემდეგია:

- ჯანდაცვა - 17.3%
- სოციალური მეცნიერებები - 14.7%
- ბიზნესის ადმინისტრირება - 14%
- ინჟინერია - 12.2%
- სამართალი - 10.7% (იხ. ცხრილი #2.3)

ცხრილი #2.3

რომელია თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (N=4771)[2]	%
ჯანდაცვა	17.3
სოციალური მეცნიერებები	14.7
ბიზნესის ადმინისტრირება	14
ინჟინერია	12.2
სამართალი	10.7
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	8.3
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	7.6
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	4.1
განათლება	4.1
აგრარული მეცნიერებანი	2.8
ხელოვნება	2.1
<არ არის გაწერილი>	2.1

სტატისტიკურად სანდო განსხვავებები იკვეთება **უსდ-ის ტიპის** ჭრილში საკითხის განხილვისას. თუკი უნივერსიტეტის სტუდენტთა 17.8% ჯანდაცვის მიმართულებით სწავლობს, მსგავს კატეგორიაში ექცევა სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა 14.5% და კოლეჯის სტუდენტთა 2.8%. სასწავლო უნივერსიტეტების შემთხვევაში დომინანტურ სასწავლო პროგრამას წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირება (24%) და სოციალური მეცნიერებები (20.9%). კოლეჯის სტუდენტთა თითქმის

[2] ცალკეული სასწავლო პროგრამის ქვედარგები და გამოკითხულ პირთა რაოდენობა დეტალურად იხილეთ დანართში #5

ნახევარი (47.2%) ბიზნესის ადმინისტრირებაზე სწავლობს, ხოლო მეოთხედი- მიმართულებათაშორის დარგებსა თუ სპეციალობებზე (25%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=217673, p<0.05) (იხ. ცხრილი #2.4).

ცხრილი #2.4

რომელია თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (უსდ-ის ტიპის ჭრილში) (%) (N=4771)	უსდ-ის ტიპი		
	უნივერსიტეტი	სასწავლო უნივერსიტეტი	კოლეჯი
აგრარული მეცნიერებანი	3.1	1.2	-
ბიზნესის ადმინისტრირება	12.3	24	47.2
განათლება	4.2	3.3	2.8
ინჟინერია	13.6	2.3	-
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	4.5	1.4	-
სამართალი	10.8	10.5	5.6
სოციალური მეცნიერებები	13.9	20.9	16.7
ხელოვნება	2	3.5	-
ჯანდაცვა	17.8	14.5	2.8
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	8.2	3.5	-
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	7.6	12.4	25
<არ არის გაწერილი>	2.1	2.5	-

გამოიკვეთა, რომ ინჟინერიის სასწავლო პროგრამის კაც სტუდენტთა წილი (18.6%) აღემატება ქალებისას (6.7%). ჯანდაცვის მიმართულებითაც მამაკაცთა წილი (20.1%) სჭარბობს ქალებისას (15%). მეორე მხრივ კი, სოციალური მეცნიერებების და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებებზე ქალების უფრო დიდი წილი ირიცხება, ვიდრე კაცების (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=328409, p<0.05):

- სოციალური მეცნიერებები: ქალი - 19.3%; კაცი - 9.3%
- ჰუმანიტარული მეცნიერებები: ქალი - 10..7%; კაცი - 3.9%

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში კვლავ აქტუალურია „ქალური“ და „მამაკაცური“ პროფესიების დიფერენციაცია. არსებული შედეგი, ერთი მხრივ, ცხადია, უკავშირდება თავად სტუდენტის ინტერესებს, თუმცა გასათვალისწინებელია კულტურული კონტექსტიც: როგორც იკვეთება, ტექნიკურ საგნებზე მამაკაცების წილი უფრო დიდია, ვიდრე ქალების; საპირისპირო მდგომარეობაა ჰუმანიტარულ მიმართულებებზე, სადაც ძირითადად ქალები სჭარბობენ. დეტალური მონაცემები იხილეთ ცხრილში #2.5.

ცხრილი #2.5

რომელია თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (სქესის ჭრილში) (%) (N=4771)	სქესი	
	ქალი	კაცი
აგრარული მეცნიერებანი	2	3.8
ბიზნესის ადმინისტრირება	14.8	13
განათლება	4.9	3.1

რომელია თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (სქესის ჭრილში) (%) (N=4771)	სქესი	
	ქალი	კაცი
ინჟინერია	6.7	18.6
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	3.4	4.9
სამართალი	11.6	9.7
სოციალური მეცნიერებები	19.3	9.3
ხელოვნება	1.9	2.3
ჯანდაცვა	15	20.1
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	10.7	3.9
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	7.7	8.9
<არ არის გაწერილი>	1.9	2.3

ზოგადი ტენდენციის მიღმა საკითხის **რეგიონულ ჭრილში** განხილვისას გამოვლინდა ცალკეული ლოკაციისთვის დამახასიათებელი დომინანტური სასწავლო მიმართულებები. მაგალითად, კახეთში სტუდენტთა ყველაზე დიდი წილი აგრარულ მეცნიერებებზე სწავლობს (47.1%), სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებით გამოკვეთილია ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტთა ოდენობა (43.6%), სამეგრელო-ზემო სვანეთში გამოკითხულ სტუდენტთა მეოთხედზე მეტი მიმართულებათაშორისი სპეციალობების სტუდენტია (28.6%). დანარჩენი რეგიონების შემთხვევაში სტუდენტთა გადანაწილება ძირითადად ემთხვევა კვლევის ზოგად ტენდენციას (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=1254741$, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #2.6).

ცხრილი #2.6

რომელია თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (რეგიონის ჭრილში) (%) (N=4771)	რეგიონი						
	თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
აგრარული მეცნიერებანი	1.4	47.1	10.7	5	-	-	3.6
ბიზნესის ადმინისტრირება	12.8	2	16	19.2	19.2	21.4	43.6
განათლება	3.3	5.9	11	4.2	15.4	7.1	10.9
ინჟინერია	13.1	2	16.7	5.5	1.9	-	3.6
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	4	2	6.4	4.7	1.9	-	-
სამართალი	11.4	7.8	10.3	4.2	3.8	21.4	14.5
სოციალური მეცნიერებები	16.2	3.9	8.2	8.7	21.2	-	-
ხელოვნება	2.5	-	0.4	0.5	-	-	-
ჯანდაცვა	20.7	-	4.3	2.7	-	10.7	-
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	4.1	27.5	13.2	29.4	23.1	10.7	18.2
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	8.3	2	0.4	13.5	13.5	28.6	3.6
<არ არის გაწერილი>	2.2	-	2.5	2.2	-	-	1.8

ამასთან, აღსანიშნავია, რომ **საქართველოს მოქალაქეობის** არმქონე სტუდენტების ნახევარზე მეტი ჯანდაცვის მიმართულებაზე სწავლობს (55.8%), ხოლო მეათედზე მეტი- მიმართულებათაშორის სპეციალობებზე (12.2%). საქართველოს მოქალაქეებს შორის ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტი მხოლოდ 12.2%-ია. მსგავსი შედეგი შეიძლება აიხსნას იმ მიზეზით, რომ საქართველოში გაცილებით უფრო ადვილია განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მით უმეტეს, ისეთი ძვირადღირებული სფეროს შემთხვევაში, როგორიც მედიცინაა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის მისაღებია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანდაცვის მიმართულებით სწავლების დონე და სწავლის გადასახადი (იხ. ცხრილი #2.7).

ცხრილი #2.7

რომელია თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (მოქალაქეობის ჭრილში) (%) (N=4771)	მოქალაქეობა	
	საქართველოს მოქალაქე	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე
აგრარული მეცნიერებანი	2.9	1.9
ბიზნესის ადმინისტრირება	14.7	8.2
განათლება	4.3	2.7
ინჟინერია	12.5	9.5
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	4.3	2.5
სამართალი	12	1.1
სოციალური მეცნიერებები	16.3	2.7
ხელოვნება	2.2	1.3
ჯანდაცვა	12.2	55.8
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	8.4	1.3
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	7.8	12.2
<არ არის გაწერილი>	2.3	0.8

სწავლის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება, ამავდროულად, მოიცავს რესპონდენტთა **წინა სასწავლო გამოცდილებას** მაგისტრატურის სტუდენტებს შორის. რესპონდენტებმა მიუთითეს, თუ **რომელ ქვეყანაში/ქვეყნებში მოიპოვეს ის ხარისხი** (მაგალითად, ბაკალავრი ან სხვა), რომელმაც საშუალება მისცა, მიმდინარე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაებარებინათ. როგორც აღმოჩნდა, მაგისტრანტთა უმრავლესობას (85%) აღნიშნული ხარისხი საქართველოში აქვს მოპოვებული. საზღვარგარეთ მინიჭებული ხარისხის შემთხვევები ძირითადად უკავშირდება ირანს, კატარს, ქუვეითს და თურქეთს. ამასთან, როგორც **უნივერსიტეტის** (83.2%), ისე **სასწავლო უნივერსიტეტის** (96.7%) მაგისტრანტ სტუდენტთა უმრავლესობამ წინა სასწავლო საფეხური საქართველოში დაასრულა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $X2=7589$, $p<0.05$).

სასწავლო საფეხურებს შორის **ტრანზიციის** პერიოდი ძირითადად ხასიათდება ერთ წელზე ნაკლები დროით- მაგისტრანტთა ნახევარზე მეტმა (54.7%) ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ მაგისტრატურაზე სწავლა პირდაპირ გააგრძელა (იხ. დიაგრამა #2.1).

დიაგრამა #2.1



უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობისთვის (58%) ტრანზიციის პერიოდი ერთ წელზე ნაკლებია, ხოლო **სასწავლო უნივერსიტეტების** შემთხვევაში დომინანტურია წინა სასწავლო პროგრამის დასრულებიდან ერთ ან ორ წელიწადში (50.8%) სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების გამოცდილება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=21730, p<0.05) (იხ. დიაგრამა #2.2).

დიაგრამა #2.2



სქესის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას იკვეთება, რომ ტრანზიციის პერიოდი გაცილებით ხანმოკლეა მამაკაცების შემთხვევაში - კაცი სტუდენტების უმრავლესობამ (63.4%) ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ პირდაპირ ჩააბარა სამაგისტრო საფეხურზე. მსგავსი გამოცდილება ქალების 49.1%-ს აქვს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X2=20340, p<0.05) (იხ. დიაგრამა #2.3).

დიაგრამა #2.3



მსგავსი შედეგი შესაძლოა, გამოწვეული იყოს ქართული კონტექსტით - სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების მიზნით, ხშირად კაცი სტუდენტები სამაგისტრო საფეხურზე სწავლას შესვენების გარეშე აგრძელებენ.

თავი 3: საგანმანათლებლო ფონი - ხელმისაწვდომობა

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (90.6%) ამბობს, რომ საშუალო სკოლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი) მიიღო საქართველოში. მხოლოდ 9.4% არის ისეთი, ვინც საშუალო სკოლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის უცხოური ეკვივალენტი საზღვარგარეთ მიიღო. ამავდროულად, გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა (97.1%) ამბობს, რომ ატესტატი მიიღო საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ 6 თვის ფარგლებში. რესპონდენტთა 2.9% - მა ატესტატი მიიღო მოგვიანებით (მსგავსი კურსების გავლის გზით, მეორე ცდაზე, ა.შ.).

როგორც ირკვევა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარებამდე რესპონდენტთა უმრავლესობას (69.5%) არ ჰქონია ანაზღაურებადი სამუშაო. სტუდენტთა დაახლოებით მესამედი (30.5%) ამბობს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე სხვადასხვა პირობებით უმუშავია. (იხ. დიაგრამა #3.1)

დიაგრამა #3.1



რეგიონის ჭრილში მონაცემთა განხილვის შედეგად იკვეთება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარებამდე რესპონდენტთა მეხუთედზე მეტს ჰქონდა სამუშაო სხვადასხვა პირობებით. კერძოდ, სამსახურის ქონაზე შედარებით იშვიათად მიუთითებენ სტუდენტები სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (20.7%), ხოლო ყველაზე ხშირად - აჭარაში (44.1%), კახეთსა (39.2%) და შიდა ქართლში (37.3%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა ($X2=61.020$; $P<0.05$). (იხ. დიაგრამა #3.2)

დიაგრამა #3.2



თვალსაჩინოა, რომ სტუდენტების დიდი უმრავლესობა (93.9%) საშუალო სკოლის დასრულებიდან ორი წლის პერიოდში აბარებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სტუდენტების ნაწილი, ვინც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ორ წელზე მეტ პერიოდში ჩააბარა - მცირეა (6.1%).

აღსანიშნავია, რომ **სქესის მიხედვით** მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა. კონკრეტულად, როგორც მდედრობითი სქესის (94.6%), ასევე მამრობითი სქესის (93.1%) რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა სკოლის დასრულებიდან ორი წლის პერიოდში მიუთითებს უსდ-ში ჩაბარებაზე. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა ($X2=3.962$; $P<0.05$).

რეგიონის ჭრილში მონაცემთა განხილვის შედეგად ვლინდება, რომ სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელმა რესპონდენტებმა უმეტესწილად ორი წლის პერიოდში ჩააბარეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კერძოდ, ორ წელზე მეტ პერიოდში ჩაბარებაზე ყველაზე იშვიათად მიუთითებენ ქვემო ქართლში (3.8%), ხოლო სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო ხშირად - სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (10.3%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა ($X2=2.998$; $P<0.05$). (იხ. დიაგრამა #3.3)

დიაგრამა #3.3



გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა (88.3%) გამოკითხვის პერიოდში სწავლობს იმავე პროგრამაზე, რომელზეც ჩააბარა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩარიცხვისას. მათ შორის, ვინც იმავე პროგრამაზე სწავლობს, რომელზეც უსდ-ში ჩარიცხვისას ჩააბარა, 71.4% არის ბაკალავრიატის სტუდენტი, 15% სწავლობს ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, 8.8% სწავლობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო 4.9% მაგისტრანტია.

რესპონდენტთა თანახმად, კვლევის პერიოდისათვის თავიანთ პროგრამებზე ორი (27.9%), სამი (20.6%) ან ოთხი (18.4%) წელია სწავლობენ. (იხ. დიაგრამა #3.4)

დიაგრამა #3.4



გამოკითხულ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას (93.7%) არასოდეს შეუწყვეტია სწავლა ძირითად სასწავლო პროგრამაზე. ხოლო მათ შორის, ვინც სწავლის პროცესში წყვეტაზე მიუთითებს (6.3%), ძირითადად წყვეტა ჰქონდათ ერთი (33.9%) ან ორი (29.4%) სემესტრის მანძილზე. (იხ. დიაგრამა #3.5)

დიაგრამა #3.5



რეგიონის ჭრილში მონაცემთა განხილვის საფუძველზე ვლინდება, რომ სხვადასხვა რეგიონში სტუდენტთა უმრავლესობას არ ჰქონია წყვეტა მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე. კერძოდ, იმერეთში რესპონდენტთა მხოლოდ 0.4% ამბობს, რომ შეუწყვეტია სწავლა მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე, უმაღლესი მაჩვენებელი კი ფიქსირდება შიდა ქართლსა (15.4%) და კახეთში (12%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=36.089; $P<0.05$). (იხ. დიაგრამა #3.6)

დიაგრამა #3.6



რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს, თუ რამდენად ბედნიერად მიიჩნევენ თავს. სტუდენტთა ნახევარზე ნაკლები (44.8%) ამბობს, რომ თავს მიიჩნევს ძლიერ ბედნიერად (20.7%) ან ბედნიერად (24.2%). (იხ. დიაგრამა #3.7)

დიაგრამა #3.7



რეგიონის ჭრილში ბედნიერების დონის შეფასების განხილვით ვლინდება, რომ სხვადსხვა რეგიონში რესპონდენტთა შედარებით დიდი ნაწილი ან ნახევარზე მეტი თავს ბედნიერად მიიჩნევს. შედარებით დაბალია დადებითი მაჩვენებელი თბილისში (42.3%), ხოლო სხვა რეგიონებთან შედარებით მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთსა (69%) და კახეთში (64.7%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დიაგრამა #3.8)

დიაგრამა #3.8


ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად ბედნიერად მიიჩნევთ თავს?
(რეგიონის ჭრილში) (N=4771)
თბილისი
18.6%
23.6%
36.1%
12.6%
9.0%
კახეთი
31.4%
33.3%
23.5%
5.9%
5.9%
იმერეთი
24.9%
28.8%
32.4%
9.6%
4.3%
აჭარა
31.5%
23.8%
26.0%
11.3%
7.5%
შიდა ქართლი
32.7%
21.2%
26.9%
9.6%
9.6%
სამეგრელო და ზემო სვანეთი
34.5%
34.5%
20.7%
6.9%
3.4%
სამცხე-ჯავახეთი
25.5%
27.3%
29.1%
7.3%
10.9%
ძალიან ბედნიერად
2
3
4
ძლიერ უბედურად

თავი 4: კოვიდ-19 პანდემიის გავლენა

კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა (60.6%) 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, ანუ კოვიდ-19 პანდემიის დაწყებამდე, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო. რესპონდენტებმა შეაფასეს, რამდენად განიცდიან კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას სწავლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტზე:

სტუდენტები დაახლოებით თანაბრად მიიჩნევენ, რომ კოვიდ-19 პანდემიას - ა) არანაირი გავლენა არ ჰქონია, ან ბ) იქონია უარყოფითი გავლენა სწავლის ხანგრძლივობაზე (არანაირი გავლენა-39.7%; უარყოფითი გავლენა-41.6%), სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე (არანაირი გავლენა-36.8%; უარყოფითი გავლენა-36.7%), პროფესიულ უნარ-ჩვევებზე (არანაირი გავლენა-36.4%; უარყოფითი გავლენა-40.9%) და საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე (არანაირი გავლენა-38.2%; უარყოფითი გავლენა-38.9%);

რესპონდენტთა შედარებით დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კოვიდ-19 პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე (46.6%), რესპონდენტთა მოტივაციაზე, არ ჩამორჩნენ სწავლას (41.5%), სწავლების ხარისხზე (47.5%) და სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე (53.7%);

სტუდენტთა შედარებით დიდი ნაწილი ამბობს, რომ კოვიდ-19- ს გავლენა არ მოუხდენია მათ შეფასებებზე (40.4%), სწავლის საფასურის გადახდასა (52.2%) და დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე (44.5%). (იხ. ცხრილი #4.1)

ცხრილი #4.1

ამჟამად რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (N=4771)	ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი გავლენა
	%				
... თქვენი სწავლის ხანგრძლივობაზე?	6.5	12.2	39.7	25.4	16.2
... თქვენს სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე?	9.6	13.6	30.2	31.9	14.7
... თქვენს შეფასებაზე?	12.3	16.0	40.4	22.1	9.3
... თქვენს მოტივაციაზე, არ ჩამორჩეთ სწავლას?	11.9	11.3	35.2	22.9	18.6
... სწავლების ხარისხზე?	9.7	13.1	29.7	31.3	16.2
... სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე?	10.3	9.0	27.0	25.7	28.0
... სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე?	13.6	12.8	36.8	24.2	12.5
... თქვენს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე?	10.0	12.7	36.4	26.3	14.6
... სწავლის საფასურის გადახდაზე?	7.4	7.9	52.2	15.5	17.0
... თქვენს დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე?	10.6	10.9	44.5	18.0	16.0
... თქვენი საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე?	9.4	13.5	38.2	20.6	18.3

მდედრობითი სქესის რესპონდენტები, **მამრობითი სქესის** რესპონდენტებთან შედარებით, უფრო მეტად მიუთითებენ, რომ კოვიდ-19 პანდემიას უარყოფითი გავლენა ჰქონდა ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა სხვა სტუდენტებთან კონტაქტი (მდედრობითი-57.9%; მამრობითი-48.7%),

პროფესიული უნარ-ჩვევები (მდედრობითი-44%; მამრობითი-37.2%), სწავლის საფასურის გადახდა (მდედრობითი-35.7%; მამრობითი-28.6%), დასაქმება და სამსახურებრივი მდგომარეობა (მდედრობითი-37%; მამრობითი-30.4%) და საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევა (მდედრობითი-41.7%; მამრობითი-35.7%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #4.2)

ცხრილი #4.2

ამჟამად რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (სქესის ჭრილში) (N=4771)		ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი გავლენა
		%				
... სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე? (X^2=43.193; P<0.05)	მდედრობითი	9.9	7.7	24.5	26.8	31.1
	მამრობითი	10.9	10.4	29.9	24.5	24.3
... თქვენს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე? (X^2=32.495; P<0.05)	მდედრობითი	9.6	12.5	33.8	29.6	14.4
	მამრობითი	10.4	13.0	39.4	22.4	14.8
... სწავლის საფასურის გადახდაზე? (X^2=26.004; P<0.05)	მდედრობითი	6.9	7.4	50.0	17.1	18.6
	მამრობითი	7.9	8.6	54.9	13.6	15.0
... თქვენს დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე? (X^2=24.224; P<0.05)	მდედრობითი	9.9	11.1	42.0	19.7	17.3
	მამრობითი	11.4	10.7	47.5	16.0	14.4
... თქვენი საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე? (X^2=22.853; P<0.05)	მდედრობითი	8.7	12.0	37.7	22.1	19.6
	მამრობითი	10.2	15.3	38.8	18.8	16.9

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის ჭრილში მონაცემთა განხილვის შედეგად დგინდება, რომ უნივერსიტეტსა და სასწავლო უნივერსიტეტთან შედარებით, კოლეჯის სტუდენტები უფრო მეტად აფიქსირებენ, რომ კოვიდ-19 პანდემიას არანაირი გავლენა არ ჰქონია სწავლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებზე. კერძოდ, აღნიშნული ეხება შემდეგ საკითხებს:

- სწავლის ხანგრძლივობა (უნივერსიტეტი-39.2%; სასწავლო უნივერსიტეტი-42.6%; კოლეჯი-48.6%)
- მოტივაცია, არ ჩამორჩნენ სწავლას (უნივერსიტეტი-34.2%; სასწავლო უნივერსიტეტი-41.8%; კოლეჯი-51.4%)
- სწავლების ხარისხი (უნივერსიტეტი-28.5%; სასწავლო უნივერსიტეტი-36.8%; კოლეჯი-51.4%)
- სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსება (უნივერსიტეტი-35.9%; სასწავლო უნივერსიტეტი-42.2%; კოლეჯი-61.1%)
- პროფესიული უნარ-ჩვევები (უნივერსიტეტი-39.9%; სასწავლო უნივერსიტეტი-37.9%; კოლეჯი-60.5%)
- სწავლის საფასურის გადახდა (უნივერსიტეტი-53%; სასწავლო უნივერსიტეტი-45.2%; კოლეჯი-59.5%).

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #4.3)

ცხრილი #4.3

ამჟამად რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი გავლენა
		%				
... თქვენი სწავლის ხანგრძლივობაზე? (X^2=23.034; P<0.05)	უნივერსიტეტი	6.2	12.0	39.2	26.1	16.5
	სასწავლო უნივერსიტეტი	8.9	13.2	42.6	20.7	14.7
	კოლეჯი	5.4	24.3	48.6	18.9	2.7
... თქვენს მოტივაციაზე, არ ჩამორჩეთ სწავლას? (X^2=47.318; P<0.05)	უნივერსიტეტი	11.3	11.8	34.2	23.2	19.5
	სასწავლო უნივერსიტეტი	17.0	7.7	41.8	20.7	12.8
	კოლეჯი	5.4	16.2	51.4	21.6	5.4
... სწავლების ხარისხზე? (X^2=48.982; P<0.05)	უნივერსიტეტი	9.2	13.2	28.5	31.8	17.2
	სასწავლო უნივერსიტეტი	13.8	12.2	36.8	27.5	9.7
	კოლეჯი	5.4	13.5	51.4	24.3	5.4
... სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე? (X^2=22.853; P<0.05)	უნივერსიტეტი	13.2	13.0	35.9	25.1	12.8
	სასწავლო უნივერსიტეტი	17.1	11.6	42.2	18.0	11.0
	კოლეჯი	5.6	13.9	61.1	13.9	5.6
... თქვენს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე? (X^2=31.774; P<0.05)	უნივერსიტეტი	9.7	12.9	35.9	26.4	15.0
	სასწავლო უნივერსიტეტი	12.4	10.8	37.9	26.7	12.2
	კოლეჯი	5.3	15.8	60.5	13.2	5.3
... სწავლის საფასურის გადახდაზე? (X^2=19.932; P<0.05)	უნივერსიტეტი	7.3	7.9	53.0	15.8	16.0
	სასწავლო უნივერსიტეტი	8.3	7.8	45.2	13.6	25.0
	კოლეჯი	5.4	10.8	59.5	16.2	8.1

მოქალაქეობის ჭრილში მონაცემთა განხილვის შედეგად გამოვლინდა დამოკიდებულებებს შორის განსხვავებული შეფასებები. კონკრეტულად, კოვიდ-19-თან დაკავშირებულ ცვლილებებს საქართველოს მოქალაქე სტუდენტები მეტად ნეგატიურად აღიქვამენ, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები. აღნიშნული ეხება კოვიდ-19 პანდემიის გავლენას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- სწავლის ხანგრძლივობა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-34.3; საქართველოს მოქალაქე-42.5%)
- შეფასებები (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-24.1; საქართველოს მოქალაქე-32.3%)

- მოტივაცია, არ ჩამორჩნენ სწავლას (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-33.4%; საქართველოს მოქალაქე-42.6%)
- სწავლების ხარისხი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-36.4%; საქართველოს მოქალაქე-48.9%)
- სხვა სტუდენტებთან კონტაქტი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-37.6%; საქართველოს მოქალაქე-55.8%)
- სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსება (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-28.5%; საქართველოს მოქალაქე-37.8%)
- პროფესიული უნარ-ჩვევები (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-38.2%; საქართველოს მოქალაქე-41.3%)
- დასაქმება/სამსახურეობრივი მდგომარეობა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-26.9%; საქართველოს მოქალაქე-34.9%)

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე რესპონდენტებმა, საქართველოს მოქალაქე სტუდენტებთან შედარებით, კოვიდ-19 პანდემიის გავლენა ნეგატიურად შეაფასეს ორი გარემოების შემთხვევაში, ესენია:

- სწავლის საფასურის გადახდა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-39.1%; საქართველოს მოქალაქე-26.9%)
- საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-46%; საქართველოს მოქალაქე-38%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილი #4.4)

ცხრილი #4.4

ამჟამად **რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (მოქალაქეობის ჭრილში) (N=4771)**		**ძალიან დადებითი გავლენა**	**2**	**არანაირი გავლენა**	**4**	**ძალიან უარყოფითი**
		%				
... თქვენი სწავლის ხანგრძლივობაზე? (X^2=25.925; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	10.1	13.7	41.8	23.4	11.0
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	6.1	12.0	39.4	25.7	16.8
... თქვენს შეფასებაზე? (X^2=58.039; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	16.7	14.8	35.1	21.1	12.3
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	11.3	10.9	35.2	23.2	19.4
... თქვენს მოტივაციაზე, არ ჩამორჩეთ სწავლას? (X^2=31.831; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	15.0	19.7	28.8	23.5	12.9
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	9.0	12.3	29.8	32.3	16.6

ამჟამად რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (მოქალაქეობის ჭრილში) (N=4771)		ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი
		%				
... სწავლების ხარისხზე? (X^2=63.916; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	15.6	15.2	31.7	17.5	20.1
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	9.7	8.2	26.3	26.9	29.0
... სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე? (X^2=39.838; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	17.1	18.8	35.7	18.6	9.9
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	13.2	12.1	37.0	25.0	12.8
... სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე? (X^2=67.932; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	11.4	18.4	31.9	22.2	16.0
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	9.8	12.0	37.0	26.9	14.4
... თქვენს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე? (X^2=63.709; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	10.2	12.9	37.8	17.6	21.4
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	7.0	7.3	54.1	15.2	16.3
... სწავლის საფასურის გადახდაზე? (X^2=79.875; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	7.8	6.3	59.0	15.0	12.0
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	11.0	11.6	42.6	18.4	16.4
... თქვენი საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე? (X^2=42.868; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	8.7	11.8	33.5	24.7	21.3
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	9.5	13.7	38.9	20.1	17.9

სასწავლო მიმართულების ფარგლებში გამოიკვეთა მინიმალური და მაქსიმალური ტენდენციები კონკრეტული ცვლილებების მიხედვით. კერძოდ, თითოეული ნეგატიური შედეგის გასწვრივ დაფიქსირებულია, რომელი მიმართულების სტუდენტებს შეეხოთ შედარებით ნაკლებად და პირიქით - მძაფრად:

- სწავლის ხანგრძლივობაზე (ჯანდაცვა-32.8%; ჰუმანიტარული მეცნიერებები-51.3%)
- სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე (განათლება-24.6%; მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-40.2%)
- მოტივაციაზე, სტუდენტები არ ჩამორჩნენ სწავლას (აგრარული მეცნიერებები-27.8%: სამართალი-48.5%)
- სწავლების ხარისხზე (აგრარული მეცნიერებები-32.3%; მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-58.7%)

- სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე (აგრარული მეცნიერებები-37.8%; სოციალური მეცნიერებები-69%)
- სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები-26%; მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-45.4%)
- პროფესიულ უნარ-ჩვევებზე (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები-30.6%; სოციალური მეცნიერებები-48.4%)
- სწავლის საფასურის გადახდაზე (აგრარული მეცნიერებანი-18.9%; სამართალი-38.5%)
- დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები-23.9%; სამართალი-42.7%)
- საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე (აგრარული მეცნიერებანი-25.2%; ბიზნესის ადმინისტრირება-42.6%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. დანართი #6)

რეგიონის ჭრილში გაანალიზდა კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სხვდასხვა პროცესებსა და შედეგებზე. თითოეული დებულების გასწვრივ დაფიქსირებულია, თუ რომელი რეგიონის სტუდენტებს შეეხოთ ნეგატიური შედეგები ნაკლებად და მეტად:

- სწავლის ხანგრძლივობაზე (სამეგრელო და ზემო სვანეთი-31%; აჭარა-43%)
- სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე (სამეგრელო და ზემო სვანეთი-21.4%: თბილისი-32%)
- მოტივაციაზე, სტუდენტები არ ჩამორჩნენ სწავლას (სამეგრელო და ზემო სვანეთი-25%; თბილისი-43.7%)
- სწავლების ხარისხზე (შიდა ქართლი-36.5%; თბილისი-49.6%)
- სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე (იმერეთი-39.4%; თბილისი-56%)
- სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე (სამეგრელო და ზემო სვანეთი-20.7%; თბილისი-37.8%)
- პროფესიულ უნარ-ჩვევებზე (კახეთი-35.3%; თბილისი-42.2%)
- სწავლის საფასურის გადახდაზე (იმერეთი-17.4%ლ თბილისი-34.5%)
- დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე (სამცხე-ჯავახეთი-21.8%; აჭარა-35.7%)
- საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე (სამეგრელო და ზემო სვანეთი-25%; თბილისი-40%)

შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-19-ის უარყოფითი გავლენა ყველაზე ხშირად თბილისის სტუდენტების მიერ სახელდება. მონაცემების სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილი #4.5)

ცხრილი #4.5

<u>ამჟამად</u> რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
... თქვენი სწავლის ხანგრძლივობაზე?	ძალიან დადებითი გავლენა	6.7	8.0	1.4	7.7	11.5	6.9	7.3
	2	11.2	6.0	23.5	14.5	13.5	10.3	9.1
(X^2=112.848; P<0.05)	არანაირი გავლენა	40.5	48.0	33.1	34.7	38.5	51.7	41.8

ამჟამად რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
	4	26.0	22.0	24.6	22.2	21.2	17.2	27.3
	ძალიან უარყოფითი გავლენა	15.6	16.0	17.4	20.9	15.4	13.8	14.5
... თქვენს სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე? (X^2=101.456; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	12.2	20.0	6.8	15.0	17.0	10.7	16.4
	2	14.9	10.0	28.5	18.2	17.0	10.7	12.7
	არანაირი გავლენა	40.2	40.0	40.2	40.1	41.5	57.1	45.5
	4	23.4	24.0	18.9	15.0	18.9	17.9	16.4
	ძალიან უარყოფითი გავლენა	9.4	6.0	5.7	11.7	5.7	3.6	9.1
... თქვენს მოტივაციაზე, არ ჩამორჩეთ სწავლას? (X^2=115.876; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	12.1	20.0	7.8	12.0	15.4	10.7	14.5
	2	10.0	10.0	21.3	16.7	13.5	7.1	14.5
	არანაირი გავლენა	34.3	36.0	35.8	39.7	40.4	57.1	43.6
	4	24.2	24.0	21.3	14.2	17.3	14.3	20.0
	ძალიან უარყოფითი გავლენა	19.6	10.0	13.8	17.5	13.5	10.7	7.3
... სწავლების ხარისხზე? (X^2=87.365; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	9.2	18.0	6.4	13.5	15.4	13.3	16.4
	2	11.9	8.0	19.5	20.7	13.5	10.0	10.9
	არანაირი გავლენა	29.2	36.0	37.2	25.7	34.6	40.0	32.7
	4	32.8	30.0	28.0	20.9	26.9	26.7	27.3
	ძალიან უარყოფითი გავლენა	16.8	8.0	8.9	19.2	9.6	10.0	12.7
... სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე? (X^2=78.957; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	9.8	13.7	8.9	14.0	17.3	10.7	14.5
	2	8.1	5.9	17.4	11.8	5.8	7.1	10.9
	არანაირი გავლენა	26.0	27.5	34.4	29.8	28.8	32.1	27.3
	4	27.2	25.5	18.8	17.3	19.2	35.7	23.6
	ძალიან უარყოფითი გავლენა	28.8	27.5	20.6	27.3	28.8	14.3	23.6
... სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე? (X^2=77.648; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	13.4	21.2	9.2	17.9	15.4	10.3	14.5
	2	12.5	7.7	17.3	12.9	13.5	10.3	16.4
	არანაირი გავლენა	36.3	40.4	39.9	37.1	40.4	58.6	36.4
	4	24.5	21.2	28.3	20.1	21.2	13.8	23.6

ამჟამად რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
	ძალიან უარყოფითი გავლენა	13.4	9.6	5.3	11.9	9.6	6.9	9.1
... თქვენს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე? (X^2=110.759; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	9.5	17.6	7.8	13.3	15.7	10.3	16.7
	2	11.7	7.8	19.5	18.5	9.8	6.9	13.0
	არანაირი გავლენა	36.7	39.2	36.2	32.5	39.2	41.4	40.7
	4	26.9	25.5	29.8	18.5	25.5	34.5	20.4
	ძალიან უარყოფითი გავლენა	15.2	9.8	6.7	17.3	9.8	6.9	9.3
... სწავლის საფასურის გადახდაზე? (X^2=112.475; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	7.0	10.0	7.1	9.2	13.5	10.7	12.7
	2	7.1	2.0	13.9	13.2	5.8	7.1	5.5
	არანაირი გავლენა	51.5	64.0	61.6	47.5	59.6	64.3	63.6
	4	16.9	12.0	7.5	11.2	7.7	10.7	9.1
	ძალიან უარყოფითი გავლენა	17.6	12.0	10.0	18.9	13.5	7.1	9.1
... თქვენს დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე? (X^2=103.459; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	11.0	16.0	5.7	9.0	11.3	6.9	12.7
	2	9.9	8.0	14.1	17.5	9.4	17.2	16.4
	არანაირი გავლენა	44.7	46.0	49.1	37.9	47.2	51.7	49.1
	4	18.3	16.0	19.1	16.0	15.1	13.8	14.5
	ძალიან უარყოფითი გავლენა	16.0	14.0	12.0	19.7	17.0	10.3	7.3
... თქვენი საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე? (X^2=98.638; P<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	9.2	16.3	7.5	9.8	17.3	10.7	16.7
	2	13.0	12.2	18.1	14.3	7.7	17.9	18.5
	არანაირი გავლენა	37.7	36.7	43.8	37.8	44.2	46.4	38.9
	4	21.7	20.4	17.4	14.3	15.4	17.9	16.7
	ძალიან უარყოფითი გავლენა	18.5	14.3	13.2	24.0	15.4	7.1	9.3

რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ რა სახით შენარჩუნდება კოვიდ-19 პანდემიის გავლენა სხვადასხვა ასპექტზე. კონკრეტულად, სტუდენტთა შედარებით დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კოვიდ-19 პანდემია არანაირ გავლენას არ იქონიებს მათ სამომავლო სწავლაზე (47.4%) ან სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებაზე (50.4%). მეორე მხრივ, რესპონდენტები დაახლოებით თანაბრად აფიქსირებენ, რომ მათ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კოვიდ-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა შენარჩუნდება (41.3%) ან არ ექნება არანაირი გავლენა (42.6%). (იხ. ცხრილი #4.6)

ცხრილი #4.6

ელით კოვიდ-19 პანდემიის დადებითი ან უარყოფითი გავლენის შენარჩუნებას... (N=4771)	ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი გავლენა
	%				
... თქვენს სამომავლო სწავლაზე?	8.0	13.1	47.4	21.3	0.2
... სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებაზე?	9.6	12.4	50.4	18.7	8.9
... თქვენი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე?	7.5	8.6	42.6	23.1	18.2

მონაცემთა მოქალაქეობის ნიშნით გაანალიზების შედეგად ვლინდება, რომ საქართველოს მოქალაქე სტუდენტები უფრო მეტად ელიან კოვიდ-19 პანდემიის უარყოფითი გავლენის შენარჩუნებას, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები. კონკრეტულად, აღნიშნული ეხება:

- სამომავლო სწავლას (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-27%; საქართველოს მოქალაქე-32%);
- სწავლის შემდგომ დასაქმებას (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-25.4%; საქართველოს მოქალაქე-27.8%);
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-35.4%; საქართველოს მოქალაქე-42.%).

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილი #4.7)

ცხრილი #4.7

ელით კოვიდ-19 პანდემიის დადებითი ან უარყოფითი გავლენის შენარჩუნებას... (მოქალაქეობის ჭრილში)		ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი გავლენა
		%				
... თქვენს სამომავლო სწავლაზე? (X^2=58.675; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	11.8	12.9	48.3	18.1	8.9
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	7.6	13.1	47.3	21.8	10.2
... სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებაზე? (X^2=25.925; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	8.7	14.6	51.2	17.1	8.3
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	9.7	12.1	50.4	18.9	8.9
... თქვენი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე? (X^2=48.629; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე (N=398)	11.6	11.0	42.0	17.1	18.3
	საქართველოს მოქალაქე (N=4365)	7.0	8.2	42.8	24.0	18.1

თავი 5: სასწავლო პირობები

კვლევაში მონაწილე სტუდენტებმა შეაფასეს, თუ რამდენად ეთანხმებიან სწავლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დებულებას. როგორც ირკვევა, რესპონდენტთა უმრავლესობა იზიარებს დებულებებს, რომლის თანახმადაც, ჩვეულებრივ, ლექტორები სასარგებლო უკუკავშირს აძლევენ სწავლასთან დაკავშირებით (58.5%), ლექტორები აძლევენ მოტივაციას, რათა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ (55.6%), ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (61.8%), იცნობენ ბევრ ისეთ სტუდენტს, ვისთანაც შეუძლიათ განიხილონ კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები (56.1%), თავიანთ მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გაუწევდნენ (63.2%) და ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლიდნენ (78.9%).

მეორე მხრივ, რესპონდენტები არ ეთანხმებიან დებულებებს, რომლის თანახმადაც, ხშირად აქვთ განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში მათი ადგილი არ არის (67.2%) და უარყოფენ ფიქრს იმის შესახებ, რომ საერთოდ თავი დაანებონ უმაღლესში სწავლას (71.2%). (იხ. ცხრილი #5.1)

ცხრილი #5.1

ზოგადად, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (N=4771)	სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები
	%				
ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით	33.6	25.0	24.5	9.5	7.5
ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო	31.8	23.9	25.1	11.2	8.1
ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან	35.6	26.2	25.3	8.5	4.5
ბევრ ისეთ სტუდენტს ვიცნობ, რომლებთანაც კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები შემიძლია განვიხილო	32.9	23.2	25.4	10.6	8.0
ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი	38.9	24.3	22.9	7.2	6.7
ხშირად მაქვს განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩემი ადგილი არ არის	8.3	7.7	16.8	12.7	54.5
ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვისწავლიდი	65.2	13.7	14.5	3.7	2.9
სერიოზულად ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი დავანებო უმაღლესში სწავლას	8.0	6.4	14.5	10.4	60.8

სქესის ჭრილში მონაცემთა განხილვისას ირკვევა, რომ მდედრობითი სქესის სტუდენტები, მამრობითი სქესის სტუდენტებთან შედარებით, უფრო მეტად ეთანხმებიან დებულებებს იმის თაობაზე, რომ ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (მდედრობითი-66.2%; მამრობითი-56.6%), მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გაუწევდნენ (მდედრობითი-67.8%; მამრობითი-57.9%) და ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისწავლიდნენ (მდედრობითი-84.4%; მამრობითი-72.5%).

ამასთანავე, მდედრობითი სქესის რესპონდენტები, მამრობითი სქესის რესპოდენტებთან შედარებით, უფრო მეტად უარყოფენ დებულებას, რომლის თანახმადაც, ხშირად აქვთ განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში მათი ადგილი არ არის (მდედრობითი-70.6%; მამრობითი-63.2%) და სერიოზულად ფიქრობენ, საერთოდ დაანებონ თავი უმაღლესში სწავლას (მდედრობითი-76.5%; მამრობითი-64.9%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.2)

ცხრილი #5.2

ზოგადად, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (სქესის ჭრილში) (N=4771)		სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები
		%				
ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (X^2=59.376; P<0.05)	მდედრობითი	39.6	26.5	23.0	7.7	3.2
	მამრობითი	30.8	25.8	27.9	9.4	6.0
ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (X^2=49.291; P<0.05)	მდედრობითი	41.6	26.2	19.7	6.2	6.3
	მამრობითი	35.8	22.0	26.6	8.4	7.2
ხშირად მაქვს განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩემი ადგილი არ არის (X^2=33.600; P<0.05)	მდედრობითი	7.3	6.7	15.5	12.3	58.3
	მამრობითი	9.4	8.9	18.4	13.2	50.0
ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვისწავლიდი (X^2=125.804; P<0.05)	მდედრობითი	72.0	12.4	10.9	3.1	1.6
	მამრობითი	57.2	15.4	18.7	4.4	4.4
სერიოზულად ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი დავანებო უმაღლესში სწავლას (X^2=93.772; P<0.05)	მდედრობითი	7.1	5.4	11.0	9.5	67.0
	მამრობითი	9.0	7.5	18.5	11.4	53.6

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპის მიხედვით მონაცემთა განხილვის შედეგად გამოვლინდა ჯგუფებს შორის განსხვავებული შეფასებები. გამოკითხულთა მხრიდან შეფასების საფუძველზე თვალსაჩინოა, რომ კოლეჯში გამოკითხული რესპონდენტები სწავლასთან დაკავშირებულ დებულებებს, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მეტად აფასებენ დადებითად. კოლეჯის შემდგომ შედარებით დადებით შეფასებებს აფიქსირებენ სასწავლო უნივერსიტეტების რესპონდენტები. დებულებებს ასევე დადებითად აფასებენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები, თუმცა აღნიშნული მაჩვენებლები სხვა ჯგუფებთან შედარებით ნაკლებია. კერძოდ, აღწერილი ეხება შემდეგ დებულებებს:

- ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (უნივერსიტეტი-57%; სასწავლო უნივერსიტეტი-69.2%; კოლეჯი-77.8%);
- ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (უნივერსიტეტი-53.3%; სასწავლო უნივერსიტეტი-71.9%; კოლეჯი-80.6%);
- ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (უნივერსიტეტი-59.7%; სასწავლო უნივერსიტეტი-75.6%; კოლეჯი-83.8%);

- ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (უნივერსიტეტი-61.6%; სასწავლო უნივერსიტეტი-74.8%; კოლეჯი-83.3%).

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.3)

ცხრილი #5.3

ზოგადად, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები
		%				
ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (X^2=75.943; P<0.05)	უნივერსიტეტი	31.4	25.6	25.7	9.7	7.6
	სასწავლო უნივერსიტეტი	49.4	19.8	15.7	8.3	6.8
	კოლეჯი	44.4	33.3	13.9	5.6	2.8
ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (X^2=113.797; P<0.05)	უნივერსიტეტი	29.3	24.0	26.3	12.1	8.4
	სასწავლო უნივერსიტეტი	50.0	21.9	16.9	5.0	6.2
	კოლეჯი	36.1	44.4	13.9	5.6	
ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (X^2=138.513; P<0.05)	უნივერსიტეტი	32.6	27.1	26.5	9.2	4.6
	სასწავლო უნივერსიტეტი	57.4	18.2	17.2	2.9	4.3
	კოლეჯი	45.9	37.8	8.1	8.1	
ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (X^2=82.402; P<0.05)	უნივერსიტეტი	36.7	24.8	23.6	7.6	7.3
	სასწავლო უნივერსიტეტი	55.4	19.4	18.6	4.1	2.5
	კოლეჯი	44.4	38.9	8.3	5.6	2.8

რეგიონების ჭრილში გაანალიზდა სწავლასთან დაკავშირებული მოსაზრებები. **დადებით** შეფასებებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები მოცემულია დებულებებთან შესაბამისობაში:

- ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (თბილისი-58.4%; სამეგრელო და ზემო სვანეთი-75.9%)
- ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (თბილისი-53.8%: სამეგრელო და ზემო სვანეთი-82.1%)
- ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (თბილისი-60%; კახეთი-86%)
- ბევრ ისეთ სტუდენტს ვიცნობ, რომლებთანაც კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები შემიძლია განვიხილო (შიდა ქაღთლი-53.8%; სამეგრელო და ზემო სვანეთი-75%)
- ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (შიდა ქართლი-63.5%; კახეთი-80%)

- ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვისწავლიდი (სამეგრელო და ზემო სვანეთი-78.6%; კახეთი-84.3%)
- რაც შეეხება **უარყოფით** შედეგებს, რეგიონების მიხედვით მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- ხშირად მაქვს განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩემი ადგილი არ არის (შიდა ქართლი-63.5%; კახეთი-80%)
- სერიოზულად ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი დავანებო უმაღლესში სწავლას (შიდა ქართლი-65.4%; კახეთი-84%) მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.4)

ცხრილი #5.4

რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (X^2=117.375; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	33.1	42.0	31.3	35.3	45.1	44.8	39.3
	2	25.3	22.0	28.5	20.5	19.6	31.0	23.2
	3	23.7	26.0	29.5	28.3	23.5	13.8	25.0
	4	10.4	2.0	4.6	6.5	5.9	6.9	7.1
	საერთოდ არ ვეთანხმები	7.5	8.0	6.0	9.5	5.9	3.4	5.4
ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (X^2=110.738; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	30.1	58.8	39.1	32.9	48.1	50.0	42.6
	2	23.6	19.6	26.3	24.9	19.2	32.1	25.9
	3	26.0	15.7	23.1	21.4	19.2	14.3	18.5
	4	11.8	3.9	8.2	10.7	7.7	3.6	7.4
	საერთოდ არ ვეთანხმები	8.5	2.0	3.2	10.0	5.8		5.6
ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (X^2=98.749; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	34.0	62.0	37.0	40.5	50.0	53.6	49.1
	2	26.0	24.0	29.2	26.8	23.1	28.6	23.6
	3	26.3	12.0	26.0	20.3	17.3	10.7	20.0
	4	9.1	2.0	6.0	6.8	3.8	7.1	3.6
	საერთოდ არ ვეთანხმები	4.6		1.8	5.8	5.8		3.6
ბევრ ისეთ სტუდენტს ვიცნობ, რომლებთანაც კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები შემიძლია განვიხილო (X^2=89.649; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	31.8	46.0	26.3	44.9	34.6	35.7	35.2
	2	22.9	18.0	30.2	20.7	19.2	39.3	24.1
	3	25.6	22.0	27.4	23.9	25.0	14.3	22.2
	4	11.2	8.0	9.3	6.2	11.5	7.1	9.3

რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
	საერთოდ არ ვეთანხმები	8.5	6.0	6.8	4.2	9.6	3.6	9.3
ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (X^2=112.848; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	37.6	64.7	41.3	42.4	50.0	53.6	50.9
	2	24.1	19.6	32.7	20.9	21.2	32.1	25.5
	3	23.5	9.8	19.9	22.9	21.2	10.7	12.7
	4	7.5	3.9	3.9	7.5	3.8	3.6	7.3
	საერთოდ არ ვეთანხმები	7.3	2.0	2.1	6.2	3.8		3.6
ხშირად მაქვს განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩემი ადგილი არ არის (X^2=107.485; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	8.4	4.0	4.3	10.7	9.6	7.1	5.5
	2	7.2	10.0	10.7	10.5	5.8	3.6	9.1
	3	17.2	6.0	17.4	14.2	21.2	10.7	14.5
	4	13.3	10.0	12.1	8.0	9.6	28.6	10.9
	საერთოდ არ ვეთანხმები	53.9	70.0	55.5	56.6	53.8	50.0	60.0
ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვისწავლიდი (X^2=105.248; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	65.6	70.6	61.7	65.0	71.2	50.0	57.4
	2	13.3	13.7	17.4	13.5	9.6	28.6	22.2
	3	14.2	9.8	17.4	15.3	13.5	17.9	14.8
	4	3.8	3.9	2.5	3.5	3.8	3.6	1.9
	საერთოდ არ ვეთანხმები	3.1	2.0	1.1	2.8	1.9		3.7
სერიოზულად ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი დავანებო უმაღლესში სწავლას (X^2=112.678; P<0.05)	სავსებით ვეთანხმები	8.2	6.0	5.3	8.8	9.6	7.1	3.6
	2	6.0	2.0	11.0	7.3	7.7	3.6	7.3
	3	14.5	8.0	17.7	12.8	17.3	14.3	12.7
	4	10.6	12.0	6.0	10.0	5.8	21.4	10.9
	საერთოდ არ ვეთანხმები	60.7	72.0	59.9	61.3	59.6	53.6	65.5

სწავლასთან დაკავშირებული შეფასებები განხილულ იქნა **სასწავლო მიმართულებების** ჭრილში. **დადებითი** შედეგები წარმოდგენილია სასწავლო მიმართულებების მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლების სახით თითოეული დებულების მიმართ:

- ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (ინჟინერია-48.4%; სოციალური მეცნიერებები-65.7%)

- ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-46.7%; ჰუმანიტარული მეცნიერებები-61.5%)
- ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (ინჟინერია-52.7%; სოციალური მეცნიერებები-69.8%)
- ბევრ ისეთ სტუდენტს ვიცნობ, რომლებთანაც შემიძლია განვიხილო კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები (ინჟინერია-47.9%; განათლება-65%)
- ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-51.4%; განათლება-71.7%)
- ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვისწავლიდი (ინჟინერია-65.8%; სოციალური მეცნიერებები-85.6%)

სხვადასხვა სასწავლო მიმართულების ჭრილში დებულებების **უარყოფის** თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი ორი დებულება

- ხშირად მაქვს განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩემი ადგილი არ არის (აგრარული მეცნიერებები-51.2%; სოციალური მეცნიერებები-73.2%)
- სერიოზულად ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი დავანებო უმაღლესში სწავლას (აგრარული მეცნიერებები-55.1%; ჰუმანიტარული მეცნიერებები-80.9%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დანართი #7)

შესაძლებელია ითქვას, რომ სხვადასხვა სასწავლო მიმართულების სტუდენტები სასწავლო პროცესს დადებითად ახასიათებენ. კერძოდ, აღნიშნული დამოკიდებულება დასტურდება სტუდენტთა შედარებით დიდი ნაწილის (დაახლოებით ნახევრის) ან უმრავლესობის მიერ. რაც შეეხება ნეგატიური კონოტაციის დებულებებს, რესპონდენტთა უმრავლესობა მათ უარყოფს.

სტუდენტებს დაესვათ კითხვა, სმენიათ თუ არა რომელიმე საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, რომელიც სპეციალურად სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. რესპონდენტთა უმრავლესობა (64.4%) ამბობს, რომ სმენია სწავლასთან დაკავშირებული კონსულტაციის შესახებ. 45.5% არის იმ სტუდენტთა წილი, ვისაც კონსულტაციით უსარგებლია კიდეც. სხვა შემთხვევებში, როგორებიცაა ფსიქოლოგიური (54.6%), ფინანსური (54.5%) და საბინაო (61.3%) კონსულტაცია - რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ ასეთი მომსახურების შესახებ არ სმენიათ. (იხ. ცხრილი #5.5)

ცხრილი #5.5

გსმენიათ თუ არა სპეციალურად სტუდენტებისთვის განკუთვნილი რომელიმე საკონსულტაციო მომსახურების შესახებ? (N=4771)	დიახ, მსმენია და ვისარგებლე კიდეც	დიახ, მსმენია, მაგრამ (ჯერ) არ მისარგებლია	არა, არ მსმენია
	%		
სწავლასთან დაკავშირებული კონსულტაცია (მაგ. სასწავლო პროგრამების შეცვლა, საგამოცდო წესები)	45.5	18.9	35.6
ფსიქოლოგიური კონსულტაცია (მაგ.: საგამოცდო ნერვიულობა)	37.1	8.3	54.6
ფინანსური კონსულტაცია	34.0	11.5	54.5
საბინაო კონსულტაცია	31.5	7.1	61.3

რეგიონის ჭრილში საკითხის ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას სმენია სწავლასთან დაკავშირებული კონსულტაციის შესახებ. სწავლასთან დაკავშირებული

კონსულტაციის შესახებ ინფორმირებულობა სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია თბილისში (62.8%) და მაღალია კახეთში (78%), შიდა ქართლსა (78.8%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (78.6%).

ფსიქოლოგიური კონსულტაციის შესაძლებლობაზე ინფორმაციის მიღებას შედარებით იშვიათად ადასტურებენ თბილისსა (44.1%) და იმერეთში (41.8%), ხოლო ყველაზე ხშირად - სამეგრელო-ზემო სვანეთში (69%).

ფინანსური კონსულტაციის თვალსაზრისით ინფორმაციის მიღებაზე შედარებით იშვიათად მიუთითებენ თბილისში (42.2%), ხოლო შედარებით მნიშვნელოვნად - სამეგრელოსა და ზემო სვანეთში (75.9%).

საბინაო კონსულტაციის არსებობაზე ყველაზე ნაკლებად საუბრობენ თბილისში (35.6%), ხოლო შედარებით ხშირად- აჭარაში (61.6%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (58.6%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.6)

ცხრილი #5.6

გსმენიათ თუ არა <u>სპეციალურად სტუდენტებისთვის</u> განკუთვნილი რომელიმე საკონსულტაციო მომსახურების შესახებ? (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
სწავლასთან დაკავშირებული კონსულტაცია (მაგ. სასწავლო პროგრამების შეცვლა, საგამოცდო წესები) (X^2=45.542; P<0.05)	დიახ, მსმენია და ვისარგებლე კიდეც	45.3	54.0	43.6	45.0	50.0	57.1	49.1
	დიახ, მსმენია, მაგრამ (ჯერ) არ მისარგებლია	17.4	24.0	21.6	27.3	28.8	21.4	25.5
	არა, არ მსმენია	37.2	22.0	34.8	27.8	21.2	21.4	25.5
ფსიქოლოგიური კონსულტაცია (მაგ.: საგამოცდო ნერვიულობა) (X^2=46.787; P<0.05)	დიახ, მსმენია და ვისარგებლე კიდეც	36.6	36.0	34.0	42.0	36.5	62.1	35.7
	დიახ, მსმენია, მაგრამ (ჯერ) არ მისარგებლია	7.5	12.0	7.8	13.3	19.2	6.9	14.3
	არა, არ მსმენია	55.9	52.0	58.2	44.8	44.2	31.0	50.0
ფინანსური კონსულტაცია (X^2=83.237; P<0.05)	დიახ, მსმენია და ვისარგებლე კიდეც	31.9	32.0	38.8	45.1	42.3	62.1	45.5
	დიახ, მსმენია, მაგრამ (ჯერ) არ მისარგებლია	10.7	16.0	11.0	17.5	13.5	13.8	14.5
	არა, არ მსმენია	57.4	52.0	50.2	37.4	44.2	24.1	40.0
საბინაო კონსულტაცია (X^2=112.848; P<0.05)	დიახ, მსმენია და ვისარგებლე კიდეც	29.0	34.0	34.9	49.4	31.4	48.3	38.2

გსმენიათ თუ არა სპეციალურად სტუდენტებისთვის განკუთვნილი რომელიმე საკონსულტაციო მომსახურების შესახებ? (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
	დიახ, მსმენია, მაგრამ (ჯერ) არ მისარგებლია	6.6	6.0	5.7	12.2	9.8	10.3	9.1
	არა, არ მსმენია	64.4	60.0	59.4	38.4	58.8	41.4	52.7

იმ სტუდენტებმა, ვისაც სხვადასხვა სახის საკონსულტაციო მომსახურება გამოუყენებია, შეაფასეს, რამდენად სასარგებლო იყო თითოეული მათგანი. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს მიღებულ კონსულტაციებს სწავლის (61.8%), ფსიქოლოგიურ (56.6%), ფინანსურ (71.4%) და საბინაო (60.1%) საკითხებზე. (იხ. ცხრილი #5.7)

ცხრილი #5.7

რამდენად სასარგებლო იყო სპეციალურად სტუდენტებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო მომსახურება?	ძალიან სასარგებლო	2	3	4	სრულიად უსარგებლო
	%				
სწავლასთან დაკავშირებული კონსულტაცია (მაგ. სასწავლო პროგრამების შეცვლა, საგამოცდო წესები) (N=850)	41.1	20.7	22.6	10.2	5.3
ფსიქოლოგიური კონსულტაცია (მაგ.: საგამოცდო ნერვიულობა) (N=270)	43.8	12.8	27.3	7.2	8.9
ფინანსური კონსულტაცია (N=346)	56.5	14.9	18.9	4.4	5.3
საბინაო კონსულტაცია (N=243)	49.6	10.4	23.0	10.0	6.9

სქესის ჭრილში მონაცემთა განხილვის შედეგად ვლინდება, რომ იმ სტუდენტებს შორის, ვისაც შეთავაზებული საკონსულტაციო სერვისებით უსარგებლია, მდედრობითი სქესის სტუდენტები უფრო მეტად კმაყოფილი არიან მიღებული მომსახურებით, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტები. აღნიშნული ეხება ფსიქოლოგიურ კონსულტაციას (მდედრობითი-61.9%; მამრობითი-51.9%) და ფინანსურ კონსულტაციას (მდედრობითი-75.4%; მამრობითი-67.6%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.8)

ცხრილი #5.8

რამდენად სასარგებლო იყო სპეციალურად სტუდენტებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო მომსახურება? (სქესის ჭრილში)		ძალიან სასარგებლო	2	3	4	სრულიად უსარგებლო
		%				
ფსიქოლოგიური კონსულტაცია (N=270) (X^2=11.412; P<0.05)	მდედრობითი	48.9	12.9	18.7	7.9	11.5

რამდენად სასარგებლო იყო სპეციალურად სტუდენტებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო მომსახურება? (სქესის ჭრილში)		ძალიან სასარგებლო	2	3	4	სრულიად უსარგებლო
		%				
	მამრობითი	38.9	13.0	35.9	6.1	6.1
ფინანსური კონსულტაცია (N=346) (X^2=3.925; P<0.05)	მდედრობითი	60.0	15.4	16.6	4.6	3.4
	მამრობითი	53.5	14.1	21.2	4.1	7.1

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ან შედარებით დიდი ნაწილი ეთანხმება დებულებას, რომ მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს მათ აკადემიურ წარმატებაზე (53%), ხელს უწყობს მათ არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას (42.6%), ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში უზიარებენ დამატებით წყაროებს (62.7%) და საუნივერსიტეტო რესურსები საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად გაეცნონ საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს (61.9%). (იხ. ცხრილი #5.9)

ცხრილი #5.9

გთხოვთ, გვითხრათ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებს (N=4771)	სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები
	%				
ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს ჩემს აკადემიურ წარმატებაზე	30.2	22.8	25.8	11.3	9.9
ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს ჩემს არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას	21.9	20.7	29.3	13.0	15.1
ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში მიზიარებენ დამატებით წყაროებს: სამეცნიერო კვლევებს, ლიტერატურას, მონაცემთა ბაზებს და სხვ.	37.5	25.2	22.5	8.0	6.8
საუნივერსიტეტო რესურსები (ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები და ა.შ.) საშუალებას მაძლევს დამოუკიდებლად გავეცნო ჩემთვის საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს	38.4	23.5	21.4	9.4	7.3

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში, უნივერსიტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შედარებით, კოლეჯის სტუდენტები უფრო მეტად აფიქსირებენ თანხმობას შემდეგ დებულებებზე:

- ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს ჩემს აკადემიურ წარმატებაზე (უნივერსიტეტი-50.5%, სასწავლო უნივერსიტეტი-70.5%; კოლეჯი-81.1%)
- ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს ჩემს არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას (უნივერსიტეტი-39.7%, სასწავლო უნივერსიტეტი-62.8%; კოლეჯი-73.3%)

- ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში მიზიარებენ დამატებით წყაროებს: სამეცნიერო კვლევებს, ლიტერატურას, მონაცემთა ბაზებს და სხვ. (უნივერსიტეტი-60.7%, სასწავლო უნივერსიტეტი-76.4%; კოლეჯი-78.9%)
- საუნივერსიტეტო რესურსები (ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები და ა.შ.) საშუალებას მაძლევს, დამოუკიდებლად გავეცნო ჩემთვის საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს (უნივერსიტეტი-60.2%, სასწავლო უნივერსიტეტი-73.5%; კოლეჯი-80.6%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.10)

ცხრილი #5.10

გთხოვთ, გვითხრათ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებს (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		**სავსებით ვეთანხმები**	**2**	**3**	**4**	**საერთოდ არ ვეთანხმები**
		%				
ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს ჩემს აკადემიურ წარმატებაზე (X^2=102.912; P<0.05)	უნივერსიტეტი	28.0	22.4	26.9	12.1	10.6
	სასწავლო უნივერსიტეტი	45.4	25.0	18.8	5.6	5.0
	კოლეჯი	54.1	27.0	10.8	5.4	2.7
ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს ჩემს არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას (X^2=164.396; P<0.05)	უნივერსიტეტი	19.2	20.5	30.8	13.5	16.0
	სასწავლო უნივერსიტეტი	41.7	21.1	18.8	9.3	9.1
	კოლეჯი	34.2	39.5	15.8	7.9	2.6
ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში მიზიარებენ დამატებით წყაროებს: სამეცნიერო კვლევებს, ლიტერატურას, მონაცემთა ბაზებს და სხვ. (X^2=86.578; P<0.05)	უნივერსიტეტი	35.2	25.6	23.4	8.6	7.3
	სასწავლო უნივერსიტეტი	54.8	21.5	16.1	4.1	3.5
	კოლეჯი	44.7	34.2	13.2	5.3	2.6
საუნივერსიტეტო რესურსები (ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები და ა.შ.) საშუალებას მაძლევს დამოუკიდებლად გავეცნო ჩემთვის საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს (X^2=65.480; P<0.05)	უნივერსიტეტი	36.6	23.7	22.6	9.8	7.3
	სასწავლო უნივერსიტეტი	52.2	21.3	12.6	6.0	7.9
	კოლეჯი	44.4	36.1	11.1	5.6	2.8

სწავლასთან დაკავშირებული დებულებები განხილულ იქნა **სასწავლო მიმართულებების** ჭრილში. წარმოდგენილია დადებითი შეფასებების მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლები შემდეგ დებულებებთან შესაბამისობაში:

- საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს ჩემს აკადემიურ წარმატებაზე (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-42.4%; განათლება-59.8%)
- ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს ჩემს არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას (ჯანდაცვა-36%; ბიზნესის ადმინისტრირება-54.7%)
- ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში მიზიარებენ დამატებით წყაროებს: სამეცნიერო კვლევებს, ლიტერატურას, მონაცემთა ბაზებს და სხვ. (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-54.6%; განათლება-68.5%)
- საუნივერსიტეტო რესურსები (ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები და ა.შ.) საშუალებას მაძლევს, დამოუკიდებლად გავეცნო ჩემთვის საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-48.6%; სოციალური მეცნიერებები-72%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დანართი #8)

სტუდენტთა შედარებით დიდ ნაწილს (46.8%) არ აქვს ინფორმაცია, შეუძლიათ თუ არა, სურვილის შემთხვევაში, გაიარონ ინგლისური ენის კურსი თავიანთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. გამოკითხულთა 40.8% ამბობს, რომ მათ საგანმანთლებლო დაწესებულებაში შესაძლებელია ინგლისური ენის სწავლა სასწავლო კრედიტის ფარგლებში (34.9%) ან სასწავლო კრედიტის გარეშე, უფასოდ (5.9%). (იხ. დიაგრამა #5.1)

დიაგრამა #5.1



სტუდენტთა დაახლოებით ნახევარი (49.5%) არ ფლობს ინფორმაციას, მონაწილეობენ თუ არა მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები პროფესორებთან ერთად სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში. აღნიშნული პრაქტიკის არსებობას ადასტურებს გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (41%), ხოლო მცირე ნაწილი უარყოფს (9.5%).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში იკვეთება, რომ პროფესორებთან ერთად სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობაზე მიუთითებს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა თითქმის ნახევარი (49.9%). სხვა ჯგუფებში აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით დაბალია (უნივერსიტეტი-39.9%; კოლეჯი-27.8%). (იხ. დიაგრამა #5.2)

დიაგრამა #5.2



სტუდენტთა შეფასებით, მათი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (53.8%), საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (58.2%), კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (59.8%), სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (52.9%), პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (51.6%), გუნდური მუშაობა (57%), აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (60.4%), განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (62.9%), კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (50.5%) და ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (54.3%). (იხ. ცხრილი #5.11)

ცხრილი #5.11

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (N=4771)	**სრულიად უწყობს ხელს**	**2**	**3**	**4**	**საერთოდ არ უწყობს ხელს**	**ვერ ვაფასებ**
	%					
აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა	33.4	20.4	22.7	7.9	4.2	11.3
საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა	35.9	22.3	23.6	7.9	4.2	6.1
კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება	35.6	24.2	22.4	8.1	4.1	5.5
სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი	30.9	22.0	25.9	8.6	4.1	8.5

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (N=4771)	სრულიად უწყობს ხელს	2	3	4	საერთოდ არ უწყობს ხელს	ვერ ვაფასებ
	%					
პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა	29.9	21.7	23.8	10.6	6.2	7.7
გუნდური მუშაობა	34.6	22.4	22.4	9.8	4.5	6.3
აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა	36.3	24.1	22.1	8.0	3.7	5.7
განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება	43.8	19.1	19.0	7.1	3.9	7.1
კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია	28.8	21.6	24.4	9.3	5.7	10.1
ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა	32.5	21.8	24.7	8.7	5.0	7.3

მამრობითი სქესის რესპონდენტებთან შედარებით, **მდედრობითი** სქესის რესპონდენტები შედარებით ხშირად მიიჩნევენ, რომ მათი სასწავლო პროგრამა უწყობს ხელს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (მდედრობითი-63.7%; მამრობითი-51.7%), კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (მდედრობითი-66.1%; მამრობითი-52.6%), სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (მდედრობითი-57.5%; მამრობითი-47.5%), პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (მდედრობითი-55.9%; მამრობითი-46.7%), გუნდური მუშაობა (მდედრობითი-61.7%; მამრობითი-51.5%), აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (მდედრობითი-66.6%; მამრობითი-53.1%), განსხვავებული სოციალური ფონის მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (მდედრობითი-70%; მამრობითი-54.6%), კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (მდედრობითი-54.5%; მამრობითი-45.7%) და ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (მდედრობითი-58.5%; მამრობითი-49.4%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.12)

ცხრილი #5.12

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (სქესის ჭრილში) (N=4771)		სრულიად უწყობს ხელს				საერთოდ არ უწყობს ხელს	ვერ ვაფასებ
		%					
საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა	მდედრობითი	41.4	22.3	20.6	7.3	3.9	4.5
	მამრობითი	29.5	22.2	27.2	8.6	4.6	7.9

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (სქესის ჭრილში) (N=4771)		სრულიად უწყობს ხელს				საერთოდ არ უწყობს ხელს	ვერ ვაფასებ
		%					
(X^2=90.371; P<0.05)							
კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (X^2=122.057; P<0.05)	მდედრობითი	40.4	25.6	17.7	8.7	3.7	3.8
	მამრობითი	30.0	22.5	27.9	7.4	4.5	7.5
სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (X^2=58.395; P<0.05)	მდედრობითი	35.2	22.3	22.9	8.5	3.8	7.4
	მამრობითი	25.9	21.7	29.3	8.8	4.5	9.8
პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (X^2=62.090; P<0.05)	მდედრობითი	32.6	23.3	19.8	10.8	6.6	6.8
	მამრობითი	26.7	19.8	28.6	10.4	5.7	8.8
გუნდური მუშაობა (X^2=52.790; P<0.05)	მდედრობითი	38.4	23.3	20.2	8.8	3.9	5.4
	მამრობითი	30.1	21.4	24.9	11.0	5.3	7.3
აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (X^2=117.720; P<0.05)	მდედრობითი	41.8	24.8	17.5	8.2	3.3	4.3
	მამრობითი	29.8	23.3	27.6	7.7	4.1	7.4
განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (X^2=144.681; P<0.05)	მდედრობითი	51.5	18.5	15.8	6.0	3.0	5.3
	მამრობითი	34.9	19.7	22.7	8.4	5.0	9.2
კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (X^2=42.413; P<0.05)	მდედრობითი	32.0	22.6	21.9	9.3	4.9	9.4
	მამრობითი	25.2	20.5	27.3	9.2	6.7	11.0
ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (X^2=69.444; P<0.05)	მდედრობითი	37.4	21.1	22.6	8.4	3.7	6.8
	მამრობითი	26.8	22.6	27.2	9.0	6.5	7.9

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში კოლეჯისა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები უფრო მეტად ადასტურებენ მათი სასწავლო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა უნარების განვითარებას, ვიდრე უნივერსიტეტის სტუდენტები. კონკრეტულად, ეს ეხება

ისეთ უნარებს, როგორებიცაა: აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (უნივერსიტეტი-51.7; სასწავლო უნივერსიტეტი-68.2%; კოლეჯი-75.7%), საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (უნივერსიტეტი-55.8%; სასწავლო უნივერსიტეტი-74.8%; კოლეჯი-80.6%), კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (უნივერსიტეტი-57.5%; სასწავლო უნივერსიტეტი-76.1%; კოლეჯი-78.4%), სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (უნივერსიტეტი-50.4%; სასწავლო უნივერსიტეტი-70.2%; კოლეჯი-77.8%), პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (უნივერსიტეტი-48.7%; სასწავლო უნივერსიტეტი-72.3%; კოლეჯი-75.7%), აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (უნივერსიტეტი-57.8%; სასწავლო უნივერსიტეტი-78.3%; კოლეჯი-81.1%), განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (უნივერსიტეტი-60.7%; სასწავლო უნივერსიტეტი-78.5%; კოლეჯი-81.1%), კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (უნივერსიტეტი-47.9%; სასწავლო უნივერსიტეტი-68.5%; კოლეჯი-75.7%) და ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (უნივერსიტეტი-51.8%; სასწავლო უნივერსიტეტი-72%; კოლეჯი-75.7%).

საინტერესოა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები სხვა ჯგუფებთან შედარებით ხშირად ადასტურებენ, რომ მათი სასწავლო პროგრამა ხელს უწყობს გუნდური მუშაობის უნარის განვითარებას (უნივერსიტეტი-54.9%; სასწავლო უნივერსიტეტი-73.4%; კოლეჯი-48.6%). (იხ. ცხრილი #5.13)

ცხრილი #5.13

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		**სრულიად უწყობს ხელს**	**2**	**3**	**4**	**საერთოდ არ უწყობს ხელს**	**ვერ ვაფასებ**
		%					
აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (X^2=121.295; P<0.05)	უნივერსიტეტი	31.1	20.6	23.9	8.6	4.6	11.2
	სასწავლო უნივერსიტეტი	51.4	16.9	14.7	3.1	1.0	13.0
	კოლეჯი	35.1	40.5	10.8	5.4	2.7	5.4
საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (X^2=110.203; P<0.05)	უნივერსიტეტი	33.5	22.3	24.9	8.4	4.7	6.1
	სასწავლო უნივერსიტეტი	54.0	20.8	14.8	4.1	0.8	5.6
	კოლეჯი	41.7	38.9	11.1	2.8	2.8	2.8
კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (X^2=105248; P<0.05)	უნივერსიტეტი	33.6	23.9	23.9	8.7	4.6	5.3
	სასწავლო უნივერსიტეტი	50.5	25.6	12.0	3.9	0.6	7.4
	კოლეჯი	43.2	35.1	10.8	5.4	2.7	2.7
სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (X^2=120.665; P<0.05)	უნივერსიტეტი	28.5	21.9	27.2	9.4	4.4	8.6
	სასწავლო უნივერსიტეტი	48.8	21.3	16.5	3.3	1.7	8.3
	კოლეჯი	36.1	41.7	11.1	5.6	2.8	2.8
	უნივერსიტეტი	27.4	21.3	25.5	11.4	6.6	7.8

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		სრულიად უწყობს ხელს	2	3	4	საერთოდ არ უწყობს ხელს	ვერ ვაფასებ
		%					
პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (X^2=141.805; P<0.05)	სასწავლო უნივერსიტეტი	48.8	23.4	12.0	5.0	3.5	7.2
	კოლეჯი	35.1	40.5	13.5	5.4	2.7	2.7
გუნდური მუშაობა (X^2=98.173; P<0.05)	უნივერსიტეტი	32.3	22.6	23.5	10.4	4.8	6.5
	სასწავლო უნივერსიტეტი	52.3	21.1	14.0	4.7	3.1	4.8
	კოლეჯი	29.7	18.9	21.6	21.6	2.7	5.4
აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (X^2=123.798; P<0.05)	უნივერსიტეტი	33.7	24.1	23.5	8.7	4.1	5.9
	სასწავლო უნივერსიტეტი	55.5	22.8	13.2	2.9	1.0	4.6
	კოლეჯი	40.5	40.5	8.1	2.7	2.7	5.4
განსხვავებული სოციალური ფონის მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (X^2=89.867; P<0.05)	უნივერსიტეტი	41.4	19.3	20.1	7.6	4.3	7.4
	სასწავლო უნივერსიტეტი	61.2	17.2	10.9	4.1	1.4	5.2
	კოლეჯი	62.2	18.9	8.1	5.4	2.7	2.7
კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (X^2=139.529; P<0.05)	უნივერსიტეტი	26.1	21.8	25.6	9.9	6.3	10.3
	სასწავლო უნივერსიტეტი	48.5	19.9	16.2	4.3	1.7	9.3
	კოლეჯი	43.2	32.4	8.1	5.4	5.4	5.4
ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (X^2=132.989; P<0.05)	უნივერსიტეტი	29.9	21.9	25.8	9.4	5.6	7.3
	სასწავლო უნივერსიტეტი	52.0	20.0	16.9	3.3	1.0	6.8
	კოლეჯი	35.1	40.5	13.5	2.7	2.7	5.4

დებულებები გაანალიზდა **სასწავლო მიმართულებების** ჭრილში. სტუდენტების მიერ დაფიქსირებული დადებითი შეფასებები წარმოდგენილია მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლების სახით. კონკრეტულად, ისეთი უნარების გაუმჯობესების თვალსაზრისით, როგორებიცაა:

- აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-41.8%; ბიზნესის ადმინისტრირება-63.3%)
- საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (ჯანდაცვა-46%; სოციალური მეცნიერებები-72%)
- კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-47.8%; სოციალური მეცნიერებები-73.8%)
- სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (ინჟინერია-43.2%; ბიზნესის ადმინისტრირება-61.2%)

- პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-39.9%; განათლება-62%)
- გუნდური მუშაობა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-40.8%; სოციალური მეცნიერებები-66.8%)
- აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (ინჟინერია-45.7%; სოციალური მეცნიერებები- 75.2%)
- განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები-50.7%; სოციალური მეცნიერებები-75.9%)
- კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (ინჟინერია-40.8%; აგრარული მეცნიერებები-57.5%)
- ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი-42.9%; სამართალი-60.7%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. დანართი #9)

დებულებები **სასწავლო საფეხურის** ჭრილში გაანალიზდა. სტუდენტების მიერ დაფიქსირებული დადებითი შეფასებები წარმოდგენილია მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებლების სახით. შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული უნარების გაუმჯობესებაზე ყველაზე ხშირად მიუთითებენ ბაკალავრიატის სტუდენტები, ხოლო სხვა სასწავლო საფეხურებთან შედარებით ნაკლებად-მაგისტრატურის სტუდენტები. კერძოდ, ეს ეხება ისეთი უნარების გაუმჯობესებას, როგორებიცაა:

- აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა -45.4%; ბაკალავრიატი-56.3%)
- საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა-46.1%; ბაკალავრიატი-61.3%)
- კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (მაგისტრატურა-53.6%; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა-61.5%)
- სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა-44.8; ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა-55.2%)
- პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (მაგისტრატურა-45.2%; ბაკალავრიატი-53.6%)
- გუნდური მუშაობა (მაგისტრატურა-46.4%; ბაკალავრიატი-58.7%)
- აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (მაგისტრატურა-51.8%; ბაკალავრიატი-61.7%)
- განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (მაგისტრატურა-51.8%; ბაკალავრიატი-64.5%)
- კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (მაგისტრატურა-45.2%; ბაკალავრიატი-51.3%)
- ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (მაგისტრატურა-45.9%; ბაკალავრიატი-56.2%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დანართი #10)

გამოკითხულ სტუდენტთა შედარებით დიდი ნაწილი (44.8%) მიუთითებს, რომ მათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს სტუდენტური სამუშაოების პრაქტიკა, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია (29.3%) ან მასზე წვდომა შეზღუდულია (15.4%). ასევე, მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას (41%) მათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტური სამუშაოების არსებობის შესახებ.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არ ფლობს ინფორმაციას (56.4%) მათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურების არსებობის შესახებ. სტუდენტთა მესამედი (33.6%) მიუთითებს, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობს თავისუფალი (24.8%) ან შეზღუდული (8.7%) წვდომით. (იხ. ცხრილი #5.14)

ცხრილი #5.14

არის თუ არა თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში... (N=4771)	დიახ, არის და ყველასთვის ხელმისაწვდომია	დიახ, არის თუმცა შეზღუდულია წვდომა	არა, არ არის	არ ვფლობ ინფორმაციას
	%			
... სტუდენტური სამუშაოები (იგულისხმება როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი: ასისტირება/ტექნიკური სამუშაო/ბიბლიოთეკა/სასადილო ან სხვა)	29.3	15.4	14.2	41.0
... სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურება	24.8	8.7	10.0	56.4

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჭრილში სტუდენტური სამუშაოების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურების არსებობას (თავისუფალი ან შეზღუდული წვდომით) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შედარებით ხშირად ადასტურებენ (სტუდენტური სამუშაო-52.8%; საკონსულტაციო მომსახურება-44.1%), ვიდრე უნივერსიტეტის (სტუდენტური სამუშაო-43.9%; საკონსულტაციო მომსახურება-32.3) და კოლეჯის (სტუდენტური სამუშაო-25%; საკონსულტაციო მომსახურება-24.3%) სტუდენტები. (იხ. ცხრილი #5.15)

ცხრილი #5.15

არის თუ არა თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში... (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		დიახ, არის და ყველასთვის ხელმისაწვდომია	დიახ, არის თუმცა შეზღუდულია წვდომა	არა, არ არის	არ ვფლობ ინფორმაციას
		%			
... სტუდენტური სამუშაოები (X^2=58.474; P<0.05)	უნივერსიტეტი	27.8	16.1	14.6	41.5
	სასწავლო უნივერსიტეტი	41.7	11.1	11.3	35.9

არის თუ არა თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში... (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		დიახ, არის და ყველასთვის ხელმისაწვდომია	დიახ, არის თუმცა შეზღუდულია წვდომა	არა, არ არის	არ ვფლობ ინფორმაციას
		%			
	კოლეჯი	22.2	2.8	5.6	69.4
... სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურება (X^2=41.914; P<0.05)	უნივერსიტეტი	23.5	8.8	10.5	57.2
	სასწავლო უნივერსიტეტი	35.2	8.9	7.0	48.9
	კოლეჯი	21.6	2.7	2.7	73.0

გამოკითხულ სტუდენტთა დაახლოებით მესამედი (34.9%) ამბობს, რომ მათი საგანმანათლებლო დაწესებულება სემესტრში ერთხელ მაინც ახორციელებს უცხოელი სტუდენტების კულტურული ინტეგრაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს. მეორე მხრივ, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (58.2%) არ ფლობს ინფორმაციას ასეთი ღონიძიებების შესახებ.

სტუდენტთა დაახლოებით ნახევარი (47.2%) მიუთითებს, რომ მათი სასწავლო დაწესებულება სემესტრში ერთხელ მაინც ახორციელებს მომავალი პროფესიის უკეთ გასაცნობად დამსაქმებლებთან/ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრებს/ტრენინგებს. ამავდროულად, მაღალია რესპონდენტთა წილი (44.4%), ვისაც აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ აქვს. (იხ. ცხრილი #5.16)

ცხრილი #5.16

თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს თუ არა.... (N=4771)	დიახ, ასეთი ღონისძიებები ხორციელდება სემესტრში 4-ზე მეტჯერ	დიახ, ასეთი ღონისძიებები ხორციელდება სემესტრში 2-4-ჯერ	დიახ, ასეთი ღონისძიებები ხორციელდება სემესტრში ერთხელ	საერთოდ არ ხორცილდება მსგავსი ღონისძიებები	არ ვფლობ ინფორმაციას
	%				
... უცხოელი სტუდენტების კულტურული ინტეგრაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს?	13.3	12.0	9.6	6.9	58.2
... მომავალი პროფესიის უკეთ გასაცნობად დამსაქმებლებთან/ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრებს/ტრენინგებს?	19.2	17.1	10.8	8.4	44.4

საქართველოს არამოქალაქე სტუდენტების შედარებით დიდი ნაწილი (42.9%) და საქართველოს მოქალაქე სტუდენტების მესამედი (33.8%) აღასტურებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უცხოელი სტუდენტების კულტურული ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების რაიმე სიხშირით განხორციელებაზე. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ სქართველოს მოქალაქე სტუდენტთა უმრავლესობა (61.9%) ასეთ ღონისძიებებზე ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო

საქართველოს არამოქალაქე სტუდენტების თითქმის მესამედი (30.9%) უარყოფს უსდ-ს მიერ ასეთი ღონისძიებების ჩატარებას. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=432.225; P<0.05). (იხ. დიაგრამა #5.3)

დიაგრამა #5.3



სტუდენტთა თანახმად, კვირის განმავლობაში სააუდიტორიო სწავლაზე საშუალოდ დაახლოებით 17 საათს ხარჯავენ (Mean=16.89). ამავდროულად, მედიანური მაჩვენებლის თანახმად (Median=16), სტუდენტთა ნახევარი კვირის განმავლობაში 16 საათზე ნაკლებს ხარჯავს სააუდიტორიო სწავლაზე. მეორე მხრივ, კვირის განმავლობაში დამოუკიდებელი მეცადინეობის დროდ საშუალოდ ასევე 17 საათი განისაზღვრა (Mean=16.56), ხოლო სტუდენტთა ნახევარი კვირაში 14 საათზე (Median=14) ნაკლებ დროს ხარჯავს დამოუკიდებელ მეცადინეობაზე. ჯამურად, კვირის განმავლობაში სწავლასა და მეცადინეობაზე რესპონდენტები საშუალოდ 33 საათს ხარჯავენ (Mean=33.44), ხოლო სტუდენტთა ნახევარი კვირის განმავლობაში ჯამურად 31 საათს (Median=31) გამოყოფს სწავლაზე. (იხ. ცხრილი #5.17)

ცხრილი #5.17

რამდენ საათს ხარჯავთ კვირის განმავლობაში (შაბათ-კვირის ჩათვლით) სააუდიტორიო სწავლასა და დამოუკიდებელ მეცადინეობაზე მიმდინარე სემესტრში? (N=4771)	**საშუალო მაჩვენებელი**	**მედიანური მაჩვენებელი**
სააუდიტორიო სწავლა (ლექციები, სემინარები, ლაბორატორიული მეცადინეობები, ტესტები, პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო პროგრამის ონლაინ კურსები და ა.შ.)	16.89	16.00
დამოუკიდებელი მეცადინეობის დრო (მომზადება, სწავლა, საშინაო დავალება, უფასო სტაჟირება და ა.შ.)	16.56	14.00
სწავლაზე დახარჯული ჯამური დრო კვირის განმავლობაში	33.44	31.00

გამოკითხული სტუდენტების შედარებით დიდი ნაწილი ამბობს, რომ მიესალმებიან მიმდინარე სემესტრის განმავლობაში არსებულ დატვირთვას და დახარჯული დროის თვალსაზრისით. არ გამოთქვამენ ნაკლები ან მეტი დატვირთვის სურვილს სააუდიტორიო სწავლაზე (48.7%), დამოუკიდებელ მეცადინეობაზე (46.3%), ანაზღაურებად სამსახურზე (51.6%). (იხ. ცხრილი #5.18)

ცხრილი #5.18

ჩამოთვლილი აქტივობების მიხედვით, შეაფასეთ, თუ როგორ დატვირთვას ისურვებდით მიმდინარე სემესტრში (N=4771)	ნაკლებ დატვირთვას	იგივე დატვირთვას	მეტ დატვირთვას
	%		
საუდიტორიო სწავლაზე დახარჯული დრო	30.3	48.7	20.9
დამოუკიდებელ მეცადინეობაზე დახარჯული დრო	24.1	46.3	29.6
ანაზღაურებად სამსახურ(ებ)ზე დახარჯული დრო	18.4	51.6	30.0

სქესის ჭრილში მონაცემთა განხილვის შედეგად ვლინდება, რომ დამოუკიდებელ მეცადინეობაზე დახარჯული დროის შემთხვევაში მამრობითი სქესის სტუდენტები უფრო მეტად (51.1%) გამოთქვამენ სურვილს, მიმდინარე სემესტრში იგივე დატვირთვა ჰქონდეთ, ვიდრე მდედრობითი სქესის სტუდენტები (42.1%). ამავდროულად, მდედრობითი სქესის რესპონდენტები უფრო მეტად (32.9%) მიუთითებენ მეტი დატვირთვის სურვილზე, ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტები (25.7%).

ანაზღაურებად სამსახურზე დახარჯული დროის თვალსაზრისით, მამრობითი სქესის წარმომადგენლები შედარებით ხშირად ასახელებენ (56.2%), რომ სურთ იგივე დატვირთვა, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები (47.8%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.19)

ცხრილი #5.19

როგორ დატვირთვას ისურვებდით მიმდინარე სემესტრში (სქესის ჭრილში) (N=4771)		ნაკლებ დატვირთვას	იგივე დატვირთვას	მეტ დატვირთვას
		%		
დამოუკიდებელ მეცადინეობაზე დახარჯული დრო (X^2=40.268; P<0.05)	მდედრობითი	25.0	42.1	32.9
	მამრობითი	23.1	51.1	25.7
ანაზღაურებად სამსახურ(ებ)ზე დახარჯული დრო (X^2=27.538; P<0.05)	მდედრობითი	20.5	47.8	31.6
	მამრობითი	15.9	56.2	28.0

გამოკითხული სტუდენტები მიიჩნევენ, რომ მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამის ფარგლებში, **დანარჩენ სტუდენტებთან შედარებით, უკეთესი (44.9%) ან თანაბრად კარგი (44.6%) სწავლის შედეგები აქვთ.** (იხ. დიაგრამა #5.4)

დიაგრამა #5.4



გამოკითხულ სტუდენტთა შორის ნახევარზე მეტი (54.8%) **კმაყოფილებას გამოთქვამს** სასწავლო პროცესის მიმართ. უკმაყოფილოთა წილი 15%-ს არ აღემატება (იხ. დიაგრამა #5.5)

დიაგრამა #5.5



აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველოს არამოქალაქე (53%), ასევე საქართველოს მოქალაქე (55.1%) სტუდენტთა ნახევარზე მეტი სასწავლო პროცესის მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამს. ნეგატიურ დამოკიდებულებას აფიქსირებს საქართველოს არამოქალაქე სტუდენტთა თითქმის მეხუთედი (18.1%) და საქართველოს მოქალაქეთა 14.3%. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=81.056; P<0.05). (იხ. დიაგრამა #5.6)

დიაგრამა #5.6



სასწავლო მიმართულებების ჭრილში დადებითი ტენდენცია ნარჩუნდება სასწავლო პროცესის შეფასებების თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ გამონაკლისს წარმოადგენს მეცნიერებები/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, რადგანაც სტუდენტები თანაბრად აფიქსირებენ სასწავლო პროცესის მიმართ კმაყოფილებას (38.6%), ამავდროულად კი, აფიქსირებენ, რომ არც კმაყოფილი არიან და არც უკმაყოფილონი (38.6%). საპირისპიროდ. აგრარული მეცნიერების სტუდენტები ყველაზე ხშირად აფიქსირებენ სასწავლო პროცესისადმი კმაყოფილებას (66.9%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X2=113.597; P<0.05) (იხ. დიაგრამა #5.7)

დიაგრამა #5.7



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჭრილში სასწავლო პროცესით კმაყოფილებას ყველაზე ხშირად კოლეჯის სტუდენტები გამოთქვამენ (81.1%), შემდეგ- სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები (72.2%), ბოლოს კი- უნივერსიტეტის სტუდენტები (52.2%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X2=195.679; P<0.05) (იხ. დიაგრამა #5.8)

დიაგრამა #5.8



სასწავლო საფეხურის ჭრილში სასწავლო პროცესისადმი კმაყოფილებას, სხვა ჯგუფებთან შედარებით, ხშირად აფიქსირებენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (58.9%), შემდეგ კი, ბაკალავრიატზე მყოფი სტუდენტები (55.6%). მაგისტრატურისა (50%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (49.9%) შემთხვევაში კმაყოფილია სტუდენტთა ნახევარი. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა ($X2=39.343$; $P<0.05$) (იხ. დიაგრამა #5.9)

დიაგრამა #5.9



რესპონდენტთა უმრავლესობა (55.1%) მიიჩნევს, რომ მათ სასწავლო პროგრამაში მიღებული **ცოდნა საკმარისია პროფესიის ფარგლებში ამა თუ იმ მიმართულების არჩევისას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.** (იხ. დიაგრამა #5.10)

დიაგრამა #5.10



როგორც საქართველოს მოქალაქე (55.3%), ასევე საქართველოს არამოქალაქე (54.4%) სტუდენტების ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მათ სასწავლო პროგრამაში მიღებული ცოდნა საკმარისია პროფესიის ფარგლებში ამა თუ იმ მიმართულების არჩევისას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. საპირისპირო დამოკიდებულებას აფიქსირებს საქართველოს არამოქალაქე სტუდენტთა თითქმის მეხუთედი (18.8%) და საქართველოს მოქალაქე სტუდენტთა 17.2%. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X2=49.727; P<0.05). (იხ. დიაგრამა #5.11)

დიაგრამა #5.11



კორელაციური ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ყველა **სასწავლო მიმართულების ჭრილში** სტუდენტების დაახლოებით ნახევარი მიიჩნევს, რომ მათ სასწავლო პროგრამაში მიღებული ცოდნა საკმარისია პროფესიის ფარგლებში ამა თუ იმ მიმართულების არჩევისას ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. გამონაკლისს კვლავ წარმოადგენენ მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტუდენტები - ამ ჯგუფში დადებით პასუხს 40.8% აფიქსირებს. მეორე მხრივ, განსაკუთრებით დადებითად არიან განწყობილნი აგრარული მეცნიერებისა (65.4%) და განათლების (65.9%) მიმართულების სტუდენტები. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X2=103.547; P<0.05) (იხ. დიაგრამა #5.12)

დიაგრამა #5.12



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნას ყველაზე ხშირად კოლეჯის სტუდენტები მიიჩნევენ საკმარისად (78.4%), შემდეგ კი - სასწავლო უნივერსიტეტის (69.1%) და უნივერსიტეტის (53%) სტუდენტები. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა X2=97.498; P<0.05). (იხ. დიაგრამა #5.13)

დიაგრამა #5.13



სასწავლო საფეხურის ჭრილში მონაცემთა განხილვამ გამოავლინა, რომ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად მათი პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა შედარებით ხშირად ფასდება საკმარისად იმ სტუდენტების მიერ(64%), რომლებიც სწავლობენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/ მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. დადებითი შეფასება დაახლოებით თანაბრად სახელდება ბაკალავრიატისა (54.2%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში (54.6%). მაგისტრატურის სტუდენტებში მაჩვენებელი შედარებით დაბალია (42.4%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X2=61.593; P<0.05). (იხ. დიაგრამა #5.14)

დიაგრამა #5.14



სტუდენტების შედარებით დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ მათთვის **ადეკვატური სამსახურის პოვნის შესაძლებლობა ექნებათ, როგორც ეროვნულ შრომის ბაზარზე (46.3%), ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე (38.8%).** (იხ. ცხრილი #5.20).

ცხრილი #5.20

როგორ აფასებთ თქვენს პირად შესაძლებლობას, რომ მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ იპოვით თქვენთვის ადეკვატურ სამსახურს? (N=4771)	ძალიან მაღალი შესაძლებლობა	2	3	4	ძალიან დაბალი შესაძლებლობა	ვერ ვაფასებ
	%					
ეროვნულ შრომის ბაზარზე	22.5	23.8	26.8	12.7	6.9	7.3
საერთაშორისო შრომის ბაზარზე	18.1	20.7	29.3	13.4	9.9	8.6

უმაღლესი სასწავლებლის ტიპის მიხედვით, ადეკვატური სამსახურის პოვნის შესაძლებლობას უფრო მეტად პოზიტიურად აფასებენ კოლეჯისა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებიც უნვიერსიტეტში სწავლობენ. აღნიშნული ეხება როგორც ეროვნული (უნივერსიტეტი-43.9%; სასწავლო უნივერსიტეტი-63%; კოლეჯი-73%), ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზარს (უნივერსიტეტი-37.4%; სასწავლო უნივერსიტეტი-48%; კოლეჯი-62.2%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #5.21)

ცხრილი #5.21

როგორ აფასებთ თქვენს პირად შესაძლებლობას, რომ მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ იპოვით თქვენთვის ადეკვატურ სამსახურს? (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		**ძალიან მაღალი შესაძლებლობა**	**2**	**3**	**4**	**ძალიან დაბალი შესაძლებლობა**	**ვერ ვაფასებ**
		%					
ეროვნულ შრომის ბაზარზე (X^2=113.597; P<0.05)	უნივერსიტეტის	20.6	23.3	27.5	13.5	7.3	7.9
	სასწავლო უნივერსიტეტი	37.6	25.4	21.9	7.9	4.7	2.5
	კოლეჯი	24.3	48.6	16.2	5.4	2.7	2.7
საერთაშორისო შრომის ბაზარზე (X^2=67.507; P<0.05)	უნივერსიტეტის	16.7	20.6	29.3	13.8	10.5	9.1
	სასწავლო უნივერსიტეტი	28.3	19.6	29.9	10.7	5.8	5.6
	უნივერსიტეტის	18.9	43.2	24.3	5.4	2.7	5.4

ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე ადეკვატური სამსახურის მოძიების შესაძლებლობები გაანალიზდა **სასწავლო მიმართულებების ჭრილში.** როგორც ირკვევა, ეროვნულ ბაზარზე ადეკვატური სამსახურის მოძიების თვალსაზრისით, შედარებით ნაკლებ ოპტიმისტურად არიან განწყობილი სოციალური მეცნიერებების (35.3%), ხელოვნების (35.1%) და მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (35.3%) სასწავლო მიმართულებების სტუდენტები. მეორე მხრივ, სხვა მიმართულებებთან შედარებით, დადებითად განწყობილი არიან აგრარული მეცნიერებებისა (55.5%) და განათლების (56.8%) მიმართულების სტუდენტები.

საერთაშორისო დონეზე დასაქმების მოძიების თვალსაზრისით, ხელოვნების (30.9%) მიმართულების სტუდენტები ნაკლებ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. საპირისპიროდ, აგრარული მეცნიერებების (47.2%) სტუდენტები, სხვა მიმართულებების სტუდენტებთან შედარებით, უფრო მეტად დადებითად უყურებენ საერთაშორისო ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობებს. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილი #5.22)

ცხრილი #5.22

იპოვით თქვენთვის ადეკვატურ სამსახურს? (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (N=4771) *1=ძალიან მაღალი შესაძლებლობა 5=ძალიან დაბალი შესაძლებლბა 7=ვერ ვაფასებ*		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/სიბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
ეროვნულ შრომის ბაზარზე (X^2=166.896; P<0.05)	1	25.8	28.3	26.2	20.1	16.3	23.9	17.1	17.0	26.3	25.0	15.8	23.2
	2	29.7	25.5	30.6	26.0	19.0	22.2	18.3	18.1	24.2	21.2	28.4	27.4
	3	28.1	26.6	23.5	25.0	31.5	26.2	28.2	35.1	24.2	25.9	29.8	28.4
	4	7.0	8.6	11.5	13.5	13.0	13.5	18.7	11.7	11.7	14.7	11.3	8.4
	5	3.1	7.0	4.9	5.9	11.4	7.3	10.7	10.6	5.0	3.5	7.8	6.3
	77	6.3	4.0	3.3	9.5	8.7	6.9	6.9	7.4	8.6	9.7	7.0	6.3
საერთაშორისო შრომის ბაზარზე (X^2=136.710; P<0.05)	1	22.0	19.8	16.9	18.5	15.3	19.0	13.1	16.0	22.7	16.7	14.2	19.8
	2	25.2	19.0	23.0	21.2	19.1	17.6	20.2	14.9	20.5	22.8	25.0	21.9
	3	30.7	28.2	33.9	27.1	29.5	26.1	28.1	29.8	29.7	26.9	39.0	31.3
	4	8.7	14.7	12.6	15.4	12.6	17.0	16.0	13.8	11.3	13.5	6.7	9.4
	5	7.1	12.3	7.7	7.5	13.1	12.2	13.7	8.5	7.1	8.5	8.3	8.3
	77	6.3	6.1	6.0	10.4	10.4	8.1	8.8	17.0	8.7	11.7	6.7	9.4

რეგიონის ჭრილში ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ ეროვნულ შრომის ბაზარზე პირად შესაძლებლობებს ყველაზე დადებითად აფასებენ სამეგრელო-ზემო სვანეთში (72.4%) გამოკითხული რესპონდენტები, ხოლო შედარებით ნაკლებ პოზიტიურ შეფასებას აფიქსირებენ თბილისსა (44.7%) და აჭარაში (49.1%). რაც შეეხება საერთაშორისო შრომის ბაზარს, თავიანთ შესაძლებლობებს შედარებით დადებითად უყურებენ კახეთში (52%), ხოლო ნაკლებ პოზიტიურად- სამეგრელო-ზემო სვანეთსა (33.3%) და თბილისში (37.4%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დიაგრამა #5.15)

დიაგრამა #5.15



სასწავლო საფეხურის ჭრილში მონაცემთა ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ ეროვნულ ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობას ყველაზე ოპტიმისტურად უყურებენ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (51.3%). სხვა ჯგუფებთან შედარებით დაბალია ბაკალავრიატის სტუდენტების მიერ დაფიქსირებული დადებითი მაჩვენებელი (44.9%).

რაც შეეხება საერთაშორისო შრომის ბაზარს, შედარებით ოპტიმისტურად არიან განწყობილი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე (44.5%). ამ მხრივ ნაკლებად დადებითად არიან განწყობილი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (36.7%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დიაგრამა #5.16)

დიაგრამა #5.16



თავი 6. სასწავლო პროცესის გაციფრულება და სტუდენტური ცხოვრება

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, რესპონდენტთაგან ყოველ მესამეს (33.6%) ნახევარჯერ სრულად დისტანციურად, ნახევარჯერ კი სრულად პირისპირ უტარდება სალექციო სწავლება. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის დაყოფა რესპონდენტთა 33.1%-სთვის წარმოადგენს სააუდიტორიო და ციფრულ სწავლებას შორის დროის გადანაწილების იდეალურ თანაფარდობას. ამასთან, თითქმის თანაბარია (მეხუთედია) მათი რაოდენობა, რომელთაც სრულად დისტანციურად (19.9%) ან სრულად პირისპირ უტარდებათ ლექციები (20.2%). თუმცა საგულისხმოა, რომ ისეთ სტუდენტთა წილი, რომლებიც უპირატეს მნიშვნელობას, როგორც იდეალურ ვარიანტს, პირისპირ სწავლებას (25.3%) ანიჭებენ, 9%-ით აღემატება სრულად დისტანციური სწავლების მომხრეთა წილს (16%) (იხ. დიაგრამა #6.1).

დიაგრამა #6.1



რეგიონის ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ კახეთის რეგიონში სტუდენტების უმრავლესობა - 54.9% **სრულად დისტანციურად** სწავლობს, სხვა რეგიონებში კი ასეთ რესპონდენტთა წილი მნიშვნელოვნად დაბალია. რამდენადმე გამოირჩევა, აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთი, სადაც სტუდენტთა 38.9% მიუთითებს სრულად დისტანციურად სწავლის გამოცდილებაზე. **სრულად პირისპირ** სწავლის პროცესში ჩართულ სტუდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა შიდა ქართლის (28.8%) რეგიონსა და თბილისში (22.7%). არსებული რეალობის პარალელურად, რესპონდენტებმა მიუთითეს სწავლების მათთვის მოსახერხებელი/სასურველი ფორმატი, კერძოდ - დისტანციურად და პირისპირ სწავლების მათთვის იდეალური თანაფარდობა. კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ტენდენციის თანახმად, თითოეულ რეგიონში ყოველ მესამე ან თითქმის ყოველ მესამე სტუდენტს სურს, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ დისტანციურად და ნაწილობრივ პირისპირ ჩატარდეს. ისეთთა წილი, რომელთათვისაც პრიორიტეტული სრულად დისტანციური სწავლა აღმოჩნდა, ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთში სჭარბობს - 20%, ხოლო ისეთთა რაოდენობა, რომლებიც სრულად პირისპირ სწავლებას ემხრობიან - ყველაზე მაღალი დედაქალაქშია - 25.9% (იხ. ცხრილი #6.1)

ცხრილი #6.1

დისტანციური და პირისპირი სწავლის მოდელების ამჟამინდელი თანაფარდობა და თქვენთვის იდეალური თანაფარდობა (N=4770) (რეგიონის ჭრილი)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
ამჟამინდელი თანაფარდობა (χ^2=232.433; p<0.05)	სრულად დისტანციური	20.1	54.9	12.4	16.8	13.5	27.6	38.9
	2	14.5	13.7	28.3	20	15.4	34.5	24.1
	3	31.6	23.5	51.2	40.5	32.7	31	31.5
	4	11.1	3.9	3.2	9.8	9.6	3.4	1.9
	სრულად პირისპირი	22.7	3.9	4.9	13	28.8	3.4	3.7
იდეალური თანაფარდობა (χ^2=54.521; p<0.05)	სრულად დისტანციური	15.7	34.6	13.8	18.3	13.2	16.7	20
	2	12.8	13.5	18.4	20.3	15.1	20	23.6
	3	32.4	30.8	44	31.3	34	33.3	34.5
	4	12.2	7.7	8.2	9.5	9.4	20	3.6
	სრულად პირისპირი	26.9	13.5	15.6	20.8	28.3	10	18.2

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მაგისტრატურის (55.9%) საფეხურზე მყოფ სტუდენტებს, მიმდინარე პერიოდში, უფრო მეტად აქვთ **სრულად ან უფრო მეტად დისტანციურად, ვიდრე პირისპირ სწავლის** პრაქტიკა. მაგისტრანტებთან შედარებით ეს მაჩვენებელი ნაკლებია ბაკალავრიატის (37%), ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (34.5%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (20.1%) სტუდენტებში. ამ უკანასკნელთა შემთხვევაში სწავლების პროცესის **სრულად პირისპირ ან უფრო მეტად პირისპირ, ვიდრე დისტანციურ** რეჟიმში მიმდინარეობაზე მიუთითებს თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი (ჯამში, 48.9%), მაშინ, როდესაც ასეთთა წილი მაგისტრატურის საფეხურზე მყოფთა შემთხვევაში 16%-ს, ხოლო ბაკალავრიატის და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 31%-ს უტოლდება.

რაც შეეხება დისტანციურად და პირისპირ სწავლების **იდეალურ** თანაფარდობას, საგულისხმოა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე მყოფთა შორის (სხვა საფეხურებთან შედარებით) უფრო მეტად იკვეთება სრულად დისტანციურ რეჟიმში სწავლის უპირატესობა (თითქმის ყოველი მეოთხე მაგისტრანტი ამას უჭერს მხარს). სხვა საგანმანთლებლო საფეხურებზე მყოფ იმ რესპონდენტთა რაოდენობას შორის, რომლებიც ამჟამად პირისპირ მეთოდით სწავლობენ და სწავლის იდეალურ ფორმადაც ამავეს ასახელებენ, მნიშვნელოვანი სხვაობა არ ფიქსირდება (მაქსიმუმ 8%-იანი სხვაობა) (იხ. ცხრილი #6.2)

ცხრილი #6.2

დისტანციური და პირისპირი სწავლის მოდელების ამჟამინდელი თანაფარდობა და თქვენთვის იდეალური თანაფარდობა (N=4770) (საგანმანათლებლო საფეხურის ჭრილი)		ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
		%			
ამჟამინდელი თანაფარდობა (χ^2=286.774; p<0.05)	სრულად დისტანციური	20.7	35.8	19	7.3
	2	16.3	20.1	15.5	12.8
	3	35	28.2	34.5	30.9
	4	8.6	5.6	17.9	18.5
	სრულად პირისპირი	19.4	10.3	13.1	30.4
იდეალური თანაფარდობა (χ^2=122.324; p<0.05)	სრულად დისტანციური	17	23.2	19	7.7
	2	13.7	19.2	14.3	12.3
	3	33.8	30.7	38.1	31
	4	10.4	11.1	13.1	16
	სრულად პირისპირი	25.1	15.9	15.5	33

საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის ჭრილში მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტთა 81.1%-ს, მიმდინარე პერიოდში, ლექციები სრულად/უმეტესად დისტანციურ ფორმატში უტარდება. ამავე საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოკითხულთა მხოლოდ 32.4% აცხადებს, რომ მათთვის იდეალური ვარიანტი საგანმანათლებლო პროცესის სრულად/უმეტესად ონლაინ წარმართვაა, ყოველი მესამე რესპონდენტი კი უპირატესობას პირისპირ (სრულად ან უმეტესად) ფორმატს ანიჭებს. უნივერსიტეტების სტუდენტთაგან ყოველმა მესამემ (33.9%) აღნიშნა, რომ დისტანციურად სწავლობენ, თუმცა უნივერსიტეტების სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობა (37,4%) იდეალურ ვარიანტად ასახელებს პირისპირ სწავლების მეთოდს. რაც შეეხება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს, მათ შემთხვევაში თითქმის ყოველი მეორე სტუდენტი, მიმდინარე პერიოდში, ონლაინ სწავლებაშია ჩართული, მხოლოდ მეხუთედმა მიუთითა ლექციების აუდიტორიებში ჩატარების გამოცდილებაზე. ამ უკანასკნელთა 44.1%-სთვის სასურველი ფორმატი დისტანციური სწავლებაა, 32.6% კი უპირატესობას პირისპირ რეჟიმში ჩატარებულ ლექციებს ანიჭებს (იხ. ცხრილი #6.3).

ცხრილი #6.3

დისტანციური და პირისპირი სწავლის მოდელების ამჟამინდელი თანაფარდობა და თქვენთვის იდეალური თანაფარდობა (N=4770) (საგანმანათლებლო დაწესებულების ჭრილი)		უნივერსიტეტი	სასწავლო უნივერსიტეტი	კოლეჯი
		%		
ამჟამინდელი თანაფარდობა (χ^2=150.155; p<0.05)	სრულად დისტანციური	17.4	35.5	67.6
	2	16.4	13.8	13.5
	3	34.4	28.9	13.5
	4	10.6	7.6	2.7
	სრულად პირისპირი	21.2	14.3	2.7
იდეალური თანაფარდობა (χ^2=103.018; p<0.05)	სრულად დისტანციური	14.1	30.7	21.6
	2	14.2	13.4	10.8
	3	34.3	23.3	35.1
	4	11.5	10.7	18.9
	სრულად პირისპირი	25.9	21.9	13.5

სასწავლო პროგრამების ჭრილში მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ მიმდინარე პერიოდში სტუდენტებისთვის ლექციების დისტანციურ/ონლაინ რეჟიმში ჩატარების პრაქტიკა განსხვავებულია სასწავლო მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, ინჟინერიის (29.2%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა (27.2%) და ჯანდაცვის პროგრამების (20.5%) სტუდენტთა შორის, სხვა პროგრამებთან შედარებით, ყველაზე დაბალია ისეთთა წილი, რომლებიც **სრულად დისტანციურად ან უფრო მეტად დისტანციურად, ვიდრე პირისპირ** სწავლობენ. მათ შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ **სრულად ონლაინ** მიმდინარეობს მათი სასწავლო პროცესი, ყველაზე მაღალია ბიზნესისა და ადმინისტრირების პროგრამაზე ჩარიცხულთა რაოდენობა (32.4%), ყველაზე დაბალი კი, ჯანდაცვის პროგრამაზე (8%). ამასთან, იმ რესპონდენტების წილი, რომლებსაც მიმდინარე პერიოდში სწავლება **სრულად პირისპირ ან უფრო მეტად პირისპირ, ვიდრე ონლაინ** რეჟიმში უტარდებათ, ყველაზე მაღალია ჯანდაცვის (49%) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (40.8%) სასწავლო პროგრამების შემთხვევაში. **სრულად პირისპირ** ყველაზე ნაკლებად სწავლობენ განათლების (6.5%) პროგრამის სტუდენტები. იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებსაც ლექციები სანახევროდ დისტანციურად, სანახევროდ კი პირისპირ უტარდებათ, თითოეული სასწავლო პროგრამის ფარგლებში 27.2%-43.3%-ს შორის მერყეობს.

საკითხის შესახებ- სწავლების რომელი ფორმატია (პირისპირი თუ დისტანციური) სტუდენტებისთვის იდეალური ვარიანტი - არსებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება სასწავლო პროგრამების ჭრილში აჩვენებს, რომ ჯანდაცვისა (48.4%) და სოციალური მეცნიერებების (41.7%) სტუდენტთა დიდი ნაწილი პირისპირ სწავლებას ანიჭებს უპირატესობას („სრულიად პირისპირ+უფრო მეტად პირისპირ, ვიდრე ონლაინ). რაც შეეხება იმ სასწავლო პროგრამებს, რომლის სტუდენტთა დიდი ნაწილი ონლაინ მეთოდით სწავლებას უპირატეს ვარიანტად განიხილავს, არის განათლება (47%), აგრარული მეცნიერებები (42.5%) და ბიზნესი და ადმინისტრირება (43.2%). სხვა მიმართულებების შემთხვევაში ანალოგიური განწყობის მქონე სტუდენტთა წილი 25%-დან 37.3%-მდე მერყეობს (იხ. ცხრილი #6.4)

ცხრილი #6.4

დისტანციური და პირისპირი სწავლის მოდელების ამჟამინდელი თანაფარდობა და თქვენთვის იდეალური თანაფარდობა (N=4770) (სასწავლო პროგრამის ჭრილი)	ამჟამინდელი თანაფარდობა (χ^2=407.598; p<0.05)					იდეალური თანაფარდობა (χ^2=283.019; p<0.05)				
	სრულად დისტანციური	2	3	4	სრულად პირისპირ	სრულად დისტანციური	2	3	4	სრულად პირისპირ
აგრარული მეცნიერებანი	22	27.6	33.1	4.7	12.6	20.5	22	33.9	7.9	15.7
ბიზნესის ადმინისტრირება	32.4	16.4	32.7	3.3	15.2	29	14.2	31.2	8.6	17
განათლება	28.8	26.1	27.2	11.4	6.5	21.1	26.5	29.7	9.7	13
ინჟინერია	13.3	15.9	39.8	13.1	17.9	11.9	13.2	38.4	14.1	22.5
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	10.9	16.3	32.1	12	28.8	12.5	14.7	34.2	11.4	27.2
სამართალი	26.3	13.3	33.4	8.7	18.3	22.4	14.9	28.4	11	23.4
სოციალური მეცნიერებები	25.8	14.8	29.5	8.9	20.9	11.6	12.2	34.4	8.3	33.4
ხელოვნება	16.8	15.8	34.7	7.4	25.3	12.9	15.1	34.4	10.8	26.9
ჯანდაცვა	8	12.5	30.5	19	30	8.9	12.1	30.6	14.7	33.7
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	21.1	18.5	34.6	5.6	20.2	14.7	12.6	33.7	10	29
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	14.2	18	43.3	7.3	17.2	14.7	13.4	36.4	16.8	18.7
<არ არის გაწერილი>	16.8	16.8	32.6	12.6	21.1	14.6	13.5	35.4	9.4	27.1

რესპონდენტთა უმრავლესობას, სახლში ყოფნისას, ყოველთვის მიუწვდება ხელი სასწავლო საჭიროების ისეთ რესურსებზე, როგორებიცაა: კომპიუტერი/ლეპტოპი/პლანშეტი (62.4%), სამუშაო მაგიდა (58.4%) და საკმარისი ინტერნეტ კავშირი (51.1%). შედარებით მცირეა მათი წილი, რომლებიც სწავლის პროცესში მშვიდი გარემოთი (39.3%) არიან უზრუნველყოფილნი (იხ. დიაგრამა #6.2)

დიაგრამა #6.2



სახლში ყოფნისას სწავლის პროცესისთვის საჭირო სხვადასხვა რესურსზე თუ გარემოებაზე ხელმისაწვდომობის გაანალიზება რესპონდენტთა საცხოვრებელი რეგიონების ჭრილში აჩვენებს, რომ გარდა იმერეთისა (48.2%), თითოეულ რეგიონში გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობას აქვს **კომპიუტერზე** ხელმისაწვდომობა. ასევე, ყოველი მეორე რესპონდენტი მიუთითებს, რომ სწავლის პროცესისთვის საჭირო- **სამუშაო მაგიდაზე** აქვს პერმანენტულ ხელმისაწვდომობა. რაც შეეხება **მშვიდ სამუშაო გარემოს,** როგორც აღმოჩნდა, ამ თვალსაზრისით ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში სამეგრელოში მცხოვრები სტუდენტები არიან (51.7% - ყოველთვის მიუწვდება ხელი). ამ უკანასკნელის დეფიციტს ყველაზე მეტად განიცდიან იმერეთსა და თბილისში. კერძოდ, ამ ორ რეგიონში ისეთთა წილი, რომლებსაც სასწავლო საჭიროების შემთხვევაში მშვიდ სამუშაო გარემოში შეუძლიათ განმარტოვდნენ - იმერეთში მხოლოდ 33.3%-ს უტოლდება, ხოლო თბილისში - 39%-ს (იხ. ცხრილი #6.5).

ცხრილი #6.5

სახლში ყოფნისას, სასწავლო საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიგიწვდებათ...? (N=4770) (რეგიონის ჭრილი)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
კომპიუტერზე/ლეპტოპზე/პლანშეტზე (χ^2=89.546; p<0.05)	ყოველთვის	64	68.6	48.2	59.3	57.7	56.7	53.7
	2	11.5	11.8	16.7	9.5	9.6	23.3	18.5
	3	11.9	11.8	25.9	17.8	17.3	6.7	20.4
	4	5.7	3.9	6	6	5.8	3.3	3.7
	არასდროს	3.7	2	2.5	3.0	7.7	6.7	1.9
	შეუსაბამოა ჩემს საჭიროებებთან	3.3	2	0.7	4.5	1.9	3.3	1.9
სამუშაო მაგიდაზე (χ^2=66.143; p<0.05)	ყოველთვის	59	64.7	51.6	55.9	61.5	65.5	52.7
	2	11.7	11.8	13.9	10.5	7.7	20.7	18.2
	3	15.4	11.8	26.7	19.7	19.2	6.9	16.4
	4	6	3.9	7.1	7	5.8	3.4	7.3
	არასდროს	4.4	5.9	0.4	2	1.9	-	1.8
	შეუსაბამოა ჩემს საჭიროებებთან	3.5	2	0.4	5	3.8	3.4	3.6
სასწავლად მშვიდ გარემოზე (χ^2=48.362; p<0.05)	ყოველთვის	39	52.9	33.3	42.8	46.2	51.7	40
	2	19.6	15.7	25.5	20.3	13.5	27.6	27.3
	3	21.7	15.7	29.8	20	21.2	10.3	23.6
	4	10.8	9.8	8.2	10.3	11.5	6.9	7.3
	არასდროს	5.2	3.9	1.8	3.3	3.8	-	-
	შეუსაბამოა ჩემს საჭიროებებთან	3.7	2	1.4	3.5	3.8	3.4	1.8

მიმდინარე სემესტრში სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების/მასალის ციფრული ხელმისაწვდომობის მიმართ საკუთარი კმაყოფილება რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე გამოხატეს, რომელზეც ქულა 1 უკიდურესად დადებით შეფასებას აღნიშნავდა („ძალზე კმაყოფილი“), ხოლო ქულა 5 - უკიდურესად ნეგატიურ შეფასებას („სრულიად უკმაყოფილო“). რესპონდენტთა უმრავლესობა შეფასების დადებით ველში („ძალზე კმაყოფილი+უფრო მეტად კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო“) აქცევს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა:

- პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსები/ლექციები - 53.3%;
- ონლაინ გამოცდები - 56.3%;
- მოთხოვნილი სასწავლო მასალები (მაგ. ტექსტები, წიგნები და სხვ.) – 61.5%;
- ადმინისტრაციული მომსახურება (მაგ. რეგისტრაცია) – 51.7%;

უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი შედარებით მაღალია ისეთი სერვისების შემთხვევაში, როგორებიცაა:

- კურსების/ლექციების ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობა - 20.3%;
- საკონსულტაციო მომსახურება - 18.6%;

იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც თითოეული ასპექტის/მომსახურების მიმართ საკუთარი კმაყოფილების შესაფასებლად ნეიტრალურ ნიშნულს იყენებენ (ქულა 3) 22%-26.5%-ს შორის ვარირებს (იხ. დიაგრამა #6.3).

დიაგრამა #6.3



სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების/მასალის ციფრული ხელმისაწვდომობის მიმართ სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის კუთხით **რეგიონებს** შორის გარკვეული ვარიაციები ვლინდება. კერძოდ, მაშინ, როდესაც კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში კვლევაში მონაწილე რესპონდენტთაგან ყოველი მეორე **ძალზე კმაყოფილია** პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსებით/ლექციებით, ლექციების ჩანაწერებზე/აუდიომასალაზე ხელმისაწვდომობით, ონლაინ გამოცდებით, სწავლის პროცესში საჭირო მასალებზე (წიგნები, ტესტები და სხვ.) წვდომით, ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებებით, სხვა რეგიონებში ანალოგიური განწყობის მქონეთა პროცენტული მაჩვენებელი რამდენადმე დაბალია. კერძოდ, კახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის გარდა, სხვა რეგიონების შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილი ცალკეული დეტალის მიმართ ძალზე კმაყოფილთა წილი 25.3-42.3%-ს შორის ვარირებს. რაც შეეხება **უკმაყოფილოთა** რაოდენობას („სრულიად უკმაყოფილო“+“უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი“), მონაცემების სტატისტიკური ანალიზით შემდეგი თვალსაჩინო ტენდენციები გამოიკვეთა:

- თბილისში გამოკითხულ სტუდენტთა მეხუთედი ონლაინ ლექციების/კურსების აუდიოჩანაწერებზე ხელმისაწვდომობისა (20.7%) და გაწეული საკონსულტაციო მომსახურების (20%) მიმართ გამოხატავს უკმაყოფილებას; 18,5% ასევე უკმაყოფილოა ადმინისტრაციული სერვისებით.

- აჭარის რეგიონში სტუდენტების მეოთხედი (25.4%) შეფასების ნეგატიურ ველში აქცევს ლექციების/კურსების აუდიოჩანაწერებზე ხელმისაწვდომობით კმაყოფილების დონეს; ასევე, არცთუ ისე დაბალია ონლაინ რეჟიმში მიმდინარე ლექციების/კურსების ხარისხითა (18.2%) და ადმინისტრაციული მომსახურებით უკმაყოფილოთა წილი (17.2%);

აღსანიშნავია, რომ სხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ასპექტებით/მომსახურებებით უკმაყოფილოთა წილი, სხვა ასპექტების შემთხვევაში, თითოეულ რეგიონში 16.5%-ს არ აღემატება (იხ. ცხრილი #6.6).

ცხრილი #6.6

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების ციფრული ხელმისაწვდომობით? (N=4701) (რეგიონის ჭრილი)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსები/ლექციები (χ^2=74.374; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	31	51	28.8	28.4	34.6	51.9	32.7
	2	21.7	27.5	23.5	22.4	25	33.3	32.7
	3	25.4	9.8	35.2	23.7	21.2	11.1	20
	4	9.5	7.8	10.3	11	5.8	3.7	9.1
	სრულიად უკმაყოფილო	6.3	2	1.8	7.2	7.7	-	3.6
	არ მჭირდება	6.1	2	0.4	7.2	5.8	-	1.8
კურსების/ლექციების ჩანაწერები (χ^2=90.594; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	28.3	51	35.6	26.4	32.7	51.7	38.2
	2	19.9	21.6	17.4	19.7	17.3	27.6	23.6
	3	24.1	11.8	34.5	22.2	26.9	13.8	21.8
	4	11	7.8	9.3	14.2	7.7	6.9	10.9
	სრულიად უკმაყოფილო	9.7	3.9	2.5	11.2	7.7	-	3.6
	არ მჭირდება	7	3.9	0.7	6.2	7.7	-	1.8
ონლაინ გამოცდები (χ^2=75.623; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	35.7	56.9	37.1	35.4	38.5	50	41.8
	2	20.4	21.6	17	17.5	17.3	28.6	32.7
	3	21	15.7	33.6	25.2	19.2	14.3	16.4
	4	8.1	3.9	7.1	6.7	11.5	3.6	5.5
	სრულიად უკმაყოფილო	5.9	2	2.1	6.7	3.8	3.6	1.8
	არ მჭირდება	8.9	-	3.2	8.5	9.6	-	1.8
მოთხოვნილი სასწავლო მასალები (χ^2=61.093; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	36.5	56	30.9	34.5	42.3	51.9	39.6
	2	25.3	26	28.4	20.8	23.1	33.3	28.3
	3	22.1	10	30.5	24.5	21.2	11.1	20.8
	4	8.2	4	9.2	12.0	7.7	3.7	7.5
	სრულიად უკმაყოფილო	4.5	4	0.4	4	3.8	-	1.9
	არ მჭირდება	3.3	-	0.7	4.3	1.9	-	1.9

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების ციფრული ხელმისაწვდომობით? (N=4701) (რეგიონის ჭრილი)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
ადმინისტრაციული მომსახურება (χ^2=122.781; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	28.5	53.1	29.9	35.2	41.2	55.2	40.7
	2	21.2	28.6	21.4	23.7	21.6	31	29.6
	3	25.1	10.2	37	20	21.6	10.3	18.5
	4	9.8	4.1	9.6	13	7.8	3.4	5.6
	სრულიად უკმაყოფილო	8.8	2	1.1	4.2	5.9	-	1.9
	არ მჭირდება	6.6	2	1.1	4	2	-	3.7
საკონსულტაციო მომსახურება (χ^2=152.457; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	25.3	52.9	28.8	33.9	37.7	48.3	33.3
	2	17.3	27.5	20.3	21.2	24.5	31.0	29.6
	3	26.5	9.8	37.7	23.4	20.8	10.3	22.2
	4	10.7	3.9	9.3	13	5.7	6.9	5.6
	სრულიად უკმაყოფილო	9.3	2	1.4	3.5	7.5	-	3.7
	არ მჭირდება	10.9	3.9	2.5	5	3.8	3.4	5.6

სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებებით სტუდენტების კმაყოფილების ანალიზი მათი **სასწავლო საფეხურის** ჭრილში ცხადყოფს, რომ:

- პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ლექციებით/კურსებით კმაყოფილ რესპონდენტთა ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მაგისტრანტებს შორის (64.6%) ფიქსირდება. ამასთან, ბაკალავრისა (51.5%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტთაგან ყოველი მეორე (54.1%) გამოხატავს ანალოგიურ შეფასებას. ისეთ სტუდენტთა შორის, რომლებიც დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე ლექციებს/კურსებს ნეგატიურად აფასებენ **(„სრულიად უკმაყოფილო“+“უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი“),** შედარებით მაღალია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა წილი (17.3%).
- მაგისტრატურის საფეხურზე მყოფი ყოველი მეორე სტუდენტი (56.7%) შეფასების დადებით ველში აქცევს დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე ლექციების/კურსების აუდიოჩანაწერზე ხელმისაწვდომობის საკითხის მიმართ საკუთარ კმაყოფილებას, მაშინ, როდესაც სხვა აკადემიური საფეხურების შემთხვევაში ასეთთა რაოდენობა 38-48%-ს შორის მერყეობს. საკითხით უკმაყოფილო **(„სრულიად უკმაყოფილო“+“უფრო უკმაყოფილო ვიდრე კმაყოფილი“)** რესპონდენტთა წილი ყველაზე მაღალია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შორის (28.9%).
- კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ტენდენციის თანახმად, თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთაგან ყოველი მეორე **„სრულიად**

კმაყოფილია“+“უფრო კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო“ ონლაინ რეჟიმში ჩატარებული გამოცდებით. აღნიშნული განწყობის მქონეთა შორის მაგისტრანტთა რაოდენობა (66.6%) დომინირებს. დასახელებული სასწავლო ასპექტით უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი თითოეული საფეხურის შემთხვევაში 12%-დან 15%-მდე მერყეობს.

- ბაკალავრის საფეხურზე მყოფ სტუდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა კმაყოფილია **(„სრულად კმაყოფილი“+“უფრო მეტად კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო“)** მოთხოვნილ სასწავლო მასალაზე ხელმისაწვდომობის საკითხით (61.1%), რასაც მცირედით აღემატება იდენტური განწყობის მქონე მაგისტრანტების (65.7%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტთა (62.3%) წილი.
- ადმინისტრაციული მომსახურებით კმაყოფილების საკითხი შეფასების დადებით ველში ექცევა თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა უმრავლესობის მიერ, გარდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა. ამ უკანაკნელთა შემთხვევაში მეოთხედზე მეტი (28.9%) საკითხს ნეგატიური ნიშნულებით აფასებს.
- საკონსულტაციო მომსახურებით კმაყოფილი რესპონდენტების პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ბაკალავრის (48%) და მაგისტრატურის (43%) საფეხურზე ჩარიცხულთა ფარგლებში. უკმაყოფილოთა რაოდენობა კი დომინირებს ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტთა შორის (22.5%) (იხ. ცხრილი #6.7)

ცხრილი #6.7

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების ციფრული ხელმისაწვდომობით? (N=4701) (საგანმანათლებლო საფეხურის ჭრილი)		ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
		%			
პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსები/ლექციები (χ^2=34.985; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	30.1	37.3	32.1	31.3
	2	21.4	27.3	17.3	22.8
	3	26.2	19.1	28.4	26.3
	4	10.2	7.5	8.6	8.1
	სრულიად უკმაყოფილო	6.3	4.8	8.6	5.2
	არ მჭირდება	5.8	4.0	4.9	6.3
კურსების/ლექციების ჩანაწერები (χ^2=48.482;	ძალზე კმაყოფილი	29.3	32.0	25.3	27.2
	2	19.1	24.7	13.3	20.6
	3	24.5	23.8	28.9	23.6
	4	12.2	7.5	15.7	8.2

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების ციფრული ხელმისაწვდომობით? (N=4701) (საგანმანათლებლო საფეხურის ჭრილი)		ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
		%			
	სრულიად უკმაყოფილო	8.7	7.3	13.3	11.7
	არ მჭირდება	6.2	4.6	3.6	8.7
ონლაინ გამოცდები (χ^2=93.058; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	35.7	45.3	40.2	32.2
	2	20.2	21.3	19.5	19.0
	3	22.5	20.5	22.0	20.6
	4	8.3	4.6	9.8	7.8
	სრულიად უკმაყოფილო	6.1	4.0	4.9	5.0
	არ მჭირდება	7.2	4.4	3.7	15.5
მოთხოვნილი სასწავლო მასალები (χ^2=32.858; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	35.6	41.5	30.1	36.7
	2	25.4	24.2	15.7	25.6
	3	22.9	19.4	28.9	23.0
	4	9.2	7.3	15.7	5.9
	სრულიად უკმაყოფილო	3.7	4.8	7.2	5.2
	არ მჭირდება	3.1	2.7	2.4	3.6
ადმინისტრაციული მომსახურება (χ^2=49.908; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	30.4	30.5	25.3	28.1
	2	20.6	27.2	13.3	23.6
	3	24.5	22.8	28.9	27.6
	4	10.6	7.1	15.7	7.9
	სრულიად უკმაყოფილო	7.8	4.2	13.3	8.6
	არ მჭირდება	6.0	8.2	3.6	4.2
საკონსულტაციო მომსახურება (χ^2=76.414; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	28.5	27.1	25.3	21.1
	2	19.5	15.9	13.3	15.4
	3	25.4	27.3	33.7	30.0
	4	11.2	7.7	10.8	9.7
	სრულიად უკმაყოფილო	6.4	11.1	9.6	12.8
	არ მჭირდება	9.1	10.9	7.2	11.0

ზემოთ აღნიშნული საკითხის განხილვა **საგანმანათლებლო დაწესებულებების** დონეზე ცხადყოფს, რომ სწავლასთან დაკავშირებული ასპექტებითა და მომსახურებებით კმაყოფილების მაჩვენებლები კოლეჯის სტუდენტთა შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე სასწავლო უნივერსიტეტებსა და უნივერსიტეტებში გამოკითხულთა შორის. კერძოდ, გამოვლენილი ტენდენციების თანახმად:

- უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილების შეფასების დადებით ველში („ძალიან კმაყოფილი“+“უფრო მეტად კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო“) ათავსებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ონლაინ კურსები/ლექციები - 50.2%; ონლაინ გამოცდები - 53.5%; მოთხოვნილ სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობა - 59.1%. უკმაყოფილო („სრულიად უკმაყოფილო“+“უფრო მეტად უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი“) რესპონდენტთა წილი განსაკუთრებით სჭარბობს შემდეგი ასპექტების/მომსახურებების მიმართ: ონლაინ ლექციების აუდიოჩანაწერებზე წვდომა - 21.5%; ადმინისტრაციული (19%) და საკონსულტაციო (19.6%) მომსახურებები;
- სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში საგულისხმოა, რომ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა თითოეული ასპექტის/მომსახურების მიმართ, გარდა საკონსულტაციო მომსახურებისა, კმაყოფილებას გამოხატავს („სრულიად კმაყოფილი“+“უფრო მეტად კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო“ სტუდენტების პროცენტული წილი 71.4%-78.2%-ს შორის მერყეობს). უკმაყოფილო სტუდენტთა წილი თითოეული სერვისის შემთხვევაში 12%-ს არ აღემატება.
- კვლევამ აჩვენა, რომ კოლეჯებში, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შედარებით, სტუდენტები უფრო მეტად გამოხატავენ კმაყოფილებას სწავლასთან დაკავშირებული ასპექტებისა და მომსახურებების მიმართ. კერძოდ, გარდა ონლაინ ლექციების/კურსების აუდიოჩანაწერებზე ხელმისაწვდომობის საკითხისა („სრულიად კმაყოფილი“+“უფრო მეტად კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო“ – 72.7%), სხვა შემთხვევებში კმაყოფილი რესპონდენტების წილი 82%-დან 89%-მდე ვარირებს (იხ. ცხრილი #6.8);

ცხრილი #6.8

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების <u>ციფრული ხელმისაწვდომობით</u>? (N=4701) **(საგანმანათლებლო დაწესებულების ჭრილი)**		**უნივერსიტეტი**	**სასწავლო უნივერსიტეტი**	**კოლეჯი**
		%		
პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსები/ლექციები (χ^2=177.228; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	28	53.9	47.1
	2	22.3	20.5	38.2
	3	27.2	13.7	8.8
	4	9.8	7.8	2.9
	სრულიად უკმაყოფილო	6.6	1.8	2.9
	არ მჭირდება	6.2	2.3	-
კურსების/ლექციების ჩანაწერები (χ^2=178.169; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	26.1	52.3	33.3
	2	19.8	19.1	39.4
	3	25.8	13.6	21.2
	4	11.7	6.8	3

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების ციფრული ხელმისაწვდომობით? (N=4701) (საგანმანათლებლო დაწესებულების ჭრილი)		უნივერსიტეტი	სასწავლო უნივერსიტეტი	კოლეჯი
		%		
	სრულიად უკმაყოფილო	9.8	4.7	3
	არ მჭირდება	6.8	3.5	-
ონლაინ გამოცდები (χ^2=165.800; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	33.0	59.6	51.4
	2	20.5	16	37.1
	3	23.4	12.1	5.7
	4	8.5	3.5	2.9
	სრულიად უკმაყოფილო	5.7	5.1	2.9
	არ მჭირდება	8.9	3.7	-
მოთხოვნილი სასწავლო მასალები (χ^2=116.730; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	33.9	55.2	38.2
	2	25.3	23	50
	3	24	13.6	5.9
	4	9	5.1	2.9
	სრულიად უკმაყოფილო	4.5	2.1	2.9
	არ მჭირდება	3.4	1	-
ადმინისტრაციული მომსახურება (χ^2=191.315; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	26.7	53.9	50
	2	22.1	18	35.3
	3	26	17.8	8.8
	4	10.5	5.7	2.9
	სრულიად უკმაყოფილო	8.5	1.4	2.9
	არ მჭირდება	6.2	3.3	-
საკონსულტაციო მომსახურება (χ^2=213.749; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	23.7	51.3	41.2
	2	18.1	17.7	41.2
	3	28	16.4	8.8
	4	11.1	7.2	2.9
	სრულიად უკმაყოფილო	8.6	4.3	2.9
	არ მჭირდება	10.5	3.1	2.9

მიმდინარე სემესტრში სწავლის ასპექტებითა და სასწავლო მომსახურებებით სტუდენტების კმაყოფილების გაანალიზება მათი **სასწავლო პროგრამების** ჭრილში შემდეგ ტენდენციებს ავლენს:

- გარდა ხელოვნების, ინჟინერიისა და მეცნიერებების/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების სტუდენტებისა, სხვა პროგრამებზე ჩარიცხულ რესპონდენტთაგან, სულ

მცირე, ყოველი მეორე შეფასების დადებით ველში ათავსებს ლექციების/კურსების ონლაინ ფორმატში მიმდინარეობის მიმართ საკუთარი კმაყოფილების ხარისხს („სრულიად კმაყოფილი“+“უფრო მეტად კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო“). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ხელოვნების მიმართულების სტუდენტთა მეხუთედის შეფასებით, ონლაინ ლექციების საჭიროება არ გააჩნიათ. აღნიშნული საკითხით უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი განსაკუთრებით მაღალია სამართლის (20.2%) და განათლების (18.5%) სტუდენტთა შემთხვევაში.

- დისტანციურად ჩატარებული ლექციების/კურსების აუდიოჩანაწერებზე ხელმისაწვდომობის საკითხით კმაყოფილია აგრარული მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და ადმინისტრირების, სამართლის და მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების სტუდენტთა უმრავლესობა (ვარირებს 51%-58%-ს შორის). სხვა სასწავლო მიმართულებების სტუდენტთა შემთხვევაში ანალოგიური განწყობების მქონეთა რაოდენობა 39%-49%-ს შორის მერყეობს. აღნიშნული მომსახურებით უკმაყოფილო („სრულიად უკმაყოფილ“+“უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი“) რესპონდენტთა წილი განსაკუთრებით მაღალია ხელოვნების (37.6%), ჰუმანიტარული მეცნიერებების (32.1%), მეცნიერებების/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (31.7%) და ჯანდაცვის (30.2%) სასწავლო პროგრამების ფარგლებში.
- თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტთა ნახევარზე მეტი, გარდა ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ხელოვნების მიმართულებებისა, კმაყოფილია ონლაინ ფორმატში ჩატარებული გამოცდებით. ისეთ სტუდენტთა წილი, რომლებიც საკუთარი კმაყოფილების დონეს უარყოფითი ნიშნულებით („სრულიად უკმაყოფილო“+“უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი“) აფასებენ, ყველაზე მაღალია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პროგრამაზე ჩარიცხულთა შორის (19.8%), ყველაზე დაბალი კი -განათლების მიმართულების სტუდენტთა შორის (9.3%).
- მოთხოვნილი სასწავლო მასალით კმაყოფილებას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ თითოეულ სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხული, სულ მცირე, ყოველი მეორე რესპონდენტი საკუთარ კმაყოფილებას დადებითად აფასებს. გამოვლენილი ტენდენციის მიხედვით, დასახელებული ასპექტით კმაყოფილ სტუდენტთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სოციალური მეცნიერებების (70.6%) სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხულთა შორის, ხოლო ყველაზე დაბალი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (50.3%).
- ადმინისტრაციული მომსახურებით სტუდენტების კმაყოფილების დონე სასწავლო პროგრამების ფარგლებში 41.2%-დან 61.9%-მდე მერყეობს. სერვისით უკმაყოფილო სტუდენტთა ყველაზე დიდი წილი (22.5%) განათლების სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხულთა შორის დაფიქსირდა, ყველაზე ნაკლები კი - ბიზნესის და ადმინისტრირების მიმართულებაზე (11.9%).
- სწავლასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებით კმაყოფილებას აგრარული მეცნიერებების, ბიზნესისა და ადმინისტრირების და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებებზე გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითი განწყობის გამომხატველი ქულით აფასებს. კმაყოფილ რესპონდენტთა წილი ყველაზე დაბალია ინჟინერიის მიმართულებაზე (39.5%). აღნიშნული მომსახურებით უკმაყოფილო რესპონდენტთა რაოდენობა სამართლისა (22.4%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების შემთხვევაში სტუდენტთა დაახლოებით მეხუთედს უტოლდება, ხოლო ჯანდაცვის სასწავლო პროგრამაზე ანალოგიური განწყობის მქონეთა რაოდენობა 25.7%-ია (იხ. ცხრილი #6.9)

ცხრილი #6.9

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების ციფრული ხელმისაწვდომობით? (N=4701) (სასწავლო პროგრამის ჭრილი)		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	საბართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	<არ არის გაწერილი>
		%											
პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე ონლაინ კურსები/ლექციები (χ^2=225.191.228; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	33.6	38.3	30.8	25.2	23.8	35.3	30.4	23.7	32.1	32.4	24.8	30.5
	2	22.4	17.1	30.2	16.5	22.7	20.2	28	16.1	23	21.8	27.5	23.2
	3	26.4	24.6	18.1	36.7	30.4	17.9	24	24.7	23.3	25	29.2	28.4
	4	10.4	11.8	10.4	9.7	9.9	13.1	8.5	10.8	8.6	5.6	6	9.5
	სრულიად უკმაყოფილო	3.2	3.5	6	8.8	7.2	7.1	3.5	4.3	5.8	10.9	6.3	4.2
	არ მჭირდება	4	4.8	4.4	3.1	6.1	6.4	5.5	20.4	7.2	4.4	6.3	4.2
კურსების/ლექციების ჩანაწერები (χ^2=162.547; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	32.5	31.8	27.3	26.9	23	38.6	29.5	25.8	27.7	28.8	22.4	27.8
	2	24.6	19.5	20.8	15.7	19.7	18.9	20.1	14	19.7	16.5	29	23.7
	3	26.2	24.8	28.4	31.6	25.7	18.9	20.9	22.6	22.4	22.6	28.1	27.8
	4	11.9	10.2	12.6	12.2	15.8	10.2	12	11.8	10	12.4	8.2	9.3
	სრულიად უკმაყოფილო	1.6	8.6	7.1	8.2	9.3	8.9	10.2	6.5	11.5	14.1	5.7	7.2
	არ მჭირდება	3.2	5.1	3.8	5.3	6.6	4.6	7.3	19.4	8.8	5.6	6.6	4.1
ონლაინ გამოცდები (χ^2=198.722; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	33.9	44.7	35	31.4	28	42.8	35.1	26.9	35.1	33.6	34.1	37.9
	2	25.2	19.3	21.3	18.4	19.2	17.7	24.9	15.1	19	20.4	19.9	21.1
	3	25.2	22.6	26.2	26.6	26.9	16.2	18.3	23.7	19	23.6	26.7	21.1
	4	9.4	6.7	7.1	7.1	12.6	7.7	9.6	8.6	8.4	8	4.1	7.4
	სრულიად უკმაყოფილო	3.1	3.7	2.2	9.3	7.1	7.5	4.3	4.3	4.5	6.5	7.4	5.3
	არ მჭირდება	3.1	3	8.2	7.1	6	8.1	7.8	21.5	14	8	7.9	7.4
მოთხოვნილი სასწავლო მასალები (χ^2=191.120; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	34.9	43.6	35.5	24.5	26.8	42.3	38.1	35.1	38.6	35.9	33.6	30.5
	2	27.0	20.8	19.1	26.9	23.5	22.4	32.5	14.9	25.2	24.4	26.8	26.3
	3	24.6	23.3	26.8	27.1	29.5	19.5	16.3	25.5	21.7	20.9	26.2	26.3
	4	11.1	9.7	11.5	11.2	12.6	7.9	7.2	9.6	6.5	9.1	4.9	9.5
	სრულიად უკმაყოფილო	0.8	0.5	3.8	5.9	4.4	5.4	3.7	3.2	5.1	6.5	4.1	5.3
	არ მჭირდება	1.6	2.1	3.3	4.4	3.3	2.5	2.3	11.7	2.8	3.2	4.4	2.1
ადმინისტრაციული მომსახურება (χ^2=157.259; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	32.5	39.6	28	21.4	22	32.6	32.4	30.1	27.1	32.6	25.7	29.5
	2	22.2	22.3	21.4	19.9	21.4	19.5	19.8	18.3	23.4	21.2	27.6	22.1

მიმდინარე სემესტრში რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის ასპექტებისა და სწავლასთან დაკავშირებული მომსახურებების/მასალების ციფრული ხელმისაწვდომობით? (N=4701) (სასწავლო პროგრამის ჭრილი)		ავრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	<არ არის გაწერილი>
		%											
	3	29.4	21.7	22	33.2	30.2	19.5	20.2	25.8	27	23.2	27.6	28.4
	4	6.3	7.2	14.3	9.9	12.6	12.7	12.2	9.7	8.5	10	7.4	8.4
	სრულიად უკმაყოფილო	5.6	4	8.2	10	7.1	9.1	6.8	5.4	9.3	9.4	6	8.4
	არ მჭირდება	4	5.3	6	5.7	6.6	6.4	8.5	10.8	4.8	3.5	5.7	3.2
საკონსულტაციო მომსახურება (χ^2=246.567; p<0.05)	ძალზე კმაყოფილი	33.1	37.2	24.6	22.7	22.5	32.4	24.8	31.2	20.3	31	23.9	29.5
	2	21.3	19.2	16.9	16.8	18.7	17	20.9	17.2	14.4	20.4	20.9	20
	3	27.6	25.7	25.1	34.2	31.9	17.8	23.4	25.8	28.3	22.7	31	27.4
	4	7.9	8.5	12	10.4	9.9	13.7	10.7	7.5	11.3	13	7.6	9.5
	სრულიად უკმაყოფილო	5.5	3.4	4.9	8.4	4.9	8.7	5.9	4.3	14.4	7.1	11.1	6.3
	არ მჭირდება	4.7	6.1	16.4	7.5	12.1	10.4	14.3	14	11.3	5.9	5.4	7.4

კვლევის შედეგების თანახმად, დისტანციურად სწავლის დროს განხორციელებული აქტივობების (წერილობითი დავალებები, პრეზენტაციები, გამოცდები და ა.შ.) **ობიექტურად შეფასების** გამოცდილება რესპონდენტთა 64.2%-ს აქვს („სრულიად ობიექტურად“+“უფრო ობიექტურად, ვიდრე არაობიექტურად“). გამოკითხულთა მეოთხედი ობიექტურობის მაჩვენებელს შეფასების ნეიტრალურ ველში აქცევს (25.2%) (იხ. დიაგრამა #6.4).

დიაგრამა #6.4



რეგიონის ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ კახეთის (62%), შიდა ქართლისა (53.8%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (51.7%) სტუდენტთა უმრავლესობის გამოცდილებით, დისტანციური სწავლის პერიოდში მათ მიერ შესრულებული სასწავლო აქტივობები **სრულიად ობიექტურად** ფასდებოდა. ანალოგიური შთაბეჭდილების მქონე რესპონდენტთა წილი თბილისის, იმერეთის, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში 35-43%-ს შორის ვარირებს. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც **სრულად არაობიექტური** შეფასებების დაფიქსირების პრაქტიკაზე მიუთითებენ, თითოეული რეგიონის შემთხვევაში 5.3%-ს არ აღემატება *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=61.140; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.5).

დიაგრამა #6.5



საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის მიხედვით, განსხვავებულია იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ დისტანციური სწავლების დროს, მთლიანობაში, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობები სრულიად ობიექტურად ფასდებოდა. მაშინ, როდესაც სასწავლო უნივერსიტეტებსა (56.5%) და კოლეჯებში (51.4%) გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა შეფასების სკალაზე უკიდურესად დადებით ნიშნულს ირჩევს („სრულიად ობიექტურად"), უნივერსიტეტებში გამოკითხულთა შორის ანალოგიური პოზიცია რესპონდენტთა მხოლოდ მესამედ ნაწილს გააჩნია *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=114.987; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.6).

დიაგრამა #6.6



საკითხის გაანალიზება **სასწავლო პროგრამების** დონეზე ცხადყოფს, რომ თითოეული საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტთა უმრავლესობას, დისტანციური სწავლის დროს, მათი სასწავლო აქტივობების ობიეტური (სრულად ობიექტური, ან უფრო მეტად ობიექტური) შეფასების გამოცდილება გააჩნია. აღნიშნული პრაქტიკის მქონეთა შორის ყველაზე მაღალი პროცენტული წილით ფიქსირდებიან სოციალური (72.6%) და ჰუმანიტარული (69.1%) მეცნიერებების მიმართულების სტუდენტები. რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებმაც მიუთითეს არაობიექტური შეფასებების მიღების გამოცდილებაზე, მათ შორის ყველაზე მაღალი რაოდენობით გამოიკვეთნენ ჰუმანიტარული მეცნიერებების (16.5%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (14.8%) და ინჟინერიის (14.3%) სასწავლო პროგრამის სტუდენტები *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=154.504; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.7).

დიაგრამა #6.7



დისტანციური სწავლისას დავალების/გამოცდის წერილობით შესრულების პროცესში **სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხ**ს პრობლემურად მიიჩნევს გამოკითხულ სტუდენტთა მეხუთედზე მეტი („საერთოდ არ იცავს“+“უფრო არ იცავს, ვიდრე კი“ – 21.7%). თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტი კი შუალედურ პოზიციას იკავებს (ქულა 3 ხუთქულიან სკალაზე). გამოვლენილი ტენდენციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების ნახევარზე მეტი კრიტიკულად უყურებს აკადემიური კეთილსინდისიერების ეთიკური სტანდარტის დაცვას მათი თანასტატუსელების (peers) მხრიდან (იხ. დიაგრამა #6.8).

დიაგრამა #6.8



სტუდენტების მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხთან დაკავშირებით იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ აღნიშნულ პასუხისმგებლობას სტუდენტები არ/ნაკლებად გრძნობენ („საერთოდ არ იცავს"+"უფრო არ იცავს, ვიდრე კი"), განსაკუთრებით მაღალია **თბილისსა** (23.1%) და **აჭარაში** (23.1%); მაღალია, აგრეთვე, შიდა ქართლში (19.2%). ამისგან განსხვავებით, კახეთში გამოკითხულთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ონლაინ სწავლების პროცესში სტუდენტები პირნათლად იცავენ აკადემიურ კეთილსინდისიერებას („სრულიად იცავს"), სხვა რეგიონებში იდენტური პოზიციის მქონე რესპონდენტთა წილი დაახლოებით 20%-ით ნაკლებია, ზოგ შემთხვევაში კი უფრო მეტითაც ჩამოუვარდება *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=93.895; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.9).

დიაგრამა #6.9



მოცემული საკითხის დამუშავება სტუდენტების **საგანმანათლებლო საფეხურის** ჭრილში აჩვენებს, რომ იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც თვლიან, რომ დისტანციური სწავლისას დავალების/გამოცდის წერილობით შესრულების პროცესში სტუდენტი აკადემიურ კეთილსინდისიერებას სრულად ან უფრო მეტად იცავს, ვიდრე არა, თითქმის მსგავსია და 44.8%-50%-ს შორის ვარირებს. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ აღწერილ მდგომარეობაში სტუდენტი აკადემიურ კეთილსინდისიერებას **საერთოდ არ იცავს ან უფრო არ იცავს, ვიდრე კი,** ყველაზე მაღალია ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისა (23.1%) და ბაკალავრიატის (21.8%) საფეხურის სტუდენტებს შორის *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=56.007$; $p<0.05$* (იხ. დიაგრამა #6.10).

დიაგრამა #6.10



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ სასწავლო უნივერსიტეტებსა (63%) და კოლეჯებში (73.5%), რესპონდენტთა დიდი ნაწილის შეფასებით, დისტანციური სწავლის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს სტუდენტები სრულად იცავენ ან უფრო მეტად იცავენ, ვიდრე არა. ამავე პოზიციას აფიქსირებს უნივერსიტეტებში გამოკითხულთაგან მხოლოდ 43.5%. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებში გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი საკითხის შესაფასებლად უარყოფით ნიშნულებს იყენებს („საერთოდ არ იცავს“+“უფრო მეტად არ იცავს, ვიდრე კი“), მაშინ, როდესაც ასეთთა წილი სასწავლო უნივერსიტეტებში 11.3%-ია, ხოლო კოლეჯებში- 5.9% *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=115.079$; $p<0.05$)* (იხ. დიაგრამა #6.11).

დიაგრამა #6.11



სასწავლო პროგრამების ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ დისტანციური სწავლისას დავალების/გამოცდის წერილობით შესრულების პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის საკითხი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია აგრარული მეცნიერებების (57.9%), ბიზნესის და ადმინისტრირების (52.6%), განათლების (53.3%) სასწავლო მიმართულებების სტუდენტებისთვის („სრულიად იცავს“+“უფრო მეტად იცავს, ვიდრე არა“). კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციის მიხედვით, სოციალური (28.8%), ჰუმანიტარული (25%) და საბუნებისმეტყველო (26.4%) მეცნიერებების სტუდენტთა მეოთხედზე მეტის შეფასებით, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის თვალსაზრისით სტუდენტები უპასუხისმგებლოდ იქცევიან („საერთოდ არ იცავს“+“უფრო მეტად არ იცავს, ვიდრე კი“). მსგავს შეფასებას აფიქსირებს ინჟინერიის, სამართლის და ჯანდაცვის მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მეოთხედი *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=174.605; p<0.05) (იხ.* დიაგრამა #6.12).

დიაგრამა #6.12



რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი **ციფრული უნარ-ჩვევები** ონლაინ სწავლების პროცესში არსებული მოთხოვნების შესასრულებლად სრულიად საკმარისია ან უფრო მეტად საკმარისია, ვიდრე არა (ჯამში, 61.6%) (იხ. დიაგრამა #6.13)

დიაგრამა #6.13



რესპონდენტების თვითაღქმა დისტანციური სწავლების პროცესისთვის საჭირო ციფრული უნარ-ჩვევების კმარობასთან დაკავშირებით განსხვავებულია **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების** ტიპის დონეზე. კერძოდ, უნივერსიტეტების სტუდენტთა 59.2% მიიჩნევს, რომ მათი ციფრული ცოდნა საკმარისია ონლაინ სწავლების პროცესში ოპერირებისთვის. მათგან 36.7% შეფასების უკიდურესად დადებით წერტილს („სრულიად საკმარისია“) იყენებს. კიდევ უფრო მაღალია ანალოგიური განწყობის მქონე რესპონდენტთა წილი სასწავლო უნივერსიტეტებსა (76.2%) და კოლეჯებში (82.4%) *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=70.121; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.14).

დიაგრამა #6.14



საკითხის დამუშავება სტუდენტების **სასწავლო პროგრამების** ჭრილში აჩვენებს, რომ თითოეული მიმართულების სტუდენტთა უმრავლესობის შეფასებით, სასწავლო მოთხოვნების შესასრულებლად მათი ციფრული უნარ-ჩვევები „სრულიად საკმარისია“+“უფრო მეტად საკმარისია, ვიდრე არა“. ამ განწყობის მქონე რესპონდენტთა შორის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ფიქსირდებიან სოციალური მეცნიერებების მიმართულების სტუდენტები (71.8%). რაც შეეხება იმ სტუდენტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ არსებულ სასწავლო მოთხოვნებთან შედარებით მათი ციფრული უნარ-ჩვევები „საერთოდ არ არის საკმარისი“+“უფრო არასაკმარისია, ვიდრე საკმარისი“ - მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან განათლების (14.3%) და სამართლის (13.5%) პროგრამაზე ჩარიცხულები. სხვა სასწავლო მიმართულებების შემთხვევაში მსგავსი შეფასების მქონეთა წილი 6.8%-დან 10.8%-მდე მერყეობს *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=139.934 ; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.15).

დიაგრამა #6.15



ყოველი მეორე რესპონდენტის შეფასებით, **დისტანციური სწავლების პროცესი, მთლიანობაში, გამართული იყო** („სრულიად გამართული+უფრო მეტად გამართული, ვიდრე არა“) – 52.6% (იხ. დიაგრამა #6.16).

დიაგრამა #6.16



საკითხის- თუ რამდენად გამართული იყო დისტანციური სწავლის პროცესი- **რეგიონების ჭრილში** გაანალიზება აჩვენებს, რომ ონლაინ ლექციებითა და კურსებით განსაკუთრებით კმაყოფილი კახეთში მცხოვრები სტუდენტები არიან (52% - სრულიად გამართული იყო). სხვა რეგიონებში ასეთთა წილი მერყეობს 22%-დან 36%-მდე. დისტანციური სწავლის პროცესს, **როგორც გაუმართავს ან უფრო გაუმართავს, ვიდრე გამართულს,** ყველაზე მეტად აჭარაში (19%), თბილისსა (15.2%) და შიდა ქართლში (15.1%) აფასებენ *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=55.235; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.17).

დიაგრამა #6.17



ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობა

თვლის, რომ მთლიანობაში, დისტანციური სწავლის პროცესი გამართული იყო („სრულიად გამართული”+”უფრო მეტად გამართული, ვიდრე არა“). ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა 41.5% კი აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი შეფასების გამოსახატავად ნეიტრალურ ნიშნულს იყენებს (მეტ-ნაკლებად გამართული). *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=35.769; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.18).

დიაგრამა #6.18



საკითხის - თუ რამდენად გამართული იყო დისტანციური სწავლის პროცესი - გაანალიზება **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის** დონეზე აჩვენებს, რომ ყველაზე კრიტიკული არიან უნივერსიტეტების სტუდენტები. კერძოდ, საკუთარ შეფასებას დადებით ველში ათავსებს („სრულიად გამართული“+“უფრო მეტად გამართული, ვიდრე არა“) უნივერსიტეტების სტუდენტთა 49.7%, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი სასწავლო უნივერსიტეტებში 73.3%-ს უტოლდება, ხოლო კოლეჯებში - 85.3%-ს *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=163.761; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.19).

დიაგრამა #6.19



მონაცემების სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტთა 24.1%-ის შეფასებით, დისტანციური სწავლის პროცესი, მთლიანობაში, არ იყო გამართული („სრულიად გაუმართავი“+“უფრო მეტად გაუმართავი, ვიდრე გამართული“), მსგავს შეფასებას აფიქსირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ხელოვნების და ჯანდაცვის სასწავლო პროგრამის სტუდენტთა თითქმის მეხუთედი. რაც შეეხება იმ რესპონდენტთა გადანაწილებას, რომლებმაც აღნიშნული საკითხი დადებითი მნიშვნელობის ნიშნულებით შეაფასეს („სრულიად გამართული იყო+უფრო მერად გამართული, ვიდრე გაუმართავი“), თითოეული პროგრამის შემთხვევაში 45.1%-დან 57.6%-მდე მერყეობს. *(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=121.767; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #6.20).

დიაგრამა #6.20



თავი 7. სტუდენტთა საცხოვრებელი პირობები და ფინანსური მდგომარეობა

7.1. სტუდენტთა საცხოვრებელი პირობები

სტუდენტთა საცხოვრებელი პირობების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტების უმრავლესობა (60.6%) მშობლებთან/მეურვეებთან (ან ბებიასთან, ბაბუასთან, ბიძებთან, დეიდებთან და ა.შ.) ცხოვრობს. მარტო მცხოვრებთა წილი მეათედს აღემატება (13.2%), ხოლო იმ სტუდენტების ოდენობა, ვინც არც მშობლებთან/მეურვესთან, არც პარტნიორთან ან შვილებთან/პარტნიორის შვილებთან ერთად არ ცხოვრობს, ანუ სხვა ადამიან(ებ)თან იყოფს საცხოვრებელ ფართს, 17.3%-ს უტოლდება. მსგავსი შედეგი ქართულ კონტექსტს უნდა დავუკავშიროთ, რადგანაც საქართველოში არ არის გავრცელებული სრულწლოვნობის მიღწევის შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრების დაწყება, მით უმეტეს, რომ ეს დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული (იხ. დიაგრამა #7.1).

დიაგრამა #7.1



რეგიონულ ჭრილში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დედაქალაქში, სხვა რეგიონებთან შედარებით, შემცირებულია მშობლებთან/მეურვესთან მცხოვრებ სტუდენტთა წილი, თუმცა, მაინც უმრავლესობას წარმოადგენს (55.9%). მარტო მცხოვრებთა წილი შედარებით მაღალია თბილისში (13.1%), იმერეთში (17%), აჭარაში (14.7%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=152466, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.1).

ცხრილი #7.1

ვისთან ერთად ცხოვრობთ მიმდინარე სასწავლო სემესტრის განმავლობაში (ორშაბათი-პარასკევი) (რეგიონის ჭრილში) (%) (N=4701)	რეგიონი						
	თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
მშობლებთან / მეურვესთან (ან ბებიასთან, ბაბუასთან, ბიძებთან, დეიდებთან და ა.შ.)	55.9	70.7	66.4	64.1	66.2	76.1	68.2
პარტნიორთან / მეუღლესთან	6.8	15.8	7.4	6.6	12.6	8.4	15.4
ჩემს შვილ(ებ)თან / ჩემი პარტნიორის შვილ(ებ)თან	4.5	5.6	3.4	3.4	11.2	5	8.3

ვისთან ერთად ცხოვრობთ მიმდინარე სასწავლო სემესტრის განმავლობაში (ორშაბათი-პარასკევი) (რეგიონის ჭრილში) (%) (N=4701)	რეგიონი						
	თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
სხვა ადამიან(ებ)თან, გარდა ზემოთ ჩამოთვლილსა (სტუდენტებთან, მეგობრებთან, დედმამიშვილებთან და ა.შ.)	19.5	3	5.8	11.2	2.3	4.8	4.3
ვცხოვრობ მარტო	13.1	4.9	17	14.7	7.6	5.6	3.7

სასწავლო საფეხურის ჭრილში საკითხის განხილვა აჩვენებს, რომ მაგისტრატურის ან მასთან გათანაბრებული საფეხურის სტუდენტების შედარებით მცირე წილი ცხოვრობს მშობლებთან/ მეურვესთან. ამ შემთხვევაში შედარებით დიდია სტუდენტებთან, მეგობრებთან ან მარტო მცხოვრებთა რაოდენობა. ბაკალავრიატის საფეხურისა (64.5%) და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების უმრავლესობას (56.6%) მშობლებთან ცხოვრების გამოცდილება აქვს (იხ. დიაგრამა #7.2).

დიაგრამა #7.2



სტატისტიკურად სანდო განსხვავებები იკვეთება **მოქალაქეობის** ჭრილში საკითხის განხილვისას. თუკი საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა (62.7%) მშობლებთან/მეურვესთან ერთად ცხოვრობს, მსგავს კატეგორიაში ექცევა საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა მხოლოდ მეხუთედი (21.1%). არაქართველ რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი (41.9%) სტუდენტებთან,

მეგობრებთან ერთად, ხოლო მეოთხედი (25.9%) მარტო ცხოვრობს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=722291, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.3).

დიაგრამა #7.3



ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია **სქესის ჭრილში** საკითხის განხილვისასაც - უმრავლესობა მშობლებთან/მეურვესთან ცხოვრობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ კაც სტუდენტებში (17.3%), ქალებთან შედარებით (9.7%), უფრო გავრცელებულია მარტო ცხოვრების პრაქტიკა. ქალებისთვის, მარტო ცხოვრებასთან შედარებით, უფრო მეტად დამახასიათებელია სხვა ადამიანებთან (მეგობრებთან, სტუდენტებთან და ა.შ.) საცხოვრებელი ფართის გაზიარების გამოცდილება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=79233, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.4).

დიაგრამა #7.4



ზემოთ განხილული ფილტრ შეკითხვის საფუძველზე, მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებიც მშობლებთან/მეურვეებთან არ ცხოვრობენ, დაესვათ შეკითხვა **სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრებასთან** დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა, მშობლებისგან და პირველადი სოციალური ჯგუფის სხვა წევრებისგან შორს მცხოვრებ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა (88.8%) სტუდენტურ საცხოვრებელში არ ცხოვრობს.

უსდ-ის ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა მეათედზე მეტი (11.8%) სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრობს. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებში მაჩვენებელი 6.6%-მდეა შემცირებული. კოლეჯში გამოკითხულთა შორის მსგავსი გამოცდილება არ ფიქსირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=6636, p<0.05).

მიუხედავად იმისა, თუ ვისთან ერთად ცხოვრობს რესპონდენტი, შეფასდა **სახლიდან უსდ-მდე მისასვლელად საჭირო დროის ხანგრძლივობა.** სახლად განსაზღვრული იყო ის ადგილი, სადაც პირი სემესტრის განმავლობაში (ორშაბათი-პარასკევი) ცხოვრობს. როგორც ჩანს, სტუდენტები საშუალოდ 45 წუთს ხარჯავენ (მედიანური მნიშვნელობა (MEDIAN) 40 წუთს უტოლდება). საშუალო მაჩვენებლის მიუხედავად, იკვეთება შემთხვევები, როდესაც სტუდენტს უსდ-ში მისასვლელად 145 წუთი სჭირდება (მაქსიმალური მაჩვენებელი), რაც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ზოგიერთი სტუდენტი დედაქალაქში კი სწავლობს, თუმცა, ყოველდღიურად, ლექცია-სემინარებზე რეგიონიდან დადის.

გამოიკვეთა, რომ საშუალოდ ყველაზე მეტი დრო სახლიდან უსდ-ში მისასვლელად **კოლეჯის** სტუდენტებს სჭირდებათ (Mean=54.5 წუთი), ხოლო ყველაზე ნაკლები - **სასწავლო უნივერსიტეტის** სტუდენტებს (Mean=39.3 წუთი). **უნივერსიტეტში** გამოკითხულთა შემთხვევაში მაჩვენებელი საშუალოდ 46 წუთს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $Mean^2$=9253961, p<0.05).

7.2. სტუდენტთა დასაქმების გამოცდილება

გამოკითხვის ფარგლებში შეფასდა **მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებადი სამსახურის მქონე** სტუდენტთა წილი. გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (57.6%) უმუშევარია, თითქმის მესამედი მთელი სემესტრის განმავლობაში მუშაობს (30.1%), ხოლო მეათედზე მეტი - დროდადრო მუშაობს (12.3%). შაბათ-კვირის ჩათვლით, მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებად სამსახურ(ებ)ში გატარებული დრო საშუალოდ 13 საათს უტოლდება.

ზოგადი ტენდენცია **რეგიონულ ჭრილში** საკითხის განხილვისასაც შენარჩუნებულია - თითოეული რეგიონის სტუდენტთა უმრავლესობას მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი არ აქვს. დაუსაქმებელ სტუდენტთა წილი შედარებით მაღალია იმერეთში (70.9%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (67.9%) და შიდა ქართლში (65.4%). მთელი სემესტრის განმავლობაში მუშაობის გამოცდილებით კახეთის რეგიონი გამოირჩევა - სტუდენტთა 38% ამ კატეგორიაში ექცევა. დედაქალაქში აღნიშნული მაჩვენებელი 30.5%-მდეა შემცირებული, ხოლო იმერეთში- 21.3%-მდე, რაც რეგიონებს შორის ყველაზე მცირე წილია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=31882, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.5).

დიაგრამა #7.5



სასწავლო საფეხურის ჭრილში საკითხის განხილვისას სტატისტიკურად სანდო კავშირი გამოვლინდა (X^2=230254, $p<0.05$). სემესტრის განმავლობაში ანაზღაურებად სამსახურ(ებ)ში მუშაობის ყველაზე დიდი გამოცდილება მაგისტრანტებს აქვთ - 59.2% სემესტრის განმავლობაში მუდმივად ან დროდადრო მუშაობს. სხვა ყველა სასწავლო საფეხურის სტუდენტთა უმრავლესობა უმუშევარია: ბაკალავრიატი - 54.9%, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 61%, ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა - 78.3% (იხ. დიაგრამა #7.6).

დიაგრამა #7.6



თითოეული **სასწავლო პროგრამის** სტუდენტთა უმრავლესობას მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი არ აქვს. გამონაკლისი შემთხვევაა ბიზნესის ადმინისტრირება - თითქმის ყოველი მეორე სტუდენტი (48.2%) მთელი სემესტრის განმავლობაში მუშაობს, რაც სხვა სასწავლო პროგრამებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ის არქონის მაჩვენებლით გამოირჩევიან ჯანდაცვის (79.4%), ჰუმანიტარული მეცნიერებებისა (61.4%) და ინტერდისციპლინური პროგრამების (62.7%) სტუდენტები (საშუალოდ 67.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=300601, p<0.05). მსგავსი შედეგი შესაძლოა უკავშირდებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს ან უშუალოდ სასწავლო პროგრამის სპეციფიკას. მაგალითად, ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტებს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმება ხშირად კურიკულუმით გათვალისწინებულ პრაქტიკად ეთვლებათ (იხ. ცხრილი #7.2).

ცხრილი #7.2

გაქვთ ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი მიმდინარე სემესტრში? (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (%) (N=4699)	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	დიახ, დროდადრო ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	არა, არ ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში
აგრარული მეცნიერებანი	31.7	11.9	56.3
ბიზნესის ადმინისტრირება	48.2	8.9	42.9
განათლება	30.6	13.7	55.7
ინჟინერია	31.2	16.1	52.7
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	24.7	17.6	57.7
სამართალი	32.3	14.3	53.4
სოციალური მეცნიერებები	35.5	15.4	49.1
ხელოვნება	25.8	17.2	57
ჯანდაცვა	13.5	7.1	79.4
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	28.6	10	61.4
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	23.7	13.6	62.7
<არ არის გაწერილი>	31.6	12.6	55.8

საქართველოს მოქალაქეობის ჭრილში საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი სტუდენტების 45%-ს (მუდმივად - 32.5%, დროდადრო - 12.5%) სემესტრის განმავლობაში ანაზღაურებად სამსახურ(ებ)ში მუშაობის გამოცდილება აქვს; საქართველოს მოქალაქეობის არმქონე რესპონდენტებს შორის ეს მაჩვენებელი 22.3%-მდეა შემცირებული (მუდმივად - 12%, დროდადრო - 10.8%). სემესტრის განმავლობაში დაუსაქმებელ რესპონდენტთა წილი ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული: საქართველოს მოქალაქე - 55%, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 77.7% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=128154, p<0.05).

მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებადი სამსახურის მქონე სტუდენტებმა შეაფასეს, თუ რამდენად შეესაბამებოდა **დასაქმებასთან დაკავშირებული დებულებები** მათ სიტუაციას.[3] გამოიკვეთა, რომ

[3] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5- ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „სრულიად შეესაბამება“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ შეესაბამება“.

თითოეულ დებულებაში აღწერილი სიტუაცია სტუდენტთა ძირითადი ნაწილისთვის დამახასიათებელია (ქულები 1 და 2):

- მე ვმუშაობ, რათა დავფარო ჩემი საცხოვრებელი ხარჯები - 48.3%
- მე ვმუშაობ, რათა მივიღო გამოცდილება შრომის ბაზარზე - 62.6%
- ჩემი ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე ვერ შევძლებდი, ვყოფილიყავი სტუდენტი - 42.2%
- მე ვმუშაობ იმიტომ, რომ ფინანსურად დავეხმარო სხვებს (ბავშვები, პარტნიორი, მშობლები და ა.შ.) – 44.3%
- ჩემი მუშაობით შემიძლია ვიყიდო ის ნივთები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ შევიძენდი - 63.6% (იხ. ცხრილი #7.3).

ცხრილი #7.3

რამდენად შეესაბამება ქვემოთ მოცემული დებულებები თქვენს სიტუაციას? (%) (N=1853)	სრულიად შეესაბამება	2	3	4	საერთოდ არ შეესაბამება
მე ვმუშაობ, რათა დავფარო ჩემი საცხოვრებელი ხარჯები	32	16.3	18.7	10.7	22.4
მე ვმუშაობ, რათა მივიღო გამოცდილება შრომის ბაზარზე	42.9	19.7	20	7.6	9.9
ჩემი ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე, ვერ შევძლებდი, ვყოფილიყავი სტუდენტი	30	12.2	19.7	9.3	28.8
მე ვმუშაობ იმიტომ, რომ ფინანსურად დავეხმარო სხვებს (ბავშვები, პარტნიორი, მშობლები და ა.შ.)	26.9	17.4	25.2	9.8	20.7
ჩემი მუშაობით შემიძლია ვიყიდო ის ნივთები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ შევიძენდი	44.7	18.9	21	6.5	8.9

წარმოდგენილი დებულებები სხვადასხვა ჭრილისთვის შესაძლოა რელევანტური იყოს, ამდენად, თითოეული მათგანი ინდივიდუალურად გაანალიზდა:

მე ვმუშაობ, რათა დავფარო ჩემო საცხოვრებელი ხარჯები: მონაცემთა ანალიზის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული დებულება ფარავს უსდ-ების თითოეული ტიპის სტუდენტთა ძირითადი ნაწილის გამოცდილებას. თუმცა, თუკი უნივერსიტეტის სტუდენტთა 45.8% მუშაობს, რათა საცხოვრებელი ხარჯები დაფაროს, სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში მაჩვენებელი 62.8%-მდე, ხოლო კოლეჯის შემთხვევაში 75%-მდე იზრდება (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=38407, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.7).

დიაგრამა #7.7



მე ვმუშაობ, რათა მივიღო გამოცდილება შრომის ბაზარზე: საქართველოს მოქალაქე სტუდენტების 64.3% იმისთვის მუშაობს, რომ შრომის ბაზარზე გამოცდილება მიიღოს. მსგავს პოზიციას საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა 38.8% აფიქსირებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=52894, p<0.05). ეს შეფასება შესაძლოა დავუკავშიროთ სტუდენტის მოტივაციებსა და მიზნებს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მოქალაქე სტუდენტების ძირითადი ნაწილი აქვე, ქვეყანაშივე, აპირებს ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებას. ამდენად, განვითარებისთვის მათ სწორედ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა, გააზრება და ამ მხრივ გამოცდილების დაგროვება სჭირდებათ. მეორე მხრივ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტების მთავარი მიზანი ცოდნის მიღება და პროფესიული განვითარებაა და არა შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება (იხ. დიაგრამა #7.8).

დიაგრამა #7.8



ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე ვერ შევძლებდი, ვყოფილიყავი სტუდენტი: წარმოდგენილი დებულება განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპის ჭრილში, ვინაიდან საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური განსხვავებულია და სტუდენტის ანაზღაურებაც შესაძლოა განსხვავებულად ნაწილდებოდეს. გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტების შემთხვევაში დადებითი და უარყოფითი კონოტაციის პასუხები სტუდენტთა თითქმის თანაბარი წილითაა წარმოდგენილი: შეესაბამება (ქულები 1 და 2) – 40.6%, არ შეესაბამება (ქულები 4 და 5) – 39.8%. სასწავლო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში გამოკითხულთა შორის 1 და 2 ქულების მაჩვენებლები სჭარბობს - სასწავლო უნივერსიტეტების დაახლოებით ყოველმა მეორე წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე ვერ შეძლებდა, ყოფილიყო სტუდენტი (52%). ამავე პოზიციას იზიარებს კოლეჯის სტუდენტების 56.3% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=31234, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.9).

დიაგრამა #7.9



მე ვმუშაობ იმიტომ, რომ ფინანსურად დაგეხმარო სხვებს (ბავშვები, პარტნიორი, მშობლები და ა.შ.): როგორც გამოიკვეთა, თითოეულ რეგიონში გამოკითხულ სტუდენტთა ძირითადი ნაწილი, გარდა სწავლისა და საყოფაცხოვრებო ხარჯების დაფარვისა, მუშაობს, რომ სხვებს (ბავშვებს, პარტნიორს, მშობლებს და ა.შ.) ფინანსურად დაეხმაროს. მსგავსი გამოცდილებისა და პოზიციის მქონე სტუდენტთა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა კახეთში (62.5%), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (62.5%) და სამცხე-ჯავახეთში (62.5%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=45608, p<0.05) ((იხ. დიაგრამა #7.10).

დიაგრამა #7.10



ჩემი მუშაობით შემიძლია ვიყიდო ის ნივთები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ შევიძენდი: გამოიკვეთა, რომ ანაზღაურებადი სამსახური სხვადასხვა ნივთის შესაძენად საქართველოს მოქალაქეებისთვის მეტად საჭიროა - ამ ჯგუფის სტუდენტთა 64.6% მიუთითებს, რომ მუშაობით შეუძლია იმ ნივთების ყიდვა, რასაც სხვა შემთხვევაში ვერ შეიძენდა (ქულები 1 და 2). მსგავსი საჭიროება ნაკლებად აქვთ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს (51.8%). შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მცხოვრები უცხოელი სტუდენტები ოჯახისგან ფინანსურ დახმარებას იღებენ, რითაც ახერხებენ საჭირო ან სასურველი ნივთების შეძენას, ანუ მათთვის შემოსავლის დომინანტური წყარო შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი სამსახური. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა მეხუთედზე მეტი (21.1%) არ იზიარებს წარმოდგენილ დებულებას, ხოლო ქართველ სტუდენტთა შორის მაჩვენებელი 14.%-მდეა შემცირებული (ქულები 4 და 5) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=30205, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.11).

დიაგრამა #7.11



კვლევა აჩვენებს, რომ სტუდენტთა თითქმის ნახევარი (47.6%) დასაქმებულია პროფესიით ან მომიჯნავე პროფესიით, რადგან მიუთითებს, რომ **ამჟამინდელი სამსახური მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო პროგრამის შინაარსთან.**[4] თუმცა, ზოგადად, პროფესიით დასაქმება რომ პრობლემურია, ისიც მოწმობს, რომ ყოველი მესამე (31.4%) სასწავლო პროგრამისგან განსხვავებულ სფეროში მუშაობს და უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას პირდაპირ ვერ მიმართავს ანაზღაურებად სამსახურზე (იხ. დიაგრამა #7.12).

დიაგრამა #7.12



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის ჭრილში განხილვისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო უნივერსიტეტებისა (53.1%) და კოლეჯების (52.9%) სტუდენტები უფრო მეტად მიუთითებენ ანაზღაურებად სამსახურსა და სასწავლო პროგრამის შინაარსს შორის კავშირზე, ვიდრე უნივერსიტეტის სტუდენტები (46.7%) (ქულები 1 და 2). მეტიც, უნივერსიტეტის სტუდენტთა მესამედის (32.5%) გამოცდილებით ამ ორ დონეს შორის კავშირი არ არსებობს (ქულები 4 და 5), მაშინ, როდესაც მსგავს პოზიციას კოლეჯის სტუდენტების მხოლოდ მეათედი (11.8%) იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=18686, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #7.13).

[4] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5- ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ არის დაკავშირებული“.

დიაგრამა #7.13



სხვადასხვა **სასწავლო მიმართულების** სტუდენტთა ძირითადი ნაწილი გამოკვეთს მიმდინარე სასწავლო პროგრამისა და ანაზღაურებადი სამსახურის შესაბამისობასა და კავშირს. დომინანტური პოზიციისგან განსხვავებული, უარყოფითი კონოტაციის პასუხის კატეგორიები დაფიქსირდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (39%), სამართლის (45.7%) და სოციალური მეცნიერებების (42.5%) მიმართულების სტუდენტების შემთხვევაში - საშუალოდ 42.4%-ის გამოცდილებით, მათი სამსახურ(ებ)ი მიმდინარე სასწავლო პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული არ არის (ქულები 4 და 5) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=232246, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.4).

ცხრილი #7.4

რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული თქვენი სამსახურ(ებ)ი თქვენი მიმდინარე სასწავლო პროგრამის შინაარსთან? (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (%) (N=1853)	ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული	2	3	4	საერთოდ არ არის დაკავშირებული
აგრარული მეცნიერებანი	32.7	27.3	16.4	5.5	18.2
ბიზნესის ადმინისტრირება	46.2	19.3	17.4	10.6	6.4
განათლება	37.5	30	16.3	3.8	12.5
ინჟინერია	31.3	11.2	27.4	9.7	20.5
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	14.3	14.3	32.5	15.6	23.4
სამართალი	29.1	11.2	13.9	11.7	34.1
სოციალური მეცნიერებები	13.2	21	23.4	11.4	31.1
ხელოვნება	30	15	25	10	20
ჯანდაცვა	30.2	23.3	13.2	2.5	30.8
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	27.5	18.3	22.1	9.2	22.9
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	21.2	24.1	28.5	4.4	21.9
<არ არის გაწერილი>	33.3	14.3	23.8	7.1	21.4

მიმდინარე სემესტრის განმავლობაში ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ის მქონე სტუდენტებს წარედგინათ ორი დებულება:

- უპირველეს ყოვლისა, მე ვარ სტუდენტი და, ამას გარდა, ვმუშაობ;
- უპირველეს ყოვლისა, მე ვმუშაობ და, ამას გარდა, ვსწავლობ.

წარმოდგენილი დებულებები შინაარსობრივად უკავშირდებოდა **სტუდენტების თვითაღქმას საკუთარი სოციალური სტატუსის მიმართ.** როგორც აღმოჩნდა, 71% უპირველესად საკუთარ თავს სტუდენტად მიიჩნევს. მეოთხედს აღემატება მათი წილი (29%), ვინც სწავლაზე წინ, თვითპრეზენტაციის მხრივ, ანაზღაურებად სამსახურს აყენებს, ანუ მეორე დებულებას ეთანხმება.

სასწავლო საფეხურის მიხედვით, სტუდენტების თვითაღქმა მკვეთრად განსხვავებულია. თუკი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების 83.5% მიიჩნევს, რომ უპირველეს ყოვლისა სწავლობენ და, ამას გარდა, მუშაობენ კიდეც, მსგავსი პოზიცია მაგისტრანტების 51.6%-ში ფიქსირდება. საკუთარი თავის უპირველესად სტუდენტად აღქმის კატეგორიაშია გაერთიანებული ბაკალავრიატის სტუდენტების 73.5%-იც (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=69011, p<0.05). ისიც გასათვალისწინებელია, რომ, მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებთან შედარებით, ბაკალავრიატის სტუდენტთა მცირე ნაწილია ანაზღაურებად სამსახურ(ებ)ში დასაქმებული და, შეიძლება ითქვას, მათი ძირითადი საქმიანობა სწავლაა (იხ. დიაგრამა #7.14).

დიაგრამა #7.14



სასწავლო მიმართულებების ჭრილში საკითხის განხილვისას იკვეთება, რომ უპირველესად საკუთარი თავის სტუდენტად აღქმის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტებში (81.3%), ყველაზე დაბალი კი - განათლების მიმართულების სტუდენტებში (55.6%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=32846, p<0.05). მსგავსი შედეგი, სავარაუდოდ, სასწავლო პროგრამის სპეციფიკითაა განპირობებული. ჯანდაცვის მიმართულებით სწავლის პერიოდი, სხვა მიმართულებებთან შედარებით, ხანგრძლივია; მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების კომპონენტიც კურიკულუმის შემადგენელ აქტივობად

ითვლება. ამდენად, ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტები პირველ ყოვლისა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ, როგორც სტუდენტები (იხ. ცხრილი #7.5).

ცხრილი #7.5

ქვემოთ მოცემული დებულებებიდან რომელი აღწერს ყველაზე კარგად თქვენს მიმდინარე სიტუაციას? (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (%) (N=1853)	უპირველეს ყოვლისა, მე ვარ სტუდენტი და, ამას გარდა, ვმუშაობ	უპირველეს ყოვლისა, მე ვმუშაობ და, ამას გარდა, ვსწავლობ
აგრარული მეცნიერებანი	74.5	25.5
ბიზნესის ადმინისტრირება	65.4	34.6
განათლება	55.6	44.4
ინჟინერია	73.4	26.6
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	74	26
სამართალი	78.1	21.9
სოციალური მეცნიერებები	69.2	30.8
ხელოვნება	76.9	23.1
ჯანდაცვა	81.3	18.8
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	72.7	27.3
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	66.4	33.5
<არ არის გაწერილი>	71.4	28.6

დასაქმების ზოგადი მდგომარეობის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 52.8%-ს, **ბოლო 12 თვის განმავლობაში, ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი, მათ შორის ანაზღაურებადი სტაჟირება და თვითდასაქმების გამოცდილება, არასალექციო პერიოდში/არდადეგებზე** არ ჰქონია. შესაბამისად, პოზიტიური გამოცდილება 47.2%-ს აქვს.

სტატისტიკურად სანდო მონაცემებია **სასწავლო საფეხურის** ჭრილში საკითხის გაანალიზებისას. გამოიკვეთა, რომ ბაკალავრიატისა (50.3%) და მაგისტრატურის საფეხურის (56.9%) საშუალოდ ყოველ მეორე სტუდენტს, ბოლო 12 თვის განმავლობაში, არასალექციო პერიოდში/არდადეგებზე ჰქონია ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი. მსგავსი გამოცდილების არმქონეთა ყველაზე დიდი წილი ფიქსირდება ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შორის (71%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=133439, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #7.15).

დიაგრამა #7.15



კვლევის ფარგლებში შეფასდა **ტექნოლოგიების (კომპიუტერი, ციფრული მოწყობილობები (ლეპტოპი, პლანშეტი, მობილური და ა.შ.)) მნიშვნელოვნება** სტუდენტის სწავლაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში და, ანაზღაურებადი სამსახურის მქონე პირების შემთხვევაში, დამატებით-ამჟამინდელ სამუშაო გარემოში.[5] როგორც აღმოჩნდა, კომპიუტერი და სხვა ციფრული მოწყობილობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეულ ზემოთ განხილულ აქტივობაში/სიტუაციაში (ქულები 1 და 2): სწავლაში - 86%, ყოველდღიურ ცხოვრებაში - 82.2%, ამჟამინდელ სამუშაო გარემოში - 76.5% (იხ. დიაგრამა #7.16).

დიაგრამა #7.16



ზემოაღნიშნულ ტექნიკურ მოწყობილობებს სწავლის მხრივ მნიშვნელოვნად აფასებენ (ქულები 1 და 2) როგორც **უნივერსიტეტის** (85.4%), ისე **სასწავლო უნივერსიტეტისა** (89.9%) და **კოლეჯის** (91.2%)

[5] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5 -ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან მნიშვნელოვანი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულიად უმნიშვნელო“.

სტუდენტების დიდი უმრავლესობა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=22850, p<0.05). პოზიტიური შედეგი ფიქსირდება **სასწავლო საფეხურის** ჭრილში საკითხის განხილვისასაც. კომპიუტერი და ციფრული მოწყობილობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის (89%, მათ შორის „ძალიან მნიშვნელოვანი“ 78.4%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=22706, p<0.05) (იხ. ცხრილი #7.6).

ცხრილი #7.6

რამდენად მნიშვნელოვანია კომპიუტერი, ციფრული მოწყობილობები (ლეპტოპი, პლანშეტი, მობილური და ა.შ.) და პროგრამები/ინსტრუმენტები თქვენს სწავლაში? (%) (N=4699)	ძალიან მნიშვნელოვანი	2	3	4	სრულიად უმნიშვნელო
უსდ-ის ტიპის ჭრილში					
უნივერსიტეტი	75.4	10	10.1	2.4	2.1
სასწავლო უნივერსიტეტი	83.3	6.6	7.8	1.6	0.8
კოლეჯი	64.7	26.5	8.8	-	-
სასწავლო საფეხურის ჭრილში					
ბაკალავრიატი	75.8	9.4	10.3	2.3	2.2
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	65.1	13.3	16.9	2.4	2.4
მაგისტრატურა	78	9.8	7.9	3.1	1
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	78.4	10.6	8.6	1.3	1.2

კომპიუტერი და სხვა ციფრული მოწყობილობები ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია თითოეული სამიზნე **რეგიონის** სტუდენტთა დიდი უმრავლესობისთვის (80%-ზე მეტისთვის), თუმცა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი სამეგრელო-ზემო სვანეთში ფიქსირდება - გამოკითხულ სტუდენტთა 92.9% ციფრულ მოწყობილობებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად აფასებს (ქულები 1 და 2). ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ რეგიონში უარყოფითი კონოტაციის პასუხთა კატეგორიები - ქულები 4 და 5 - საერთოდ არ დაფიქსირებულა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=58008, p<0.05). **სქესის** ჭრილში მცირედი განსხვავება შეინიშნება - ქალების შედარებით დიდი წილი მიუთითებს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში კომპიუტერი და ციფრული მოწყობილობები მნიშვნელოვანია: ქალები - 84.9%, კაცები - 79%. თუმცა აღსანიშნავია, რომ თითქმის 10%-იანი განსხვავებაა „ძალიან მნიშვნელოვნის“ კატეგორიაში (ქულა 1): ქალები - 70.9%, კაცები - 61.7% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=46460, p<0.05) (იხ. ცხრილი #7.7).

ცხრილი #7.7

რამდენად მნიშვნელოვანია კომპიუტერი, ციფრული მოწყობილობები (ლეპტოპი, პლანშეტი, მობილური და ა.შ.) და პროგრამები/ინსტრუმენტები თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? (%) (N=4699)	ძალიან მნიშვნელოვანი	2	3	4	სრულიად უმნიშვნელო
რეგიონის ჭრილში					
თბილისი	67.9	14.6	12.6	2.9	1.9
კახეთი	68.6	13.7	9.8	5.9	2
იმერეთი	55.3	27.3	15.6	1.4	0.4
აჭარა	62.4	16.4	14.2	3	4
შიდა ქართლი	70.6	13.7	13.7	2	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	78.6	14.3	7.1	-	-
სამცხე-ჯავახეთი	62.5	17.9	14.3	3.6	1.8
სქესის ჭრილში					
ქალი	70.9	14.1	11	2.6	1.4
კაცი	61.7	17.4	15.2	3.1	2.7

როდესაც საუბარია ციფრული მოწყობილობების ამჟამინდელ სამუშაო გარემოში გამოყენებაზე, სტატისტიკურად სანდო განსხვავებები ფიქსირდება **სასწავლო მიმართულებების** ჭრილში (X^2=159582, p<0.05). გამოიკვეთა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტების ყველაზე დიდი წილი (90%) მიუთითებს ტექნოლოგიების მნიშვნელოვნებაზე, ხოლო ყველაზე ნაკლებად მსგავს პოზიციას გამოთქვამენ ხელოვნების მიმართულების სტუდენტები (58.5%) (ქულები 1 და 2). შესაბამისად, ხელოვნების სასწავლო პროგრამის სტუდენტებს შორის ფიქსირდება ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (17.1%), ვინც ამჟამინდელ სამუშაო გარემოში კომპიუტერსა და სხვა ციფრულ მოწყობილობებს უმნიშვნელოდ მიიჩნევს (ქულები 4 და 5) (იხ. ცხრილი #7.8).

ცხრილი #7.8

რამდენად მნიშვნელოვანია კომპიუტერი, ციფრული მოწყობილობები (ლეპტოპი, პლანშეტი, მობილური და ა.შ.) და პროგრამები/ინსტრუმენტები თქვენს ამჟამინდელ სამუშაო გარემოში? (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (%) (N=1853)	ძალიან მნიშვნელოვანი	2	3	4	სრულიად უმნიშვნელო
აგრარული მეცნიერებანი	60	12.7	23.6	1.8	1.8
ბიზნესის ადმინისტრირება	81.1	8.9	8.4	0.3	1.4
განათლება	65	8.8	15	7.5	3.8
ინჟინერია	58.7	6.9	22	6.9	5.4
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	45.5	16.9	23.4	7.8	6.5
სამართალი	64.7	8.5	15.2	9.4	2.2
სოციალური მეცნიერებები	64.9	12	9.6	9	4.5
ხელოვნება	51.2	7.3	24.4	12.2	4.9
ჯანდაცვა	63.4	16.8	13	4.3	2.5

რამდენად მნიშვნელოვანია კომპიუტერი, ციფრული მოწყობილობები (ლეპტოპი, პლანშეტი, მობილური და ა.შ.) და პროგრამები/ინსტრუმენტები თქვენს ამჟამინდელ სამუშაო გარემოში? (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (%) (N=1853)	ძალიან მნიშვნელოვანი	2	3	4	სრულიად უმნიშვნელო
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	64.4	16.7	15.2	2.3	1.5
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	52.2	24.3	16.9	2.2	4.4
<არ არის გაწერილი>	53.7	17.1	22	4.9	2.4

7.3. სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობა

სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გაანალიზდა, თუ **ვისგან და რა ფორმის ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ სტუდენტები.** მხარდამჭერ აქტორებად განისაზღვრა ოჯახი და/ან პარტნიორი; მხარდაჭერის ფორმებად კი:

- **ნაღდი ფული/საბანკო გადარიცხვა:** ნებისმიერი თანხა, რომელიც საცხოვრებლად და სასწავლებლად გამოიყენება (მათ შორის, სწავლის საფასურისთვის)
- **პირდაპირ გადახდილ გადასახადები:** ბინის ქირა, ელექტროენერგია, გათბობა, სწავლის ან სხვა მსგავსი გადასახადები, ტელეფონის გადასახადი, გამოწერილი სერვისები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა და ა.შ.
- **არაფულადი დახმარებები:** ოჯახის/პარტნიორის მხრიდან უფასო საცხოვრებლით, საკვებით, ტანსაცმლით, მობილური ტელეფონით, ავტომობილით სარგებლობის და ა.შ. უზრუნველყოფა

მონაცემთა გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ როგორც ოჯახი, ისე პარტნიორი სტუდენტს მეტწილად ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით ეხმარებიან: ოჯახი - 66.2%, პარტნიორი - 65%, შემდგომ პოზიციას, ორივე მხარდამჭერი აქტორის შემთხვევაში, არაფულადი დახმარებები იკავებს, ხოლო ყველაზე ნაკლებად ოჯახი და/ან პარტნიორი გადასახადების გადახდაში ეხმარება სტუდენტს (იხ. დიაგრამა #7.17).

დიაგრამა #7.17



ოჯახის მხრიდან ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი **სამეგრელო-ზემო სვანეთში** ფიქსირდება (77.2%), ხოლო ყველაზე დაბალი - **იმერეთში** (54.9%). მიუხედავად რეგიონების მონაცემებს შორის სხვაობისა, თითოეულ შემთხვევაში ოჯახი გვევლინება, როგორც ნაღდი ფულით სტუდენტის უზრუნველმყოფი ძირითადი აქტორი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=88240, p<0.05). ოჯახის ჩართულობა, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, მაღალია თითოეული **სასწავლო საფეხურის** სტუდენტების შემთხვევაში. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს კი აღწევს ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებში (85.5%). პირველადი სოციალური ჯგუფების მხარდაჭერა როგორც ფულადი, ისე არაფულადი დახმარებების სახით ხშირია ბაკალავრიატის სტუდენტების შემთხვევაშიც, რაც შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ ამ ჯგუფის წევრებში, ასაკიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შედარებით დაბალია დასაქმების მაჩვენებელი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=396069, p<0.05). ამასთან, გამოიკვეთა, რომ საქართველოს **მოქალაქეობის** არმქონე პირები, საქართველოს მოქალაქე სტუდენტებთან შედარებით, უფტო მეტად სარგებლობენ ოჯახისგან ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით. მსგავსი შედეგი იმითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების დიდი ნაწილი დასაქმებული არ არის, შესაბამისად, მას აქ, საქართველოში, შემოსავლის წყარო არ აქვს. ამდენად, დომინანტურ მხარდამჭერ რგოლად სწორედ ოჯახი განიხილება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=1024782, p<0.05) (იხ. ცხრილი #7.9).

ცხრილი #7.9

რა სახის ფინანსურ მხარდაჭერას იღებთ რეგულარულად თქვენი ოჯახისგან და/ან პარტნიორისგან? **ჩემი ოჯახი** (%) (N=4699)	... რეგულარულად უზრუნველმყოფს ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით	... მიხდის გადასახადებს რეგულარულად და პირდაპირ	... რეგულარულად უზრუნველმყოფს არაფულადი დახმარებებით
რეგიონის ჭრილში			
თბილისი	67.8	10.2	21.9
კახეთი	56.3	14.7	29.1
იმერეთი	54.9	9.4	35.7
აჭარა	62.8	15.9	21.3
შიდა ქართლი	58.7	22.1	20
სამეგრელო-ზემო სვანეთი	77.2	6.4	16.4
სამცხე-ჯავახეთი	60.4	19.8	25.4
სასწავლო საფეხურის ჭრილში			
ბაკალავრიატი	64.3	11.9	23.8
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	60.4	24.6	15
მაგისტრატურა	51.5	7.6	40.9
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	83.8	7.8	8.4

რა სახის ფინანსურ მხარდაჭერას იღებთ რეგულარულად თქვენი ოჯახისგან და/ან პარტნიორისგან? **ჩემი ოჯახი** (%) (N=4699)	... რეგულარულად უზრუნველმყოფს ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით	... მიხდის გადასახადებს რეგულარულად და პირდაპირ	... რეგულარულად უზრუნველმყოფს არაფულადი დახმარებებით
მოქალაქეობის ჭრილში			
საქართველოს მოქალაქე	64.9	10.9	24.2
საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	77.5	11.1	11.4

ოჯახის ამ დოზით ჩართულობა ქვეყნის სპეციფიკას უნდა დავუკავშიროთ - სრულწლოვნობის შემდეგ ქართველ სტუდენტთა ძირითადი ნაწილი კვლავ მშობლიურ სახლში განაგრძობს ცხოვრებას და ხშირად, ანაზღაურებადი სამსახურის არქონის გამო, ფინანსურადაც ოჯახზეა დამოკიდებული. შესაძლოა სწორედ ეს იყოს იმის მიზეზი, რომ როგორც ფულადი, ისე არაფულადი დახმარებებით სტუდენტის უზრუნველყოფას ხშირად სწორედ პირველადი სოციალური ჯგუფის, ოჯახის, წარმომადგენლები ახდენენ.

სტუდენტების ფინანსურ უზრუნველყოფაში მხარდამჭერი აქტორების ჩართულობის გასაანალიზებლად შესწავლილ იქნა რესპონდენტთა საშუალო **ხარჯის ოდენობა.** ერთი მხრივ, განისაზღვრა **სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები,** მეორე მხრივ კი, **საცხოვრებელი ხარჯები.** გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის ნებაყოფლობით გაცემის შესაძლებლობიდან გამომდინარე, თითოეული ხარჯი განსხვავებული ოდენობის სტუდენტმა განსაზღვრა, რაც თანდართულ ცხრილშია მითითებული.

როგორც აღიწერა, სტუდენტებს ფულადი თუ არაფულადი დახმარებებით უზრუნველყოფენ როგორც პირველადი სოციალური ჯგუფის წევრები, ისე პარტნიორები. სწორედ მსგავსი მდგომარეობის გათვალისწინებით, რესპონდენტთა ხარჯები ორ კატეგორიად გაანალიზდა: 1) თავად სტუდენტის მიერ საკუთარი ჯიბიდან გადახდილი თანხა; 2) სხვის მიერ მისთვის გადახდილი გადასახადი.

რესპონდენტების მიერ საკუთარი ჯიბიდან გაწეული საშუალო თვიური თანხის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი წარმოდგენილია საცხოვრებლის ხარჯის (ქირა/იპოთეკა, კომუნალური გადასახადები (წყალი, ელექტროობა და ა.შ.)) კატეგორიაში, რაც 429.63 ლარს უტოლდება. აქვე აღსანიშნავია ამ მიზნით სხვის მიერ გაწეული ხარჯი - როგორც ჩანს, რესპონდენტის საცხოვრებელი ხარჯები 249.85 ლარით სხვის მიერაა უზრუნველყოფილი. შემდგომ პოზიციას კი იკავებს საკვებში დახარჯული თანხა - 275.08 ლარი. ამ შემთხვევაში სხვისი ჩართულობა 186.91 ლარითაა განსაზღვრული.

გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტის მიერ გაწეულ ხარჯებში მნიშვნელოვანი წილი იხარჯება ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით - 148.85 (N=366). მითითებულ ოდენობებს შორის მინიმალური თანხა ჯანდაცვის კომპონენტში დაფიქსირდა. სტუდენტი საკუთარი ჯიბიდან, თვიურად, საშუალოდ მხოლოდ 31.55 ლარს იხდის, ხოლო სხვა უხდის 21.55 ლარს. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია არსებული სამედიცინო დაზღვევის მომსახურება - ერთი მხრივ, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, მეორე მხრივ კი, უშუალოდ ამ ჯგუფზე მორგებული სტუდენტური დაზღვევა. სავარაუდოა, რომ ამ სერვისების არსებობა პოზიტიურად აისახება რესპონდენტთა ხარჯებზე.

როგორც ჩანს, სხვა რეგულარული საყოფაცხოვრებო ხარჯებისთვის, როგორებიცაა - ტანსაცმელი, ჰიგიენა, თამბაქო, შინაური ცხოველები, დაზღვევა ან ალიმენტი - სტუდენტი საკუთარი ჯიბიდან უფრო მეტს იხდის (97.94 ლარი), ხოლო სხვა ეხმარება 58.09 ლარით.

კვლევის ფარგლებში, საყოფაცხოვრებო ხარჯების გარდა, სწავლასთან დაკავშირებული ხარჯებიც გაანალიზდა. გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის გადასახადის კატეგორიაში სხვის მიერ გადახდილი თანხა (312.18 ლარი) აღემატება სტუდენტის ჯიბიდან გადახდილს (155.33 ლარი). მსგავსი შედეგი, ერთი მხრივ, შესაძლოა სტუდენტის გრანტის ოდენობით განისაზღვრებოდეს, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ პირველადი სოციალური ჯგუფისგან გაწეული დახმარება სტუდენტის ფინანსურ დანახარჯებში მნიშვნელოვან წილს იკავებს.

სტუდენტის მთლიანი თვიური თანხის გათვალისწინებით, საცხოვრებელი ხარჯების ოდენობა აჭარბებს სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწავლის ხარჯების კომპონენტში სხვის მიერ გადახდილი თანხის ოდენობა (348.09 ლარი) აჭარბებს სტუდენტის მიერ საკუთარი ჯიბიდან გაწეულ ხარჯს (219.31 ლარი). საცხოვრებელი ხარჯების შემთხვევაში კი საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა: სტუდენტი თავად იხდის 1170.26 ლარს, ხოლო სხვა ეხმარება 705.40 ლარით.

ცალკეულ კატეგორიაში დახარჯული საშუალო თვიური თანხის ოდენობები დეტალურად იხილეთ ცხრილში #7.10.

ცხრილი #7.10

როგორია თქვენი საშუალო ხარჯი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიმდინარე სემესტრში?	საკუთარი ჯიბიდან			სხვის მიერ პირდაპირ გადახდილი გადასახადი		
	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
საცხოვრებელი ხარჯები (ქირა/იპოთეკა - კომუნალური გადასახადების (წყალი, ელექტროობა და ა.შ.) ჩათვლით)	2077	429.63	450.57	2077	249.85	366.66
საკვები	2882	275.08	298.64	2882	186.91	272.75
ტრანსპორტი	4522	61.46	111.45	4522	35.89	88.18
კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.)	4618	34.87	50.24	4618	21.04	41.47
ჯანდაცვის ხარჯები (მაგ,: წამლები, სამედიცინო დაზღვევა)	4602	31.55	62.51	4602	21.55	53.52
ბავშვზე ზრუნვა	366	148.85	233.79	366	76.86	192.52
სესხები (იპოთეკის გარდა)	4604	32.74	105.42	4604	21.05	87.38
სოციალური და რეკრეაციული აქტივობები	4613	42.42	64.75	4613	9.67	33.81
სხვა რეგულარული საყოფაცხოვრებო ხარჯები (ტანსაცმელი, ჰიგიენა, თამბაქო, შინაური ცხოველები,	4555	97.94	154.85	4555	58.09	128.29

როგორია თქვენი საშუალო ხარჯი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიმდინარე სემესტრში?	საკუთარი ჯიბიდან			სხვის მიერ პირდაპირ გადახდილი გადასახადი		
	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
დაზღვევა [სამედიცინო დაზღვევის გარდა] ან ალიმენტი						
უნივერსიტეტის სწავლის გადასახადი	4622	155.33	187.21	4622	312.18	581.96
უნივერსიტეტის სხვა გადასახადი (მაგ.: რეგისტრაცია/ადმინისტრირება)	4629	25.40	91.13	4629	15.45	71.20
სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (მაგ.: საველე მივლინებები, წიგნები, ფოტოასლები, კერძო მომზადება, წვლილი სტუდენტურ გაერთიანებაში)	4626	38.77	63.94	4626	20.81	49.68
საცხოვრებელი ხარჯების ჯამი	**2032**	**1170.26**	**857.68**	**2032**	**705.40**	**807.78**
სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამი	**4630**	**219.31**	**245.78**	**4630**	**348.09**	**590.57**

შენიშვნა: თუკი რესპონდენტმა რომელიმე გრაფაში შეუსაბამო ოდენობის თანხა მიუთითა, რომელიც მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არარეალურად შეფასდა, მთლიანი ხარჯის გამოანგარიშებისას ეს გამოპასუხება უარყოფილია. ამდენად, საერთო საცხოვრებელი ხარჯები მხოლოდ 2032 რესპონდენტს ჰქონდა სრულყოფილად მითითებული.

საცხოვრებელი ადგილების სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტთა ყოველთვიური ხარჯების ოდენობა **რეგიონის** ჭრილში გაანალიზდა. საკუთარი ჯიბიდან გადახდილი საცხოვრებელთან დაკავშირებული ხარჯებით, რომელიც მოიცავს ქირას/იპოთეკას, კომუნალურ გადასახადებს, გამოირჩევა შიდა ქართლი (470.24 ლარი) და თბილისი (444.87 ლარი), სადაც ხარჯის ოდენობა 440 ლარს აღემატება. საცხოვრებლის მიმართულებით გაწეული ხარჯების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა კახეთსა (247.04 ლარი) და იმერეთში (241.94 ლარი), თუმცა ეს ოდენობა საშუალოდ 245 ლარს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=4002$, $p<0.05$). რეგიონების დონეზე საკუთარი ჯიბიდან კვებაზე დახარჯული თანხის ოდენობით სამცხე-ჯავახეთის სტუდენტები გამოირჩევიან 349.93 ლარით. ხოლო ყველაზე ცოტას ხარჯავენ იმერეთის უსდ-ების სტუდენტები 157.95 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=4323$, $p<0.05$). რაც შეეხება უნივერსიტეტის გადასახადს, რესპონდენტების მითითებით, თვიურად, ამ მიმართულებით საკუთარი ჯიბიდან საშუალოდ 170 ლარამდე ხარჯავენ, უფრო ზუსტად კი: თბილისი - 167.54 ლარი, კახეთი - 90.65 ლარი, იმერეთი - 66.74 ლარი, აჭარა - 134.59 ლარი, შიდა ქართლი - 143.79 ლარი, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 50.87 ლარი, სამცხე-ჯავახეთი - 74.61 ლარი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=18261$, $p<0.05$).

რაც შეეხება სხვისი ჯიბიდან გაწეულ ხარჯს, განსაკუთრებით მაღალი შედეგი ამ შემთხვევაშიც საცხოვრებლისა და კვების ხარჯებში დაფიქსირდა, რაც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

- **საცხოვრებელი:** თბილისი - 266.81 ლარი, კახეთი - 141.41 ლარი, იმერეთი - 148.93 ლარი, აჭარა - 146.08 ლარი, შიდა ქართლი - 243.43 ლარი, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 98.21 ლარი, სამცხე-ჯავახეთი - 141.73 ლარი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=5174$, $p<0.05$)
- **კვება:** თბილისი - 196.71 ლარი, კახეთი - 163.80 ლარი, იმერეთი - 133.14 ლარი, აჭარა - 121.51 ლარი, შიდა ქართლი - 160.78 ლარი, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 160.14 ლარი, სამცხე-ჯავახეთი - 188.08 ლარი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=3971$, $p<0.05$)

ზემოაღნიშნული ხარჯების გარდა, როგორც რესპონდენტებმა მიუთითეს, სხვები მათ ფინანსურად ეხმარებიან სწავლის გადასახადის დაფარვაშიც. სხვისი ჯიბიდან ამ მიმართულებით გაწეული ხარჯის ოდენობა, ძირითად შემთხვევაში, 300 ლარს აჭარბებს, გამონაკლისი შემდეგი რეგიონებია: იმერეთი - 240.78 ლარი, აჭარა - 181.37 ლარი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამეგრელო-ზემო სვანეთში ფიქსირდება, რაც 429.03 ლარს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=4999$, $p<0.05$).

რეგიონის ჭრილში გაანალიზებული მონაცემები დეტალურად იხილეთ ცხრილში #7.11.

ცხრილი #7.11

როგორია თქვენი საშუალო ხარჯი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიმდინარე სემესტრში? (რეგიონის ჭრილში)			საცხოვრებელი ხარჯები (N=2077) (	საკვები (N=2882)	ტრანსპორტი (N=4522)	კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.) (N=4618)	ჯანდაცვის ხარჯები (მაგ.: წამლები, სამედიცინო დაზღვევა) (N=4602)	ბავშვზე ზრუნვა (N=366)	სესხები (იპოთეკის გარდა) (N=4604)	სოციალური და რეკრეაციული აქტივობები (N=4613)	სხვა რეგულარული საყოფაცხოვრებო ხარჯები (N=4555)	უნივერსიტეტის გადასახადი (N=4622)	უნივერსიტეტის სხვა გადასახადი (N=4629)	სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (N=4626)	**საცხოვრებელი ხარჯების ჯამი (N=2032)**	**სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამი (N=4630)**
თბილისი	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	444.87	282.25	63.57	36.47	33.99	137.31	31.69	44.78	102.06	143.79	40.21	35.89	**1188.81**	**235.13**
		სტანდარტული გადახრა	458.91	298.21	113.08	51.41	65.10	230.48	100.48	66.46	154.91	140.81	117.78	59.04	**862.38**	**252.50**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	266.81	196.71	37.52	22.28	23.27	83.35	21.49	10.84	62.82	329.32	16.98	21.73	**734.37**	**367.67**
		სტანდარტული გადახრა	376.51	279.11	88.49	42.46	55.40	204.99	87.12	35.95	132.62	589.04	75.44	50.91	**815.00**	**597.72**
კახეთი	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	247.04	224.58	58.37	29.04	27.98	162.17	36.11	40.45	105.97	90.65	9.73	26.68	**1026.94**	**126.18**
		სტანდარტული გადახრა	368.43	260.43	115.28	41.29	62.85	198.18	109.11	61.78	164.87	146.40	39.73	52.99	**861.35**	**178.51**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	141.41	163.80	32.87	16.88	20.76	113.54	29.49	3.37	50.79	339.05	5.60	13.46	**673.39**	**355.13**
		სტანდარტული გადახრა	233.39	256.20	80.87	34.90	55.94	204.10	110.95	21.09	123.67	726.79	33.32	35.80	**741.72**	**726.05**
იმერეთი	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	241.94	157.85	48.27	22.82	11.75	37.52	14.07	23.90	58.04	66.74	7.34	24.60	**792.62**	**98.67**
		სტანდარტული გადახრა	385.23	206.92	91.59	45.01	36.51	106.07	60.79	49.52	129.09	141.57	48.73	50.90	**714.99**	**177.93**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	148.93	133.14	27.14	15.31	9.08	14.48	8.26	2.62	32.19	240.78	5.19	15.42	**539.30**	**261.37**
		სტანდარტული გადახრა	282.96	202.38	73.66	37.34	33.17	52.48	62.15	14.57	86.55	558.37	32.99	40.22	**631.69**	**564.38**
აჭარა	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	383.28	261.81	49.15	30.14	26.04	266.05	51.58	38.71	88.60	134.59	25.11	35.02	**1104.16**	**194.72**
		სტანდარტული გადახრა	371.37	331.96	99.85	40.89	51.22	265.77	154.58	59.34	158.48	148.78	86.77	56.89	**798.34**	**208.55**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	146.08	121.51	27.55	15.54	15.99	26.26	20.69	5.77	38.22	181.37	11.87	19.14	**473.47**	**212.38**
		სტანდარტული გადახრა	269.74	229.48	88.53	36.03	45.24	118.15	91.47	24.66	108.78	407.28	57.22	48.19	**741.14**	**420.79**

როგორია თქვენი საშუალო ხარჯი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიმდინარე სემესტრში? (რეგიონის ქრილში)			საცხოვრებელი ხარჯები (N=2077) (	საკვები (N=2882)	ტრანსპორტი (N=4522)	კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.) (N=4618)	ჯანდაცვის ხარჯები (მაგ.: წამლები, სამედიცინო დაზღვევა) (N=4602)	ბავშვზე ზრუნვა (N=366)	სესხები (იპოთეკის გარდა) (N=4604)	სოციალური და რეკრეაციული აქტივობები (N=4613)	სხვა რეგულარული საყოფაცხოვრებო ხარჯები (N=4555)	უნივერსიტეტის გადასახადი (N=4622)	უნივერსიტეტის სხვა გადასახადი (N=4629)	სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (N=4626)	**საცხოვრებელი ხარჯების ჯამი (N=2032)**	**სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამი (N=4630)**
შიდა ქართლი	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	470.24	284.78	88.61	33.36	30.88	243.64	48.89	33.39	109.00	143.79	40.21	35.89	**1529.69**	**217.68**
		სტანდარტული გადახრა	454.75	283.28	141.86	50.36	64.54	269.20	122.18	59.36	181.86	140.81	117.78	59.04	**1028.45**	**244.54**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	243.43	160.78	59.37	23.60	29.33	162.36	46.00	11.31	70.57	379.30	20.45	16.99	**968.00**	**412.41**
		სტანდარტული გადახრა	390.52	213.41	136.72	42.24	67.83	212.61	124.96	33.69	145.88	694.94	82.26	41.92	**986.73**	**690.45**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	297.19	284.83	49.35	19.67	14.57	262.65	32.80	20.26	76.32	50.87	13.83	20.26	**1297.43**	**84.96**
		სტანდარტული გადახრა	416.52	331.60	116.51	39.93	41.28	414.92	110.38	45.12	158.75	108.90	75.07	52.02	**1072.78**	**172.41**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	98.21	160.14	17.76	12.95	5.84	100.84	5.68	3.01	22.52	429.03	3.31	8.04	**405.29**	**440.39**
		სტანდარტული გადახრა	199.68	325.26	67.12	38.87	26.16	289.18	40.25	21.01	86.78	838.49	20.36	26.09	**642.99**	**836.12**
სამცხე-ჯავახეთი	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	303.03	349.93	65.52	39.24	23.71	195.89	41.65	29.72	93.25	74.61	12.15	36.88	**1276.77**	**123.64**
		სტანდარტული გადახრა	426.46	342.51	131.19	60.34	53.29	245.26	120.64	53.52	182.11	134.94	54.00	65.10	**880.13**	**186.14**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	141.73	188.08	25.86	13.77	13.70	71.92	38.39	3.90	37.23	362.70	2.95	16.52	**630.02**	**382.17**
		სტანდარტული გადახრა	376.06	301.92	87.77	30.85	48.68	148.19	125.59	21.14	123.67	762.52	29.83	46.74	**884.27**	**769.82**

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის

საქართველოს მოქალაქეობის ჭრილშიც გაანალიზდა ხარჯების ოდენობა. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა მიერ საცხოვრებელზე საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯი (584.93 ლარი) საქართველოს მოქალაქეების მიერ დახარჯულ ოდენობას (400.62 ლარი) აღემატება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=26876, p<0.05). აქ, ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ არაქართველი სტუდენტები, ძირითად შემთხვევაში, ქირით ცხოვრობენ, ხოლო ქართველები, როგორც კვლევამაც დაადასტურა, უმეტესწილად - საკუთარ ოჯახში, და ამ მხრივ დამატებითი ხარჯის გაწევა არ უწევთ. ქართველ სტუდენტებში შედარებით მაღალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების გამოცდილებას ეყრდნობა, რადგან მათაც, არაქართველი სტუდენტების მსგავსად, ხშირად უწევთ საცხოვრებელი ფართის ქირაობა.

კვების კომპონენტშიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა. თუკი საქართველოს მოქალაქეები ამ მიმართულებით საკუთარი ჯიბიდან თვეში 266.44 ლარს ხარჯავენ, არაქართველ სტუდენტებში მაჩვენებელი 336.24 ლარამდე იზრდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=11103, p<0.05). სხვის მიერ გაწეული ხარჯის შემთხვევაში საცხოვრებელზე დახარჯული თანხის ოდენობა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებში 315.09 ლარს უტოლდება, ხოლო ქართველ სტუდენტებში 237.94 ლარამდე მცირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=7615, p<0.05).

ამ და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, საკუთარი ჯიბიდან გადახდილი საერთო საცხოვრებელი ხარჯი საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში 1145.94 ლარს უტოლდება, ხოლო საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა შორის ხარჯის ოდენობა 1301.10 ლარამდე იზრდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=5757, p<0.05).

რაც შეეხება სწავლის გადასახადს, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები საკუთარი ჯიბიდან, თვიურად, საშუალოდ 211.73 ლარს იხდიან, ხოლო საქართველოს მოქალაქეები - 148.05 ლარს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=26885, p<0.05). ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები, უმეტესწილად, არ სარგებლობენ ადგილობრივი სახელმწიფო პროგრამებით და, შესაბამისად, თავად უწევთ სასწავლო ხარჯის დაფარვა (ოჯახის დახმარებით ან ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებული შემოსავლით).

ამ და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, საკუთარი ჯიბიდან სწავლასთან დაკავშირებით გაწეული საერთო ხარჯი საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში, თვიურად, საშუალოდ 204.50 ლარს უტოლდება, საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა ხარჯი კი 333.57 ლარამდე იზრდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=64679, p<0.05).

საქართველოს მოქალაქეობის ჭრილში გაანალიზებული საშუალო თვიური ხარჯის ოდენობები დეტალურად იხილეთ ცხრილში #7.12.

ცხრილი #7.12

როგორია თქვენი საშუალო ხარჯი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიმდინარე სემესტრში? (მოქალაქეობის ჭრილში)			საცხოვრებელი ხარჯები (N=2077)	საკვები (N=2882)	ტრანსპორტი (N=4522)	კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.) (N=4618)	ჯანდაცვის ხარჯები (მაგ.: წამლები, სამედიცინო დაზღვევა) (N=4602)	ბავშვზე ზრუნვა (N=366)	სესხები (იპოთეკის გარდა) (N=4604)	სოციალური და რეკრეაციული აქტივობები (N=4613)	სხვა რეგულარული საყოფაცხოვრებო ხარჯები (N=4555)	უნივერსიტეტის გადასახადი (N=4622)	უნივერსიტეტის სხვა გადასახადი (N=4629)	სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (N=4626)	**საცხოვრებელი ხარჯების ჯამი (N=2032)**	**სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამი (N=4630)**
საქართველოს მოქალაქე	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	400.62	266.44	59.68	35.22	30.42	154.96	33.88	42.68	100.05	148.05	18.46	38.20	**1145.94**	**204.50**
		სტანდარტული გადახრა	427.67	285.44	105.86	50.52	60.88	241.26	107.16	65.28	156.62	174.71	74.87	62.98	**822.25**	**224.81**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	237.94	183.57	35.91	20.92	20.66	82.42	21.76	8.87	59.90	315.09	10.99	20.58	**701.33**	**346.26**
		სტანდარტული გადახრა	351.66	264.73	88.46	41.69	51.75	200.90	88.97	33.05	130.64	595.08	58.96	49.14	**802.06**	**600.83**
საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	584.93	336.24	75.26	32.45	40.19	89.05	22.33	40.76	80.53	211.73	78.75	43.10	**1301.10**	**333.57**
		სტანდარტული გადახრა	531.00	370.72	147.11	48.17	73.31	127.39	87.05	60.93	136.78	257.78	160.82	70.32	**1011.75**	**349.11**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	315.09	208.99	33.84	22.02	28.58	21.97	15.63	15.88	44.76	291.67	49.58	22.41	**728.94**	**363.63**
		სტანდარტული გადახრა	433.30	321.08	79.84	39.97	65.35	35.73	74.59	38.77	108.47	473.16	126.62	53.64	**839.21**	**508.34**

 სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის

სტუდენტებმა, **რომლებსაც სწავლის საფასურის გადახდაში სხვა უწევს ფინანსურ მხარდაჭერას, შეაფასეს ამ პროცესში ჩართული კონკრეტული პირ(ებ)ი.** ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ოჯახი მხარდაჭერის დომინანტურ აქტორს წარმოადგენს - 70.2%-ს სწორედ მშობლები/მეურვეები უხდიან საუნივერსიტეტო სწავლის გადასახადს (იხ. დიაგრამა #7.18).

დიაგრამა #7.18



რესპონდენტთა 42.6%-ის გამოცდილებით, **დისტანციური სწავლის პერიოდში სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები** იგივე დარჩა, მესამედს აჭარბებს მათი წილი (35.1%), ვისთვისაც აღნიშნული ხარჯები შემცირდა, ხოლო მეხუთედზე მეტის გამოცდილება (22.3%) ხარჯების ზრდას უკავშირდება. იმ სტუდენტთა თითქმის მეოთხედი, ვინც მიიჩნევს, რომ დისტანციური სწავლის პერიოდში სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები **გაიზარდა,** მზარდ კატეგორიად ასახელებს ტექნიკის შეძენის ხარჯებს (24.2%). ცალკეულ შემთხვევაში მეხუთედს აჭარბებს მათი წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ინტერნეტის ხარჯები (23.1%) ან კომუნალური გადასახადების ოდენობა (22.4%) გაიზარდა. მეორე მხრივ, გამოკითხვის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დისტანციური სწავლებისას კვების ხარჯები **შემცირდა** (25.7%); მესამედს აჭარბებს იმ სტუდენტთა წილი, ვისაც ტრანსპორტის ხარჯები შეუმცირდა (37.6%) (იხ. ცხრილი #7.13).

ცხრილი #7.13

გთხოვთ, დააზუსტოთ სპეციალური ხარჯები, რომლებიც დისტანციური სწავლისას... (%)	
გაიზარდა (N=1034)	
სწავლის გადასახადი	16.7
ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები	24.2
ინტერნეტის ხარჯები	23.1
კომუნალური გადასახადები	22.4
სხვა	13.6
შემცირდა (N=1641)	
სწავლის გადასახადი	3.6
ტრანსპორტის ხარჯები	37.6
საცხოვრებელი ხარჯი	17.5
კვების ხარჯი	25.7
კომუნალური გადასახადები	11
სხვა	4.7

რეგიონული უნივერსიტეტის სტუდენტების ძირითადი ნაწილი მიუთითებს, რომ დისტანციური სწავლების რეჟიმში მათთვის შემცირდა ტრანსპორტის, საცხოვრებლისა და კვების ხარჯები. მათ შორის ლიდერობს ტრანსპორტირების ხარჯის შემცირება, რაც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული: თბილისი - 37%, კახეთი - 40.5%, იმერეთი - 45.5%, აჭარა - 34.2%, შიდა ქართლი - 44.5%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 47.3%, სამცხე-ჯავახეთი - 37.5%. მსგავსი შედეგი მოსალოდნელი იყო, რადგან დისტანციური სწავლების პირობებში იმ სტუდენტთა უმრავლესობას, ვინც თუნდაც თბილისთან ახლოს მდებარე რეგიონებიდან დადიოდა უნივერსიტეტში სასწავლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, ეს ვალდებულება აღარ ჰქონდა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=71843, p<0.05) (იხ. ცხრილი #7.14).

ცხრილი #7.14

გთხოვთ, დააზუსტოთ სპეციალური ხარჯები, რომლებიც დისტანციური სწავლისას შემცირდა (რეგიონის ჭრილში) (%) (N=1641)	სწავლის გადასახადი	ტრანსპორტის ხარჯები	საცხოვრებელი ხარჯი	კვების ხარი	კომუნალური გადასახადები	სხვა
თბილისი	3.8	37	17.3	25.6	11.6	4.6
კახეთი	0.6	40.5	17.5	28.7	10.5	2.2
იმერეთი	0.6	45.5	16.7	27	5.9	4.4
აჭარა	4.6	34.2	19.6	25.7	8.2	7.6
შიდა ქართლი	5	44.5	13.3	21.8	7	8.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.5	47.3	17.7	26.4	3.6	2.4
სამცხე-ჯავახეთი	1.3	37.5	21.9	22.3	15.5	1.5

ოჯახისგან თუ პარტნიორისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერის და გადახდილი გადასახადების გარდა, კვლევის ფარგლებში შეფასდა სასწავლო პროცესთან უშუალოდ დაკავშირებული ფინანსური წყაროებიც - **„იღებთ თუ არა სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს მიმდინარე სემესტრში?“** როგორც აღმოჩნდა, ყოველი მეორე სტუდენტი (50.6%) არანაირ გრანტს/სტიპენდიას თუ სტუდენტურ სესხს არ იღებს, ხოლო დაახლოებით მეოთხედი სარგებლობს სახელმწიფო გრანტით (24.3%). სახელმწიფო გრანტის მიღება ეროვნული გამოცდების შედეგებზეა დამოკიდებული. რაც შეეხება სახელმწიფო გრანტის ოდენობას, მიმღებთა ძირითად ნაწილს (43.9%) 50%-იანი გრანტი აქვს, მესამედს აჭარბებს 100%-იანი გრანტის მქონეთა წილი (35.5%), ხოლო მეხუთედს (20.6%) 70%-იანი სახელმწიფო დაფინანსება აქვს. სხვა ტიპის ფინანსური დახმარების მქონე სტუდენტთა წილი, ცალკეულ შემთხვევაში, 7%-საც კი ვერ აღწევს (იხ. ცხრილი #7.15).

ცხრილი #7.15

იღებთ თუ არა სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს მიმდინარე სემესტრში? (N=4699)	%
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს	24.3
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში	6.3

იღებთ თუ არა სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს მიმდინარე სემესტრში? (N=4699)	%
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა)	3.6
დიახ, ვიღებ სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან	0.9
დიახ, ვიღებ სტუდენტურ სესხს უნივერსიტეტიდან/ბანკიდან	2.8
დიახ, ვიღებ სტიპენდიას უნივერსიტეტისგან	6.2
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას/სესხს სხვა ქვეყნისგან	5.3
არა, არ ვიღებ	50.6

უსდ-ის ტიპის ჭრილში საკითხის გაანალიზების შედეგად შენარჩუნებულია ზოგადი ტენდენცია - როგორც უნივერსიტეტის (49%), ისე სასწავლო უნივერსიტეტისა (62%) და კოლეჯის (73.6%) სტუდენტების დიდი ნაწილი/უმრავლესობა არ იღებს სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს მიმდინარე სემესტრში. უნივერსიტეტის შემთხვევაში, სხვა ტიპის უსდ-ებთან შედარებით, მაღალია სახელმწიფო გრანტის მფლობელ სტუდენტთა წილი, რაც მეოთხედს აჭარბებს (26.3%). შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგის მქონე აბიტურიენტები, რომლებიც შემდეგ სახელმწიფო გრანტს იღებენ, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა სასწავლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტები ძირითადად უნივერსიტეტს ანიჭებენ უპირატესობას. აქვე ხაზგასასმელია, რომ კოლეჯის არცერთი სტუდენტი არ იღებს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან სტიპენდიას და არც სტუდენტურ სესხს უნივერსიტეტიდან/ბანკიდან. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდიანტთა ოდენობა განსაკუთრებით დაბალია როგორც უნივერსიტეტის (0.8%), ისე სასწავლო უნივერსიტეტის (1.3%) სტუდენტთა შორის (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: x^2=1478233, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #7.16).

ცხრილი #7.16

იღებთ თუ არა სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს მიმდინარე სემესტრში? (უსდ-ის ტიპის ჭრილში) (%) (N=4699)	უსდ-ის ტიპი		
	უნივერსიტეტი	სასწავლო უნივერსიტეტი	კოლეჯი
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს	26.3	9.3	8.3
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში	6.5	5.4	2.8
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა)	3.7	3.4	2.6
დიახ, ვიღებ სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან	0.8	1.3	-
დიახ, ვიღებ სტუდენტურ სესხს უნივერსიტეტიდან/ბანკიდან	2.6	4.9	-
დიახ, ვიღებ სტიპენდიას უნივერსიტეტისგან	5.9	7.9	9.2
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას/სესხს სხვა ქვეყნისგან	5.3	5.8	3.4
არა, არ ვიღებ	49	62	73.6

იმის გათვალისწინებით, რომ **საქართველოს მოქალაქეობა** გარკვეულწილად დაკავშირებულია სახელმწიფო გრანტებსა თუ სტიპენდიებთან, სწორედ ამ ჭრილშიც გაანალიზდა საკითხი. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს მოქალაქეების არმქონეთა უმრავლესობა (67.6%) არ სარგებლობს სახელმწიფო გრანტით/სტიპენდიით ან სტუდენტური სესხით. ამ კატეგორიაში ქართველ სტუდენტთა 48.4% ერთიანდება. თუკი საქართველოს მოქალაქე რესპონდენტებში სახელმწიფო გრანტის მფლობელთა წილი სჭარბობს (26.5%), არაქართველ სტუდენტთა შორის მსგავსი გამოცდილება მხოლოდ 7.6%-ს აქვს. ამ ჯგუფისთვის მეტად დამახასიათებელია სხვა ქვეყნისგან სახელმწიფო გრანტის/სტიპენდიის ან სესხის მიღება (10.3%), რაც ლოგიკური შედეგია, ვინაიდან არაქართველი სტუდენტის საქართველოში სწავლა არ ნიშნავს, რომ საქართველო სრულად პასუხისმგებელია მის ფინანსურ მხარდაჭერაზე (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=3682979, p<0.05) (იხ. ცხრილი #7.17).

ცხრილი #7.17

იღებთ თუ არა სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს მიმდინარე სემესტრში? (მოქალაქეობის ჭრილში) (%) (N=4699)	მოქალაქეობა	
	საქართველოს მოქალაქე	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს	26.5	7.6
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში	6.5	5.1
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა)	3.7	2.8
დიახ, ვიღებ სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან	0.7	2
დიახ, ვიღებ სტუდენტურ სესხს უნივერსიტეტიდან/ბანკიდან	2.6	3.5
დიახ, ვიღებ სტიპენდიას უნივერსიტეტისგან	6.8	1
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას/სესხს სხვა ქვეყნისგან	4.6	10.3
არა, არ ვიღებ	48.4	67.6

მართალია, ზოგიერთი სტუდენტი სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს იღებს მიმდინარე სემესტრში, ყოველდღიური ხარჯების გასაწევად მნიშვნელოვანია **დანაზოგის ფენომენის** შეფასება. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უმრავლესობა (65.9%) ზემოაღნიშნულ გადასახადებს ან თუნდაც ნაწილს დანაზოგით არ იხდის. შესაბამისად, პოზიტიური გამოცდილება სტუდენტთა დაახლოებით მესამედს აქვს (34.1%):

- დანაზოგით წინა სამსახურ(ებ)იდან (მაგ.: შვებულების პერიოდში გამომუშავებული თანხა) – 21.8%.
- სხვა სახის დანაზოგით (მაგ.: მემკვიდრეობით მიღებული თანხა, ფულადი საჩუქრები, შემოსავალი კაპიტალიდან, გაყიდვებიდან მიღებული თანხა, ფულადი პრიზი და სხვა) – 12.3%.

სასწავლო საფეხურის ჭრილში საკითხის გაანალიზებისას სტატისტიკურად სანდო განსხვავებები გამოვლინდა. მართალია, ზოგადი ჭრილი შენარჩუნებულია და თითოეული საფეხურის სტუდენტთა ძირითადი ნაწილი/უმრავლესობა საცხოვრებლის ან სწავლის გადასახადს (თუნდაც ნაწილს) დანაზოგით არ იხდის, თუმცა ხაზგასასმელია, რომ წინა სამსახურიდან დაგროვებული დანაზოგით

ამ ხარჯებს უფრო მეტად ფარავენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები (26.2%), ვიდრე სხვა სასწავლო საფეხურის სტუდენტები:

- ბაკალავრიატი - 21.6%
- მაგისტრატურა - 20.2%
- ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა - 25.4% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=9374046, p<0.05).

ამასთან, თუკი **საქართველოს მოქალაქეების** მეხუთედზე მეტი (22%) მსგავს ხარჯს წევს წინა სამსახურ(ებ)იდან დაგროვებული დანაზოგით, არაქართველ სტუდენტთა მეოთხედზე მეტი (27.2%) სხვა სახის დანაზოგს იყენებს, მაგალითად, მემკვიდრეობით მიღებულ თანხას, ფულად საჩუქრებს, გაყიდვებიდან მიღებულ თანხას და ა.შ. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=738182, p<0.05).

სასწავლო საფეხურისა და საქართველოს მოქალაქეობის ჭრილში საკითხის გაანალიზების შედეგად მიღებული მონაცემები დეტალურად იხილეთ ცხრილში #7.18.

ცხრილი #7.18

იხდით თუ არა საცხოვრებლის ან სწავლის გადასახადის თუნდაც ნაწილს თქვენი დანაზოგით მიმდინარე სემესტრში? (%) (N=4699)	დიახ, დანაზოგით წინა სამსახურ(ებ)იდან	დიახ, სხვა დანაზოგით	არა, არ ვიხდი დანაზოგით
სასწავლო საფეხურის ჭრილში			
ბაკალავრიატი	21.6	12.6	65.8
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	26.2	28.4	45.4
მაგისტრატურა	20.2	4.1	75.7
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	25.4	21.5	53
მოქალაქეობის ჭრილში			
საქართველოს მოქალაქე	22	10.9	67.1
საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	20	27.2	52.8

სტუდენტის საშუალო თვიურ ხარჯებთან ერთად კვლევის ფარგლებში შეფასდა ცალკეული ინდივიდის **შემოსავლების ოდენობაც**. ხარჯების მსგავსად, სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლის ოდენობის მითითება ნებაყოფლობითი კატეგორია იყო. ამდენად, შესაძლოა დაფიქსირდეს გამოპასუხების განსხვავებული რაოდენობა. თითოეულ კატეგორიაში შემოსავლის ოდენობა დათვლილია ერთ თვეზე გაანგარიშებით.

გაცემულ პასუხებს შორის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი დაფიქსირდა ორ დომინანტურ კატეგორიაში: ხელზე ასაღები შემოსავალი ანაზღაურებადი სამსახურიდან მიმდინარე სემესტრში - 250.40 ლარი, ოჯახისგან ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვა - 188.41 ლარი. საშუალოდ 60.81

ლარს უტოლდება სახელმწიფო გრანტით მიღებული შემოსავალი, რაც პირდაპირ ხმარდება სწავლის დაფინანსებას.

შემოსავლის თითოეულ წყაროში მითითებული ოდენობების მიხედვით მონაცემთა დამუშავების შედეგად, სტუდენტების **საშუალო თვიური შემოსავალი 710.49 ლარს უტოლდება.**

სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლის საშუალო თვიური ოდენობის გადანაწილება დეტალურად იხილეთ ცხრილში #7.19.

ცხრილი #7.19

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი* თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში?	**საშუალო მაჩვენებელი**	**სტანდარტული გადახრა**	**გამოპასუხების რაოდენობა**
ოჯახისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	188.41	234.28	3129
პარტნიორისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	19.70	105.90	3167
სახელმწიფო გრანტი	60.81	84.11	3190
სწავლისთვის ფინანსური დახმარება სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში	10.23	63.96	3190
სწავლისთვის ფინანსური დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა)	5.42	54.68	3108
სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან	17.82	87.47	3165
სტუდენტური სესხი უნივერსიტეტიდან/ბანკიდან	2.33	31.26	3190
სტიპენდია უნივერსიტეტისგან	19.28	97.99	3162
სახელმწიფო გრანტი/სტიპენდია/სესხი სხვა ქვეყნისგან	14.33	132.71	3138
ხელზე ასაღები შემოსავალი ანაზღაურებადი სამსახურიდან მიმდინარე სემესტრში	250.40	472.12	3142
დანაზოგი წინა სამსახურ(ებ)იდან მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის	41.93	178.67	3166
სხვა დანაზოგი (არა წინა სამსახურ(ებ)იდან) მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის	12.12	83.11	3158
სხვა შემოსავალი სახელმწიფო წყაროებიდან (მაგ.: ბავშვის დახმარება, საოჯახო დახმარება, პენსია, უმუშევრობის შემწეობა, ობლობის დახმარება)	28.44	109.00	3096
სხვა შემოსავალი (დასაბრუნებელი ან დაუბრუნებელი) კერძო წყაროებიდან (მაგ.: ალიმენტი, კერძო სტიპენდიები, შემოსავალი კაპიტალიდან, უძრავი ქონებიდან, პერიოდული გაყიდვებიდან, საჩუქრები, ბანკის სესხი, კერძო პირისგან სესხი)	40.14	144.88	3116
მთლიანი თანხა	**710.49**	**635.03**	**2956**

სასწავლო საფეხურების ჭრილში საკითხის გაანალიზების შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სტუდენტთა შემოსავლის დომინანტურ წყაროს, ერთი მხრივ, პირველადი სოციალური ჯგუფი, ოჯახი, წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ - ანაზღაურებადი სამსახური. ოჯახისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერა ყველაზე დიდი ოდენობით მიეწოდებათ ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, რაც 303.57 ლარს შეადგენს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=59797$, $p<0.05$).

რაც შეეხება ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებულ ყოველთვიურ საშუალო შემოსავალს, ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა შეფასებით, თანხის ოდენობა 243.81 ლარს უტოლდება, ხოლო მაგისტრანტთა შემთხვევაში 608.98 ლარამდე იზრდება. ანაზღაურებადი სამსახურიდან ყოველთვიურად მიღებული შემოსავლის საშუალო ოდენობა მინიმალურია ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების შემთხვევაში (90.27 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=90659$, $p<0.05$). მსგავსი შედეგი შესაძლოა განპირობებული იყოს იმ გარემოებით, რომ, როგორც აღინიშნა, ხშირად სამედიცინო პროფილის უსდ-ების სტუდენტების სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობა კურიკულუმის პრაქტიკულ ნაწილად განისაზღვრება და არა ანაზღაურებადი სამსახურის კატეგორიად (იხ. ცხრილი #7.20).

ცხრილი #7.20

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი* თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში? (სასწავლო საფეხურის ჭრილში)	ბაკალავრიატი		ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა		მაგისტრატურა		ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	
	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა
ოჯახისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები (N=3129)	161.66	219.16	188.00	270.64	163.76	237.35	303.57	249.39
პარტნიორისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები (N=3167)	17.61	91.19	64.38	163.90	32.84	174.32	15.80	98.53
სახელმწიფო გრანტი (N=3190)	67.36	85.54	63.37	88.45	38.34	80.61	48.47	76.56
სწავლისთვის ფინანსური დახმარება სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში (N=3190)	11.77	68.90	4.15	31.16	4.69	36.93	8.17	58.60
სწავლისთვის ფინანსური დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა) (N=3108)	5.75	58.18	8.25	60.72	5.36	44.00	3.88	44.80
სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან (N=3165)	19.28	92.02	14.40	73.33	16.90	74.88	13.25	77.21
სტუდენტური სესხი უნივერსიტეტიდან/ბანკიდან (N=3190)	1.50	21.92	0.15	4.06	2.57	23.95	5.50	55.99
სტიპენდია უნივერსიტეტისგან (N=3162)	24.96	111.93	28.14	137.93	3.20	32.14	5.98	45.01
სახელმწიფო გრანტი/სტიპენდია/სესხი სხვა ქვეყნისგან (N=3138)	12.96	144.86	37.17	146.25	9.31	72.09	19.90	107.28
ხელზე ასაღები შემოსავალი ანაზღაურებადი სამსახურიდან მიმდინარე სემესტრში (N=3142)	243.81	454.47	184.17	382.45	608.98	656.18	90.27	293.66
დანაზოგი წინა სამსახურ(ებ)იდან მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის (N=3166)	38.57	166.36	76.74	328.60	67.64	223.37	36.85	173.29

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი* თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში? (სასწავლო საფეხურის ჭრილში)	ბაკალავრიატი		ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა		მაგისტრატურა		ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	
	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა
სხვა დანაზოგი (არა წინა სამსახურ(ებ)იდან) მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის (N=3158)	10.40	77.81	37.66	144.54	4.67	39.25	20.00	107.16
სხვა შემოსავალი სახელმწიფო წყაროებიდან (მაგ.: ბავშვის დახმარება, საოჯახო დახმარება, პენსია, უმუშევრობის შემწეობა, ობლობის დახმარება) (N=3096)	31.06	112.48	72.55	150.89	20.11	92.18	18.86	97.56
სხვა შემოსავალი (დასაბრუნებელი ან დაუბრუნებელი) კერძო წყაროებიდან (მაგ.: ალიმენტი, კერძო სტიპენდიები, შემოსავალი კაპიტალიდან, უძრავი ქონებიდან, პერიოდული გაყიდვებიდან, საჩუქრები, ბანკის სესხი, კერძო პირისგან სესხი) (N=3116)	39.87	142.92	104.93	268.45	36.76	127.06	36.56	142.99
მთლიანი თანხა (N=2956)	**680.46**	**603.04**	**827.46**	**998.98**	**1025.71**	**735.25**	**635.73**	**595.81**

	სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის

საქართველოს მოქალაქეობის ჭრილშიც იქნა განხილული საშუალო თვიური შემოსავლის ოდენობა. როგორ აღმოჩნდა, საქართველოს მოქალაქეობის არმქონეთა შორის თითქმის გაორმაგებულია პირველადი სოციალური ჯგუფებისგან მიღებული ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა (323.99 ლარი), ქართველ სტუდენტებთან შედარებით (172.21 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=66538, p<0.05). იმის გათვალისწინებით, რომ არაქართველი სტუდენტები ნაკლებად სარგებლობენ საქართველოს სახელმწიფო დახმარებებითა თუ ადგილობრივი ანაზღაურებადი სამსახურებით, მათი ძირითადი ფინანსური მხარდამჭერი სწორედ ოჯახია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტთა შორის (47.85 ლარი), ქართველებთან შედარებით (10.20 ლარი), დიდია სხვა ქვეყნიდან მიღებული დახმარების ოდენობა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=12358, p<0.05).

ამასთან, საქართველოს მოქალაქეებს ანაზღაურებადი სამსახურებიდან, ყოველთვიურად, საშუალოდ 271.08 ლარის ოდენობის შემოსავალი აქვთ, ხოლო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტთა შორის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 87.31 ლარს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=24004, p<0.05). როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ ორი ჯგუფის წევრთა შორის დასაქმების განსხვავებული მდგომარეობაა - ქართველი სტუდენტების 45%-ს ანაზღაურებადი სამსახური აქვს, ამავე კატეგორიაში კი არაქართველი რესპონდენტების მხოლოდ 22.3% ერთიანდება. ამდენად, მიღებული შედეგები არ არის შემთხვევითი და ზოგადი მდგომარეობის აღმწერია.

საერთო რაოდენობის მხრივ, საქართველოს მოქალაქეების საშუალო თვიური შემოსავალი 719.05 ლარს უტოლდება, ხოლო არაქართველი სტუდენტების - 636.28 ლარს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=4635, p<0.05). შემოსავლის თითოეული წყაროს მიხედვით დაფიქსირებული მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ ცხრილში #7.21.

ცხრილი #7.21

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი* თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში? (მოქალაქეობის ჭრილში)	მოქალაქეობა			
	საქართველოს მოქალაქე		საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	
	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა
ოჯახისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები (N=3129)	172.21	220.77	323.99	292.55
პარტნიორისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები (N=3167)	19.41	106.02	19.05	99.17
სახელმწიფო გრანტი (N=3190)	65.69	85.29	22.65	62.38
სწავლისთვის ფინანსურ დახმარება სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში (N=3190)	11.00	66.82	4.19	33.41
სწავლისთვის ფინანსური დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა) (N=3108)	5.62	56.70	3.73	33.31
სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან (N=3165)	18.16	88.83	15.30	76.26

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი* თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში? (მოქალაქეობის ჭრილში)	მოქალაქეობა			
	საქართველოს მოქალაქე		საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	
	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა
სტუდენტური სესხი უნივერსიტეტიდან/ბანკიდან (N=3190)	1.59	24.95	7.73	61.25
სტიპენდია უნივერსიტეტისგან (N=3162)	21.73	103.79	0.15	7.01
სახელმწიფო გრანტი/სტიპენდია/სესხი სხვა ქვეყნისგან (N=3138)	10.20	89.03	47.85	308.56
ხელზე ასაღები შემოსავალი ანაზღაურებადი სამსახურიდან მიმდინარე სემესტრში (N=3142)	271.08	483.33	87.31	330.90
დანაზოგი წინა სამსახურ(ებ)იდან მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის (N=3166)	44.68	183.07	20.28	137.76
სხვა დანაზოგი (არა წინა სამსახურ(ებ)იდან) მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის (N=3158)	9.28	72.86	35.20	139.17
სხვა შემოსავალი სახელმწიფო წყაროებიდან (მაგ.: ბავშვის დახმარება, საოჯახო დახმარება, პენსია, უმუშევრობის შემწეობა, ობლობის დახმარება) (N=3096)	27.36	106.77	35.08	123.20
სხვა შემოსავალი (დასაბრუნებელი ან დაუბრუნებელი) კერძო წყაროებიდან (მაგ.: ალიმენტი, კერძო სტიპენდიები, შემოსავალი კაპიტალიდან, უძრავი ქონებიდან, პერიოდული გაყიდვებიდან, საჩუქრები, ბანკის სესხი, კერძო პირისგან სესხი) (N=3116)	39.66	143.65	40.70	149.94
მთლიანი თანხა (N=2956)	**719.05**	**631.96**	**636.28**	**657.51**

	სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის

სტუდენტების ფინანსური მდგომარეობის გაანალიზებისას, შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთმიმართების განსაზღვრის შემდეგ, რესპონდენტებმა შეაფასეს, თუ **რამდენად აწუხებთ ამჟამად ფინანსური პრობლემები.**[6] როგორც აღმოჩნდა, სტუდენტების თითქმის მესამედმა ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირდა და არცერთი პოლუსისკენ არ გადაიხარა. ფინანსური პრობლემები რესპონდენტთა 43.3%-სთვის აქტუალურია (ქულები 1 და 2) (იხ. დიაგრამა #7.19).

[6] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5- ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან სერიოზულად მაწუხებს“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ მაწუხებს“.

დიაგრამა #7.19



სასწავლო საფეხურების ჭრილში საკითხის გაანალიზებამ ცხადყო, რომ ფინანსური პრობლემები ამჟამად ყველაზე მეტად მაგისტრანტებს აწუხებთ (50.2%) (ქულები 1 და 2). მსგავს პოზიციას იკავებს ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების შედარებით მცირე ნაწილი (36.5%). შესაბამისად, ამავე საფეხურის სტუდენტების თითქმის მესამედს (31.3%) ამჟამად არ აწუხებს ფინანსური პრობლემები (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=46581, p<0.05).

ამასთან, **სქესის** ჭრილში საკითხის გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ ამჟამად ფინანსურ პრობლემებს ქალები (46.4%) უფრო განიცდიან, ვიდრე კაცები (39.8%) (ქულები 1 და 2) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=31053, p<0.05) (იხ. ცხრილი #7.22).

ცხრილი #7.22

რამდენად გაწუხებთ ფინანსური პრობლემები ამჟამად? (%) (N=4699)	ძალიან სერიოზულად მაწუხებს	2	3	4	საერთოდ არ მაწუხებს
სასწავლო საფეხურის ჭრილში					
ბაკალავრიატი	21.6	22.4	30.8	13.7	11.4
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	22.9	16.9	39.8	9.6	10.8
მაგისტრატურა	20.5	29.7	29.1	13.4	7.3
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	15.7	20.8	32.2	16.3	14.9
სქესის ჭრილში					
ქალი	22.1	24.3	30	14	9.6
კაცი	18.7	21.1	32.2	14	14

საბოლოოდ კი იმისათვის, რომ სტუდენტების ფინანსური მდგომარეობა უკეთ შეფასებულიყო, გაანალიზდა **372 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯის დაფარვის შესაძლებლობა** (კონკრეტული თანხა კვლევის პერიოდში ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონის გათვალისწინებით განისაზღვრა). გამოკითხულთა 45.2% თავად ვერ შეძლებდა ამ ოდენობის ხარჯის გაწევას, თუმცა ვინმე (მშობლები, ოჯახი, პარტნიორი და ა.შ.) გადაუხდიდა. მეხუთედს აჭარბებს მათი

წილი (22.8%), ვინც გაუთვალისწინებელი ხარჯის დაფარვას საკუთარი რესურსებით მოახერხებდა. ხოლო ყოველი მესამე სტუდენტი (32%) ვერც თვითონ შეძლებდა და ვერც სხვა დაეხმარებოდა 372 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯის დაფარვაში.

7.4. სტუდენტთა სტაჟირება

გამოკითხვის ფარგლებში გაანალიზდა სტუდენტების **საქართველოში და საზღვარგარეთ** სტაჟირების გამოცდილებაც. შეფასდა, ყოფილან თუ არა სავალდებულო ან ნებაყოფლობით სტაჟირებაზე (სულ მცირე, ერთი კვირით მაინც) მას შემდეგ, რაც საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში პირველად ჩააბარეს. რესპონდენტებს განუმარტეს, რომ სტაჟირების მთავარი მიზანია შრომის ბაზარზე პრაქტიკული გამოცდილების მიღება და სტაჟირებაში არ იგულისხმება პრაქტიკული კურსები ან უსდ-ში ლაბორატორიული მეცადინეობები.

სტუდენტთა უმრავლესობას არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილება არ აქვს (58.2%). თითქმის მესამედს უტოლდება მათი წილი, ვინც საქართველოში ყოფილა ერთ ან მეტ სტაჟირებაზე (30.6%); ხოლო უცხოეთში მსგავსი გამოცდილების მიმღებთა ოდენობა მეათედს მცირედით აჭარბებს (11.2%).

ზოგადი ტენდენცია ნარჩუნდება **რეგიონულ** ჭრილში საკითხის განხილვისასაც, თუმცა ხაზგასასმელია, რომ საქართველოში ან საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილებაზე უფრო მეტად მიუთითებენ დედაქალაქის უსდ-ების სტუდენტები, ვიდრე რეგიონული უსდ-ების. იმ სტუდენტთა წილი, ვინც არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ ყოფილა სტაჟირებაზე, ყველაზე მაღალი სამეგრელო-ზემო სვანეთშია (80.4%), ხოლო ყველაზე დაბალი - თბილისში (54.1%). სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში სტაჟირების გამოცდილების არმქონე სტუდენტთა ოდენობა 64.2%-ს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=180862, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.20).

დიაგრამა #7.20



მნიშვნელოვანია **უსდ-ის ტიპის** ჭრილში საკითხის გაანალიზება, რადგან შესაძლოა განსხვავებული მასშტაბის წვდომას აძლევდეს სტუდენტებს სტაჟირებების პროგრამებზე. ზოგადი ტენდენციის მსგავსად, ყველა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების უმრავლესობას საქართველოში თუ საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილება არ აქვს: უნივერსიტეტი - 57.7%, სასწავლო უნივერსიტეტი - 59.6%, კოლეჯი - 67.6%. მეორე მხრივ, როგორც

საქართველოში (30.8%), ისე საზღვარგარეთ (11.5%) გავლილი სტაჟირების მაჩვენებლით უნივერსიტეტი გამოირჩევა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=4108, p<0.05).

ამასთან, გამოიკვეთა, რომ საქართველოში თუ საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილების მქონე სტუდენტებით ლიდერობს მაგისტრატურის **საფეხური** (ჯამურად 46.5%). ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა 40% მიუთითებს, რომ სტაჟირება გაუვლია ან საქართველოში, ან საზღვარგარეთ, რაც სასწავლო საფეხურების ჭრილში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=81236, p<0.05) (იხ. დიაგრამა #7.21).

დიაგრამა #7.21



საქართველოში სტაჟირებაგავლილ სტუდენტთა უმრავლესობის გამოცდილებით, სტაჟირება იყო **ნებაყოფლობითი,** ანუ არა სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) ნაწილი (76.8%) და **არაანაზღაურებადი** (65.7%).

ვინაიდან სავალდებულო სტაჟირება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებს გულისხმობს, საკითხი გაანალიზდა **სასწავლო მიმართულებების** ჭრილში. გამოიკვეთა, რომ ძირითადი პროგრამების შემთხვევაში ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია, ანუ სტუდენტთა უმრავლესობას საქართველოში ნებაყოფლობითი სტაჟირება აქვს გავლილი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს განათლების (59.4%) მიმართულება, რომლის სტუდენტთა უმრავლესობას ისეთი სტაჟირება აქვს გავლილი, რაც სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) სავალდებულო ნაწილად ითვლება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=41053, p<0.05).

მეორე მხრივ, ზოგადი ტენდენციის მსგავსად, თითქმის ყოველი სასწავლო მიმართულების სტუდენტების უმრავლესობას არაანაზღაურებადი სტაჟირება აქვს გავლილი, თუმცა საპირისპირო გამოცდილება ფიქსირდება აგრარული მეცნიერებების მიმართულებაზე (52.6%). ამ სასწავლო პროგრამის სტუდენტების უმრავლესობა საქართველოში ანაზღაურებად სტაჟირებებში ყოფილან ჩართულნი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=45462, p<0.05) (იხ. ცხრილი #7.23).

ცხრილი #7.23

თქვენ მიერ საქართველოში ბოლოს გავლილი სტაჟირება იყო... (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (%) (N=2545)	სავალდებულოობა		ანაზღაურებადი/ არაანაზღაურებადი	
	სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) სავალდებულო ნაწილი	ნებაყოფლობითი (არა სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) ნაწილი)	ანაზღაურებადი	არაანაზღაურებადი
აგრარული მეცნიერებანი	45	55	52.6	47.4
ბიზნესის ადმინისტრირება	21.6	78.4	42.9	57.1
განათლება	59.4	40.6	6.5	93.5
ინჟინერია	28.1	71.9	46.9	53.1
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	40	60	30	70
სამართალი	22.8	77.2	13.9	86.1
სოციალური მეცნიერებები	15	85	35.6	64.4
ხელოვნება	14.3	85.7	28.6	71.4
ჯანდაცვა	31.9	68.1	17	83
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	17.8	82.2	43.5	56.5
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	20.3	79.7	40.7	59.3
<არ არის გაწერილი>	25	75	31.3	68.8

თავი 8: საერთაშორისო მობილობა

რესპონდენტებმა, რომელთაც **საზღვარგარეთ სტაჟირების[7] გამოცდილება გააჩნიათ** (ასეთია სულ 224 სტუდენტი, ანუ საერთო რაოდენობის 5.7%[8]), დაასახელეს სტრუქტურა, რომელმაც ორგანიზება გაუწია საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამუშაო მიზნით მათ მობილობას. ასეთად სტუდენტთა 36.8% ასახელებს „ერაზმუს (+)“ პროგრამას, თითქმის მეხუთედი (19.4%) კი მიუთითებს ევროკავშირის სხვა პროგრამებზე. ამ უკანასკნელთა რაოდენობას თითქმის 9%-ით აღემატება მათი წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სხვა (არა ევროკავშირის) პროგრამების ფარგლებში გაემგზავრნენ. საზღვარგარეთ სტაჟირების მიზნით გამგზავრების საკითხების დამოუკიდებლად ორგანიზების გამოცდილება სტუდენტთა მხოლოდ 15.3%-ს აღმოაჩნდა (იხ. დიაგრამა #8.1).

დიაგრამა #8.1



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილება გააჩნიათ, ყოველი მესამე მონაწილეობდა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების პროგრამებში - მაშინ, როდესაც ანალოგიურ პრაქტიკაზე მიუთითებს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა 12.8%, ხოლო კოლეჯებში გამოკითხულებს შორის- არცერთი. ამ უკანაკნელი საგანმანათლებლო დაწესებულების **(იგულისხმება კოლეჯი)** სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (100%) აცხადებს, რომ მათი გამგზავრება დამოუკიდებლად იყო ორგანიზებული და არა რომელიმე პროგრამის ფარგლებში. საგულისხმოა, რომ ასეთთა პროცენტული მაჩვენებელი უნივერსიტეტის შემთხვევაში არ აღემატება

[7] სტაჟირება: მთავარი მიზანია შრომის ბაზარზე პრაქტიკული გამოცდილების მიღება. სტაჟირებაში არ იგულისხმება პრაქტიკული კურსები ან ლაბორატორიული მეცადინეობები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

[8] საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილების მქონე სტუდენტების წილი გამოპასუხების რაოდენობის 11.2%-ია.

36.4%-ს, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტების შემთხვევაში - 38.3%-ს. რაც შეეხება ერაზმუს (+) პროგრამის ხელშეწყობით გამგზავრებულთა წილს, კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულს უფრო მეტად მიმართავენ სასწავლო უნივერსიტეტების (40.4%) სტუდენტები, ვიდრე უნივერსიტეტების (14.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=21.412; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.2).

დიაგრამა #8.2



კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სტაჟირების მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრების გამოცდილება ერაზმუს (+) პროგრამის ფარგლებში უფრო მეტად გააჩნიათ ბაკალავრიატისა (23%) და მაგისტრატურის (23.5%) სტუდენტებს, ვიდრე სხვა სასწავლო საფეხურების წარმომადგენელ ახალგაზრდებს. ევროკავშირის სხვა პროგრამებს უფრო მეტად მიმართავენ ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (42.9%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (33.3%) სტუდენტები. აქვე აღსანიშნავია, რომ ისეთი პროგრამების გამოყენების პრაქტიკა, რომლებსაც ევროკავშირი არ ლობირებს, უფრო მეტად აქვთ ბოლოს დასახელებული ორი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს, ვიდრე ბაკალავრისა და მაგისტრატურის. რაც შეეხება საერთაშორისო სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობის დამოუკიდებლად ორგანიზების (არა რომელიმე პროგრამის ფარგლებში) საკითხს, ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან ბაკალავრიატისა (40.1%) და მაგისტრატურის (35.3%) სტუდენტები (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=21.412; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.3).

დიაგრამა #8.3



საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე, საზღვარგარეთ სტაჟირებისთვის გამოყენებული რესურსების მიხედვით, სტუდენტთა პროცენტული გადანაწილება აჩვენებს, რომ ერაზმუს (+) პროგრამას უფრო მეტად იყენებენ სოციალური მეცნიერებების მიმართულებაზე ჩარიცხული სტუდენტები (56.3%), ყველაზე ნაკლებად კი - ჰუმანიტარული მეცნიერებებისა (12.5%) და ჯანდაცვის (5%) სასწავლო პროგრამების წარმომადგენლები. ევროკავშირის სხვა პროგრამების გამოყენების თვალსაზრისით, საგანმანათლებლო მიმართულებებს შორის რამდენადმე მაღალია განათლებისა (33.3%) და ჯანდაცვის (30%) სტუდენტთა წილი, ხოლო ყველაზე დაბალი- ინჟინერიისა (8.3%) და სოციალური მეცნიერებების (6.3%). კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციის გათვალისწინებით, სხვა (არა ევროკავშირის) პროგრამების ფარგლებში ორგანიზებულ საერთაშორისო სტაჟირებაში მონაწილეობის მხრივ თვალსაჩინოდ მაღალია ხელოვნებისა და მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების სტუდენტთა წილი (აღემატება 42%-ს). ანალოგიურ გამოცდილებაზე მიუთითებს სამართლის, განათლებისა და ინჟინერიის სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხულთაგან ყოველი მესამე სტუდენტი, ხოლო ჯანდაცვისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტთა შორის - ყოველი მეოთხე (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=67.427; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.4).

დიაგრამა #8.4



რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი ბოლო სტაჟირება საზღვარგარეთ იყო ნებაყოფლობითი და არა სასწავლო პროგრამის ნაწილი; 39.8%-მა კი კურიკულუმის შემადგენელ სავალდებულო აქტივობად დაასახელა (იხ. დიაგრამა #8.5).

დიაგრამა #8.5



ბიზნესის ადმინისტრირების, განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტთაგან ყოველი მეორე აცხადებს, რომ საზღვარგარეთ გავლილი სტაჟირება მათი სასწავლი პროგრამის

(კურიკულუმის) სავალდებულო ნაწილი იყო. ანალოგიურ მოთხოვნაზე მიუთითებს ინჟინერიისა და სამართლის ფაკულტეტებზე ჩარიცხულთა 45%-ზე მეტი. იდენტური გამოცდილების მქონე სტუდენტთა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აგრარული მეცნიერებების (14.3%), ჯანდაცვის (17.5%) და მიმართულებათაშორისი დარგების ან სპეციალობების (16.7%) სტუდენტთა შორის. ამ უკანასკნელ სამ სასწავლო მიმართულებაზე ჩარიცხულთა დიდი უმრავლესობა (თითოეულ შემთხვევაში აღემატება 82%-ს) საკუთარი ნებით გაემგზავრა საერთაშორისო სამუშაო გამოცდილების მისაღებად. ნებაყოფლობით სტაჟირებაზე მიუთითა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (72.7%), სოციალური მეცნიერებებისა (73.3%) და ხელოვნების (71.4%) ფაკულტეტებზე ჩარიცხულთა დიდმა ნაწილმაც (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=28.893; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.6).

დიაგრამა #8.6



სასწავლო საფეხურის ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ ოთხივე საგანმანათლებლო საფეხურზე ჩარიცხულ იმ სტუდენტთა შორის, რომელთაც გააჩნიათ საზღვარგარეთ სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება, უფრო მეტი ნაწილი ნებაყოფლობით გაემგზავრა საზღვარგარეთ სტაჟირების გასავლელად. ამ მხრივ განსაკუთრებით მაღალია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (77.8%) და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (79.5%) სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებლები. აქვე აღსანიშნავია, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფთა 45.5%-ს და მაგისტრანტთა 37.5%-ს გააჩნიათ სავალდებულო სტაჟირების გამოცდილება (სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილი იყო). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: *χ^2=10.560; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.7).*

დიაგრამა #8.7



საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილების მქონე სტუდენტთა შორის იმათი წილი, ვინც გაიარა **ანაზღაურებადი საერთაშორისო სტაჟირება**, 67.7%-ს უტოლდება, საპირისპირო გამოცდილების მქონეთა წილი კი თითქმის ყოველი მესამე რესპონდენტია (იხ. დიაგრამა #8.8).

დიაგრამა #8.8



სტაჟირების მიზნით საზღვარგარეთ ბოლო ვიზიტის პერიოდში, აღნიშნული გამოცდილების მქონე რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი (27.7%) მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე სწავლობდა, თითქმის მეხუთედი კი (18.7%) ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი იყო. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ასეთთა პროცენტული წილი 15.2%-ს უტოლდება. სტუდენტთა

10.8%-მა აღნიშნა, რომ იმ პერიოდში არცერთ საგანმანათლებლო საფეხურზე არ ირიცხებოდა (იხ. დიაგრამა #8.9).

დიაგრამა #8.9



კვლევამ აჩვენა, რომ იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც სტაჟირების მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრების პერიოდში მიმდინარე სასწავლო პროგრამის სტუდენტები (N=54) იყვნენ, 63% ბაკალავრის საფეხურზე სწავლობდა, 28.4% კი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი იყო. ამასთან, სტუდენტთა 6.2%-მა მიუთითა, რომ საერთაშორისო სტაჟირებაზე გამგზავრებისას მაგისტრატურის საფეხურზე ირიცხებოდა, როგორც ახლა. სტუდენტთა მოცემული ჯგუფიდან ძალზე მცირე ნაწილი - მხოლოდ 2.5%, მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდა.

სასწავლო პროგრამების ჭრილში აღნიშნული საკითხის გაანალიზება შემდეგ ტენდენციებს ავლენს: ბიზნესის ადმინისტრირების (49.3%), სოციალური მეცნიერებების (38.6%), ჯანდაცვისა (31.2%) და აგრარული მეცნიერებების (30.2%) შესაბამისი გამოცდილების მქონე სტუდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი, სტაჟირების მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრების პროცესში, ირიცხებოდა მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე (ბაკალავრიატზე), მაშინ, როდესაც ინჟინერიისა და სამართლის ფაკულტეტებზე ჩარიცხული სტუდენტები ასეთ საფეხურად ყველაზე ხშირად წინა/სხვა საფეხურს - ბაკალავრიატს ასახელებენ; განათლების (35.3%) მიმართულების სტუდენტთაგან ყოველი მესამე სწავლობდა წინა/სხვა საფეხურზე - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. მიმართულებათაშორის დარგებზე/სპეციალობებზე ჩარიცხულთა რაოდენობა (27.3%) ყველაზე მაღალია მათ შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სტაჟირების მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრების

პერიოდში იყვნენ წინა/სხვა საფეხურის - მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები. რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებმაც მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიუთითეს, ყველაზე დაბალია განათლების მიმართულების (4%) შემთხვევაში, ყველაზე მაღალი კი - ხელოვნების (25.1%). სხვა საფეხურებზე მყოფ სტუდენტთა წილი თითოეული სასწავლო პროგრამის შემთხვევაში 11%-ს არ აღემატება. აქვე საგულისხმოა, რომ გამგზავრების პერიოდში სტუდენტთა გარკვეული ნაწილი არცერთ საგანმანათლებლო საფეხურზე არ სწავლობდა. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით თვალშისაცემია ჯანდაცვის (20%), სამართლის (19.3%) და მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებლები (17%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=169.9523; p<0.05) *(იხ. ცხრილი #8.1).*

ცხრილი #8.1

სწავლის რომელ საფეხურზე იყავით საქართველოში, როდესაც გაემგზავრეთ ბოლო სტაჟირებაზე საზღვარგარეთ? (N=224) (სასწავლო პროგრამის ჭრილში)	**აგრარული მეცნიერებანი**	**ბიზნესის ადმინისტრირება**	**განათლება**	**ინჟინერია**	**მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი**	**სამართალი**	**სოციალური მეცნიერებები**	**ხელოვნება**	**ჯანდაცვა**	**ჰუმანიტარული მეცნიერებანი**	**მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები**	**<არ არის გაწერილი>**
	%											
ჩემს მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე	30.2	49.3	24.8	18.7	8.5	16.9	38.6	19.9	31.2	25.6	26.3	20.9
წინა/სხვა საფეხური - ბაკალავრიატი	26.4	0.8	19.7	26.8	15.3	33.5	23.5	-	17.6	19.4	15.5	24.5
წინა/სხვა საფეხური - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	19.6	15.8	35.3	20	29.8	5.7	27.1	16	14.7	6.7	-	19.7
წინა/სხვა საფეხური - მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	17.7	15.9	10.2	4.7	4	3.8	-	10.3	-	19	27.3	0.8
წინა/სხვა საფეხური - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	-	-	4.2	12.2	14	20.7	-	25.1	10.2	-	9.1	21
წინა/სხვა საფეხური - ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა	-	4.6	-	2.4	-	-	0.6	6.9	6.3	8.6	-	8.2
წინა/სხვა საფეხური - ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა	-	-	5.8	-	4.3	-	8.6	12.6	-	1.4	0.8	-
წინა/სხვა საფეხური - მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული	-	4.6	-	-	11.1	-	-	3.4	-	1.2	-	-

სწავლის რომელ საფეხურზე იყავით საქართველოში, როდესაც გაემგზავრეთ ბოლო სტაჟირებაზე საზღვარგარეთ? (N=224) (სასწავლო პროგრამის ჭრილში)	აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	<არ არის გაწერილი>
	%											
საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა												
წინა/სხვა საფეხური - დოქტორანტურა	-	5.4	-	4.6	-	-	-	-	-	11.5	4	-
არ ვსწავლობდი არცერთ საფეხურზე	6.1	3.7	-	10.7	12.9	19.3	1.5	5.8	20.1	6.5	17	-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჭრილში საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ საზღვარგარეთ სტაჟირებაზე გამგზავრების პერიოდში სასწავლო უნივერსიტეტების სტუდენტთა 60.1% ირიცხებოდა მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე (ბაკალავრიატის საფეხური), მაშინ, როდესაც ასეთთა წილი უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა შორის 22.4%-ს უტოლდება. აღნიშნულ ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა რაოდენობრივი გადანაწილების მიხედვით, შემდეგ საფეხურად იკვეთება წინა/სხვა საფეხური - ბაკალავრიატის სახით (უნივერსიტეტი - 19.8%; სასწავლო უნივერსიტეტი - 12.4%). რაც შეეხება კოლეჯს, სტუდენტთა 30.9%-მა სწავლის საფეხურად - „წინა/სხვა საფეხური - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ მიუთითა, ხოლო 28.7%-მა - „წინა/სხვა საფეხური - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა“. ასევე, კოლეჯის სტუდენტთა შორის თითქმის მეხუთედს უტოლდება მათი წილი, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდნენ (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=37.40395; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.10).

დიაგრამა #8.10



კვლევამ აჩვენა, რომ **საზღვარგარეთ გავლილი სტაჟირების კრედიტების სახით აღიარება არცთუ ისე ხშირი მოვლენაა.** კერძოდ, სტუდენტთა მხოლოდ მეხუთედმა დაადასტურა სასწავლო პროგრამის მიერ სტაჟირების კრედიტებად აღიარების გამოცდილება. დარჩენილთაგან 40.8%-მა საპირისპირო პრაქტიკაზე მიუთითა; სტუდენტთა თითქმის იგივე რაოდენობა კი აცხადებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ ფლობს ინფორმაციას (იხ. დიაგრამა #8.11).

დიაგრამა #8.11



სასწავლო პროგრამების დონეზე საკითხის გაანალიზება - **აღიარა თუ არა სასწავლო პროგრამამ საქართველოში საზღვარგარეთ გავლილი ბოლო სტაჟირება კრედიტების (ECTS) სახით** - აჩვენებს, რომ ამ თვალსაზრისით პოზიტიური გამოცდილება აქვს განათლებისა და ინჟინერიის, სულ მცირე, ყოველ მესამე სტუდენტს. ანალოგიურ პრაქტიკაზე მიუთითებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ჯანდაცვის, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების სტუდენტთა მეოთხედზე მეტი (25%-27.8%-ს შორის ვარირებს). რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომელთა შემთხვევაშიც სტაჟირების კრედიტების სახით აღიარება ვერ/არ განხორციელდა, ყველაზე მაღალი პროცენტული წილით ფიქსირდებიან აგრარული (57.1%) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (54.4%) სტუდენტები, ასევე, ხელოვნებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტების სტუდენტთა 50-50 პროცენტი. ამ თვალსაზრისით სტუდენტთა ყველაზე დაბალი რაოდენობით გამოირჩევა სოციალური მეცნიერებები (20%). რამდენიმე სასწავლო პროგრამის შემთხვევაში საკმაოდ მაღალია ისეთ სტუდენტთა წილი, რომლებმაც ჯერჯერობით არ იციან, ჩაეთვლებათ თუ არა კრედიტებად გავლილი სტაჟირება. კერძოდ, მათ შორის, რომლებიც ამ უკანაკნელ პოზიციას აფიქსირებენ, განსაკუთრებით მაღალია სოციალური მეცნიერებების სტუდენტთა (66.7%) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (50%) ჩარიცხულთა პროცენტული მაჩვენებელი, ყველაზე დაბალი კი - ჯანდაცვისა (25%) და ინჟინერიის (27%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=35.943; p<0.05) (იხ. ცხრილი #8.2)

ცხრილი #8.2

თქვენ მიერ გავლილი ბოლო სტაჟირება საზღვარგარეთ აღიარა თუ არა კრედიტების (ECTS) სახით თქვენმა სასწავლო პროგრამამ საქართველოში? (N=223) **(სასწავლო პროგრამის ჭრილი)**	**დიახ**	**არა**	**ჯერჯერობით არ ვიცი**
	%		
აგრარული მეცნიერებანი	-	57.1	42.9
ბიზნესის ადმინისტრირება	10	32	58
განათლება	33.3	40	26.7
ინჟინერია	37.8	35.1	27
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	27.3	54.5	18.2
სამართალი	8.9	48.9	42.2
სოციალური მეცნიერებები	13.3	20	66.7
ხელოვნება	12.5	50	37.5
ჯანდაცვა	25	50	25
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	25	25	50
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	27.8	44.4	27.8
<არ არის გაწერილი>	25	25	50

რესპონდენტთა **საგანმანათლებლო საფეხურის** ჭრილში ზემოაღნიშნული საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ მაგისტრატურის სტუდენტთაგან, სულ მცირე, ყოველ მეორეს ჩაუთვალა სასწავლო პროგრამამ საზღვარგარეთ სტაჟირების გამოცდილება კრედიტებად, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი სხვა საფეხურებზე შემდეგნაირად ნაწილდება:

- ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფთა შორის არ აღემატება 15.6%-ს;
- ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შემთხვევაში 37.5%-ს უტოლდება;

- ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შემთხვევაში კი 22.7%-ია.

სტაჟირების კრედიტებად აღიარების საკითხი ყველაზე მეტად პრობლემური აღმოჩნდა ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის (არ აღიარეს - 45.5%). აღნიშნული წარმოადგენს გამოწვევას დანარჩენი სამი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა არცთუ ისე მცირე ნაწილისთვისაც (მათი რაოდენობა 37.5%-43.8%-ს შორის მერყეობს). რაც შეეხება იმ სტუდენტების წილს, რომლებმაც ჯერჯერობით არ იციან, მოხდება თუ არა სტაჟირების კრედიტებად აღიარება, ყველაზე მაღალი ბაკალავრიატისა (45.2%) და მაგისტრატურის (43.8%) საფეხურზეა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=22.992; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.12)

დიაგრამა #8.12



საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარების შემდეგ **საზღვარგარეთ დროებით (მაგ. სემესტრულად) სწავლის გამოცდილება** გამოკითხულთაგან მხოლოდ 12.4%-ს აღმოაჩნდა, დიდ უმრავლესობას კი არ უსწავლია საქართველოს ფარგლებს გარეთ. (იხ. დიაგრამა #8.13)

დიაგრამა #8.13



საქართველოში უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების შემდეგ საზღვარგარეთ დროებით სწავლის გამოცდილება არ გააჩნია სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტების უმრავლესობას. ანალოგიურ პრაქტიკაზე მიუთითებს აგრარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების, განათლების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სამართლის, ხელოვნებისა და მიმართულებათაშორისი დარგების სტუდენტთა დიდი უმრავლესობა (ვარირებს 81.3%-დან 89.3%-ს შორის). რაც შეეხება სასწავლო პროგრამების დონეზე იმ რესპონდენტთა გადანაწილებას, რომლებიც საპირისპირო გამოცდილებაზე საუბრობენ, გამოვლენილი ტენდენციების თანახმად, საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება ყველაზე მეტად აქვთ ინჟინერიის (22.4%), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (18.7%) და აგრარული მეცნიერებების (17.5%) პროგრამის სტუდენტებს; ყველაზე ნაკლებად კი, სოციალური მეცნიერებებისა (7.6%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტებს (8.8%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=88.641; p<0.05) იხ. ცხრილი #8.3)

ცხრილი #8.3

გისწავლიათ დროებით (მაგ.: სემესტრულად) საზღვარგარეთ მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველად ჩააბარეთ უმაღლეს სასწავლებელში? (N=4699) **(სასწავლო პროგრამის ჭრილი)**	დიახ, მისწავლია	არა, არ მისწავლია
	%	
აგრარული მეცნიერებანი	17.5	82.5
ბიზნესის ადმინისტრირება	10.7	89.3
განათლება	12	88
ინჟინერია	22.4	77.6
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	18.7	81.3
სამართალი	14.1	85.9
სოციალური მეცნიერებები	7.6	92.4
ხელოვნება	15.1	84.9
ჯანდაცვა	9.3	90.7

გისწავლიათ დროებით (მაგ.: სემესტრულად) საზღვარგარეთ მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველად ჩააბარეთ უმაღლეს სასწავლებელში? (N=4699) (სასწავლო პროგრამის ჭრილი)	დიახ, მისწავლია	არა, არ მისწავლია
	%	
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	8.8	91.2
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	12.3	87.7
<არ არის გაწერილი>	11.6	88.4

საგანმანათლებლო საფეხურის დონეზე საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში პირველად ჩაბარების შემდეგ საზღვარგარეთ დროებით სწავლის გამოცდილების მქონე სტუდენტების წილი ყველაზე მაღალია ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (20.5%), ხოლო მათი წილი, რომლებიც საპირისპირო პრაქტიკას აფიქსირებენ, შედარებით მაღალია ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე (90.2%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=10.632; p<0.05) იხ. დიაგრამა #8.14)

დიაგრამა #8.14



გარდა ზემოთ თქმულისა, კვლევა აჩვენებს, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების შემდეგ საზღვარგარეთ დროებით სწავლის გამოცდილება თითქმის მსგავსია საქართველოს მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების შემთხვევაში. კერძოდ, საქართველოს მოქალაქე იმ სტუდენტთა წილი, რომლებმაც უსდ-ში ჩარიცხვის შემდეგ საზღვარგარეთ ისწავლეს, უმნიშვნელოდ - 4%-ით მაღალია იმავე გამოცდილების მქონე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტების რაოდენობაზე (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=8.272; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.15).

დიაგრამა #8.15



სტუდენტებმა, რომლებსაც საზღვარგარეთ დროებით სწავლის გამოცდილება აქვთ, დაასახელეს ის **სტრუქტურები, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს აღნიშნულ აქტივობას.** რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (30.9%) ასეთად ასახელებს ერაზმუს (+) პროგრამას, 27.5% კი - ევროკავშირის სხვა პროგრამებს. გამოკითხულთა მეხუთედს უტოლდება ისეთთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც ხელშემწყობ სტრუქტურად ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების პროგრამები დაასახელეს. ასევე, რესპონდენტთა 21.3%-მა აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად გამგზავრების ორგანიზება დამოუკიდებლად მოახდინეს (იხ. დიაგრამა #8.16).

დიაგრამა #8.16



სასწავლო პროგრამების ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ ერაზმუს (+) პროგრამა, როგორც საზღვარგარეთ დროებით სწავლის ხელისშემწყობი ეფექტიანი მექანიზმი, ყველაზე მეტად პოპულარული აღმოჩნდა სოციალური მეცნიერებების (53.1%), ხელოვნებისა (46.7%) და აგრარული მეცნიერებების (43.5%) მიმართულებების სტუდენტებისთვის. ევროკავშირის სხვა პროგრამებს უფრო მეტად ანიჭებენ უპირატესობას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტუდენტები (42.6%), ყველაზე ნაკლებად კი - განათლების (18.2%). სხვა ისეთ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით, რომლებიც ევროკავშირის მიერ არ იყო ინიცირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტთა (54.5%) პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა საგანმანათლებლო მიმართულებაზე ჩარიცხულთა წილს. ამ უკანასკნელს ყველაზე ნაკლებად

მიმართავენ ჰუმანიტარული მეცნიერებების (3.4%), ხელოვნებისა (7.7%) და აგრარული მეცნიერებების სტუდენტები (8.7%). რაც შეეხება იმ სტუდენტთა გადანაწილებას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად წასვლას დამოუკიდებლად გაუწიეს ორგანიზება, ასეთი გამოცდილების მქონე რესპონდენტთა მეოთხედს აჭარბებს მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების შემთხვევაში. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=72.747; p<0.05) (იხ. ცხრილი #8.4)

ცხრილი #8.4

რომელი სტრუქტურის მიერ იყო ორგანიზებული თქვენი დროებითი სწავლა საზღვარგარეთ? (N=520) **(სასწავლო პროგრამის ჭრილი)**	**ერაზმუს (+)**	**EU-ს სხვა პროგრამები**	**სხვა (არა EU-ს) პროგრამები**	**დამოუკიდებლად იყო ორგანიზებული**
	%			
აგრარული მეცნიერებანი	43.5	30.4	8.7	17.4
ბიზნესის ადმინისტრირება	33.8	22.1	17.6	26.5
განათლება	18.2	18.2	54.5	9.1
ინჟინერია	36.6	25.2	21.1	17.1
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	17.6	35.3	17.6	29.4
სამართალი	23.5	42.6	16.2	17.6
სოციალური მეცნიერებები	53.1	20.4	12.2	14.3
ხელოვნება	46.2	30.8	7.7	15.4
ჯანდაცვა	29.2	20.8	27.8	22.2
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	37.9	31	3.4	27.6
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	4.5	34.1	29.5	31.8
<არ არის გაწერილი>	11.6	88.4	-	-

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად გასამგზავრებლად ერაზმუს (+) პროგრამით ისარგებლა **უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების** სტუდენტთა თანაბარმა რაოდენობამ (თითოეულ შემთხვევაში 30.9%). ასევე, აღნიშნული ორი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა თითქმის თანაბარი რაოდენობა მიუთითებს ევროკავშირის სხვა პროგრამებში მონაწილეობაზეც. რამდენადმე განსხვავებულია კოლეჯში ჩარიცხულთა პროცენტული მაჩვენებლები. კერძოდ, ამ უკანასკნელი სეგმენტის წარმომადგენელთა 50% მიუთითებს ერაზმუს(+) პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სწავლის პრაქტიკაზე, მეორე ნახევარს კი სხვა (არა ევროკავშირის) პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა თითქმის მეხუთედმა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთაგან ყოველმა მესამემ საკუთარი ძალისხმევით/დამოუკიდებლად შეძლო საზღვარგარეთ დროებით სწავლის მიზნით გამგზავრება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: *χ^2=17.077; p<0.05)* (იხ. დიაგრამა #8.17)

დიაგრამა #8.17



სასწავლო საფეხურის ჭრილში საკითხის გაანალიზება აჩვენებს, რომ მაგისტრატურის სტუდენტთა 51.7% საზღვარგარეთ სწავლობდა ერაზმუს (+) პროგრამის ფარგლებში, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 41.2%-ს უტოლდება, ხოლო სხვა საგანმანათლებლო საფეხურებზე ჩარიცხულთა შორის 29%-ს არ აღემატება. ევროკავშირის სხვა პროგრამებით სარგებლობის მაჩვენებლით ბაკალავრები გამოირჩევიან (31.5%), სხვა (არა ევროკავშირის) პროგრამებით საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრების თვალსაზრისით კი ყველაზე მაღალი წილი მოდის ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებზე (31.6%). ამ უკანასკნელთა შორის სჭარბობს იმ სტუდენტთა წილი, რომლებმაც მიუთითეს, რომ დამოუკიდებლად მოახერხეს საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლის საკითხების ორგანიზება. ანალოგიური გამოცდილების მქონეთა რაოდენობა მაგისტრატურის სტუდენტთა შემთხვევაში 25.9%-ს უტოლდება, ბაკალავრიატის საფეხურზე კი 20.2%-ს შეადგენს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=30.513; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.18)

დიაგრამა #8.18



კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენციების თანახმად, იმ სტუდენტთაგან, რომლებსაც აქვთ საზღვარგარეთ დროებით სწავლის გამოცდილება, გამგზავრების მომენტისთვის ყოველი მესამე სწავლობდა მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე (33.3%), 17.5% კი ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი იყო. იმ სტუდენტთა პროცენტული გადანაწილება, რომლებიც სხვა საგანმანათლებლო საფეხურებზე ირიცხებოდნენ, 3.4%-11.3%-ს შორის მერყეობს (იხ. დიაგრამა #8.19).

დიაგრამა #8.19



კვლევის შედეგების გათვალისწინებით, იმ რესპონდენტების დიდი უმრავლესობა, რომლებიც საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად გამგზავრების პერიოდში მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე სწავლობდნენ (N=211), ბაკალავრიატის სტუდენტი იყო, 17.9% კი - ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის.

სასწავლო პროგრამების დონეზე საკითხის დამუშავება შემდეგ ტენდენციებს ავლენს:

- იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად გამგზავრების პერიოდში მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე (ბაკალავრიატის საფეხურზე) ირიცხებოდნენ, ყველაზე მაღალია სამართლის (45.7%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (40.9%) სტუდენტთა წილი. ამავე საფეხურზე სწავლობდა ინჟინერიის, სოციალური მეცნიერებების, ხელოვნებისა და მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების ფაკულტეტების სტუდენტთაგან ყოველი მესამე და აგრარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების სტუდენტთა მეოთხედზე მეტი.
- საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად გამგზავრების პერიოდში წინა/სხვა საფეხურზე - ბაკალავრიატზე მყოფ სტუდენტთაგან ყველაზე დიდი ნაწილი ირიცხებოდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე, მეხუთედზე მცირედით მეტი კი - განათლების (22.1%), ხელოვნებისა (22.5%) და ჯანდაცვის (22.4%) მიმართულებებზე. სხვა სასწავლო პროგრამებზე ასეთ სტუდენტთა წილი 7%-დან 19%-მდე მერყეობს.
- წინა/სხვა საფეხურზე - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ სტუდენტთა გადანაწილება სასწავლო პროგრამების ჭრილში, რომლებსაც საზღვარგარეთ დროებით სწავლის გამოცდილება აქვთ, შემდეგნაირად გამოიყურება: განათლების

მიმართულება - 20.2%; ჯანდაცვის მიმართულება - 19.4%; ბიზნესის ადმინისტრირება - 19.2%; ჰუმანიტარული მეცნიერებები - 17.6% და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 17.4%; სხვა სასწავლო პროგრამებზე აღნიშნულ საფეხურზე მყოფთა პროცენტული წილი ძალზე დაბალია (თითოეულ შემთხვევაში 8%-ს არ აღემატება).

- რაც შეეხება იმ სტუდენტების გადანაწილებას სასწავლო პროგრამების დონეზე, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ სასწავლებლად დროებით გამგზავრებისას სწავლობდნენ წინა/სხვა საფეხურზე - მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ყველაზე მეტი წილი იყო ინჟინერიის მიმართულებისა (20.8) და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტი (18.3%). სხვა სასწავლო პროგრამებზე ასეთთა პროცენტული მაჩვენებლები 3.2%-დან 14%-მდე მერყეობს.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=169.9523; p<0.05) (იხ. ცხრილი #8.5)

ცხრილი #8.5

სწავლის რომელ საფეხურზე იყავით საქართველოში, როდესაც დროებით გაემგზავრეთ საზღვარგარეთ სასწავლებლად? (N=520)	**აგრარული მეცნიერებანი**	**ბიზნესის ადმინისტრირება**	**განათლება**	**ინჟინერია**	**მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო**	**სამართალი**	**სოციალური მეცნიერებები**	**ხელოვნება**	**ჯანდაცვა**	**ჰუმანიტარული მეცნიერებანი**	**მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები**	**<არ არის გაწერილი>**
	%											
ჩემს მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე	26.3	27.7	13.7	33.7	27	45.7	34.1	33.9	27	40.9	34.7	39
წინა/სხვა საფეხური - ბაკალავრიატი	16.7	31.8	22.1	7.1	12.9	18.8	17.3	22.5	22.4	12	18.2	19.7
წინა/სხვა საფეხური - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	17.6	19.2	20.2	7.4	17.4	6	7.5	16.6	19.4	2.5	7.7	9.6
წინა/სხვა საფეხური - მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	14.0	2.5	7	20.8	13.7	6.3	-	3.2	7.5	18.3	8.9	6.4
წინა/სხვა საფეხური - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა	2.5	5.5	17.8	10.7	2.4	6	5.8	5.1	10.4	9.4	1.7	10.5
წინა/სხვა საფეხური - ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა	1.7	4.5	0.5	3.1	8.2	8.6	9.1	5.8	7.3	5.9	4.9	4.7
წინა/სხვა საფეხური - ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა	9.7	-	0.9	5.7	12	4.2	15.2	13	4.3	7.5	16.2	1.4

სწავლის რომელ საფეხურზე იყავით საქართველოში, როდესაც დროებით გაემგზავრეთ საზღვარგარეთ სასწავლებლად? (N=520)	აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	<არ არის გაწერილი>
	%											
წინა/სხვა საფეხური - მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	-	5.8	12.9	4.9	1.1	4.2	8.7	-	0.7	0.9	2.4	4.9
წინა/სხვა საფეხური - დოქტორანტურა	11.5	2.9	4.8	6.6	5.3	-	2.3	-	1	2.6	5.3	3.7

კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ იმ სტუდენტთა შორის, რომლებიც დროებით სწავლის მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრებისას ირიცხებოდნენ მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე, ყველაზე მაღალია კოლეჯის სტუდენტთა წილი (56.7%). ასეთთა რაოდენობა უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების შემთხვევაში 39%-ს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ როგორც უნივერსიტეტის, ასევე, სასწავლო უნივერსიტეტისა და კოლეჯის იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც გააჩნიათ საზღვარგარეთ დროებით სასწავლებლად გამგზავრების გამოცდილება, დომინანტურ მიმდინარე სასწავლო საფეხურად ბაკალავრიატი გამოიკვეთა.

რაც შეეხება იმ სტუდენტთა გადანაწილებას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იმ პერიოდში **წინა/სხვა საფეხურზე - ბაკალავრიატზე** სწავლობდნენ, შემდეგნაირია: სასწავლო უნივერსიტეტი - 31.6%; კოლეჯი - 22.7%; უნივერსიტეტი - 16.5%; თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის შემთხვევაში ძალზე მცირეა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებისას სხვა სასწავლო საფეხურებზე ირიცხებოდნენ (უსდ-ების დონეზე თითოეული პროგრამის შემთხვევაში ასეთთა რაოდენობა არ აღემატება 13%-ს).(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=32,06967; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.20)

დიაგრამა #8.20



სასწავლო საფეხურის ჭრილში საკითხის დამუშავება ცხადყოფს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ სასწავლებლად გამგზავრებისას მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე სწავლობდა ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთაგან ყოველი მესამე, მაშინ, როდესაც ანალოგიურ გამოცდილებაზე მიუთითებს მაგისტრატურის სტუდენტთა 14% და ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულთა 14.1%. მათ შორის, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში წინა/სხვა საფეხურის - ბაკალავრიატის სტუდენტები იყვნენ, ყველაზე მაღალია მაგისტრატურის სტუდენტთა წილი - 50.7%. აქვე საგულისხმოა, რომ წინა/სხვა საფეხურის - ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა 38.7% ასეთად ასახელებს ამავე პროგრამის წინა საფეხურს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=122.2739$; $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.21)

დიაგრამა #8.21



საზღვარგარეთ სტაჟირებისგან განსხვავებით, სასწავლო პროგრამის (საქართველოში) მიერ **საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლის პროცესში მოპოვებული კრედიტების** (ECTS, კომპეტენციები, სერტიფიკატები) სრულად აღიარების გამოცდილება აქვს თითქმის ყოველ მეორე რესპონდენტს (49.1%), ნაწილობრივ აღიარებაზე კი სტუდენტთა 29%-მა მიუთითა. მცირეა მათი წილი, რომლებმაც დასძინეს, რომ საერთოდ არ მოუპოვებიათ კრედიტები ან არცერთი კრედიტი არ ჩაუთვალეს (იხ. დიაგრამა #8.22)

დიაგრამა #8.22



სტუდენტების **სასწავლო პროგრამების ჭრილში** საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ საზღვარგარეთ სწავლის პროცესში დაგროვებული კრედიტების სრულად აღიარების გამოცდილება ყველაზე მეტად აქვთ აგრარული მეცნიერებების (60.9%), ბიზნესის ადმინისტრირების (60.3%), განათლებისა (60.7%) და ხელოვნების (61.5%) საგანმანათლებლო მიმართულებების სტუდენტებს. ანალოგიურ პრაქტიკაზე მიუთითებს ინჟინერიის, სოციალური მეცნიერებების და ჰუმანიტარული მეცნიერებების სტუდენტთა უმრავლესობა. კრედიტების ნაწილობრივ აღიარების შემთხვევები შედარებით ხშირია სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხულთა შორის. რაც შეეხება ისეთ სტუდენტებს, რომელთა სასწავლო პროგრამამ საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მოპოვებული არცერთი კრედიტი არ აღიარა, სხვა მიმართულებებთან შედარებით, რამდენადმე მაღალია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტუდენტთა წილი (20.6%). განსხვავებული გამოცდილების მქონე რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში 18%-ზე დაბალია. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=89.509; p<0.05$) (იხ. ცხრილი #8.6)

ცხრილი #8.6

კრედიტები (ECTS, კომპეტენციები, სერტიფიკატები), რომლებიც მოიპოვეთ საზღვარგარეთ დროებით ბოლო სწავლისას, აღიარებულ იქნა თუ არა თქვენი სასწავლო პროგრამის მიერ საქართველოში? (N=520) (სასწავლო პროგრამის ჭრილი)	**დიახ, ყველა კრედიტი აღიარეს**	**დიახ, კრედიტების ნაწილი აღიარეს**	**არცერთი კრედიტი არ აღიარეს**	**არ მომიპოვებია კრედიტები**	**ჯერჯერობით არ ვიცი**
აგრარული მეცნიერებანი	60.9	17.4	4.3	8.7	8.7
ბიზნესის ადმინისტრირება	60.3	35.3	1.5	1.5	1.5
განათლება	66.7	19.0	14.3	-	-
ინჟინერია	59.3	25.2	7.3	1.6	6.5
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	44.1	17.6	20.6	11.8	5.9
სამართალი	37.3	38.8	14.9	-	9.0

კრედიტები (ECTS, კომპეტენციები, სერტიფიკატები), რომლებიც მოიპოვეთ საზღვარგარეთ დროებით ბოლო სწავლისას, აღიარებულ იქნა თუ არა თქვენი სასწავლო პროგრამის მიერ საქართველოში? (N=520) (სასწავლო პროგრამის ჭრილი)	დიახ, ყველა კრედიტი აღიარეს	დიახ, კრედიტების ნაწილი აღიარეს	არცერთი კრედიტი არ აღიარეს	არ მომიპოვებია კრედიტები	ჯერჯერობით არ ვიცი
სოციალური მეცნიერებები	53.1	28.6	6.1	4.1	8.2
ხელოვნება	61.5	15.4	7.7	7.7	7.7
ჯანდაცვა	33.3	31.9	9.7	6.9	18.1
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	55.2	17.2	3.4	6.9	17.2
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	24.4	44.4	6.7	13.3	11.1
<არ არის გაწერილი>	45.5	9.1	18.2	9.1	18.2

საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების სრულად აღიარების თვალსაზრისით გამორჩეულია სასწავლო უნივერსიტეტების სტუდენტთა გამოცდილება (55.9%), რასაც მცირედით ჩამორჩება ანალოგიური გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი კოლეჯებსა (50%) და უნივერსიტეტებში (48.1%). კრედიტების ნაწილობრივ აღიარების შემთხვევები უფრო მეტად ფიქსირდება სასწავლო უნივერსიტეტებში (33.8%). რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ არცერთი კრედიტი არ მოუპოვებიათ - კოლეჯებში 50%-ს შეადგენს, რასაც ხუთჯერ ჩამოუვარდება იდენტური პრაქტიკის მქონე იმ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც უნივერსიტეტებში სწავლობენ (10.1%) (სასწავლო უნივერსიტეტებში ასეთი გამოცდილების მქონე სტუდენტები არ ფიქსირდებიან) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=17.251;\ p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.23).

დიაგრამა #8.23



რაც შეეხება **მოქალაქეობის ჭრილში** საკითხის გაანალიზებას, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს მოქალაქე სტუდენტების (51.1%) შემთხვევაში საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების სრულად აღიარების პრაქტიკა უფრო ხშირია, ვიდრე საქართველოს

მოქალაქეობის არმქონე სტუდენტთა შორის (38.6%). კრედიტების ნაწილობრივ აღიარების გამოცდილების თვალსაზრისით, ასევე, რამდენადმე მაღალია საქართველოს მოქალაქეთა წილი. რაც შეეხება იმ რესპონდენტთა გადანაწილებას, რომლებმაც მიუთითეს, რომ ჯერჯერობით არ აქვთ ინფორმაცია, მოხდება თუ არა საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში მოპოვებული კრედიტების აღიარება მათი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, შემდეგნაირია: საქართველოს მოქალაქეობის არმქონე - 24.1%; საქართველოს მოქალაქე - 6.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=33.175; p<0.05) (იხ. დიაგრამა #8.24).

დიაგრამა #8.24



კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა შორის 43.9% არ აპირებს სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით წასვლას., 44.7% კი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები, თუმცა სამომავლოდ გეგმავს სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებას. (იხ. დიაგრამა #8.25)

დიაგრამა #8.25



გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ თითოეულ სასწავლო პროგრამაზე ისეთ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც **მიმდინარე პერიოდში**

საზღვარგარეთ სწავლის მიზნით დროებით გასამგზავრებლად ემზადებიან, 3.9%-დან 17.7%-მდე მერყეობს. აღნიშნული გეგმის მქონე სტუდენტთა წილი ყველაზე მაღალია ჯანდაცვის სასწავლო პროგრამაზე (17.7%), ყველაზე დაბალი კი, ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტზე ჩარიცხულთა შორის (3.9%). აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ყოველი მეორე სტუდენტის სამომავლო გეგმას წარმოადგენს საზღვარგარეთ სწავლის მიზნით დროებით გამგზავრება. ანალოგიური მიზნის მქონე სტუდენტთა წილი სხვა დანარჩენ სასწავლო მიმართულებებზე 34.7%-46% შორის ვარირებს. კვლევის ფარგლებში სტუდენტთა გარკვეულმა რაოდენობამ აღნიშნა, რომ არ აპირებენ სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებას. ამ უკანაკნელთა შორის უმრავლესობით არიან წარმოდგენილნი აგრარული მეცნიერებების (58.4%), განათლების (57.6%), საბუნებისმეტყველო (53.1%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (52.6%) სტუდენტები. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=143.964; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.26)

დიაგრამა #8.26



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (68.8%) არ აპირებს სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით წასვლას. ასეთთა წილი სასწავლო უნივერსიტეტებში 46.4%-ს, უნივერსიტეტებში კი 43.3%-ს უტოლდება. თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მცირეა ისეთთა რაოდენობა, რომლებიც ამ ეტაპზე საზღვარგარეთ გასამგზავრებლად მზადების პროცესში იმყოფებიან. რაც შეეხება სტუდენტთა მესამე კატეგორიას, რომელთათვისაც სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით წასვლა სამომავლო პერსპექტივას წარმოადგენს, მათი პროცენტული გადანაწილება საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე შემდეგ ტენდენციას ავლენს:

უნივერსიტეტი - 45.5%; სასწავლო უნივერსიტეტი - 40.3%; კოლეჯი - 28.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=13.156; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.27).

დიაგრამა #8.27



სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებას, მაგისტრანტების (35.4%) გარდა, სამომავლო გეგმად განიხილავს სხვა საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტთა 44%-ზე მეტი. მათ შორის, რომლებიც ამ ეტაპზე მზადების პროცესში იმყოფებიან, ყველაზე მაღალია ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა წილი (17.2%), ხოლო ყველაზე დაბალია ბაკალავრთა პროცენტული მაჩვენებელი (9.5%). რაც შეეხება იმ სტუდენტებს, რომლებიც არ გეგმავენ სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებას, გამოკვეთილია ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულთა რაოდენობა. ანალოგიური განწყობის მქონე ბაკალავრებისა და მაგისტრანტების წილი 50%-ს არ აღემატება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=61.004; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.28)

დიაგრამა #8.28



იმ რესპონდენტთაგან, რომლებიც სწავლის მიზნით საზღვარგარეთ დროებით გასამგზავრებლად ამჟამად ემზადებიან ან მომავალში მაინც გეგმავენ აღნიშნული აქტივობის განხორციელებას, 45.1% აცხადებს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ განათლების მიღებასთან დაკავშირებით მათ გეგმებზე **კოვიდ-19 პანდემიას** არანაირი გავლენა არ ჰქონია, 30.6%-მა კი აღნიშნა, რომ COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო გამგზავრება ვერ მოახერხეს. გამოკითხულთაგან თითქმის მეხუთედმა დისტანციურად გაიარა სწავლების პროცესი (იხ. დიაგრამა #8.29).

დიაგრამა #8.29



სასწავლო პროგრამების დონეზე პანდემიის, როგორც საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებით გავლენის მომხდენი ფაქტორის შეფასება განსხვავებულ გამოცდილებებს ავლენს. კერძოდ, მაშინ, როდესაც აგრარული მეცნიერებების სტუდენტთაგან ყოველი მეორე (53.7%) აცხადებს, რომ ვერ მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა, ასეთთა წილი სხვა სასწავლო პროგრამების სტუდენტთა შემთხვევაში 36%-ს არ აღემატება. ამასთან, ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტთა მეოთხედზე მცირედით მეტი აცხადებს, რომ დისტანციურ რეჟიმში გაიარა კურსი. ანალოგიურ გამოცდილებაზე მიუთითებს ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის და სამართლის პროგრამებზე ჩარიცხულთა მეხუთედზე მეტი. რაც შეეხება იმ სტუდენტების პროცენტულ გადანაწილებას, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ სასწავლო გეგმებზე პანდემიას არანაირი გავლენა არ მოუხდენია - მიმართულებათაშორისი დარგების/სპეციალობების, ჯანდაცვის, ხელოვნების, სოციალური მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტუდენტთა შემთხვევაში 50%-60%-ს შორის მერყეობს; სხვა სასწავლო პროგრამებზე კი 28%-დან 49%-მდე ვარირებს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=109.840; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.30)

დიაგრამა #8.30



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში საკითხის გაანალიზება ცხადყოფს, რომ იმ სტუდენტთა წილი, რომლებმაც პანდემიის გამო ვერ მოახერხეს საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა. გამოკვეთილად მაღალია სასწავლო უნივერსიტეტების შემთხვევაში (42.9%). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებსა (45.2%) და სასწავლო უნივერსიტეტებში(44.5%) იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთაც აღნიშნეს, რომ პანდემიას არანაირი გავლენა არ ჰქონია მათ

გეგმაზე, თითქმის თანაბარია, რასაც საგრძნობლად აღემატება კოლეჯებში გამოკითხული ანალოგიური პრაქტიკის მქონე სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი (54.5%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=29.210; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.31)

დიაგრამა #8.31



მიღებული პერსონალური გამოცდილებისა და ამჟამინდელი ინდივიდუალური შესაძლებლობების საფუძველზე, რესპონდენტებმა 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს **საზღვარგარეთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩასარიცხად სხვადასხვა ფაქტორის უარყოფითი გავლენა.** შეფასების სკალაზე „ქულა 5-ით“ რესპონდენტები გამოხატავდნენ, რომ კონკრეტული ფაქტორი „არანაირ დაბრკოლებას“ არ წარმოადგენდა/არ წარმოადგენს, ხოლო „ქულა 1-ით“ აღნიშნავდნენ, რომ „დიდი დაბრკოლება“ იყო/არის. სტატისტიკური მონაცემების დამუშავებამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (51.7%) დამაბრკოლებელია ფინანსური ტვირთი/ხარჯების გაზრდა („დიდი დაბრკოლება+უფრო მეტად დაბრკოლება, ვიდრე არა“). გამოკითხულთაგან ყოველი მესამე შეფასების იმავე ნიშნულებს იყენებს უარყოფითი გავლენის მომხდენი ისეთი გარემოებების შესაფასებლად, როგორებიცაა:

- უცხო ენის არასათანადო ცოდნა - 34.5%;
- ინფორმაციის ნაკლებობა, რომელსაც მაწვდის ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - 33.1%;
- სოციალურ წრესთან (მეგობრები, მშობლები, ა.შ) განშორება - 33.8%;

ზემოთქმულთან ერთად საგულისხმოა, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის თვალსაზრისით სტუდენტთა 56%-ისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორს არ წარმოადგენს

ჯანმრთელობის მდგომარეობა/შეზღუდული შესაძლებლობები („უფრო არ არის დაბრკოლება, ვიდრე კი+არანაირი დაბრკოლება“). ისეთ სტუდენტთა წილი, რომლებიც საკუთარი წინასწარგანწყობის გამოსახატავად შეფასების იმავე ნიშნულებს იყენებენ, 40%-ზე მაღალია შემდეგი ფაქტორების შემთხვევაში:

- პარტნიორთან, ბავშვ(ებ)თან განშორება - 49.2%;
- ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა - 43.3%;
- ჩემ მიერ საზღვარგარეთ მიღწეული შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები - 40.9%;
- გლობალურად ან ადგილობრივად მოგზაურობის დროებითი შეზღუდვები - 41.9%; (იხ. ცხრილი #8.7).

ცხრილი #8.7

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699)	დიდი დაბრკოლება	2	3	4	არანაირი დაბრკოლება
	%				
უცხო ენის არასათანადო ცოდნა	20.3	14.2	27.1	13	25.4
ინფორმაციის ნაკლებობა, რომელსაც მაწვდის ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	15.2	18	32.1	13.2	21.5
პარტნიორთან, ბავშვ(ებ)თან განშორება	12.9	12.9	24.9	7.3	42
სოციალურ წრესთან (მეგობრები, მშობლები, ა.შ) განშორება	16.8	17.1	29.8	11	25.4
დამატებითი ფინანსური ტვირთი	29.8	21.9	28.9	7	12.4
ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა	16.4	12.5	27.7	7.2	36.1
მოტივაციის ნაკლებობა	15.4	14.6	30.8	11.7	27.5
მცირე სარგებელი საქართველოში ჩემი სწავლისთვის	12.6	14.2	38.9	9.9	24.4
საქართველოში ჩემი სასწავლო პროგრამის სტრუქტურული შეუსაბამობა საზღვარგარეთ სწავლებასთან	13.3	14.1	36.4	11	25.2
ჩემ მიერ საზღვარგარეთ მიღწეული შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები	10.5	12.9	35.7	12.1	28.7
სასურველი ქვეყნის სავიზო/ბინადრობის ნებართვის პრობლემები	14.6	15.2	35.5	10.4	24.3
შეზღუდული მიღება მობილობის პროგრამებზე (მაგ.: ქულები)	13.7	14.2	36.3	12.2	23.7
ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა/შეზღუდული შესაძლებლობები	7.6	10.2	26.2	10.1	45.8
გლობალურად ან ადგილობრივად მოგზაურობის დროებითი შეზღუდვები	11,9	13	33.2	10.9	31

სასწავლო პროგრამების ჭრილში საკითხის დამუშავების შედეგად გამოვლენილი ტენდენციების თანახმად:

- უცხო ენის არასათანადო ცოდნა ყველაზე მეტად დამაბრკოლებელი („დიდი დაბრკოლება+უფრო მეტად დაბრკოლება, ვიდრე არა“) აღმოჩნდა განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის (52.5%). ყველაზე ნაკლებად კი აღნიშნულ საკითხს სირთულედ აიდენტიფიცირებენ ინჟინერიის (28.3%) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (30.8%) მიმართულებების სტუდენტები. სხვა დანარჩენ სასწავლო პროგრამებზე ანალოგიურ განწყობაზე მიუთითებს, სულ მცირე, ყოველი მესამე სტუდენტი.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაციის ნაკლებობა ყველაზე მეტად განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის აღმოჩნდა დამაბრკოლებელი ფაქტორი (47.5%; შედარებით ნაკლებად კი- ხელოვნების (23.7%).
- მოტივაციის ნაკლებობა, როგორც სწავლის მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრების შემაფერხებელი მიზეზი, შედარებით აქტუალურია განათლების (42.9%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (42.1%) მიმართულების სტუდენტებისთვის. აღნიშნულს ყველაზე ნაკლებად ასახელებენ ბიზნესისა და ადმინისტრირების (19.8%) და ხელოვნების (20.7%) პროგრამებზე ჩარიცხულები.
- იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ საზღვარგარეთ სწავლა მცირე სარგებელის მომტანია საქართველოში სწავლისთვის, შედარებით სჭარბობს განათლებისა (38.5%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (38.2%) მიმართულებებზე. აღნიშნული ფაქტორი, როგორც დაბრკოლება, ყველაზე ნაკლებად დასახელდა ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტთა მიერ (17.1%).
- საქართველოში სასწავლო პროგრამის სტრუქტურული შეუსაბამობა საზღვარგარეთ სწავლებასთან დაბრკოლებად იდენტიფიცირდება თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტთა, სულ მცირე, მეხუთედი ნაწილისთვის. ასეთი განწყობის მქონე რესპონდენტთა ყველაზე მაღალი წილი (39.4%) დაფიქსირდა ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებაზე.
- ისეთ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ მიღწეული შედეგების აღიარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს დაბრკოლებად მიიჩნევენ, გამოკვეთილად მცირეა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის შემთხვევაში (15.5%), ყველაზე მეტად კი აგრარული მეცნიერებების მიმართულების ფარგლებში ვლინდება (32.5%).
- მობილობის პროგრამებზე (მაგ.: ქულები) შეზღუდული მიღების საკითხი, როგორც საზღვარგარეთ სწავლის შემაფერხებელი მიზეზი, ყველაზე ხშირად სახელდება განათლებისა (36.8%) და ჰუმანიტარული მეცნიერებების (36.9%) სტუდენტთა მიერ, ყველაზე იშვიათად კი - ხელოვნების სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხულთა მიერ (21.5%) (იხ. ცხრილი #8.8)

ცხრილი #8.8

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699)		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	<არ არის გაწერილი>
უცხო ენის არასათანადო ცოდნა (χ^2=145.158; p<0.05)	დიდი დაბრკოლება	21.4	18.3	24	19.4	18.7	23.3	20.3	17.2	19.5	20.6	23	16.8
	2	16.7	17.1	28.4	9	12.1	12.3	14.3	12.9	14.7	10.9	14.5	17.9
	3	34.1	26.3	26.8	31.4	29.7	28.5	20.1	20.4	29.6	28	25.4	23.2
	4	10.3	15.3	4.4	15	8.2	16.8	12.8	11.8	12	14.7	10.4	11.6
	არანაირი დაბრკოლება	17.5	23	16.4	25.2	31.3	19.1	32.5	37.6	24.3	25.7	26.8	30.5
ინფორმაციის ნაკლებობა, რომელსაც მაწვდის ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (χ^2=118.130; p<0.05)	დიდი დაბრკოლება	17.3	10.8	19.7	14.8	13.7	18.5	16.9	9.7	15.7	16.5	12.1	14.6
	2	21.3	19	27.9	13.5	18	18.7	15.2	14	19.8	17.9	19.2	14.6
	3	33.9	32.1	29.5	38.8	34.4	27.8	27.2	23.7	34.1	32.9	34.2	31.3
	4	6.3	14.8	7.1	12.1	10.4	15.8	17.5	15.1	10.8	15	9.9	15.6
	არანაირი დაბრკოლება	21.3	23.3	15.8	20.8	23.5	19.3	23.1	37.6	19.7	17.6	24.7	24
მოტივაციის ნაკლებობა (χ^2=196.389; p<0.05)	დიდი დაბრკოლება	16.7	9.1	21.7	14.5	17.0	19.3	15.5	8.7	13.9	23.8	15.6	12.6
	2	14.3	10.7	21.2	9.0	10.4	15.4	11.7	12.0	19.4	18.2	20.2	14.7
	3	35.7	35.9	27.2	38.1	30.2	23.4	28.9	25.0	28.3	24.4	36.9	32.6
	4	13.5	13.9	7.1	13.7	11.5	15.4	11.0	12.0	10.8	6.8	9.6	10.5
	არანაირი დაბრკოლება	19.8	30.5	22.8	24.7	30.8	26.6	32.9	42.4	27.6	26.8	17.8	29.5
მცირე სარგებელი საქართველოში ჩემი სწავლისთვის (χ^2=171.952; p<0.05)	დიდი დაბრკოლება	16.7	9.4	15.9	14.4	13.3	15.1	9.9	10.9	11.1	21.8	9.0	11.7
	2	14.3	7.7	22.5	13.3	8.8	15.8	11.1	15.2	18.4	16.5	17.8	12.8
	3	42.9	50.6	33	42.7	40.3	34	39.8	33.7	35.1	26.8	39.1	40.4
	4	5.6	9.3	4.4	8.8	8.8	11.8	9.8	10.9	9.9	12.4	12.6	10.6
	არანაირი დაბრკოლება	20.6	23.1	24.2	20.8	28.7	23.2	29.3	29.3	25.5	22.6	21.6	24.5
საქართველოში ჩემი სასწავლო პროგრამის სტრუქტურული შეუსაბამობა საზღვარგარეთ სწავლებასთან (χ^2=159.343; p<0.05)	დიდი დაბრკოლება	16.7	12.3	17.5	13.7	12.7	13.5	10.8	10.8	12	23.2	9.8	14.7
	2	17.5	9.3	19.7	12.4	11	14.1	11.3	14	18.8	16.2	16.7	10.5
	3	36.5	37.4	38.3	42.5	36.5	37	33.2	31.2	35.2	24.7	43.2	37.9
	4	7.1	14.9	3.8	7.1	9.9	11.2	13.7	7.5	10.8	13.8	8.5	12.6
	არანაირი დაბრკოლება	22.2	26.2	20.8	24.3	29.8	24.1	31.1	36.6	23.3	22.1	21.9	24.2
ჩემ მიერ საზღვარგარეთ მიღწეული შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული	დიდი დაბრკოლება	14.3	8.8	10.9	11.7	11.5	13.3	7.6	9.7	10.2	15.9	7.3	11.5
	2	18.3	6.7	20.1	11.3	9.3	13.5	7.2	16.1	17.5	16.2	19.6	9.4
	3	35.7	37.6	38	42.4	35.5	31.6	32.9	31.2	37.3	28.2	34.8	39.6
	4	7.9	15.9	10.9	7.7	12	14.3	15.4	12.9	10	14.1	9	10.4
	არანაირი დაბრკოლება	23.8	30.9	20.1	26.9	31.7	27.2	36.9	30.1	25	25.6	29.3	29.2

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699)		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	<არ არის გაწერილი>
პრობლემები **(χ^2=185.167; p<0.05)**													
შეზღუდული მიღება მობილობის პროგრამებზე (მაგ.: ქულები) **(χ^2=135.225; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	17.5	13.5	14.3	12.4	11	19.1	14.9	10.8	9.9	20.9	8.2	13.7
	2	17.5	9.7	22.5	11.7	12.2	14.7	14	10.8	16.6	15.9	15	14.7
	3	40.5	40.1	31.9	43.9	33.1	32	30.3	36.6	35.3	32.7	43.3	35.8
	4	7.9	14	15.4	8.8	14.4	12.2	12.5	11.8	12.5	12.4	10.9	12.6
	არანაირი დაბრკოლება	16.7	22.6	15.9	23.2	29.3	22	28.3	30.1	25.7	18	22.6	23.2

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჭრილში საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ საზღვარგარეთ სწავლის თვალსაზრისით **უცხო ენის არასათანადო ცოდნა** ყველაზე მეტად კოლეჯის სტუდენტებს (65.7%) აბრკოლებს („დიდი დაბრკოლება+უფრო მეტად დაბრკოლება, ვიდრე არა“). ასეთთა წილი უნივერსიტეტის შემთხვევაში ყოველ მესამე სტუდენტს არ აღემატება, სასწავლო უნივერსიტეტებში კი 46.8%-ს უტოლდება. **უმაღლესი სასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ნაკლებობით** გამოწვეულ სირთულეზე საუბრობს კოლეჯის სტუდენტთა 44.1% და უნივერსიტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მესამედი. **ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა,** როგორც საზღვარგარეთ სწავლის შემაფერხებელი ფაქტორი, მნიშვნელობს უნივერსიტეტებში გამოკითხულთა მეოთხედზე მცირედით მეტისთვის და სასწავლო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ჩარიცხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობისთვის (ყოველი მესამე სტუდენტი). სამივე საგანმანათლებლო დაწესებულებაში შედარებით მცირეა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც დაბრკოლებად ასახელებენ საზღვარგარეთ **სწავლით მიღებული სარგებლის დაბალ დონეს:** უნივერსიტეტი - 27.3%; სასწავლო უნივერსიტეტი - 23.5%; კოლეჯი - 23.5% (მცირე სარგებელი საქართველოში ჩემი სწავლისთვის)(იხ. ცხრილი #8.9).

ცხრილი #8.9

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699)		უნივერსიტეტი	სასწავლო უნივერსიტეტი	კოლეჯი
უცხო ენის არასათანადო ცოდნა **(χ^2=56.978; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	19.1	28.3	34.3
	2	13.5	18.5	31.4
	3	28.0	21.4	14.3
	4	13.3	11.5	5.7

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699)		უნივერსიტეტი	სასწავლო უნივერსიტეტი	კოლეჯი
	არანაირი დაბრკოლება	26.1	20.3	14.3
ინფორმაციის ნაკლებობა, რომელსაც მაწვდის ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება **(χ^2=18.472; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	15.6	11.9	20.6
	2	17.6	20.2	23.5
	3	32.5	30.0	17.6
	4	13.4	11.5	17.6
	არანაირი დაბრკოლება	20.9	26.5	20.6
ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა **(χ^2=44.566; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	15.4	24.7	17.1
	2	12.9	9.1	17.1
	3	27.3	30.7	28.6
	4	7.4	5.6	14.3
	არანაირი დაბრკოლება	37.1	29.8	22.9
მცირე სარგებელი საქართველოში ჩემი სწავლისთვის **(χ^2=17.951; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	13.0	9.5	11.8
	2	14.3	14.0	11.8
	3	38.9	39.1	35.3
	4	9.4	13.0	23.5
	არანაირი დაბრკოლება	24.4	24.3	17.6

სტუდენტთა სასწავლო საფეხურის მიხედვით განსხვავებულია რესპონდენტების შეფასებები საზღვარგარეთ სწავლის მიზნით გამგზავრების შემაფერხებელ ფაქტორებთან დაკავშირებით. კერძოდ, ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების 40.2%-ის მიერ **უცხო ენის არასათანადო ცოდნა** ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად დასახელდა, მაშინ, როდესაც ასეთი შეფასება დანარჩენი საგანმანათლებლო საფეხურების შემთხვევაში 33%-დან 37%-მდე მერყეობს. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაციის ნაკლებობით** გამოწვეული სირთულეები შემაფერხებელ ფაქტორად ყველაზე მეტად დასახელდა მაგისტრატურის სტუდენტთა (38%) მიერ. ყველაზე ნაკლებად კი- ბაკალავრების მიერ (31.5%). საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლით წარმოქმნილი **დამატებითი ფინანსური ტვირთი** დაბრკოლებას წარმოადგენს ბაკალავრისა და მაგისტრატურის სტუდენტთა უმრავლესობისთვის. **ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვის** შიში ყველაზე მეტად მაგისტრანტებს აქვთ, ყველაზე ნაკლებად კი- ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს (22.3%). მოტივაციის ნაკლებობა დამაბრკოლებელი მიზეზი აღმოჩნდა ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების 39%-სთვის, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი სხვა საგანმანათლებლო საფეხურებზე 28%-34%-ს შორის მერყეობს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარდა უკანასკნელად დასახელებული სასწავლო საფეხურისა, იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ **საზღვარგარეთ სწავლა საქართველოში სწავლისთვის მცირე სარგებლის მომტანია,** სხვა საფეხურებზე თითქმის თანაბარია (26.5%-28.5%-ს შორის ვარირებს). **საქართველოს სასწავლო პროგრამის სტრუქტურული შეუსაბამობა საზღვარგარეთ სწავლებასთან** ყველაზე მეტად ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის წარმოადგენს სირთულეს (33.7%), ყველაზე ნაკლებად კი - მაგისტრანტებისთვის (23.6%). რაც შეეხება იმ რესპონდენტთა გადანაწილებას, რომლებიც მობილობის პროგრამებზე შეზღუდულ მიღებას საზღვარგარეთ სწავლის შემაფერხებელ ფაქტორად აიდენტიფიცირებენ, თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის შემთხვევაში 25%-დან 31%-მდე მერყეობს (იხ. ცხრილი #8.10).

ცხრილი #8.10

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699)		ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	**ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მოომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა**
		%			
უცხო ენის არასათანადო ცოდნა **(χ^2=30.063; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	20.6	16.7	20.7	21.2
	2	13.0	18.4	19.5	16.1
	3	26.3	31.8	29.3	27.1
	4	13.5	11.7	9.8	11.9
	არანაირი დაბრკოლება	26.5	21.3	20.7	23.7
ინფორმაციის ნაკლებობა, რომელსაც მაწვდის ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება **(χ^2=36.428; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	14.9	13.6	21.7	16.3
	2	16.6	24.4	12.0	20.3
	3	32.2	30.9	41.0	31.8
	4	13.7	13.8	10.8	11.2
	არანაირი დაბრკოლება	22.7	17.3	14.5	20.3
დამატებითი ფინანსური ტვირთი **(χ^2=34.339; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	30.9	33.7	28.0	23.6
	2	20.9	25.3	13.4	24.3
	3	28.5	24.9	39.0	31.5
	4	7.2	6.3	8.5	6.9
	არანაირი დაბრკოლება	12.5	9.8	11.0	13.7
ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა **(χ^2=94.129; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	17.1	22.1	24.1	9.6
	2	11.8	17.3	8.4	12.7
	3	28.1	25.3	36.1	26.9
	4	8.1	5.4	8.4	4.7
	არანაირი დაბრკოლება	34.9	29.9	22.9	46.1
მოტივაციის ნაკლებობა **(χ^2=51.501; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	16.0	9.4	25.6	15.7
	2	13.0	19.4	13.4	18.5
	3	31.2	28.4	36.6	30.1
	4	12.3	11.7	8.5	9.6
	არანაირი დაბრკოლება	27.6	31.1	15.9	26.1
მცირე სარგებელი საქართველოში ჩემი სწავლისთვის **(χ^2=26.720; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	13.2	10.0	14.5	11.9
	2	13.3	17.2	7.2	16.6
	3	39.1	40.6	54.2	35.5
	4	9.9	8.6	8.4	10.9
	არანაირი დაბრკოლება	24.5	23.6	15.7	25.2
საქართველოში ჩემი სასწავლო პროგრამის სტრუქტურული შეუსაბამობა საზღვარგარეთ სწავლებასთან **(χ^2=39.747; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	13.8	10.0	18.1	12.9
	2	13.0	13.6	15.7	18.5
	3	36.0	37.2	44.6	36.2
	4	10.5	14.6	8.4	10.9
	არანაირი დაბრკოლება	26.6	24.6	13.3	21.5
ჩემ მიერ საზღვარგარეთ მიღწეული შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები **(χ^2=49.220; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	10.9	7.7	12.3	10.5
	2	11.9	10.9	16.0	17.8
	3	34.4	38.5	46.9	38.2
	4	12.6	13.0	8.6	10.0
	არანაირი დაბრკოლება	30.2	29.9	16.0	23.5
	დიდი დაბრკოლება	14.9	10.6	14.5	10.3

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699)		ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	**ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მოომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა**
		%			
შეზღუდული მიღება მობილობის პროგრამებზე (მაგ.: ქულები) **(χ^2=24.565; p<0.05)**	2	13.6	15.9	16.9	15.3
	3	35.9	36.1	47.0	37.0
	4	12.0	12.3	8.4	12.9
	არანაირი დაბრკოლება	23.6	25.1	13.3	24.4

რესპონდენტთა **სქესის დონეზე** საკითხის დამუშავებით შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- უცხო ენის არასათანადო ცოდნა საზღვარგარეთ დროებით სწავლის მიზნით გამგზავრების თვალსაზრისით შემაფერხებელი ფაქტორი („დიდი დაბრკოლება +უფრო მეტად დაბრკოლება, ვიდრე არა“) უფრო მეტად აღმოჩნდა მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის (37.8%), ვიდრე მამრობითის (30.6%).
- კვლევაში თითქმის თანაბარია იმ გოგო და ბიჭი სტუდენტების წილი, რომლებიც დამაბრკოლებელ მიზეზად ასახელებენ პარტნიორთან/ბავშვ(ებ)თან (მდედრობითი - 25.1%; მამრობითი - 26.6%) და სოციალურ წრესთან (ოჯახი, მეგობრები და ა.შ.) (მდედრობითი - 34.6%; მამრობითი - 32.9%) ჩამოცილებას.
- გოგო სტუდენტების უმრავლესობისთვის (57.1%) საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრება დამატებით ფინანსურ ტვირთს წარმოადგენს. შედარებით მცირეა ანალოგიური გამოცდილების/მოლოდინის მქონე მამრობითი სქესის რესპონდენტთა წილი (45.3%).
- ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვის შიშს გამოკითხულთა შორის ქალი რესპონდენტები უფრო ნაკლებად განიცდიან (45.4%), ვიდრე მამაკაცები (40.8%) („არანაირი დაბრკოლება არ არის+უფრო მეტად არ არის დაბრკოლება, ვიდრე კი“).
- იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლის მიზნით გამგზავრების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად მოტივაციის ნაკლებობას ასახელებენ, გოგო სტუდენტების წილი (32%) აჭარბებს ანალოგიური განწყობის მქონე მამაკაცების პროცენტულ მაჩვენებელს (27.7%) (იხ. ცხრილი #8.11).

ცხრილი #8.11

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699) (სქესის ჭრილში)		მდედრობითი	მამრობითი
		%	
უცხო ენის არასათანადო ცოდნა **(χ^2=32.277; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	22.5	17.8
	2	15.4	12.9

რამდენად დამაბრკოლებელი არის ან იყო ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები საზღვარგარეთ თქვენი ჩარიცხვისთვის? (N=4699) (სქესის ჭრილში)		მდედრობითი	მამრობითი
		%	
	3	25.4	29.1
	4	11.5	14.8
	არანაირი დაბრკოლება	25.3	25.5
პარტნიორთან, ბავშვ(ებ)თან განშორება **(χ^2=54.855; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	13.4	12.4
	2	11.7	14.3
	3	21.3	29.2
	4	8	6.4
	არანაირი დაბრკოლება	45.5	37.7
სოციალურ წრესთან (მეგობრები, მშობლები, ა.შ) განშორება **(χ^2=21.928; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	17.6	15.9
	2	17.1	17.1
	3	27	33.1
	4	11.7	10
	არანაირი დაბრკოლება	26.6	24
დამატებითი ფინანსური ტვირთი **(χ^2=98.732; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	35.8	22.7
	2	21.3	22.5
	3	25.4	33
	4	6	8.3
	არანაირი დაბრკოლება	11.5	13.4
ფიზიკური არყოფნის გამო ანაზღაურებადი სამსახურის დაკარგვა **(χ^2=25.878; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	16.9	16
	2	13.1	11.8
	3	24.7	31.4
	4	7.3	7.1
	არანაირი დაბრკოლება	38.1	33.7
მოტივაციის ნაკლებობა **(χ^2=12.254; p<0.05)**	დიდი დაბრკოლება	16.5	14.1
	2	15.5	13.6
	3	29.5	32.3
	4	10.9	12.5
	არანაირი დაბრკოლება	27.6	27.4

სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობის გამო საზღვარგარეთ ყოფნის გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი კვლევაში არ აღემატება, ჯამში, 25.3%-ს, მაშინ, როდესაც საპირისპირო გამოცდილების მქონეთა პროცენტული მაჩვენებელია 74.6% (არ ყოფილა საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების ფარგლებში) (იხ. დიაგრამა #8.32).

დიაგრამა #8.32



სასწავლო პროგრამების ჭრილში საკითხის სტატისტიკური დამუშავება ცხადყოფს, რომ თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტთა ძირითადი ნაწილი სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების გამო საზღვარგარეთ არ ყოფილა. ასეთთა წილი გამოკვეთილად მაღალია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებაზე ჩარიცხულთა შორის (873%). აგრარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირების, განათლების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და ჯანდაცვის სასწავლო პროგრამების შემთხვევაში კი ანალოგიური გამოცდილების მქონეთა რაოდენობა 70%-76%-ს შორის მერყეობს. ამ თვალსაზრისით ხელოვნებისა და ინჟინერიის სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბარია (>65%). აღსანიშნავია, რომ თითოეული პროგრამის ფარგლებში ძალზე მცირეა იმ სტუდენტთა განაწილება, რომლებმაც საპირისპირო პრაქტიკაზე მიუთითეს და დაასახელეს აქტივობა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=183.000; p<0.05$) (იხ. ცხრილი #8.12)

ცხრილი #8.12

ოდესმე ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების გამო? (N=4693) (სასწავლო პროგრამის ჭრილში)	დიახ, კვლევის/საველე მივლინებების გამო	დიახ, საზაფხულო/ზამთრის სკოლის გამო	დიახ, ენის კურსის გამო	დიახ, სხვა აქტივობის გამო	არა, არ ვყოფილვარ
	%				
აგრარული მეცნიერებანი	12.8	4.7	4.3	8	70.1
ბიზნესის ადმინისტრირება	5.9	2.2	3.2	12	76.6
განათლება	5.5	3.8	6.5	12.8	71.4
ინჟინერია	10.8	5	5.8	10.7	67.7
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	6.1	7.2	4.7	8.5	73.5
სამართალი	7.6	6.3	3.8	6.4	75.8
სოციალური მეცნიერებები	3.3	4.2	4.3	11.9	76.2
ხელოვნება	5.7	6.2	6.3	16.1	65.6
ჯანდაცვა	4.9	3.5	4.7	11.3	75.6

ოდესმე ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების გამო? (N=4693) (სასწავლო პროგრამის ჭრილში)	დიახ, კვლევის/საველე მივლინებების გამო	დიახ, საზაფხულო/ზამთრის სკოლის გამო	დიახ, ენის კურსის გამო	დიახ, სხვა აქტივობის გამო	არა, არ ვყოფილვარ
	%				
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	5.5	2.5	2.7	6.3	83
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	1.3	8.4	2.9	14.6	72.8
<არ არის გაწერილი>	5.7	4.4	3	10.2	76.7

სასწავლო პროგრამების მსგავსად, **სტუდენტთა სასწავლო საფეხურის ჭრილში** საკითხის დამუშავება აჩვენებს, რომ ოთხივე საგანმანათლებლო საფეხურზე საკმაოდ მაღალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების გამო საზღვარგარეთ არ გამგზავრებულან:

- ბაკალავრიატი - 75%;
- მაგისტრატურა - 73%;
- ქართულ ენაში მომზადების/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 65.3%;
- ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა - 75.2%.

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $\chi^2=33.60531; p<0.05$) (იხ. დიაგრამა #8.33)

დიაგრამა #8.33



თავი 9. სტუდენტთა ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა

გამოკითხვის ფარგლებში სტუდენტთა **ჯანმრთელობის მდგომარეობაც** შეფასდა.[9] რესპონდენტთა უმრავლესობა (57.9%) საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობას პოზიტიურად აფასებს (ქულები 1 და 2), ყოველი მესამე კი, საშუალო დონეზე (ქულა 3, პასუხის კატეგორია „დამაკმაყოფილებელი“). მეათედსაც არ უტოლდება ცუდი ჯანმრთელობის მქონე სტუდენტების წილი (8.8%; ქულები 4 და 5) (იხ. დიაგრამა #9.1).

დიაგრამა #9.1



ჯანმრთელობის მდგომარეობის სუბიექტური შეფასების მიუხედავად, ყველა სტუდენტს დაესვა შეკითხვა, **აქვს თუ არა ჯანმრთელობის რაიმე სახის გრძელვადიანი პრობლემები, ფუნქციონალური შეზღუდვები ან სწავლის უნარის დაქვეითება.** საკითხის ობიექტურად შეფასებისთვის დაზუსტებული იყო, რომ ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემა ისეთი პრობლემას გულისხმობს, რომელიც, სულ მცირე, 6 თვე გრძელდება. გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას (69.9%) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არანაირი სახის პრობლემა არ აქვს. დასახელებულ კატეგორიებში კი შედარებით სჭარბობს ფიზიკური ქრონიკული დაავადებები (8.7%) და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (7%). 5%-ს მცირედით აღემატება მათი წილი, ვისაც სენსორული (მაგალითად, მხედველობა ან სმენა) დარღვევა აქვს (იხ. ცხრილი #9.1).

ცხრილი #9.1

გთხოვთ, აღნიშნოთ, გაქვთ თუ არა ჯანმრთელობის რაიმე სახის გრძელვადიანი პრობლემები, ფუნქციონალური შეზღუდვები ან სწავლის უნარის დაქვეითება (%) (N=4771)	
დიახ, ფიზიკური ქრონიკული დაავადებები	8.7
დიახ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	7
დიახ, გადაადგილების (მოტორიკის) დარღვევა	2.4
დიახ, სენსორული დარღვევა (მაგალითად, მხედველობა ან სმენა)	5.3
დიახ, სწავლის უნარის დაქვეითება (მაგალითად, დისლექსია)	2.3
დიახ, ჯანმრთელობის სხვა ხანგრძლივი პრობლემები/ფუნქციონალური შეზღუდვები და ა.შ.	4.5
არ მაქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები	69.9

ყველა **რეგიონის ჭრილში** რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გრძელვადიანი პრობლემები, ფუნქციონალური შეზღუდვები ან სწავლის უნარის დაქვეითება. ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სამეგრელო-ზემო სვანეთსა (92.6%) და სამცხე-ჯავახეთში (88.7%) ფიქსირდება. რამე ტიპის დაავადების/შეზღუდვის ქონა ყველაზე

[9] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან კარგი“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალიან ცუდი“.

ხშირად თბილისში ფიქსირდება (31.6%), ასევე მაღალია შიდა ქართლისა (29.9%) და აჭარის მაჩვენებლები (27.9%). თითოეულ რეგიონში, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა, დომინანტურია ფიზიკური ქრონიკული დაავადებების შემთხვევები: თბილისი - 8.7%, კახეთი - 8.3%, იმერეთი - 6.7%, აჭარა - 10.6%, შიდა ქართლი - 10.1%. სამეგრელო-ზემო სვანეთსა (2.9%) და სამცხე-ჯავახეთში (4.2%) სტუდენტთა საშუალოდ 3.5% ჯანმრთელობის სხვა ხანგრძლივი პრობლემების/ფუნქციონალური შეზღუდვების ქონაზე მიუთითებს, რაც ამ რეგიონებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=80566, p<0.05) (იხ. ცხრილი #9.2).

ცხრილი #9.2

გთხოვთ, აღნიშნოთ, გაქვთ თუ არა ჯანმრთელობის რაიმე სახის გრძელვადიანი პრობლემები, ფუნქციონალური შეზღუდვები ან სწავლის უნარის დაქვეითება (რეგიონის ჭრილში) (%) (N=4771)	თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
დიახ, ფიზიკური ქრონიკული დაავადებები	8.7	8.3	6.7	10.6	10.1	2.8	3.7
დიახ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები	7.3	3.1	5.3	6.4	8.3	1	0.8
დიახ, გადაადგილების (მოტორიკის) დარღვევა	2.7	1.2	0.7	0.7	1.7	-	0.9
დიახ, სენსორული დარღვევა (მაგალითად, მხედველობა ან სმენა)	5.7	2.7	2.7	5.4	2.8	0.3	1.5
დიახ, სწავლის უნარის დაქვეითება (მაგალითად, დისლექსია)	2.3	0.9	1.6	3	1.5	0.3	0.2
დიახ, ჯანმრთელობის სხვა ხანგრძლივი პრობლემები/ფუნქციონალური შეზღუდვები და ა.შ.	4.8	3.7	4.3	1.9	5.5	2.9	4.2
არ მაქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები	68.4	80.2	78.6	72.1%	70.1	92.6	88.7

მომდევნო შეკითხვა ეხებოდა გადაადგილების (მოტორიკის) დარღვევის მქონე სტუდენტებს (N=93). მათ შეაფასეს, თუ **რამდენადაა ადაპტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური გარემო (მაგ.: ადაპტირებული საპირფარეშო, პანდუსი და ა.შ.) მათ საჭიროებებთან.**[10] სტუდენტთა მესამედზე მეტი (37.7%) ადაპტირებულობის ხარისხს საშუალო დონეზე აფასებს, ხოლო 30.8% პოზიტიურ ველში ექცევა (ქულები 1 და 2). მნიშვნელოვანია, რომ ეს მონაცემი მკვეთრად არ განსხვავდება ნეგატიური დამოკიდებულების მქონე რესპონდენტებისგან (29.4%; ქულები 4 და 5) (იხ. დიაგრამა #9.2).

[10] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „სრულად ადაპტირებულია“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ არის ადაპტირებული“. სკალის მეექვსე კატეგორიად განსაზღვრული იყო შემდეგი - „არ ვფლობ ინფორმაცია“.

დიაგრამა #9.2



შემდეგი კითხვა მხოლოდ სენსორული დარღვევის მქონე სტუდენტებს დაესვათ (N=227). მათ უნდა შეეფასებინათ, **რამდენად უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მათ საჭიროებებთან ადაპტირებული სასწავლო რესურსებით (მაგ.: ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალები, ხმოვანი პროგრამები და ა.შ.).**[11] გამოიკვეთა, რომ ამ ჯგუფის სტუდენტთა მესამედი (32.8%) ინფორმაციას არ ფლობს საკითხის შესახებ. მეხუთედს აღემატება მათი წილი, ვინც სასწავლო რესურსებს საშუალოდ უზრუნველყოფილად აფასებს (23%). პოზიტიური შეფასების მქონე სტუდენტები (27.4%) მკვეთრად აჭარბებს ნეგატიური დამოკიდებულების მქონე პირებს (16.8%). (იხ. დიაგრამა #9.3).

დიაგრამა #9.3



მომდევნო შეკითხვები ეხებოდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის შეზღუდვის/პრობლემის მქონე სტუდენტებს. დაესვათ კითხვა - **სულ მცირე, ბოლო 6 თვის განმავლობაში რამდენად იზღუდებოდნენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო იმ აქტივობების განხორციელებისას, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ადამიანები მისდევენ.** რესპონდენტთა 42.5% მეტ-ნაკლებად იზღუდებოდა. პოზიტიური გამოცდილების მქონე სტუდენტების წილი (31.3%) აჭარბებს ნეგატიური შეფასებების მქონე პირებს (26.2%).

მეორე მხრივ, შეფასდა **დროის ამავე პერიოდში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სწავლის მხრივ შეზღუდვის გამოცდილება.** ამ შემთხვევაშიც დომინანტური შეფასებაა, რომ სტუდენტს მეტ-

[11] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „სრულად უზრუნველყოფილია“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი“. სკალის მეექვსე კატეგორიად განსაზღვრული იყო შემდეგი - „არ ვფლობ ინფორმაცია“.

ნაკლებად ეშლება ხელი. 24.5% აღნიშნავს, რომ, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სწავლაში ძალზე იზღუდება (იხ. დიაგრამა #9.4).

დიაგრამა #9.4



რეგიონულ ჭრილში საკითხის განხილვამ გამოკვეთა, რომ, კახეთისა და აჭარის გარდა, სხვა რეგიონებში ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია - სტუდენტთა ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ყოველდღიური აქტივობების განხორციელებაში მეტ-ნაკლებად იზღუდება: თბილისი - 43.1%, იმერეთი - 63.3%, შიდა ქართლი - 46.7%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 50%, სამცხე-ჯავახეთი - 60%. კახეთში გამოკითხული ყოველი მეორე რესპონდენტი, ვისაც ჯანმრთელობის რაიმე ტიპის პრობლემა აქვს, მიუთითებს, რომ ამის გამო არანაირ შეზღუდვას არ გრძნობს (50%). აჭარაში კი განსხვავებული მდგომარეობაა - რესპონდენტთა 43.5%-ის გამოცდილებით, ყოველდღიური აქტივობების განხორციელება ძალზე ეზღუდება, რაც ამ რეგიონში დომინანტურ პოზიციას წარმოადგენს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=36073, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #9.3).

ცხრილი #9.3

სულ მცირე ბოლო 6 თვის განმავლობაში რამდენად იზღუდებოდით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თქვენი შეზღუდვ(ებ)ის გამო ყოველდღიური აქტივობების განხორციელებაში? (%) (N=1095)	თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
ძალზე ვიზღუდებოდი	24.4	12.5	22.4	43.5	33.3	50	40
მეტ-ნაკლებად ვიზღუდებოდი	43.1	37.5	63.3	26.9	46.7	50	60
საერთოდ არ ვიზღუდებოდი	32.5	50	14.3	29.6	20	-	

სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის აქტივობებსა და სწავლის პროცესზე გავლენის შეფასების პარალელურად, გამოკითხვის ფარგლებში იმ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სრულიად ან მეტ-ნაკლებად ეზღუდებათ სწავლა, შეკითხვა დაესვათ **საჯარო და ორგანიზაციულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით**.[12] როგორც გამოვლინდა, სწავლაში არსებული პრობლემების გადასალახად საჯარო და ორგანიზაციული მხარდაჭერა, სამიზნე ჯგუფის სტუდენტთა 30.9%-ის

[12] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „სავსებით საკმარისია“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ არის საკმარისი“. სკალის მეექვსე კატეგორიად განსაზღვრული იყო შემდეგი - „არ მჭირდება/არ მინდა რამე მხარდაჭერა“

შეფასებით, საკმარისი არ არის (ქულები 4 და 5). აღნიშნული მაჩვენებელი აჭარბებს პოზიტიური დამოკიდებულების მქონე სტუდენტების წილს. (26.7%; ქულები 1 და 2) (იხ. დიაგრამა #9.5).

დიაგრამა #9.5



სასწავლო მიმართულებების ჭრილში საკითხის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებების (42.6%) და მიმართულებათაშორისი დარგების (44.9%) სტუდენტთა განსაკუთრებით მაღალი წილი არასაკმარისად აფასებს არსებული შეზღუდვების გადასალახად გაწეულ საჯარო და ორგანიზაციულ მხარდაჭერას (ქულები 4 და 5). მსგავს პოზიციას იზიარებს ინჟინერიის სასწავლო პროგრამის სტუდენტთა 37.2%-იც. აგრარული მეცნიერებების მიმართულებაზე საპირისპირო მდგომარეობაა - ამ სპეციალობის სტუდენტების 60% მიიჩნევს, რომ სწავლის პროცესში არსებული შეზღუდვების გადასალახად გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა საკმარისია (ქულები 1 და 2); მათ შორის 46.7% მიიჩნევს, რომ სავსებით საკმარისია - ქულა 1). პოზიტიური შეფასების მაჩვენებელი შედარებით მაღალია და მესამედს აჭარბებს განათლების მიმართულების სტუდენტებში (37.2%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=118246, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #9.4).

ცხრილი #9.4

გთხოვთ, დაფიქრდეთ იმ შეზღუდვებზე, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თქვენი შეზღუდვების გამო აწყდებით სწავლის პროცესში: როგორ აფასებთ სხვადასხვა საჯარო და ორგანიზაციულ მხარდაჭერას იმისათვის, რათა გადალახოთ ეს შეზღუდვები? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%) (N=669)	სავსებით საკმარისია	2	3	4	საერთოდ არ არის საკმარისი	არ მჭირდება/არ მინდა რამე მხარდაჭერა
აგრარული მეცნიერებანი	46.7	13.3	26.7	6.7	6.7	-
ბიზნესის ადმინისტრირება	6.8	17	39.8	11.4	11.4	13.6
განათლება	18.6	18.6	20.9	4.7	23.3	14
ინჟინერია	22.3	5.3	27.7	11.7	25.5	7.4
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	11.1	18.5	37	14.8	11.1	7.4
სამართალი	19.2	12.8	30.8	10.3	15.4	11.5
სოციალური მეცნიერებები	3.9	13.6	27.2	12.6	18.4	24.3
ხელოვნება	15.8	10.5	31.6	21.1	10.5	10.5
ჯანდაცვა	13	12	36	12	19	8

გთხოვთ, დაფიქრდეთ იმ შეზღუდვებზე, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თქვენი შეზღუდვების გამო აწყდებით სწავლის პროცესში: როგორ აფასებთ სხვადასხვა საჯარო და ორგანიზაციულ მხარდაჭერას იმისათვის, რათა გადალახოთ ეს შეზღუდვები? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (%) (N=669)	საკმაოდ საკმარისია	2	3	4	საერთოდ არ არის საკმარისი	არ მჭირდება/არ მინდა რამე მხარდაჭერა
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	8.2	16.4	26.2	34.4	8.2	6.6
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	6.1	16.3	26.5	10.2	34.7	6.1
<არ არის გაწერილი>	12.5	12.5	43.8	12.5	12.5	6.3

თავი 10: ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

იმ სტუდენტებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა და, ამავდროულად, სრულიად ან მეტ-ნაკლებად ეზღუდებათ სწავლა, დაასახელეს მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა (პრობლემები), სამედიცინო დიაგნოზის არსებობის მიუხედავად. კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა. რესპონდენტთა მიერ შედარებით ხშირად სახელდება დეპრესია (27.1%) და შფოთვითი აშლილობა (21.3%), როგორც არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანწილად სახელდება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის აშლილობა (ADHD) (12.1%) და პიროვნული აშლილობა (9.5%). (იხ. დიაგრამა #10.1)

დიაგრამა #10.1



სქესის ჭრილში საკითხის განხილვის შედეგად ვლინდება, რომ მამრობითი (27.1%) და მდედრობითი (27.1%) სქესის სტუდენტები თანაბრად ასახელებენ დეპრესიის, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის ქონას. მდედრობითი სქესის რესპონდენტები უფრო მეტად მიუთითებენ შფოთვითი აშლილობის (მდედრობითი-22.7%; მამრობითი-17.3%), ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის აშლილობის ქონაზე (მდედრობითი-14.5%; მამრობითი-5.3%), ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტები. ამავდროულად, მამრობითი სქესის სტუდენტები უფრო ხშირად ასახელებენ პიროვნულ აშლილობას (მდედრობითი-7.6%; მამრობითი-14.7%) და ფსიქოზს (მდედრობითი-4.3%; მამრობითი-10.7%), ვიდრე მდედრობითი სქესის სტუდენტები. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=67.103; $P<0.05$) (იხ. დიაგრამა #10.2)

დიაგრამა #10.2



იმ სტუდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა და, ამავდროულად, მიუთითეს, რომ ამ მიზეზით სრულიად ან მეტ-ნაკლებად ეზღუდებათ სწავლა, დაესვათ კითხვა, არსებობს თუ არა სამედიცინო პროფესიონალის (ფსიქოთერაპევტი, ფსიქიატრი ან ნევროლოგი) დიაგნოზი მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ. შედარებით დიდი ნაწილი (42.5%) ამბობს, რომ სამედიცინო პროფესიონალის დიაგნოზი არ არსებობს. გამოკითხულთა მესამედზე მეტი (37.7%) ადასტურებს დიაგნოზის არსებობას, თუმცა ამჟამად არ მკურნალობს. ხოლო მეხუთედი ნაწილი (19.8%) ამბობს, რომ აქვს სამედიცინო პროფესიონალისგან დიაგნოზი და ამჟამად მკურნალობს.

მათ შორის, ვინც ფსიქიკური პრობლემის ქონაზე მიუთითებს, **მდედრობითი** სქესის სტუდენტების ნახევარი (50.6%) ამბობს, რომ მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ პროფესიონალის მიერ დასმული დიაგნოზი არ არსებობს. **მამრობითი** სქესის სტუდენტების შემთხვევაში მიახლოებით ნახევარი (47.8%) ამბობს, რომ დიაგნოზი არსებობს, თუმცა ამჟამად არ მკურნალობენ. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=12.354; P<0.05). (იხ. დიაგრამა #10.3.)

დიაგრამა #10.3



საქართველოს მოქალაქე სტუდენტების თითქმის ნახევარი (46.2%) ამბობს, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობის დამადასტურებელი ოფიციალური დიაგნოზი არ არსებობს. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე რესპონდენტების შეთხვევაში ტენდენცია საპირისპიროა, რადგან სტუდენტთა დიდი უმრავლესობა (92%) დიაგნოზის არსებობას ადასტურებს, მიუხედავად იმისა, ამჟამად მკურნალობს (48%), თუ არა (44%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=18.944; P<0.05). (იხ. დიაგრამა #10.4).

დიაგრამა #10.4



გასული 2 კვირის განმავლობაში რესპონდენტთა განწყობების გამოსავლენად მათ მიეწოდათ 5 დებულება შესაფასებლად. სტუდენტთა ნახევარზე მეტი დადებით განწყობებზე მიუთითებს (ყოველთვის, უმრავლეს შემთხვევაში, ხშირად) შემდეგ დებულებებთან დაკავშირებით:

- თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე - 64%
- თავს ვგრძნობდი აქტიურად და ენერგიულად - 58.6%
- ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ჩემთვის საინტერესო რაღაცებით შეივსო - 56.5%

რესპონდენტები დაახლოებით თანაბრად აფიქსირებენ დადებით და უარყოფით დამოკიდებულებებს შემდეგი ორი დებულების შემთხვევაში:

- თავს ვგრძნობდი დამშვიდებულად და დასვენებულად (დადებითი-50.6; უარყოფითი-49.4%)
- ვიღვიძებდი გამოცოცხლებული და დასვენებული (დადებითი-47.8; უარყოფითი-52.2%) (იხ. ცხრილი #10.1)

ცხრილი #10.1

ბოლო 2 კვირის განმავლობაში... (N=4771)	ყოველთვის	უმრავლეს შემთხვევაში	ხშირად (2 კვირაში ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში)	ზოგჯერ (2 კვირაში ნახევარზე ნაკლები დროის განმავლობაში)	იშვიათად	არასდროს
	%					
... თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე	15.5	29.0	19.5	14.3	15.7	5.9
... თავს ვგრძნობდი დამშვიდებულად და დასვენებულად	13.9	22.6	14.1	16.6	24.1	8.7
... თავს ვგრძნობდი აქტიურად და ენერგიულად	16.4	26.5	15.7	17.1	16.9	7.4
... ვიღვიძებდი გამოცოცხლებული და დასვენებული	12.6	21.2	13.9	15.6	23.6	12.9
... ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ჩემთვის საინტერესო რაღაცებით შეივსო	15.0	26.5	15.0	15.1	19.7	8.7

ბოლო 2 კვირის განმავლობაში თავიანთ შეგრძნებებზე შედარებით დადებითად საუბრობენ **მამრობითი** სქესის რესპონდენტები, **მდედრობითი** სქესის სტუდენტებთან შედარებით. კერძოდ, ეს ეხება შემდეგ დებულებებს:

- თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე (მდედრობითი-60.7%; მამრობითი-68.3%)
- თავს ვგრძნობდი დამშვიდებულად და დასვენებულად (მდედრობითი-43%; მამრობითი-60.4%)
- თავს ვგრძნობდი აქტიურად და ენერგიულად (მდედრობითი-50.6%%; მამრობითი-68.8%)
- ვიღვიძებდი გამოცოცხლებული და დასვენებული (მდედრობითი-40.7%; მამრობითი-57.1%)
- ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ჩემთვის საინტერესო რაღაცებით შეივსო (მდედრობითი-50%; მამრობითი-64.9%)

აღსანიშნავია, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტები უარით პასუხობენ დებულებებს:

- თავს ვგრძნობდი დამშვიდებულად და დასვენებულად (57%)
- ვიღვიძებდი გამოცოცხლებული და დასვენებული (59.3%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილი #10.2)

ცხრილი #10.2

ბოლო 2 კვირის განმავლობაში... (სქესის ჭრილში) (N=4771)		ყოველთვის	უმრავლეს შემთხვევაში	ხშირად (2 კვირაში ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში)	ზოგჯერ (2 კვირაში ნახევარზე ნაკლები დროის განმავლობაში)	იშვიათად	არასდროს
		%					
... თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე (X^2=76.098; P<0.05).	მდედრობითი	11.7	28.6	20.4	16.6	17.4	5.3
	მამრობითი	20.4	29.6	18.4	11.4	13.6	6.7
... თავს ვგრძნობდი დამშვიდებულად და დასვენებულად (X^2=136.046; P<0.05).	მდედრობითი	10.0	20.5	12.6	19.8	28.4	8.7
	მამრობითი	19.0	25.3	16.0	12.5	18.5	8.7
... თავს ვგრძნობდი აქტიურად და ენერგიულად (X^2=177.790; P<0.05).	მდედრობითი	11.7	23.4	15.5	19.1	22.6	7.7
	მამრობითი	22.3	30.4	16.0	14.5	9.6	7.1
... ვიღვიძებდი გამოცოცხლებული და დასვენებული (X^2=126.961; P<0.05).	მდედრობითი	10.1	18.7	11.9	16.2	29.7	13.4
	მამრობითი	16.0	24.5	16.5	14.8	15.8	12.3
... ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ჩემთვის საინტერესო რაღაცებით შეივსო (X^2=95.980; P<0.05).	მდედრობითი	11.9	23.8	14.3	16.6	23.8	9.6
	მამრობითი	19.1	29.8	16.0	13.2	14.4	7.5

რეგიონების ჭრილში საკითხის განხილვამ გამოავლინა განსხვავებული მონაცემები სტუდენტთა განწყობებს შორის:

- დებულებას „თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე“ შედარებით ნაკლებად ემხრობიან თბილისსა (62.3%) და იმერეთში (64.5%), ვიდრე სხვა რეგიონებში (კახეთი-71.7%; აჭარა-76%; შიდა ქართლი-72.7%; სამეგრელო და ზემო სვანეთი-73.7%; ჯახავეთი-75.9%);
- დებულებას „თავს ვგრძნობდი დამშვიდებულად და დასვენებულად“, შედარებით ნაკლებად ეთანხმებიან თბილისში (48.7%), იმერეთსა (51.6%) და შიდა ქართლში (58.5%). დანარჩენ რეგიონებში მონაცემები შედარებით მაღალია (კახეთი-60.9%; აჭარა-63%; სამეგრელო და ზემო სვანეთი-66.7%; ჯავახეთი-64.2%);
- დებულებაზე „თავს ვგრძნობდი აქტიურად და ენერგიულად“, სხვა რეგიონებთან შედარებით, ნაკლებად მიუთითებენ თბილისში (56.6%), იმერეთსა (60.8%) და აჭარაში (69.8%). დანარჩენ რეგიონებში მონაცემები შედარებით მაღალია (კახეთი-73.3%; შიდა ქართლი-72.5%; სამეგრელო და ზემო სვანეთი-78.9%; ჯავახეთი-74.1%);
- დადებითი შეფასებები ასევე დაბალია თბილისსა (46.1%) და იმერეთში (50.5%) დებულებისათვის „ვიღვიძებდი გამოცოცხლებული და დასვენებული“. ამ მხრივ სხვა

რეგიონებში უკეთესი მდგომარეობაა (კახეთი-56.5%; აჭარა-56.8%; შიდა ქართლი-60%; სამეგრელო და ზემო სვანეთი-66.7%; ჯავახეთი-63%);

- დადებითი შეფასებები დებულებისათვის „ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ჩემთვის საინტერესო რაღაცებით შეივსო“ შედარებით დაბალია თბილისში (55.1%), კახეთსა (57.8%) და იმერეთში (55.3%). დანარჩენ რეგიონებში შეფასებები შედარებით დადებითია (აჭარა-67.1%; შიდა ქართლი-72.5%; სამეგრელო და ზემო სვანეთი-72.2%; ჯავახეთი-69.2%).

შესაძლებელია შეჯამდეს, რომ დადებითი განწყობები შედარებით ნაკლებად ვლინდება თბილისსა და იმერეთში, სხვა რეგიონებთან შედარებით. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #10.3)

ცხრილი #10.3

ბოლო 2 კვირის განმავლობაში... (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
... თავს ვგრძნობდი მხიარულად და კარგ განწყობაზე (X^2=115.254; P<0.05).	ყოველთვის	14.9	15.2	12.7	25.0	18.2	15.8	14.8
	უმრავლეს შემთხვევაში	27.2	43.5	40.2	28.8	40.9	42.1	46.3
	ხშირად	20.2	13.0	11.6	22.3	13.6	15.8	14.8
	ზოგჯერ	15.6	10.9	7.6	9.6	11.4	10.5	9.3
	იშვიათად	16.6	13.0	14.9	10.3	11.4	15.8	9.3
	არასდროს	5.5	4.3	13.0	4.1	4.5	-	5.6
... თავს ვგრძნობდი დამშვიდებულად და დასვენებულად (X^2=120.052; P<0.05).	ყოველთვის	13.4	15.2	11.6	22.1	14.6	11.1	11.3
	უმრავლეს შემთხვევაში	21.0	34.8	30.5	24.2	31.7	38.9	35.8
	ხშირად	14.3	10.9	9.5	16.7	12.2	16.7	17.0
	ზოგჯერ	17.7	13.0	8.0	16.4	12.2	16.7	11.3
	იშვიათად	25.3	21.7	20.7	16.7	22.0	16.7	20.8
	არასდროს	8.3	4.3	19.6	3.9	7.3	-	3.8
... თავს ვგრძნობდი აქტიურად და ენერგიულად (X^2=119.233 P<0.05).	ყოველთვის	15.1	20.0	15.4	29.0	20.0	26.3	20.4
	უმრავლეს შემთხვევაში	25.2	40.0	31.1	28.6	35.0	42.1	38.9
	ხშირად	16.3	13.3	14.3	12.2	17.5	10.5	14.8
	ზოგჯერ	18.5	8.9	8.1	15.3	10.0	10.5	13.0
	იშვიათად	17.6	15.6	15.0	12.6	15.0	10.5	11.1
	არასდროს	7.3	2.2	16.1	2.3	2.5	-	1.9
	ყოველთვის	11.8	19.6	11.6	19.8	22.5	22.2	13.0

ბოლო 2 კვირის განმავლობაში... (რეგიონის ჭრილში) (N=4771)		თბილისი	კახეთი	იმერეთი	აჭარა	შიდა ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი
		%						
... ვიღვიძებდი გამოცოცხლებული და დასვენებული (X^2=65.649; P<0.05).	უმრავლეს შემთხვევაში	20.1	26.1	24.7	24.9	25.0	38.9	35.2
	ხშირად	14.2	10.9	14.2	12.1	12.5	5.6	14.8
	ზოგჯერ	16.3	10.9	9.8	16.3	10.0	11.1	9.3
	იშვიათად	24.6	23.9	20.7	17.9	17.5	22.2	20.4
	არასდროს	13.0	8.7	18.9	8.9	12.5	-	7.4
... ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ჩემთვის საინტერესო რაღაცებით შეივსო (X^2=85.599; P<0.05).	ყოველთვის	14.4	17.8	14.2	20.8	22.5	22.2	15.4
	უმრავლეს შემთხვევაში	25.2	33.3	31.6	28.2	37.5	38.9	40.4
	ხშირად	15.5	6.7	9.5	18.0	12.5	11.1	13.5
	ზოგჯერ	16.6	6.7	8.4	10.2	5.0	11.1	11.5
	იშვიათად	19.6	31.1	20.4	18.0	20.0	16.7	17.3
	არასდროს	8.6	4.4	16.0	4.7	2.5	-	1.9

რესპონდენტთა უმრავლესობა აფიქსირებს, რომ იშვიათად ან არასდროს გრძნობს თავს გარიყულად სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებისგან (59.6%), ოჯახისგან/პარტნიორისგან (66.8%), მეგობრებისგან (65%) და ზოგადად სხვებისგან (56.5%). (იხ. დიაგრამა #10.5)

დიაგრამა #10.5



მოქალაქეობის ჭრილში საკითხის განხილვის შედეგად ვლინდება, რომ როგორც მოქალაქე, ასევე არამოქალაქე სტუდენტები უარყოფენ სხვადასხვა სპეციალური ჯგუფის მხრიდან გარიყვას, ან აღნიშნულ საკითხზე ნეიტრალურ პასუხს აფიქსირებენ. მეორე მხრივ, იმ სტუდენტებს შორის, ვინც იხსენებს გარიყულად შეგრძნების შემთხვევებს, შედარებით ხშირად არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე რესპონდენტები, ვიდრე საქართველოს მოქალაქე სტუდენტები. აღნიშნული რელევანტურია შეთავაზებული ოთხივე ჯგუფის შემთხვევაში მონაცემთა შეჯამების საფუძველზე (პასუხი 1 და 2), კერძოდ:

- სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-20.5%; საქართველოს მოქალაქე-17.3%)
- ოჯახისგან/პარტნიორისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-25.3%; საქართველოს მოქალაქე-14.2%)
- მეგობრებისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-21.2%; საქართველოს მოქალაქე-13.7%)
- ზოგადად, სხვებისგან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-20.9%; საქართველოს მოქალაქე-17.9%)

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #10.4)

ცხრილი #10.4

რამდენად ხშირად გრძნობთ თავს გარიყულად (მოქალაქეობის ჭრილში) (N=4771)		ყოველთვის	2	3	4	არასდროს
		%				
თქვენი სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებისგან (X^2=54.356; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	8.2	12.3	34.3	12.7	32.5
	საქართველოს მოქალაქე	7.6	9.7	21.4	14.2	47.1
თქვენი ოჯახისგან/პარტნიორისგან (X^2=165.956; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	11.4	13.9	33.2	14.2	27.4
	საქართველოს მოქალაქე	6.4	7.9	16.1	11.3	58.4
თქვენი მეგობრებისგან (X^2=111.709; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	8.4	12.8	34.0	14.8	29.9
	საქართველოს მოქალაქე	5.8	7.9	18.9	13.0	54.5
ზოგადად, სხვებისგან (X^2=77.430; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	8.1	12.8	40.0	13.7	25.3
	საქართველოს მოქალაქე	7.5	10.4	23.6	15.7	42.8

თავი 11: დისკრიმინაციის გამოცდილება

სტუდენტთა ნახევარზე მეტი (54.2%) ამბობს, რომ თავს დაცულად გრძნობს თავის უბანში ღამით მარტო სეირნობისას. ასევე, გამოკითხულთა უმრავლესობა (62.8%) იმავეს აღნიშნავს თავისი უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე სეირნობის თვალსაზრისით. (იხ. დიაგრამა #11.1)

დიაგრამა #11.1



მოქალაქეობის ჭრილში საკითხის განხილვამ გამოავლინა, რომ როგორც საცხოვრებელ უბანში (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-14.8%; საქართველოს მოქალაქე-21.4%), ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-10.6; საქართველოს მოქალაქე-14.7%), ღამით მარტო სეირნობისას საქართველოს მოქალაქეები უფრო ხშირად გრძნობენ თავს დაუცველად, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე სტუდენტები.

ამასთანავე, **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის ჭრილში** მონაცემთა განხილვის თანახმად, კოლეჯის სტუდენტები (5.9%) შედარებით იშვიათად მიუთითებენ მათი საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილებისას შიშის შეგრძნებაზე, ვიდრე უნივერსიტეტის (14.4%) და სასწავლო უნივერსიტეტის (13.6%) სტუდენტები. აღნიშნული შესაძლოა აიხსნას კოლეჯის ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგიონული მდებარეობითა და ამ ლოკაციებზე დამკვიდრებული თემის მცირე ზომით. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #11.1)

ცხრილი #11.1

რამდენად დაცულად გრძნობთ თავს ღამით მარტო სეირნობისას (მოქალაქეობის ჭრილში) (N=4771)		ძალიან დაცულად	2	3	4	ძალიან დაუცველად
		%				
თქვენს უბანში (X^2=101.208; P<0.05)	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	35.8	23.4	26.0	8.8	6.0
	საქართველოს მოქალაქე	35.1	18.6	24.9	11.3	10.1
თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე (X^2=35.305; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	44.7	19.4	25.3	5.3	5.3
	საქართველოს მოქალაქე	42.8	20.0	22.6	7.9	6.8

რამდენად დაცულად გრძნობთ თავს ღამით მარტო სეირნობისას (უსდს ტიპის ჭრილში) (N=4771)		ძალიან დაცულად	2	3	4	ძალიან დაუცველად
თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე (X^2=40.054; P<0.05).	უნივერსიტეტი	41.4	20.2	24.0	7.9	6.6
	სასწავლო უნივერსიტეტი	54.1	17.6	14.7	6.0	7.6
	კოლეჯი	58.8	23.5	11.8		5.9

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა უარყოფს სხვადასხვა გარემოებების მიზეზით მათდამი დისკრიმინაციის შემთხვევებს სწავლის პერიოდში. კონკრეტულად, ასეთი მახასიათებლებია:

- კანის ფერი - 92.2%
- წარმომავლობა/ეროვნება - 92.2%
- რელიგია - 93.2%
- სქესი - 91.6%;
- სექსუალური ორიენტაცია - 94.1%
- ასაკი-93.9%
- წონა - 91.7%;
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდვები- 94.3%
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა - 93.7%
- შემოსავალი - 92.6%
- მშობლების განათლება - 95%. (იხ. ცხრილი #11.2)

ცხრილი #11.2

ოდესმე გიგრძვნიათ დისკრიმინაცია სწავლის პერიოდში თქვენი... (N=4771)	**დიახ, სხვა სტუდენტებისგან**	**დიახ, აკადემიური პერსონალისგან**	**დიახ, უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლებისგან**	**არა, არ მიგრძვნია**
	%			
... კანის ფერის გამო?	2.2	3.5	2.1	92.2
...წარმომავლობის/ეროვნების გამო?	2.2	3.5	2.1	92.2
... რელიგიის გამო?	2.0	2.9	1.9	93.2
... სქესის გამო?	2.1	4.1	2.2	91.6
... სექსუალური ორიენტაციის გამო?	2.0	1.9	2.1	94.1
... ასაკის გამო?	2.0	2.0	2.1	93.9

ოდესმე გიგრძვნიათ დისკრიმინაცია სწავლის პერიოდში თქვენი... (N=4771)	დიახ, სხვა სტუდენტებისგან	დიახ, აკადემიური პერსონალისგან	დიახ, უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლებისგან	არა, არ მიგრძვნია
	%			
... წონის გამო?	3.2	3.0	2.2	91.7
... ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო?	1.6	2.2	1.9	94.3
... ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო?	1.5	2.6	2.2	93.7
... შემოსავლის გამო?	1.7	3.0	2.7	92.6
... მშობლების განათლების გამო?	0.8	2.1	2.0	95.0

დისკრიმინაციის სხვადასხვა გამოვლინებების შეფასების შემთხვევაში რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა უარყოფს, რომ

- მოუსმენიათ, უნახავთ ან წაუკითხავთ, სხვები როგორ ხუმრობენ მათზე, ან დასცინიან - 72.7%
- მოჰქცევიან ისე, თითქოს არამეგობრული, უსარგებლო ან უხეში იყოს -70%
- ეძახდნენ მეტსახელს, ან მოისმინეს/დაინახეს, როგორ გამოიყენეს მათი იდენტობა შეურაცხმყოფლად - 79%
- მოჰქცევიან ისე, თითქოს სხვებს მათი ეშინიათ - 79.3%
- დაჟინებით უყურებდნენ ანდა ხელს იშვერდნენ მათკენ - 78.3%
- უთხრეს, რომ უნდა იფიქრონ, იმოქმედონ ან გამოიყურებოდნენ სხვების მსგავსად - 74.7%
- მოუსმენიათ, რომ მათნაირი ხალხის ადგილი აქ არ არის - 81.7%
- დაუსვეს უხერხული, შეურაცხმყოფელი ან ზედმეტად პირადული შეკითხვები - 70%
- მოექცნენ ისე, თითქოს ნაკლებად ჭკვიანი ან ნაკლებად უნარიანები არიან, ვიდრე სხვები - 73%
- მიუღიათ არასასურველი სექსუალური ხასიათის ყურადღება -78.8%
- გამხდარან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი - 86.6%. (იხ. ცხრილი #11.3)

ცხრილი #11.3

საგანმანათლებლო სივრცეში: თქვენი ვინაობის გამო, თქვენ... (N=4771)	დიახ, ბევრჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, ერთხელ ან ორჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, მაგრამ არა ბოლო წლის განმავლობაში	არასდროს
	%			
... მოგისმენიათ, გინახავთ ან წაგიკითხავთ სხვები როგორ ხუმრობდნენ თქვენზე და დაგცინოდნენ?	5.7	9.1	12.5	72.7
... მოგქცევიან ისე, თითქოს არამეგობრული, უსარგებლო ან უხეში იყოთ?	6.0	10.8	13.1	70.0
... გეძახდნენ მეტსახელს ან მოისმინეთ/დაინახეთ როგორ გამოიყენეს თქვენი იდენტობა შეურაცხმყოფლად?	4.5	6.7	9.9	79.0
... მოგქცევიან ისე, თითქოს სხვებს თქვენი ეშინიათ?	3.9	8.4	8.4	79.3
... დაჟინებით გიყურებდნენ ან ხელს იშვერდნენ თქვენკენ?	5.1	7.9	8.6	78.3
... გითხრეს, რომ უნდა იფიქროთ, იმოქმედოთ ან გამოიყურებოდეთ სხვების მსგავსად?	6.6	8.8	9.9	74.7
... მოგისმენიათ, რომ თქვენი ან თქვენნაირი ხალხის ადგილი აქ არ არის?	4.5	7.3	6.5	81.7
... დაგისვეს უხერხული, შეურაცხმყოფელი ან ზედმეტად პირადული შეკითხვები?	6.1	12.4	11.6	70.0
... მოგექცნენ ისე, თითქოს ნაკლებად ჭკვიანი ან ნაკლებად უნარიანი ხართ, ვიდრე სხვები?	5.3	11.6	10.1	73.0
... მიგიღიათ არასასურველი სექსუალური ხასიათის ყურადღება (მაგ.: კომენტარები, არასასურველი ფიზიკური შეხება ან კოცნა)?	4.9	8.1	8.2	78.8
... გამხდარხართ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი?	2.1	4.4	6.9	86.6

მოქალაქეობის ჭრილში საკითხის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ დისკრიმინაციის სხვადასხვა გამოვლინებები მცირედით უფრო ხშირია საქართველოს არამოქალაქე სტუდენტების, ვიდრე საქართველოს მოქალაქეების მიმართ. კერძოდ, რესპონდენტები საუბრობენ, რომ გასული წლის ან მეტი პერიოდის განმავლობაში ერთხელ მაინც:

- მოუსმენიათ, უნახავთ ან წაუკითხავთ, სხვები როგორ ხუმრობენ მათზე, ან დასცინიან (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-34.7; საქართველოს მოქალაქე-26.5%)
- ეძახდნენ მეტსახელს, ან მოისმინეს/დაინახეს, როგორ გამოიყენეს მათი იდენტობა შეურაცხმყოფლად (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-26.9; საქართველოს მოქალაქე-20.2%)

- მოჰქცევიან ისე, თითქოს სხვებს მათი ეშინიათ (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-27.7; საქართველოს მოქალაქე-19.9%)
- დაჟინებით უყურებდნენ ანდა ხელს იშვერდნენ მათკენ (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-36.9; საქართველოს მოქალაქე-19.9%)
- მოუსმენიათ, რომ მათნაირი ხალხის ადგილი აქ არ არის (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-31.5; საქართველოს მოქალაქე-16.8%)

გამონაკლისს წარმოადგენს დებულება „გექცეოდნენ ისე, თითქოს ნაკლებად ჭკვიანი ან ნაკლებად უნარიანები ხართ, ვიდრე სხვები“ (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე-27.2%; საქართველოს მოქალაქე-27%), სადაც მოქალაქეობის მიუხედავად, სტუდენტები დადებით პასუხს მიახლოებით თანაბრად აფიქსირებენ. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილი #11.4).

ცხრილი #11.4

საგანმანათლებლო სივრცეში: თქვენი ვინაობის გამო, თქვენ... (მოქალაქეობის ჭრილში) (N=4771)		**დიახ, ბევრჯერ ბოლო წლის განმავლობაში**	**დიახ, ერთხელ ან ორჯერ ბოლო წლის განმავლობაში**	**დიახ, მაგრამ არა ბოლო წლის განმავლობაში**	**არასდროს**
		%			
... მოგისმენიათ, გინახავთ ან წაგიკითხავთ სხვები როგორ ხუმრობდნენ თქვენზე და დაგცინოდნენ? (X^2=30.536; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	8.7	14.4	11.6	65.3
	საქართველოს მოქალაქე	5.4	8.5	12.6	73.5
... გეძახდნენ მეტსახელს ან მოისმინეთ/დაინახეთ როგორ გამოიყენეს თქვენი იდენტობა შეურაცხმყოფლად? (X^2=54.132; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	5.9	13.8	7.3	73.1
	საქართველოს მოქალაქე	4.3	5.7	10.2	79.8
... მოგქცევიან ისე, თითქოს სხვებს თქვენი ეშინიათ? (X^2=34.857; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	3.5	15.7	8.5	72.3
	საქართველოს მოქალაქე	4.0	7.5	8.4	80.1
... დაჟინებით გიყურებდნენ ან ხელს იშვერდნენ თქვენკენ? (X^2=54.132; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	9.7	17.4	9.7	63.1
	საქართველოს მოქალაქე	4.6	6.8	8.5	80.1

საგანმანათლებლო სივრცეში: თქვენი ვინაობის გამო, თქვენ... (მოქალაქეობის ჭრილში) (N=4771)		დიახ, ბევრჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, ერთხელ ან ორჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, მაგრამ არა ბოლო წლის განმავლობაში	არასდროს
		%			
... მოგისმენიათ, რომ თქვენი ან თქვენნაირი ხალხის ადგილი აქ არ არის? (X^2=66.483; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	8.2	15.0	8.2	68.5
	საქართველოს მოქალაქე	4.1	6.4	6.3	83.2
... მოგექცნენ ისე, თითქოს ნაკლებად ჭკვიანი ან ნაკლებად უნარიანი ხართ, ვიდრე სხვები? (X^2=22.145; P<0.05).	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	8.2	13.8	5.2	72.8
	საქართველოს მოქალაქე	5.0	11.3	10.6	73.0

თავი 12: ცალკეული ქვეჯგუფების ჭრილში მონაცემების ანალიტიკური ანგარიში

1. 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტები; 22-დან 25 წლამდე სტუდენტები; 25-დან 30 წლამდე სტუდენტები; სტუდენტები 30 წლის და ზემოთ

მონაცემთა ანალიზისთვის ასაკის ცვლადი 4 კატეგორიად დაჯგუფდა: 21 წლის ან ნაკლები ასაკის რესპონდენტები, 22-დან 25 წლამდე, 25-დან 30 წლამდე, 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტები. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა საშუალო ასაკი 22.7 წელია (სტანდარტული გადახრა (Std. Dev.)=3.560). როგორც აღმოჩნდა, ოთხივე ასაკობრივი ჯგუფის უმრავლესობას წარმოადგენენ **უნივერსიტეტის** (სამივე სწავლების საფეხურის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების) სტუდენტები: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 91.7%, 22-24 წლის - 88%, 25-29 წლის - 82.4%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 72%. 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტებში, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, **სასწავლო უნივერსიტეტების** სტუდენტთა წილი სჭარბობს, რაც მეოთხედს აღემატება (26.4%): 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 7.9%, 22-24 წლის - 11%, 25-29 წლის - 16.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=87605, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.1.1).

დიაგრამა #12.1.1



თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა მიუთითებს, რომ **ბაკალავრიატის** სტუდენტია: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 81.9%, 22-24 წლის - 65.8%, 25-29 წლის - 57.9%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 61.3%. ამ უკანასკნელი ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი კი (26.8%) **მაგისტრანტია.** 25-29 წლის რესპონდენტებში თითქმის ყოველი მეხუთე (19.3%) მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=272102, p<0.05). ის ფაქტი, რომ 22 წლიდან ზედა ასაკობრივ კატეგორიებში რესპონდენტების უმრავლესობა ბაკალავრიატის სტუდენტია, შესაძლოა იმითაც იყოს განპირობებული, რომ განმეორებით ამავე საფეხურზე ჩაბარების შეზღუდვა არ არსებობს. მსგავს შედეგზე ისიც შეიძლება მოქმედებდეს, რომ სტუდენტმა სემესტრების განსაზღვრულ რაოდენობაში (8 სემესტრი, 4 წელი) ვერ მოახერხა ბაკალავრის ხარისხის მიღება. ასაკობრივ ჯგუფებს შორის შეინიშნება ლოგიკური ტენდენცია, რომ რაც უფრო იზრდება რესპონდენტის ასაკი, მით უფრო მზარდია მაგისტრანტთა წილი. აღნიშნული საფეხური, ბაკალავრიატისგან განსხვავებით, უფრო მოქნილია, სამსახურთან შეთავსების მეტი საშუალებაა, რადგან ძირითადად არასამუშაო საათებშია ლექციები, რაც შესაძლოა შედარებით უფროსი ასაკის სტუდენტებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდეს (იხ. ცხრილი #12.1.1).

ცხრილი #12.1.1

რა ხარისხის მინიჭებას გულისხმობს თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (%)	ასაკობრივი ჯგუფები			
	21 წლის ან ნაკლები ასაკის (N=2505)	22-დან 25 წლამდე (N=1400)	25-დან 30 წლამდე (N=624)	30 წლის ან მეტი ასაკის (N=242)
ბაკალავრიატი	81.9	65.8	57.9	61.3
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	0.8	2.5	2.3	2.6
მაგისტრატურა	3.4	11.5	19.3	26.8
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	13.9	20.2	20.6	9.3

თითოეული ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტების გამოკვეთილ უმრავლესობას არ ჰქონია **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარებამდე ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი**: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 70.3%, 22-24 წლის - 72%, 25-29 წლის - 65.7%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 51.5%. ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ის ქონის გამოცდილება, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მკვეთრად განსხვავებულია. თუკი 21 წლამდე ასაკის სტუდენტების 9.9% მიუთითებს, რომ ამ პერიოდში უწყვეტად მუშაობდა, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში და, სულ მცირე, 20 საათს კვირაში, მსგავსი გამოცდილება ასაკის მატებასთან ერთად მზარდია და ყველაზე მაღალ შედეგს აღწევს 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტებში, რაც მესამედსაც აღემატება (35.1%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=117634, p<0.05) (იხ. ცხრილი #12.1.2).

ცხრილი #12.1.2

გქონდათ თუ არა ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი, სანამ პირველად ჩააბარებდით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში? (%)	ასაკობრივი ჯგუფები			
	21 წლის ან ნაკლები ასაკის (N=2505)	22-დან 25 წლამდე (N=1400)	25-დან 30 წლამდე (N=624)	30 წლის ან მეტი ასაკის (N=242)
დიახ, <u>უწყვეტად</u> ვმუშაობდი სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში და <u>სულ მცირე 20 საათს კვირაში</u>	9.9	13.1	17.2	35.1
დიახ, <u>უწყვეტად</u> ვმუშაობდი სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში და <u>20 საათზე ნაკლებს კვირაში</u>	2.3	2.1	2.7	3.1
დიახ, ვმუშაობდი, მაგრამ 1 წელზე ნაკლები პერიოდით	17.5	12.8	14.5	10.3
არა, არ ვმუშაობდი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე	70.3	72	65.7	51.5

ყველა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების უმრავლესობამ **სკოლის დასრულების შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ორი წლის პერიოდში ჩააბარა.** საინტერესოა ყველაზე დიდი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა გამოცდილება - 30 წლის ან მეტი ასაკის ყოველი მეოთხე სტუდენტი (25.9%) მიუთითებს, რომ სკოლის დასრულებიდან უსდ-ში ჩაბარებამდე ორ წელზე მეტხნიანი წყვეტა ჰქონდა. მსგავსი გამოცდილება 21 წლამდე ასაკის რესპონდენტების

მხოლოდ 2.8%-ში ფიქსირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=201014, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.1.2).

დიაგრამა #12.1.2



სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელ რესპონდენტთა **დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე და საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე კოვიდ-19 პანდემიის გავლენა** განსხვავებულია. 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტებში, სხვა ასაკობრივი ჯგუფის წევრებთან შედარებით, განსაკუთრებით მაღალია მათი წილი, ვინც ამ მიმართულებით მიუთითებს კოვიდ-19 პანდემიის უარყოფით გავლენაზე (ქულები 4 და 5):[13]

- დასაქმება/სამსახურებრივი მდგომარეობა: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 31%, 22-24 წლის - 35.5%, 25-29 წლის - 31.5%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 50% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=61819, p<0.05).
- საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევა: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 36.6%, 22-24 წლის - 37.8%, 25-29 წლის - 43.5%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 52.6% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=80506, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.1.3).

[13] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან დადებითი გავლენა“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალიან უარყოფითი გავლენა“.1.

დიაგრამა #12.1.3



თითოეული ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ **მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ ეროვნული შრომის ბაზარზე ადეკვატური სამსახურის მოძიების შესაძლებლობა** არსებობს (ქულები 1 და 2), თუმცა მსგავსი დამოკიდებულება ყველაზე ხშირად 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტებში ვლინდება:[14] 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 46.3%, 22-24 წლის - 45.6%, 25-29 წლის - 47.8%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 48.5% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=54560, $p<0.05$). მსგავსი შედეგი შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ უფროს ასაკში გააზრებულად ხდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარება და მათ შორის გათვალისწინებულია სამომავლო დასაქმების კომპონენტიც (იხ. დიაგრამა #12.1.4).

[14] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან მაღალი შესაძლებლობა“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალიან დაბალი შესაძლებლობა“. სკალის მეექვსე კატეგორიად განსაზღვრული იყო შემდეგი - „ვერ ვაფასებ“.

დიაგრამა #12.1.4



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების საშუალოდ 38% მიუთითებს, რომ **ამჟამინდელი თანაფარდობით დისტანციური სწავლის მოდელი უფრო აქტუალურია, ვიდრე პირისპირი**. მსგავსი ტენდენცია თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი (ქულები 1 და 2):[15] 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 31.5%, 22-24 წლის - 36.9%, 25-29 წლის - 40.5%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 45.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=69614, $p<0.05$). მეორე მხრივ, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტების უფრო დიდი წილი ეთანხმება მსგავსი თანაფარდობის შენარჩუნებას და იდეალურ მოდელადაც სწავლის დისტანციურ ფორმატს მიიჩნევს (39.4%). 21 წლამდე ასაკის სტუდენტების შემთხვევაში მსგავსი პოზიციის მქონეთა წილი 24.8%-მდეა შემცირებული (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: 73010, $p<0.05$). ასეთი შედეგი, შესაძლოა, ცხოვრების წესსაც დავუკავშიროთ. ზედა ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებში, სწავლის გარდა, მაღალია სხვა პასუხისმგებლობების ქონის ალბათობა, დისტანციური მოდელი კი მოქნილია, რადგან აუდიტორიაში ფიზიკურ დასწრებას არ გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში გაზრდილია დამატებითი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის დროითი თვალსაზრისით, რისი საჭიროებაც ზედა ასაკობრივი ჯგუფის წევრებს შეიძლება უფრო მეტად ჰქონდეთ (იხ. დიაგრამა #12.1.5).

[15] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „სრულად დისტანციური“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულად პირისპირი“.

დიაგრამა #12.1.5



საცხოვრებელი პირობების შეფასებისას იკვეთება, რომ ასაკის მატებასთან ერთად იკლებს **მშობლებთან მცხოვრები** სტუდენტების პროცენტული წილი. თუკი 21 წლის ან ნაკლები ასაკის რესპონდენტების უმრავლესობა (64.1%) მშობლებთან/მეურვესთან ერთად ცხოვრობს, 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 37%-მდეა შემცირებული. ლოგიკურია, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება **პარტნიორთან/მეუღლესთან** მცხოვრები სტუდენტების წილიც (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=321717, $p<0.05$). მონაცემთა მსგავსი გადანაწილება, ცხადია, ცხოვრების განსხვავებულ წესს უკავშირდება: ერთი მხრივ, 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტები დამოუკიდებლად ცხოვრების დაწყებას ცდილობენ, რაც ხშირად დაკავშირებულია მეგობართან ერთად ქირით გადასვლასთან ან სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრებასთან. ზედა ასაკობრივ კატეგორიებში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ინდივიდები უფრო მეტად დამოუკიდებელნი არიან, მათ შორის ფინანსურადაც, და ცალკე ცხოვრებას ახერხებენ (იხ. დიაგრამა #12.1.6).

დიაგრამა #12.1.6



ასაკობრივ ჯგუფებში განსხვავებული გამოცდილებაა **მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ის ქონის** თვალსაზრისით. დგინდება, რომ 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტებში ყველაზე მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი - 66.2%. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში მზარდია მთელი სემესტრის განმავლობაში მუშაობის შემთხვევები, რაც ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტებში - 59.2%. სემესტრის განმავლობაში დროდადრო მუშაობის გამოცდილებით გამოირჩევიან 22-24 წლის სტუდენტები - 14.3% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=138026, $p<0.05$). მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ასაკის მატებასთან ერთად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნა ინდივიდს უფრო მეტად ეხმარება დასაქმების მხრივ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დამსაქმებლებისთვის გაცილებით მომგებიანია გამოცდილების მქონე თანამშრომლის აყვანა, რაც უფრო მეტად შეესაბამება ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (იხ. დიაგრამა #12.1.7).

დიაგრამა #12.1.7



ასაკის მატებასთან ერთად განსხვავებულია სწავლის მიმართ მუშაობის მიზნობრიობა. ზედა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების (30 წლის ან მეტი ასაკის) 78.4% **მუშაობს, რათა**

საცხოვრებელი ხარჯები დაფაროს (ქულები 1 და 2).[16] მსგავს პოზიციას იკავებს 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტთა 43.1% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=73131, p<0.05). მსგავსი შედეგის საფუძველი შესაძლოა სწორედ ის იყოს, რომ ქვედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ძირითადად ისევ მშობლებთან ცხოვრობენ და აქვთ შესაძლებლობა, რომ ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)იდან მიღებული შემოსავალი საცხოვრებლის კომპონენტზე არ მიმართოს. 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტების უმრავლესობა ფინანსურად სწორედ საკუთარ **ანაზღაურებად სამსახურზეა დამოკიდებული, რომლის გარეშეც ვერ შეძლებდა, რომ სტუდენტი ყოფილიყო** (67.2%) (ქულები 1 და 2). ამ პოზიციას 21 წლის ან ნაკლები ასაკის მხოლოდ 39.2% იზიარებს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=67806, p<0.05). მსგავსი შედეგი, სავარაუდოდ, დაკავშირებულია სხვადასხვა ჯგუფის, განსაკუთრებით კი, პირველადი სოციალური ჯგუფის ფინანსურ კონტრიბუციასთან, რაც სწავლის გადასახადის დაფარვაში მხარდაჭერასაც მოიაზრებს. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დაბალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი ჩარიცხვაა და შესაძლოა სახელმწიფო გრანტითაც სარგებლობენ, რაც პოზიტიურად აისახება „სტუდენტად ყოფნაზე“ (იხ. დიაგრამა #12.1.8).

დიაგრამა #12.1.8



ამდენად, თუკი 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტების 74.6% დასაქმების მხრივ **უპირველესად სტუდენტად მიიჩნევს თავს და, ამას გარდა, მუშაობს,** 30 წლის ან მეტი ასაკის შემთხვევაში ეს კატეგორია ყველაზე დაბალი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი და 49.6%-ს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=61021, p<0.05). შედარებით მცირე ასაკში სტუდენტები მაქსიმალურად ორიენტირდებიან სასწავლო პროცესსა და ცოდნის მიღებაზე, რათა შემდგომ უკეთესი სამსახურის მოძებნა შეძლონ. ზედა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლებისთვის კი, შეიძლება ითქვას, რომ სწავლების პროცესი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო კომპონენტის როლს ასრულებს (იხ. დიაგრამა #12.1.9).

[16] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „სრულიად შეესაბამება“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „საერთოდ არ შეესაბამება“.

დიაგრამა #12.1.9



საინტერესოა ასაკის ჭრილში სტუდენტთა **ფინანსური მდგომარეობის** შეფასებაც. თითოეული ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში **ოჯახის კონტრიბუცია** დიდია და მისი ჩართულობა იკვეთება, როგორც **ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით, გადასახადების გადახდით ან არაფულადი დახმარებებით.** ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით რეგულარულად უზრუნველყოფის მაჩვენებელი ყველაზე დაბალ ნიშნულს 30 წლის ან მეტი ასაკის კატეგორიაში აღწევს (45%), ხოლო ყველაზე მაღალი წილით 21 წლამდე სტუდენტებშია წარმოდგენილი (73.3%). ასაკის მატებასთან ერთად მზარდია ოჯახისგან არაფულადი დახმარებების მიღების პრაქტიკა. თუკი დაბალი ასაკობრივი ჯგუფის (21 წლის ან ნაკლები ასაკის) რესპონდენტთა 17.4% მიუთითებს, რომ ოჯახი არაფულად დახმარებას უწევს, 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტებში მაჩვენებელი 42.4%-მდეა გაზრდილი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=165563, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.1.10).

დიაგრამა #12.1.10



უმეტესწილად, ასაკის ზრდას თან ახლავს საკუთარი ჯიბიდან **გაწეული ხარჯის** მატებაც. ის ფაქტი, რომ საკვებზე გაწეული ხარჯი 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტებში, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, მაღალია (429.71 ლარი), შესაძლოა დაკავშირებული იყოს დამოუკიდებელ ფინანსურ ცხოვრებასთან. ამ ასაკობრივი ჯგუფის წევრებისთვის სხვის მიერ გადახდილი თანხის საშუალო ოდენობა 136.83 ლარს უტოლდება, რაც ამ ტიპის ხარჯისთვის მინიმალური მაჩვენებელია

(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=15.062¸ p<0.05). იდენტური მდგომარეობაა ტრანსპორტის ხარჯების მხრივაც - საკუთარი ჯიბიდან გაწეული ოდენობის მინიმალური მაჩვენებლით გამოირჩევიან 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტები (52.88 ლარი), ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებლით - 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტები (113.98 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=17469, p<0.05). ალბათ, ცხოვრების სტილიც გასათვალისწინებელია. რაც უფრო იზრდება ინდივიდი, მისი ვალდებულებებიც, უმეტესწილად, იმატებს, რასაც თან ახლავს სამსახურში სიარულიც. ასევე, იზრდება საყიდლებზე გასვლის აუცილებლობა. ამდენად, გადაადგილების ხარჯები მზარდია. აქვე გასათვალისწინებელია საკუთარი მანქანის ყოლაც. თუკი ინდივიდს საკუთარი მანქანა ჰყავს, რაც, სავარაუდოდ, ზედა ასაკის სტუდენტებისთვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი, საწვავის ხარჯი სწორედ ტრანსპორტის თანხაში ერთიანდება.~~(მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: p<0.05).~~

რაც შეეხება სწავლასთან დაკავშირებულ ხარჯებს, 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტები საკუთარი ჯიბიდან თვიურად იხდიან საშუალოდ 163.30 ლარს. ამ მხრივ ხარჯის ყველაზე მაღალი ოდენობა ფიქსირდება 30 წლის ან მეტი ასაკის კატეგორიაში და 178.97 ლარს უტოლდება, თუმცა გაწეული ხარჯის ოდენობა მაღალია 25-29 წლის სტუდენტებშიც - 173.81 ლარი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=8140, p<0.05). ზოგადი ვითარების სრულყოფილად გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია სხვის მიერ გაწეული ხარჯის ოდენობის შეფასებაც. 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტს თვიურად სწავლის გადასახადიდან სხვა უხდის საშუალოდ 323.05 ლარს. რაც ბოლო ორ ასაკობრივ კატეგორიაში საშუალოდ 240 ლარამდე მცირდება (25-29 წლის - 281.02 ლარი, 30 წლის ან მეტი ასაკის - 201.49 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=3432, p<0.05). ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ზედა ასაკობრივი კატეგორიის სტუდენტების ძირითადი ნაწილია ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული და, შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა, თავად დაფაროს სწავლის ხარჯი. მეორე მხრივ კი, ზედა ასაკობრივ კატეგორიაში გაწეული სასწავლო ხარჯის ოდენობა შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ საგრანტო კონკურსში აღარ მონაწილეობენ მეორედ ან მესამედ ჩაბარების გამო (თუკი სახელმწიფო გრანტი ერთხელ უკვე აღებული აქვთ) და თავად ფარავენ ხარჯებს.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზებული მონაცემები დეტალურად იხილეთ ცხრილში #12.1.3.

ცხრილი #12.1.3

როგორია თქვენი საშუალო ხარჯი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიმდინარე სემესტრში? (ასაკობრივი ჯგუფები)			საცხოვრებელი ხარჯები (N=2077)	საკვები (N=2882)	ტრანსპორტი (N=4522)	კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.) (N=4618)	ჯანდაცვის ხარჯები (მაგ.: წამლები, სამედიცინო დაზღვევა) (N=4602)	ბავშვზე ზრუნვა (N=366)	სესხები (იპოთეკის გარდა) (N=4604)	სოციალური და რეკრეაციული აქტივობები (N=4613)	სხვა რეგულარული საყოფაცხოვრებო ხარჯები (N=4555)	უნივერსიტეტის გადასახადი (N=4622)	უნივერსიტეტის სხვა გადასახადი (N=4629)	სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (N=4626)	**საცხოვრებელი ხარჯების ჯამი (N=2032)**	**სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამი (N=4630)**
21 წლის ან ნაკლები ასაკის	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	437.37	249.91	52.88	32.07	27.19	66.01	21.17	37.91	96.60	163.30	26.56	38.27	**1078.05**	**228.04**
		სტანდარტული გადახრა	484.78	285.30	97.85	47.23	57.67	155.92	76.44	60.92	155.30	199.90	95.87	63.21	**874.40**	**256.18**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	261.50	194.22	35.47	22.47	20.39	49.03	18.09	9.51	67.73	323.05	13.69	22.54	**733.79**	**359.11**
		სტანდარტული გადახრა	384.46	291.28	84.11	42.11	51.37	141.46	80.08	34.11	139.92	573.70	65.35	50.38	**814.14**	**584.51**
22-დან 25 წლამდე	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	430.47	270.97	61.04	36.78	33.92	126.82	34.28	45.93	100.47	141.17	25.62	42.25	**1175.87**	**208.91**
		სტანდარტული გადახრა	426.50	292.04	108.69	53.36	63.54	230.08	109.38	67.42	154.90	181.67	91.49	65.70	**802.11**	**242.72**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	239.94	179.90	38.90	20.73	24.92	58.56	23.97	10.38	56.41	324.82	16.73	20.65	**687.43**	**362.02**
		სტანდარტული გადახრა	334.63	243.67	91.80	38.71	58.40	171.29	93.85	34.65	122.91	606.00	76.41	49.46	**753.09**	**612.47**
25-დან 30 წლამდე	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	385.70	303.01	66.74	35.42	30.26	181.17	44.76	37.65	88.49	173.81	22.06	30.71	**1196.73**	**225.83**
		სტანდარტული გადახრა	431.73	320.32	109.73	46.47	64.03	267.66	127.90	60.61	154.67	171.81	83.30	59.64	**882.33**	**230.66**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	280.31	205.45	32.11	20.23	16.63	98.51	21.14	8.73	52.72	281.02	16.12	19.58	**767.52**	**315.50**
		სტანდარტული გადახრა	427.63	315.49	88.74	46.52	44.14	242.42	84.32	33.14	129.11	541.98	70.54	49.89	**954.11**	**551.34**
30 წლის ან მეტი ასაკის	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	514.38	429.72	113.98	34.15	45.03	214.35	63.15	57.64	115.94	178.97	26.20	34.55	**1659.40**	**239.73**
		სტანდარტული გადახრა	506.48	346.02	198.93	51.13	77.98	214.02	147.96	74.46	150.20	186.43	75.13	62.99	**1060.89**	**246.01**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	173.62	136.83	20.34	16.17	12.06	104.98	12.19	6.55	19.69	201.49	12.90	13.38	**499.88**	**227.76**
		სტანდარტული გადახრა	338.07	253.04	74.41	45.43	42.30	177.78	79.41	22.31	58.90	503.43	58.05	45.11	**785.60**	**515.39**

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

რესპონდენტთა ფინანსური მდგომარეობის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტთა ძირითადი ნაწილი არ იღებს არც **სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას** და არც **სტუდენტურ სესხს**, მეტიც, ასაკის მატებასთან ერთად ასეთ სტუდენტთა წილიც მზარდია: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 48.4%, 22-24 წლის - 50.2%, 25-29 წლის - 54.9%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 56.8%. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო გრანტის მიმღებთა პროცენტული წილი ზედა ასაკობრივ ჯგუფებში შემცირებულია (21 წლის ან ნაკლები ასაკის - 28%, 22-24 წლის - 22.5%, 25-29 წლის - 23.9%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 15%), შეიძლება დაკავშირებული იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეორეულ ან მესამეულ ჩაბარებასთან (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=91958, p<0.05). თუკი ინდივიდს ერთხელ უკვე მოპოვებული აქვს სახელმწიფო გრანტი, იმავე სასწავლო საფეხურზე განმეორებით ჩაბარების შემთხვევაში ავტომატურად აღარ მონაწილეობს საგრანტო კონკურსში. მეტად სავარაუდოა, რომ ზედა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა მეორედ ან მესამედ ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებელში. ამ დაშვებას შესაძლოა ისიც ამყარებდეს, რომ 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტთა 61.3% ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობს, ხოლო 26.8% - მაგისტრატურაზე (იხ. ცხრილი #12.1.4).

ცხრილი #12.1.4

იღებთ თუ არა სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას ან სტუდენტურ სესხს მიმდინარე სემესტრში? (%)	ასაკობრივი ჯგუფები			
	21 წლის ან ნაკლები ასაკის (N=2486)	22-დან 25 წლამდე (N=1391)	25-დან 30 წლამდე (N=605)	30 წლის ან მეტი ასაკის (N=217)
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს	28	22.5	23.9	15
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში	5.4	7.6	4.7	6.3
დიახ, ვიღებ სწავლისთვის ფინანსურ დახმარებას ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა)	3.9	3.7	3	2
დიახ, ვიღებ სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან	0.9	1	0.4	1.2
დიახ, ვიღებ სტუდენტურ სესხს უნივერსიტეტიდან/ბანკიდან	1.6	3.2	3.9	4.7
დიახ, ვიღებ სტიპენდიას უნივერსიტეტისგან	7.1	5.6	5.9	5.8
დიახ, ვიღებ სახელმწიფო გრანტს/სტიპენდიას/სესხს სხვა ქვეყნისგან	4.6	6.1	3.4	8.3
არა, არ ვიღებ	48.4	50.2	54.9	56.8

მონაცემები აჩვენებს, რომ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს განსხვავებული **შემოსავლის წყარო** აქვთ. თავდაპირველად განვიხილოთ კვლავ ოჯახის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორის, როლი. როგორც ჩანს, ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს ოჯახისგან/ნათესავებისგან ნაღდი ფულის ან საბანკო გადარიცხვების შემთხვევები/ოდენობები, რაც რაოდენობრივად შემდეგნაირადაა გადანაწილებული: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 210.02 ლარი, 22-24 წლის - 191.95 ლარი, 25-29 წლის - 149.73 ლარი, 30 წლის ან ნაკლები ასაკის - 91.64 ლარი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=13994, p<0.05). ასაკის მატებასთან ერთად ოჯახის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა კლებულობს, რასაც შეიძლება განაპირობებდეს ბევრი ფაქტორი. მათ შორის ერთ-ერთია ანაზღაურებადი სამსახურის გაჩენა, რომელიც ყოველთვიურად სტაბილური

შემოსავლის წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ. ანაზღაურებადი სამსახურიდან ყოველთვიური შემოსავალი განსაკუთრებით დაბალია 21 წლის ან ნაკლები ასაკის რესპონდენტებში - 190.24 ლარი, რაც შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ჯერ კიდევ არ აქვთ სტაბილური სამსახური, რადგან, უმეტესწილად, ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლობენ და განსაკუთრებულ ყურადღებას სწავლას უთმობენ. ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)იდან შემოსავლის ოდენობა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტების შემთხვევაში - 609.21 ლარი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=34106$, $p<0.05$). მსგავსი მაჩვენებლები ლოგიკურია, რადგან, როგორც უკვე განვიხილეთ, ამ ასაკობრივი ჯგუფის ძირითად ნაწილს სტაბილური სამსახური აქვს.

წინა სამსახურებიდან დაგროვებული დანაზოგის ოდენობა თითოეული ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში მწირია, თუმცა 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტებში მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია და 32.09 ლარს უტოლდება. დანაზოგის ყველაზე დიდი ოდენობით გამოირჩევიან 25-29 წლის რესპონდენტები - 66.13 ლარი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: $F=4028$, $p<0.05$).

საბოლოოდ, ასაკობრივ ჯგუფებს შორის დაფიქსირდა განსხვავებული ერთიანი თვიური შემოსავალი. მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($F=8763$, $p<0.05$), რაც ნიშნავს, რომ ჯგუფებს შორის ობიექტურად არსებობს მსგავსი განსხვავება. დადგინდა, რომ თვიურად, საშუალოდ ყველაზე დაბალი შემოსავალი 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტებს აქვთ - 651.82 ლარი, ხოლო ყველაზე მაღალი - 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტებს - 921.25 ლარი. შემოსავლის თითოეული წყაროს გათვალისწინებით ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში დაფიქსირებული შემოსავლის ოდენობები დეტალურად იხილეთ ცხრილში #12.1.5.

ცხრილი #12.1.5

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში?	ასაკობრივი ჯგუფები											
	21 წლის ან ნაკლები ასაკის			22-დან 25 წლამდე			25-დან 30 წლამდე			30 წლის ან მეტი ასაკის		
	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
ოჯახისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	1732	210.02	234.79	887	191.95	237.71	372	149.73	218.86	138	91.64	204.57
პარტნიორისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	1761	13.86	82.42	894	18.06	94.39	376	29.04	127.27	136	59.71	250.38
სახელმწიფო გრანტი	1773	64.09	82.27	901	59.09	85.66	378	59.22	81.42	138	57.16	93.01
სწავლისთვის ფინანსური დახმარება სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში	1773	8.45	56.29	901	14.39	78.29	378	2.40	22.67	138	7.09	38.20
სწავლისთვის ფინანსური დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა)	1724	5.44	55.22	876	6.87	63.04	373	1.53	20.04	135	2.73	23.80
სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან	1760	15.44	80.79	893	24.15	103.99	376	4.77	33.30	136	14.72	66.03
სტუდენტური სესხი უნივერსიტეტიდან/ბანკიდან	1773	0.95	23.65	901	1.76	29.75	378	6.09	45.49	138	7.48	40.42
სტიპენდია უნივერსიტეტისგან	1760	24.62	113.23	891	16.78	91.72	377	15.55	81.58	134	14.05	70.76
სახელმწიფო გრანტი/სტიპენდია/სესხი სხვა ქვეყნისგან	1747	5.61	48.30	883	19.20	123.30	371	11.13	82.42	137	51.06	495.76
ხელზე ასაღები შემოსავალი ანაზღაურებადი სამსახურიდან მიმდინარე სემესტრში	1750	190.24	426.69	884	239.22	434.58	374	343.92	565.07	134	609.21	693.22
დანაზოგი წინა სამსახურ(ებ)იდან მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის	1762	32.09	150.25	893	41.56	169.30	374	66.13	251.95	137	42.44	177.11
სხვა დანაზოგი (არა წინა სამსახურ(ებ)იდან) მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის	1759	8.49	70.03	889	16.89	97.19	373	6.10	54.50	137	11.73	100.47
სხვა შემოსავალი <u>სახელმწიფო</u> წყაროებიდან (მაგ.: ბავშვის დახმარება, საოჯახო დახმარება, პენსია, უმუშევრობის შემწეობა, ობლობის დახმარება)	1728	26.23	107.06	874	30.98	115.88	363	23.62	90.84	131	38.13	107.03

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში?	ასაკობრივი ჯგუფები											
	21 წლის ან ნაკლები ასაკის			22-დან 25 წლამდე			25-დან 30 წლამდე			30 წლის ან მეტი ასაკის		
	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	გამოპასუხების რაოდენობა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
სხვა შემოსავალი (დასაბრუნებელი ან დაუბრუნებელი) კერძო წყაროებიდან (მაგ.: ალიმენტი, კერძო სტიპენდიები, შემოსავალი კაპიტალიდან, უძრავი ქონებიდან, პერიოდული გაყიდვებიდან, საჩუქრები, ბანკის სესხი, კერძო პირისგან სესხი)	1738	40.08	143.94	883	32.30	125.69	364	55.65	172.93	131	78.52	228.26
მთლიანი თანხა	**1647**	**651.82**	**588.56**	**840**	**715.82**	**621.22**	**347**	**784.32**	**742.97**	**122**	**921.25**	**700.02**

	სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის

სტუდენტთა **სტაჟირებების** მიმართულებით, გამოიკვეთა, რომ თითოეული ასაკობრივი ჯგუფის წევრების უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებელში პირველად ჩაბარებამდე არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ სავალდებულო თუ ნებაყოფლობით სტაჟირებაზე არ ყოფილა. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ქვეყნის გარეთ სტაჟირების გამოცდილებით 30 წლის ან მეტი ასაკის სტუდენტები გამოირჩევიან - 18.6%, რაც, სხვა ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ადგილობრივ დონეზე სტაჟირების გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი თითქმის თანაბარია 22-24 წლის (34.9%) და 25-29 წლის (35.9%) რესპონდენტთა შორის. 21 წლის ან ნაკლები ასაკის ინდივიდთა შორის საქართველოში სტაჟირების გამოცდილების მაჩვენებელი 24%-მდე მცირდება, ხოლო 30 წლის ან მეტი ასაკის პირებში - 21.4%-მდე (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=89271, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.1.11).

დიაგრამა #12.1.11



სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების გამო საზღვარგარეთ ყოფნის გამოცდილებით გამოირჩევიან 30 წლის ან მეტი ასაკის რესპონდენტები. მათი 12%-ის მითითებით, უცხოეთში გამგზავრება უკავშირდებოდა კვლევას/საველე მივლინებას. აღნიშნული მაჩვენებელი 21 წლის ან ნაკლები ასაკის სტუდენტთა შორის 5.2%-მდე მცირდება. 25-29 წლის რესპონდენტთა შორის, სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით, სჭარბობს საზღვარგარეთ სხვა აქტივობებში ჩართულობის მიზნით (არა კვლევის/საველე მივლინების გამო, არა საზაფხულო/ზამთრის სკოლის გამო, არა ენის კურსის გამო) გამგზავრება (12.3%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=57187, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.1.12).

დიაგრამა #12.1.12



რაც შეეხება რესპონდენტთა დემოგრაფიულ მახასიათებლებს, **შვილების ყოლით** გამოირჩევიან ზედა ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტები: 25-29 წლის სტუდენტები - 13.3%, 30 წლის ან მეტი ასაკის - 29.4%. 21 წლის ან ნაკლები ასაკის რესპონდენტებში მხოლოდ 3.2%-ს უტოლდება შვილ(ებ)იანი სტუდენტების წილი, ხოლო 22-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 6%-ს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=222565, p<0.05).

კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა ასაკის ჭრილში შეფასდა მათი **მშობლების განათლების დონეც**. თითოეული ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტთა როგორც დედის, ასევე მამის განათლების უმაღლესი დონე უმეტეს შემთხვევაში ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს უტოლდება:

- **21 წლის ან ნაკლები ასაკის:** დედა/მეურვე - 20.5%, მამა/მეურვე - 20.7%
- **22-დან 25 წლამდე:** დედა/მეურვე - 20.3%, მამა/მეურვე - 21.6%
- **25-დან 30 წლამდე:** დედა/მეურვე - 19.4%, მამა/მეურვე - 21.9%
- **30 წლის ან მეტი ასაკის:** დედა/მეურვე - 20.6%, მამა/მეურვე - 25.8%

შემდგომ დომინანტურ კატეგორიას, თითოეული ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში, იკავებს მშობლების მიერ უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომის ქონა, რაც დედების შემთხვევაში საშუალოდ 25%-ს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=164971, p<0.05), ხოლო მამების შემთხვევაში- 22%-ს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=155882, p<0.05) (იხ. ცხრილი #12.1.6).

ცხრილი #12.1.6

რომელია თქვენი მშობლების / მეურვეების მიერ განათლების მიღწეული უმაღლესი დონე? (%)	ასაკობრივი ჯგუფები							
	21 წლის ან ნაკლები ასაკის (N=2505)		22-დან 25 წლამდე (N=1400)		25-დან 30 წლამდე (N=624)		30 წლის ან მეტი ასაკის (N=242)	
	დედა/მეურვე	მამა/მეურვე	დედა/მეურვე	მამა/მეურვე	დედა/მეურვე	მამა/მეურვე	დედა/მეურვე	მამა/მეურვე
დაწყებითი განათლება	3.4	2.5	4.9	3.9	2.6	1.4	4.1	1
საბაზო ზოგადი განათლება	3	3.8	4.9	3.5	3	1.8	6.2	7.7
საშუალო ზოგადი განათლება	13.3	17.5	13.5	16.2	11.7	15.8	6.2	9.8
საბაზო პროფესიული განათლება	4.7	4.7	3.8	5.4	5.8	5.7	3.1	4.6
საშუალო პროფესიული განათლების პროგრამის დიპლომი	6	7	7	7.3	5.7	4.4	15.5	9.8
უმაღლესი პროფესიული განათლება	28.6	23	23.7	20	28.6	24.2	21.6	22.2
ბაკალავრი	20.5	20.7	20.3	21.6	19.4	21.9	20.6	25.8
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი	0.5	0.8	0.8	1.7	0.7	1.6	-	3.1
მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი	0.8	0.5	1.4	1.1	2.3	2.5	-	-
მაგისტრი	8.6	8.3	10.9	11	8.8	9.5	16.5	13.9
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის დიპლომი	1.5	0.3	1.1	1.1	1.3	0.4	2.1	0.5
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დიპლომი	0.1	0.5	0.1	-	0.4	0.1	2.6	-
მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დიპლომი	0.8	0.1	0.9	0.4	1.4	0.3	0.5	-
დოქტორი	3.6	3	3	2.9	4	5.4	-	0.5
არ ვიცი / არ ეხება	4.6	7.3	3.7	4.1	4.3	5	1	1

2. სსსმ/შშმ სტუდენტები

გამოკითხვაში მონაწილეთა 30.1%-ს ჯანმრთელობის გარკვეული ტიპის დარღვევა/შეზღუდვა აქვს. სსსმ/შშმ სტუდენტთა 60.2% ქალია, ხოლო, შესაბამისად, 39.8% - მამაკაცი (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=24587, p<0.05). რაც შეეხება მათ ასაკობრივ გადანაწილებას, შემდეგია: 21 წლის ან ნაკლები ასაკის - 31%, 22-24 წლის - 49.6%, 25-29 წლის - 14.2%, 30 წლის ან მეტის - 5.2% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=12446, p<0.05). სსსმ/შშმ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა (86.7%) უნივერსიტეტის სტუდენტია, მეათედს აღემატება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა წილი (12.3%), ხოლო 1%-ს უტოლდება მათი რაოდენობა, ვინც კოლეჯში სწავლობს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=13699, p<0.05).

კვლევის ფარგლებში მონაწილე სსსმ/შშმ (29.2%) და ამავე სტატუსის არმქონე (29.4%) სტუდენტთა თითქმის თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტური სამუშაოები (იგულისხმება როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი: ასისტირება/ტექნიკური სამუშაო/ბიბლიოთეკა/სასადილო ან სხვა) არის და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამისგან განსხვავებით, შშმ/სსსმ რესპონდენტების 19% დასძენს, რომ მიუხედავად ასეთი შესაძლებლობის არსებობისა, შეზღუდულია დასაქმების რესურსებზე წვდომა. ანალოგიურ პრაქტიკაზე საუბრობს არასსსმ/არაშშმ სტუდენტების 14.2%. აქვე საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით არაინფორმირებულ („არ ვფლობ ინფორმაციას“) სტუდენტთა უფრო მაღალი წილი ამ უკანასკნელთა შორის დაფიქსირდა: შშმ/სსსმ - 37.9%; არასსსმ/არაშშმ - 42.2%. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=16.715; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.1).

დიაგრამა #12.2.1



სხვაობა შშმ/სსსმ სტატუსის მქონე (24.3%) და არმქონე (25%) იმ სტუდენტთა შორის, რომლებმაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების საკონსულტაციო მომსახურების არსებობა და ყველასთვის ხელმისაწვდომობა დაადასტურეს,** უმნიშვნელოა. თუმცა საგულისხმოა, რომ ორივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთაგან ყოველი მეორე აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=57.051; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.2).

დიაგრამა #12.2.2



კვლევაში მონაწილე შშმ/სსსმ სტუდენტთაგან თითქმის ყოველი მესამე არ ფლობს ინფორმაციას (32.8%) იმის შესახებ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მათ საჭიროებებთან ადაპტირებული სასწავლო რესურსებით; მეოთხედზე მეტი კი აცხადებს, რომ უზრუნველყოფილია (27.3%) (სრულიად უზრუნველყოფილი+უფრო უზრუნველყოფილი, ვიდრე არა“). ამავე სტატუსის მქონე სტუდენტთა 17% საპირისპირო გამოცდილებაზე მიუთითებს. (იხ. დიაგრამა #12.2.3).

დიაგრამა #12.2.3



იმ სტუდენტთა შორის, რომლებიც სსსმ/შშმ პირები არიან, 90.5% უნივერსიტეტში სწავლობს, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი არასსსმ/არაშშმ სტუდენტთა შორის 86.7%-ია. სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯში კი უფრო მეტად ის სტუდენტები ფიქსირდებიან, რომელთაც სსსმ/შშმ სტატუსი არ აქვთ. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=13,699; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.4).

დიაგრამა #12.2.4



რაც შეეხება სასწავლო საფეხურს/კვალიფიკაციას, შშმ/სსსმ სტუდენტების დიდი უმრავლესობა (73.1%) ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტია. ამავე საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლობს შშმ/სსსმ სტატუსის არმქონე რესპონდენტთა 68.6%. ამ უკანასკნელთა შორის თითქმის მეხუთედი (19%) ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზეა ჩარიცხული. ასეთთა წილი შშმ/სსსმ-ებს შორის 13.9%-ს უტოლდება. ორივე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა ყველაზე მცირე ნაწილი მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტია. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=23.409; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.5).

დიაგრამა #12.2.5



კვლევის შედეგების თანახმად, შშმ/სსსმ სტატუსის არმქონე სტუდენტთა შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარებამდე პერიოდში, ანაზღაურებად სამსახურში დასაქმების მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე ამ სტატუსის მქონე სტუდენტებს შორის. კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე რესპონდენტთა 18.3%-მა

მიუთითა, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად მუშაობაზე (კვირაში, სულ მცირე ,20 სთ), მაშინ, როდესაც ანალოგიური გამოცდილების მქონე სტუდენტთა წილი არაშშმ/არასსსმ-თა შორის 12%-ს არ აღემატება. ამასთან, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვების არმქონე რესპონდენტების 71.3%-მა აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე არ მუშაობდა, რასაც შშმ/სსსმ სტუდენტთა მხოლოდ 64.6% აფიქსირებს. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=45.855; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.6).

დიაგრამა #12.2.6



კვლევაში მონაწილე სტუდენტებმა 5-ქულიან სკალაზე შეაფასეს სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა დებულება. გამოვლენილი ტენდენციების თანახმად, რესპონდენტთა დიდი ნაწილი სწავლასთან დაკავშირებული ასპექტების მიმართ საკუთარ პოზიციებს ათავსებს შეფასების დადებით ველში („სავსებით ვეთანხმები+უფრო ვეთანხმები ვიდრე არა“), თუმცა შშმ/სსსმ და აღნიშნული სტატუსის არმქონე სტუდენტების რაოდენობებს შორის გარკვეული სხვაობები ვლინდება. კერძოდ:

- შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არმქონე სტუდენტების 60.8% აცხადებს, რომ ლექტორები სასარგებლო უკუკავშირს აძლევენ სწავლასთან დაკავშირებით, რასაც შშმ/სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტთა მხოლოდ 52.2% იზიარებს.
- 13%-ით ჩამორჩება იმ შშმ/სსსმ სტუდენტთა წილი ამავე სტატუსის არმქონე იმ სტუდენტთა პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ლექტორები საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას აძლევენ.
- იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ საკუთარ სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გაუწევდნენ, 66.1%-ით არაშშმ/არასსსმ სტუდენტები არიან წარმოდგენილნი, რომელთაც რამდენადმე ჩამოუვარდება შშმ/სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტთა წილი (55.1%).
- ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა ძირითადი და თითქმის თანაბარი ნაწილი სკალის დადებითი ნიშნულებით აფასებს ისეთ მოსაზრებებს, როგორებიცაა ლექტორების მიერ

საკითხების თემების კარგად ახსნის უნარი და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ისეთი სტუდენტების გარემოცვაში ყოფნა, რომლებთანაც შესაძლებელია სასწავლო კურსთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განხილვა.

- როგორც შშმ/სსსმ, ასევე ამავე სტატუსის არმქონე სტუდენტთა დიდი უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას - „ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვისწავლიდი“.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც არ დაეთანხმნენ უარყოფითი კონოტაციის მქონე მოსაზრებებს („საერთოდ არ ეთანხმებიან+უფრო არ ეთანხმებიან, ვიდრე კი“), შედარებით მაღალია არაშშმ/არასსსმ სტუდენტთა წილი. კერძოდ, შშმ/სსსმ სტუდენტთა 58.1%-ს არ აქვს განცდა, რომ უსდ-ში მისი ადგილი არ არის, მაშინ, როდესაც 22.7% სწორედ ამ განწყობის მატარებელია. რაც შეეხება აღნიშნული სტატუსის არმქონე სტუდენტებს, მათ 70.4%-ს არ აწუხებს განცდა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მათი ადგილი არ არის. აქვე აღსანიშნავია, რომ შშმ/სსსმ სტუდენტები უფრო მეტად ფიქრობენ, რომ უსდ-ში სწავლას თავი უნდა დაანებონ (20.2%), ვიდრე ამ სტატუსის არმქონე პირები (12.3%) (იხ. ცხრილი #12.2.1).

ცხრილი #12.2.1

ზოგადად, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (N=4494) (ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები)	სტუდენტები, რომლებიც არიან შშმ/სსსმ პირები					სტუდენტები, რომლებიც არ არიან შშმ/სსსმ პირები				
	სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები
	%									
ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (χ^2=68,644; p<0.05)	27.8	24.4	23.4	13.3	11.1	35.6	25.2	24.8	8.2	6.2
ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (χ^2=77,774; p<0.05)	24.6	21.3	27.5	14.9	11.7	34.3	24.8	24.2	10	6.8
ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (χ^2=60,286; p<0.05)	28.2	30.3	24.4	10.2	6.8	38.1	24.8	25.6	7.9	3.6
ბევრ ისეთ სტუდენტს ვიცნობ, რომლებთანაც კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები შემიძლია განვიხილო (χ^2=28,401; p<0.05)	29.9	20.3	27.9	11.3	10.6	33.9	24.2	24.5	10.4	7

ზოგადად, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (N=4494) (ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები)	სტუდენტები, რომლებიც არიან შშმ/სსსმ პირები					სტუდენტები, რომლებიც არ არიან შშმ/სსსმ პირები				
	სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები	სავსებით ვეთანხმები	2	3	4	საერთოდ არ ვეთანხმები
	%									
ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (χ^2=69,083; p<0.05)	32.5	22.6	25.2	9	10.8	41.2	24.9	22.1	6.6	5.2
ხშირად მაქვს განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩემი ადგილი არ არის (χ^2=72,692; p<0.05)	11.5	11.2	19.2	12.3	45.8	7.1	6.5	16	12.9	57.5
ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვისწავლიდი (χ^2=77,564; p<0.05)	57.4	16.6	14.9	5.7	5.5	67.9	12.7	14.3	3	2
სერიოზულად ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი დავანებო უმაღლესში სწავლას (χ^2=68,057; p<0.05)	11.2	9.1	16.8	11.4	51.6	6.9	5.4	13.6	10	64.1

მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ ადგილობრივ შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობების შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ შშმ/სსსმ სტუდენტთა 37.2%-ის აზრით, დასაქმების (**ძალიან მაღალი+უფრო მეტად მაღალი, ვიდრე დაბალი შესაძლებლობა**) შესაძლებლობა აქვთ. ანალოგიურ პოტენციალზე მიუთითებს აღნიშნული სტატუსის არმქონე სტუდენტების 49.5%. იმ სსსმ/შშმ (29.7%) რესპონდენტთა შორის ისეთთა რაოდენობა, რომლებმაც საპირისპირო მოლოდინს გაუსვეს ხაზი (**„ძალიან დაბალი+უფრო მეტად დაბალი, ვიდრე მაღალი შესაძლებლობა“**), მნიშვნელოვნად აღემატება ასეთივე განწყობის მქონე შშმ/სსსმ სტატუსის არმქონე სტუდენტთა პროცენტულ წილს (16.2%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=114.702; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.7).

დიაგრამა #12.2.7



რაც შეეხება საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობას, შშმ/სსსმ სტატუსის არმქონე სტუდენტებს (41.7%) უფრო მეტად აქვთ პოზიტიური განწყობა საერთაშორისო სივრცეში დასაქმების პოტენციალის არსებობის მიმართ, ვიდრე ამ სტატუსის მქონე რესპონდენტებს (30.5%) (**„ძალიან მაღალი+უფრო მეტად მაღალი, ვიდრე დაბალი შესაძლებლობა“).** საპირისპირო განწყობას ავლენს შშმ/სსსმ-ების 31% და ჯანმრთელობის გარკვეული შეზღუდვების არმქონე რესპონდენტების 20.6%. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=74.346; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.8).

დიაგრამა #12.2.8



რაც შეეხება პერსონალური ბედნიერების განცდის შეფასებას, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სსსმ/შშმ სტატუსის არმქონე სტუდენტები (47.9%) უფრო მეტად თვლიან, რომ ბედნიერები არიან, ვიდრე ამ სტატუსის მქონენი (36.1%) **(„ძალიან ბედნიერი+უფრო მეტად ბედნიერი, ვიდრე არა“)**. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ შშმ/სსსმ რესპონდენტთა ჯგუფებში თანაბარია ისეთთა წილი, რომლებიც საკუთარი ბედნიერების განცდას შეფასების სკალის

უკიდურესად დადებით და უარყოფით წერტილებში ათავსებენ: ძალიან ბედნიერად - 14.3%; ძალიან უბედურად - 14.3%; (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=123.066; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.9).

დიაგრამა #12.2.9



შშმ/სსსმ სტატუსის მქონე (21.3%) და არმქონე (21.1%) სტუდენტთა თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ სწავლასთან დაკავშირებით მათ სამომავლო გეგმებზე კოვიდ-19 პანდემიას დადებითი გავლენა აქვს/იქონიებს. ამისგან განსხვავებით, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტთა 38.6%-ის შეფასება მოლოდინის ნეგატიურ კონტექსტს ასახავს **(„ძალიან უარყოფითი გავლენა+უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი“).** ანალოგიური წინასწარგანწყობის მატარებელია არაშშმ/არასსსმ სტუდენტების 29%. სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმების შესაძლებლობების არსებობასა და ხელმისაწვდომობაზე კოვიდ-19 პანდემიის მოსალოდნელ ნეგატიურ გავლენაზე მიუთითებს შშმ/სსსმ-სტუდენტების 32.7% და აღნიშნული სტატუსის არმქონეთა 25.8%. ამ უკანასკნელი სამიზნე ჯგუფის (არაშშმ/არასსსმ) წარმომადგენელთაგან 52.3% აცხადებს, რომ პანდემიის შედეგები არანაირ გავლენას არ იქონიებს მათ სამომავლო გეგმებზე დასაქმებასთან დაკავშირებით. იდენტური განწყობის შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური სასწავლო საჭიროებების მქონე პირთა პროცენტული წილი კვლევაში 45%-ს უტოლდება. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შშმ/სსსმ რესპონდენტების უმრავლესობა (52.2%) აცხადებს, რომ კოვიდ-19 პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია/აქვს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ანალოგიურ შეფასებას გამოხატავს ამავე სტატუსის არმქონე სტუდენტთა 37.5%. (იხ. ცხრილი #12.2.2).

ცხრილი #12.2.2

ელით კოვიდ-19 პანდემიის დადებითი ან უარყოფითი გავლენის შენარჩუნებას.. (ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები)	სტუდენტები, რომლებიც არიან შშმ/სსსმ პირები (N=1171)					სტუდენტები, რომლებიც არ არიან შშმ/სსსმ (N=3323)				
	ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი გავლენა	ძალიან დადებითი გავლენა	2	არანაირი გავლენა	4	ძალიან უარყოფითი გავლენა
	%									
... თქვენს სამომავლო სწავლაზე? (χ^2=72.779; p<0.05)	7.9	13.4	40.1	22.5	16.1	8.1	13.0	49.9	20.9	8.1
... სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებაზე? (χ^2=50.264; p<0.05)	9.3	13.0	45.0	19.0	13.7	9.8	12.2	52.3	18.6	7.2
... თქვენი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე? (χ^2=158.127; p<0.05)	7.9	9.5	30.4	23.2	28.9	7.3	8.2	46.9	23.1	14.4

კვლევაში მონაწილე სსსმ/შშმ და ჯანმრთელობის გარკვეული შეზღუდვების არმქონე პირებმა შეაფასეს, თუ რამდენად ხშირად გრძნობენ თავს გარიყულად იმ სოციალური წრისგან, რომელთანაც უწევთ კომუნიკაცია/ურთიერთობა. სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, ისეთი შშმ/სსსმ პირების წილი, რომლებიც სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხული სხვა სტუდენტებისგან (31.3%) და ზოგადად სხვებისგან (32.2%) თავს გარიყულად გრძნობენ („ყოველთვის+უფრო ხშირად, ვიდრე იშვიათად“), უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური განწყობის მქონე არაშშმ/არასსსმ პირების რაოდენობა (არ აღემატება 14%-ს). ამ უკანასკნელთა შორის 70%-ზე მაღალია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ გარიყულობის განცდა **„არასდროს ან უფრო იშვიათად, ვიდრე ხშირად“** რჩებათ ოჯახთან/პარტნიორთან და მეგობრებთან ურთიერთობის პროცესში. მოცემული განწყობა გაზიარებულია სსსმ/შშმ რესპონდენტების 47%-ში. (იხ. ცხრილი #12.2.3).

ცხრილი #12.2.3

რამდენად ხშირად გრძნობთ თავს გარიყულად...	სტუდენტები, რომლებიც არიან შშმ/სსსმ პირები (N=1171)					სტუდენტები, რომლებიც არ არიან შშმ/სსსმ პირები (N=3323)				
	ყოველთვის	2	3	4	არასდროს	ყოველთვის	2	3	4	არასდროს
	%									
... თქვენი სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებისგან? (χ^2=291.539; p<0.05)	14.1	17.1	27.8	16.2	24.7	5.5	7.6	21.2	13.3	52.5
... თქვენი ოჯახისგან/პარტნიორისგან? (χ^2=282.639; p<0.05)	12.4	15.4	24.3	14	33.9	5	6.2	15.8	10.8	62.1
... თქვენი მეგობრებისგან? (χ^2=248.600; p<0.05)	10.4	14.1	28.5	15.9	31.2	4.7	6.6	17.8	12.4	58.5
... ზოგადად, სხვებისგან? (χ^2=293.424; p<0.05)	14.5	17.7	31.7	14.8	21.3	5.3	8.3	23.2	15.7	47.4

გამოკითხვის შედეგების თანახმად, შშმ/სსსმ სტუდენტები მათი პერსონალური მახასიათებლების/თვისებების/უნარების ფონზე უფრო მეტად განიცდიან დამამცირებელ მოპყრობას, ვიდრე აღნიშნული სტატუსის არმქონე პირები. კერძოდ:

- მაშინ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არმქონე რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (92.7%) აცხადებს, რომ არასდროს გამხდარან ძალადობის მსხვერპლი, ასეთთა წილი შშმ/სსსმ სტუდენტებს შორის მხოლოდ 68%-ია, ყოველი მესამე კი, სულ მცირე, ერთხელ მაინც აღმოჩენილა მსგავს სიტუაციაში.
- ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ ისეთ შშმ/სსსმ სტუდენტთა წილი, რომლებსაც არასდროს უგრძვნიათ, რომ სხვებთან შედარებით ნაკლებად ჭკვიანები ან ნაკლებად უნარიანები არიან, 49%-ს უტოლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სტატუსის მქონე ყოველი მეორე სტუდენტი, სულ მცირე, ერთხელ მაინც გამხდარა მსგავსი არაჯანსაღი დამოკიდებულების მსხვერპლი იმ მიკროსოციუმის წევრებისგან, რომლებთანაც უწევს კომუნიკაცია. ასეთი ნეგატიური პრაქტიკის მქონეთა წილი არაშშმ/არასსსმ სტუდენტთა შორის მათ მეხუთედს არ აღემატება.
- შშმ/სსსმ სტუდენტთა შორის ყოველ მესამეზე მეტი (37.4%) აღმოჩენილა ისეთ სიტუაციაში, სადაც უგრძვნია სხვებისგან, რომ მისი ადგილი მანდ არ იყო. ასეთთა წილი შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არმქონე სტუდენტთა შორის 12.1%-ს უტოლდება. ამ უკანასკნელთა 87.9% კი ამბობს, რომ მსგავს ვითარებაში არასდროს აღმოჩენილა.
- შშმ/სსსმ სტუდენტების 48.2% ერთხელ მაინც გამხდარა სხვების ბულინგის (დაცინვის/უტაქტო ხუმრობის) ობიექტი. ასეთთა წილი ჯანმრთელობის შეზღუდვების არმქონე სტუდენტთა შორის 20.3%-ია. (იხ. ცხრილი #12.2.4)

ცხრილი #12.2.4

საგანმანათლებლო სივრცეში: თქვენი ვინაობის გამო, თქვენ...	სტუდენტები, რომლებიც არიან შშმ/სსსმ პირები (N=1171)				სტუდენტები, რომლებიც არ არიან შშმ/სსსმ პირები (N=3323)			
	დიახ, ბევრჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, ერთხელ ან ორჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, მაგრამ არა ბოლო წლის განმავლობაში	არასდროს	დიახ, ბევრჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, ერთხელ ან ორჯერ ბოლო წლის განმავლობაში	დიახ, მაგრამ არა ბოლო წლის განმავლობაში	არასდროს
	%							
... მოგისმენიათ, გინახავთ ან წაგიკითხავთ სხვები როგორ ხუმრობდნენ თქვენზე და დაგცინოდნენ? (χ^2=347.351; p<0.05)	12.6	18.3	17.3	51.8	3.4	6	10.9	79.7
... მოგისმენიათ, რომ თქვენი ან თქვენნაირი ხალხის ადგილი აქ არ არის? (χ^2=319.290; p<0.05)	8.4	16.1	12.9	62.6	3.3	4.5	4.4	87.9
... მოგექცნენ ისე, თითქოს ნაკლებად ჭკვიანი ან ნაკლებად უნარიანი ხართ, ვიდრე სხვები? (χ^2=401.328; p<0.05)	10.3	24.6	16.1	49	3.7	7.3	8.1	80.8
... გამხდარხართ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი? (χ^2=393.342; p<0.05)	5.2	11	15.7	68	1.1	2.2	4	92.7

კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შშმ/სსსმ სტუდენტების χგუფში უფრო მაღალია დასაქმების მაჩვენებელი, ვიდრე ამ სტატუსის არმქონე რესპონდენტებს შორის. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს შორის 36.9% მთელი სემესტრის განმავლობაში მუშაობს ანაზღაურებად სამსახურში, 18% კი მსგავსი აქტივობით დროდადრო არის დაკავებული. ამისგან განსხვავებით, არაშშმ/არასსსმ სტუდენტების 62% სემესტრის განმავლობაში არ მუშაობს. ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ 27.6%-მა მიუთითა რეგულარულ დასაქმებაზე, ხოლო 10.3%-მა - პერიოდულზე (დროდადრო). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=109.350; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.10).

დიაგრამა #12.2.10



ოჯახისგან/პარტნიორისგან გაწეული ფინანსური მხარდაჭერის ფორმით მცირედი განსხვავება ვლინდება შშმ/სსსმ და ამ სტატუსის არმქონე სტუდენტების გამოცდილებას შორის. კერძოდ, ამ ორი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ ოჯახი და პარტნიორი მათ რეგულარულად უზრუნველყოფს არაფულადი დახმარებებით. ოჯახისგან ფულადი/საბანკო გადარიცხვებით რეგულარულ უზრუნველყოფაზე მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა 61.2%, რასაც 7%-ით აღემატება ანალოგიური გამოცდილების მქონე იმ სტუდენტთა წილი, რომლებსაც ჯანმრთელობის შეზღუდვები არ აღენიშნებათ (68%). იმავე ტიპის დახმარებას შშმ/სსსმ სტუდენტების 57.2%-ს და არაშშმ/არასსსმ სტუდენტების 67.8%-ს პარტნიორი უწევს. რაც შეეხება გადასახადების გადახდაში დახმარებას, კვლევამ აჩვენა, რომ ასეთ ბენეფიტს ოჯახისგან/პარტნიორისგან უფრო მეტად შშმ/სსსმ რესპონდენტები იღებენ, ვიდრე მეორე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები. (იხ. ცხრილი #12.2.5)

ცხრილი #12.2.5

რა სახის ფინანსურ მხარდაჭერას იღებთ <u>რეგულარულად</u> თქვენი ოჯახისგან და/ან პარტნიორისგან? (N=4493)	**სტუდენტები, რომლებიც არიან შშმ/სსსმ პირები**			**სტუდენტები, რომლებიც არ არიან შშმ/სსსმ პირები**		
	... რეგულარულად უზრუნველმყოფს ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით	... მიხდის გადასახადებს რეგულარულად და პირდაპირ	.. რეგულარულად უზრუნველმყოფს არაფულადი დახმარებებით	... რეგულარულად უზრუნველმყოფს ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით	... მიხდის გადასახადებს რეგულარულად და პირდაპირ	.. რეგულარულად უზრუნველმყოფს არაფულადი დახმარებებით
	%					
ჩემი ოჯახი (მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები)... (χ^2=67.209; p<0.05)	61.2	16.4	22.4	68	9	22.9
ჩემი ამჟამინდელი პარტნიორი (არ იგულისხმება ყოფილი პარტნიორისგან გაწეული მხარდაჭერა)... (χ^2=142.461; p<0.05)	57.2	20.6	22.2	67.8	9.7	22.5

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შშმ/სსსმ სტუდენტებს შორის უფრო მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც იღებენ სახელმწიფო გრანტს (27.8%) ან რაიმე სახის სხვა ფინანსურ მხარდაჭერას სწავლისთვის, ვიდრე არაშშმ/არასსსმ რესპონდენტებს შორის. ამ უკანასკნელთა უმრავლესობამ (57.1%) აღნიშნა, რომ არანაირი ფინანსური ბენეფიტით არ სარგებლობს, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა შორის 33.4%-ს არ აღემატება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=444.651; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.2.11).

დიაგრამა #12.2.11



გამოკითხვაში მონაწილე შშმ/სსსმ პირების ძირითად ნაწილს აღენიშნება ფიზიკური ქრონიკული დაავადებები (28.8%) და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (23.1%). სენსორული დარღვევების მქონეთა წილი კვლევაში 17.7%-ს უტოლდება, ხოლო ჯანმრთელობის სხვა ისეთი შეზღუდვები, როგორებიცაა გადაადგილების (მოტორიკის) დარღვევა, სწავლის უნარის დაქვეითება და სხვა ხანგრძლივი პრობლემები/ფუნქციონალური შეზღუდვები, ჯამში, რესპონდენტთა 30.3%-ს აღენიშნება. (იხ. დიაგრამა #12.2.6).

დიაგრამა #12.2.6



3. სტუდენტები, რომელთაც შვილები ჰყავთ

გამოკითხვაში მონაწილეთა შორის მხოლოდ 7.2%-ს უტოლდება შვილ(ებ)იანი სტუდენტების წილი. კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გაანალიზება, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან შვილიანი და უშვილო სტუდენტების სასწავლო გამოცდილება. შვილ(ებ)ის ყოლა/არყოლის ჭრილში მონაცემების სტატისტიკური დამუშავება აჩვენებს, რომ როგორც შვილიანი (67.3%), ასევე, უშვილო (70%) სტუდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტია. რაც შეეხება მაგისტრანტ სტუდენტთა პროცენტულ გადანაწილებას, მათი დემოგრაფიული მდგომარეობა აჩვენებს, რომ მაგისტრატურის საფეხურზე შვილიანი სტუდენტების წილი (19.4%), ორჯერ აღემატება ამავე ფაზაში მყოფ ისეთთა რაოდენობას, რომელთაც შვილ(ებ)ი არ ჰყავთ (10%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=33.001; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.1).

დიაგრამა #12.3.1



სწავლის შეწყვეტა/არშეწყვეტის გადაწყვეტილებაზე შვილიანობის გავლენის დონის შეფასება რამდენადმე განსხვავებულ ტენდენციებს ავლენს. კერძოდ, იმ სტუდენტთა წილი, რომელთაც ჰყავთ შვილები და მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე სწავლის შეწყვეტის პრაქტიკაზე მიუთითებენ (15.2%), სამჯერ აღემატება ანალოგიური გამოცდილების მქონე უშვილოთა რაოდენობას (5.6%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=46,026; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.2).

დიაგრამა #12.3.2



შვილ(ებ)ის ყოლა/არყოლის ჭრილში საინტერესო იყო, თუ რამდენად ბედნიერად მიიჩნევენ თავს რესპონდენტები ყველაფრის გათვალისწინებით. როგორც აღმოჩნდა, იმ სტუდენტთა 17.6%, რომელთაც ჰყავთ შვილები, საკუთარ თავს „ძლიერ უბედურად“ მიიჩნევს, მაშინ, როდესაც ასეთთა წილი 10%-ით ნაკლებია შვილიან სტუდენტთა შორის (7.8%). რაც შეეხება მათ გადანაწილებას, რომლებმაც საკუთარი ბედნიერების დონე/ხარისხი შეფასების სკალის უკიდურესად დადებით წერტილში მოათავსეს („ძლიერ ბედნიერად“), შემდეგნაირად გამოიყურება: სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილები - 25.3%; სტუდენტები, რომელთაც არ ჰყავთ შვილები - 20.3%. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=50,652; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.3).

დიაგრამა #12.3.3



კვლევის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროცესის შემადგენელი სხვადასხვა ასპექტის (სწავლების ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, სწავლის ხანგრძლივობა) გათვალისწინებით, სტუდენტებმა ხუთქულიან სკალაზე შეაფასეს, თუ როგორი გავლენა იქონია კოვიდ-19 პანდემიამ მათ აკადემიურ აქტივობაზე. რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით შვილიანი და უშვილო სტუდენტების შეფასებები განსხვავებულია. კერძოდ:

- იმ სტუდენტთაგან, რომელთაც ჰყავთ შვილები, 30.7% უარყოფითი ნიშნულებით **(„ძალიან უარყოფითად+უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად“)** აფასებს პანდემიის გავლენას პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ამასთან, ამავე სეგმენტის წარმომადგენელთაგან ყოველი მესამე მიუთითებს კოვიდ-19 პანდემიის ნეგატიურ გავლენაზე სწავლების ხარისხსა (35%) და სწავლის ხანგრძლივობაზე (35.3%). აღსანიშნავია, რომ უშვილო რესპონდენტების შემთხვევაში ანალოგიური შეფასების მქონე სტუდენტთა წილი 41%-ს აჭარბებს.
- მათ შორის, რომლებმაც მიუთითეს, რომ პანდემიას არანაირი გავლენა არ ჰქონია საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ აქტივობებზე, შვილიანი სტუდენტების შემთხვევაში 39-45%-მდე მერყეობს, ხოლო იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც არ ჰყავთ შვილები, 28%-36%-მდე ვარირებს.
- რაც შეეხება იმ რესპონდენტთა გადანაწილებას, რომლებმაც პანდემიის პოზიტიურ გავლენაზე მიუთითეს, კვლევის შედეგების თანახმად, დადებითი შეფასებების მქონე შვილიანი და უშვილო სტუდენტთა წილი თითქმის თანაბარია (იხ. ცხრილი #12.3.1).

ცხრილი #12.3.1

ამჟამად, რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (N=4493) (შვილების ყოლა)		სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილები	სტუდენტები, რომელთაც არ ჰყავთ შვილები
		%	
სწავლების ხარისხზე? (χ^2=37,741; p<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	14.9	9.3
	2	10.2	13.4
	არანაირი გავლენა	39.9	28.9
	4	20.4	32.1
	ძალიან უარყოფითი გავლენა	14.6	16.3
თქვენს პროფესიულ უნარ-ჩვევებზე? (χ^2=23,983; p<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	13	9.7
	2	10.5	12.9
	არანაირი გავლენა	45.8	35.7
	4	17.3	27
	ძალიან უარყოფითი გავლენა	13.3	14.7
თქვენი სწავლის ხანგრძლივობაზე? (χ^2=39,414; p<0.05)	ძალიან დადებითი გავლენა	13	6
	2	11.1	12.3
	არანაირი გავლენა	40.6	39.6
	4	15.5	26.2
	ძალიან უარყოფითი გავლენა	19.8	15.9

სპეციალურად სტუდენტებისთვის განკუთვნილი საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის დონის შემოწმებისას კვლევამ აჩვენა, რომ იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც ჰყავთ(28.4%) ან არ ჰყავთ (18.2%) შვილები და **სმენიათ და უსარგებლიათ** კიდეც ხსენებული საკონსულტაციო მომსახურებით, 10%-იანი სხვაობა ვლინდება. ორივე სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში 40%-ზე მაღალია ისეთთა წილი, რომელთაც **სმენიათ, მაგრამ ჯერ არ უსარგებლიათ.** რაც შეეხება იმ რესპონდენტთა პროცენტულ მაჩვენებლებს, რომლებსაც აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურების შესახებ **არ ჰქონიათ/არ აქვთ ინფორმაცია** (არ მსმენია), იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომელთაც შვილები არ ჰყავთ, 36.3%-ს უტოლდება, ხოლო შვილიან რესპონდენტებს შორის ასეთთა რაოდენობა 27.2%-ია. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=23.596; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.4).

დიაგრამა #12.3.4



სტუდენტებისთვის განკუთვნილი ფსიქოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ინფორმირებული სტუდენტების პროცენტული წილი, რომელთაც ჰყავთ ან არ ჰყავთ შვილ(ებ)ი, განსხვავებულია აღნიშნული სერვისის გამოყენების თვალსაზრისით. კერძოდ, ისეთ სტუდენტთა შორის, რომელთაც ჰყავთ შვილები - 15.5% აცხადებს, რომ ფსიქოლოგიური მომსახურება გამოუყენებია, რასაც ორჯერ ჩამორჩება ანალოგიური გამოცდილების მქონე შვილ(ების) არმყოლი რესპონდენტების წილი (7.7%). ამისგან განსხვავებით, დასახელებულ ორ სამიზნე ერთობლიობაში თითქმის თანაბარია მათი რაოდენობა, რომელთაც სმენიათ ფსიქოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების შესახებ, თუმცა ჯერ არ გამოუყენებიათ. აქვე საგულისხმოა ისიც, რომ იმ სტუდენტთა კოჰორტაში, რომელთაც არ ჰყავთ შვილები, ნაკლებად არის გავრცელებული ინფორმაცია ფსიქოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ (არ სმენია - 55.3%), ვიდრე საპირისპირო დემოგრაფიული მდგომარეობის მქონე სტუდენტებში (არ სმენია - 46.1%). (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=26.379; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.5).

დიაგრამა #12.3.5



კვლევაში მონაწილე პირებმა შეაფასეს, თუ როგორია მათი მიღწევები/სწავლის შედეგები მიმდინარე სასწავლო პროგრამის ფარგლებში დანარჩენ სტუდენტებთან შედარებით. როგორც აღმოჩნდა, საკუთარ აკადემიურ მიღწევებს, როგორც სხვებთან შედარებით უკეთესს, შეფასების უკიდურესად დადებით წერტილში (ბევრად უკეთესი) უფრო მეტად ათავსებენ შვილიანი სტუდენტები (29.4%), ვიდრე ისინი, რომელთაც შვილები არ ჰყავთ (19%). ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ იმ სტუდენტთა შორის, რომლებიც საკუთარი და სხვა სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას შეფასების ერთ განზომილებაში ათავსებენ („თანაბრად კარგი“), რამდენადმე მაღალია მათი წილი, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ (45.2%), ვიდრე მათი, რომელთაც ჰყავთ (37.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=24,910; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.6).

დიაგრამა #12.3.6



რაც შეეხება შვილების ყოლა/არყოლის ჭრილში კვირის განმავლობაში დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის გამოყოფილი დროის რაოდენობას, ცენტრალური ტენდენციების მიხედვით, სტუდენტები, რომლებსაც არ ჰყავთ შვილები, კვირის თითოეულ დღეს საშუალოდ უფრო მეტ დროს უთმობენ სწავლას (დროის საშუალო (Mean) ხანგრძლივობა ვარირებს 2.72-5.58-ს შორის), ვიდრე შვილიანი რესპონდენტები (დროის საშუალო (Mean) ხანგრძლივობა ვარირებს 1.68-4.78-ს შორის). აქვე საგულისხმოა ისიც, რომ რესპონდენტთა ორივე ჯგუფი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით საშუალოდ უფრო მეტ დროს უთმობს მეცადინეობას, ვიდრე შაბათ-კვირას (იხ. ცხრილი #12.3.2).

ცხრილი #12.3.2

რამდენ საათს ხარჯავთ კვირის განმავლობაში (შაბათ-კვირის ჩათვლით) დამოუკიდებელ მეცადინეობაზე მიმდინარე სემესტრში? (შვილ(ებ)ის ყოლა)	დიახ, მყავს შვილები (N=191)					არა, არ მყავს შვილები (N=2970)				
	საშუალო	სტანდარტული გადახრა	მედიანა	მინიმუმი	მაქსიმუმი	საშუალო	სტანდარტული გადახრა	მედიანა	მინიმუმი	მაქსიმუმი
ორშაბათი	4.78	3.19	4.43	-	16	5.52	3.12	5	-	18.25
სამშაბათი	4.45	3.04	4	-	12	5.58	3.08	5.29	-	20
ოთხშაბათი	4.52	2.99	4	-	16	5.63	3.25	5	-	19
ხუთშაბათი	4.67	2.95	5	-	13	5.53	3.10	5	-	19
პარასკევი	3.96	2.73	4	-	13	5.05	3.11	5	-	21.67
შაბათი	2.90	2.85	2	-	12	3.82	3.27	3	-	20
კვირა	1.68	2.08	0.06	-	9	2.72	2.98	2	-	22.25

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც ჰყავთ შვილ(ებ)ი, უფრო მაღალია მთელი სემესტრის განმავლობაში ანაზღაურებად სამსახურებში დასაქმების მაჩვენებელი (47.1%), ვიდრე მათ შორის რომელთაც არ ჰყავთ (28.7%). ამასთან, ამ უკანასკნელთა უმრავლესობისთვის (58.7%) მთელი სემესტრის განმავლობაში მუშაობა მიღებული/გავრცელებული პრაქტიკა არ აღმოჩნდა. მხოლოდ 12.6%-მა მიუთითა დროდადრო დასაქმების შემთხვევებზე. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=47.876; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.7).

დიაგრამა #12.3.7



სტატისტიკური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, შვილიანი სტუდენტებიდან ყოველი მეორე (51.5%) უჩივის ფინანსურ პრობლემებს **(„ძალიან სერიოზულად მაწუხებს+უფრო მეტად მაწუხებს, ვიდრე არა“),** რომელთაგან 32.4% ამბობს, რომ ფინანსური სირთულეები ძალიან სერიოზულად აწუხებს. ამისგან განსხვავებით, იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც არ ჰყავთ შვილები - 42.7% მიუთითებს მონეტარულ სირთულეებზე და მათგან მხოლოდ 19.6% აიდენტიფიცირებს მდგომარეობას, როგორც ძალიან სერიოზულს. რაც შეეხება რესპონდენტთა იმ კატეგორიას, რომლებსაც აღნიშნული პრობლემა **საერთოდ არ აწუხებს ან უფრო მეტად არ აწუხებს, ვიდრე კი** - თითოეულ სამიზნე ჯგუფში სტუდენტთა მეოთხედს არ აღემატება და, ამავდროულად, თითქმის თანაბარია. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=34.865; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.8).

დიაგრამა #12.3.8



კვლევის შედეგების მიხედვით, სტუდენტებს, რომელთაც ჰყავთ შვილები, კვირის განმავლობაში უფრო მეტად აქვთ მხიარულების განცდა **ყოველთვის ან უმრავლეს შემთხვევაში** (55.8%), ვიდრე მათ, რომელთაც არ ჰყავთ შვილები (43.8%). აღნიშნულ ორ სამიზნე სეგმენტში თანაბარია ისეთთა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მხიარულ ან კარგ განწყობაზე **იშვიათად ან არასდროს** არიან. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=20.681; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.9).

დიაგრამა #12.3.9



ზემოთქმულის მსგავსად, იმ რესპონდენტთა შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კვირის განმავლობაში აქტიურად და ენერგიულად გრძნობენ თავს **ყოველთვის ან უმრავლეს შემთხვევაში,** უფრო მაღალია შვილიანი სტუდენტების ჯგუფში (53.5%), ვიდრე მათ შორის, რომელთაც შვილები არ ჰყავთ (42.2%). ამასთან, ამ უკანასკნელთა თითქმის მეხუთედი მიუთითებს, რომ კვირის განმავლობაში აქტიურ და ენერგიულ განწყობაზე იშვიათად ან არასდროს არიან, მაშინ, როდესაც ანალოგიური შეფასება გააკეთა მეორე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტთა მხოლოდ 18.3%-მა. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=15.620; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.10).

დიაგრამა #12.3.10



კვლევის შედეგების გათვალისწინებით, იმ სტუდენტთა უმრავლესობა (60.9%), რომელთაც არ ჰყავთ შვილები, მიმდინარე სასწავლო სემესტრის განმავლობაში მშობლებთან/მეურვესთან ერთად ცხოვრობს, მაშინ, როდესაც შვილიან რესპონდენტთა შორის მშობლებთან ერთად ცხოვრებაზე მხოლოდ მეოთხედმა მიუთითა. ამ უკანასკნელთაგან თითქმის ყოველი მესამე პარტნიორთან/მეუღლესთან ცხოვრობს. ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ უშვილო სტუდენტთა 18.5% სხვა ადამიანებთან (სტუდენტები, მეგობრები, დედმამიშვილები და ა.შ.) ერთად ცხოვრებაზე მიუთითებს, 13.6% კი - მარტო ცხოვრებაზე. აღსანიშნავია, რომ 9.2%-ს არ აღემატება ისეთ შვილიან სტუდენტთა წილი, რომლებიც დამოუკიდებლად/მარტო ცხოვრობენ. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: χ^2=1475,870; p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.3.11).

დიაგრამა #12.3.11



იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ სტუდენტები ოჯახისგან და პარტნიორისგან რეგულარულად, განსხვავებულია სტუდენტთა ორი სამიზნე ჯგუფის (შვილიანი/უშვილო) პროცენტული მაჩვენებლები. კერძოდ, იმ სტუდენტთა გამოკვეთილ უმრავლესობას (68.5%), რომელთაც არ ჰყავთ შვილები, ოჯახი რეგულარულად უზრუნველყოფს ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით, მაშინ, როდესაც შვილიან რესპონდენტთა შორის ასეთ მხარდაჭერაზე მხოლოდ 38.5%-მა მიუთითა. ამ უკანასკნელთა შორის 34.6%-ს კი მშობლები დახმარებას უწევენ გადასახადების გადახდაში. როგორც შვილიანი, ასევე, უშვილო რესპონდენტების მეხუთედზე მეტი აცხადებს, რომ ოჯახი რეგულარულად უზრუნველყოფს არაფულადი მხარდაჭერით. გარდა აღწერილისა, აღსანიშნავია, რომ შვილიან სტუდენტთა 42.6%-ს პარტნიორი რეგულარულად ეხმარება ნაღდი ფულადი/საბანკო გადარიცხვით, მაშინ, როდესაც ასეთთა პროცენტული მაჩვენებელი უშვილოთა შორის 68.5%-ს უტოლდება. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: p<0.05) (იხ. ცხრილი #12.3.3).

ცხრილი #12.3.3

რა სახის ფინანსურ მხარდაჭერას იღებთ <u>რეგულარულად</u> თქვენი ოჯახისგან (N=4222) და/ან პარტნიორისგან (N=4275)?	**... რეგულარულად უზრუნველმყოფს ნაღდი ფულით/საბანკო გადარიცხვით**	**... მიხლის გადასახადებს რეგულარულად და პირდაპირ**	**... რეგულარულად უზრუნველმყოფს არაფულადი დახმარებებით**
სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილები (χ^2=345,886; p<0.05)	**%**		
ჩემი ოჯახი (მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები)...	38.5	34.6	26.8
ჩემი ამჟამინდელი პარტნიორი (არ იგულისხმება ყოფილი პარტნიორისგან გაწეული მხარდაჭერა)...	42.6	31.2	26.2
სტუდენტები, რომელთაც არ ჰყავთ შვილები (χ^2=228,838; p<0.05)	**%**		
ჩემი ოჯახი(მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები)...	68.5	9.1	22.5
ჩემი ამჟამინდელი პარტნიორი (არ იგულისხმება ყოფილი პარტნიორისგან გაწეული მხარდაჭერა)...	67	10.9	22.1

რაც შეეხება სხვადასხვა წყაროდან ხელმისაწვდომი თანხის საშუალო ოდენობას, კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტები, რომელთაც შვილები ჰყავთ, თვის განმავლობაში საშუალოდ 118.17 ლარის (Mean=118.17) ფინანსურ დახმარებას ოჯახისგან იღებენ, ხოლო საშუალოდ 124.42 (Mean=124.42) ლარის ოდენობის მხარდაჭერას - პარტნიორისგან, ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით. ისეთი წყაროებიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი, როგორებიცაა სახელმწიფო გრანტი, დანაზოგი წინა სამსახურებიდან და სახელმწიფო წყაროებიდან მიღებული სხვა შემოსავლები, ორივე სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში საშუალოდ 65 ლარს არ აღემატება. კერძოდ, შვილიანი სტუდენტების შემთხვევაში 43-52 ლარს შორის მერყეობს (Mean), ხოლო მათ შორის, რომელთაც არ ჰყავთ შვილები, 27-62 ლარს შორის (Mean). (იხ. ცხრილი #12.3.4).

ცხრილი #12.3.4

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში?	ოჯახისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	პარტნიორისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	სახელმწიფო გრანტი	დანაზოგი წინა სამსახურ(ებ)იდან მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის	სხვა შემოსავალი <u>სახელმწიფო</u> წყაროებიდან (მაგ.: ბავშვის დახმარება, სოციალური დახმარება, პენსია, უმუშევრობის შემწეობა, ობლობის დახმარება)
სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილები					
საშუალო	118.17	124.42	43.86	52.06	43.18
სტანდარტული გადახრა	236.74	267.27	79.57	211.24	12.,09

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში?	ოჯახისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	პარტნიორისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები	სახელმწიფო გრანტი	დანაზოგი წინა სამსახურ(ებ)იდან მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის	სხვა შემოსავალი სახელმწიფო წყაროებიდან (მაგ.: ბავშვის დახმარება, საოჯახო დახმარება, პენსია, უმუშევრობის შემწეობა, ობლობის დახმარება)
მედიანა	-	-	-	-	-
მინიმუმი	-	-	-	-	-
მაქსიმუმი	1000	2000	225	1500	1000
სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილები					
საშუალო	193.36	12.19	62.03	41.21	27.47
სტანდარტული გადახრა	233.35	77.94	84.31	176.13	107.66
მედიანა	100	-	-	-	-
მინიმუმი	-	-	-	-	-
მაქსიმუმი	1333.20	1959.40	225	2000	1000

4. სტუდენტები, რომელთაც აქვთ მუშაობის გამოცდილება (სტუდენტები შრომის ბაზრის გამოცდილებით)

მონაცემები განხილულია იმ სტუდენტების ჭრილში, რომელთაც აქვთ/არ აქვთ მუშაობის გამოცდილება მიმდინარე სემესტრში. ანაზღაურებადი სამსახურის მქონე/არმქონე სტუდენტებში **22-24 წლის** ინდივიდები სჭარბობენ: მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 47.2%, დროდადრო დასაქმებული - 53.5%, დაუსაქმებელი - 44.2%. მეორე მხრივ კი, სხვა კატეგორიებთან შედარებით, ანაზღაურებადი სამსახურის არმქონე სტუდენტების დიდ წილს (38.8%) წარმოადგენს 21 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი. მსგავსი გადანაწილება ლოგიკურია, რადგან დაბალ ასაკობრივ კატეგორიაში პროფესიული ცოდნისა და სამუშაო გამოცდილების დონე დაბალია, რაც შესაძლოა ნაკლებად მიმზიდველი იყოს დამსაქმებლისთვის (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=138026, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.1).

დიაგრამა #12.4.1



მიმდინარე სემესტრში დასაქმებულ/უმუშევარ რესპონდენტთა შორის დომინანტურია **ბაკალავრიატის** სტუდენტთა წილი: მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 72.4%, დროდადრო დასაქმებული - 79.3%, დაუსაქმებელი - 66.7%. უმუშევართა შორის განსაკუთრებით სჭარბობენ **ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის** სტუდენტები (23.8%). შედეგი შესაძლოა უკავშირდებოდეს სასწავლო საფეხურის სპეციფიკას. ამ პროგრამების სტუდენტებს უფრო ხანგრძლივი სწავლა უწევთ, რაც შესაძლოა ხელს უშლიდეს მათ დასაქმებას. მთელი სემესტრის განმავლობაში მომუშავე სტუდენტების 17.3% მაგისტრანტია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=230254, p<0.05) (იხ. ცხრილი #12.4.1).

ცხრილი #12.4.1

რა ხარისხის მინიჭებას გულისხმობს თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (%) (N=4771)	ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი მიმდინარე სემესტრში		
	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	დიახ, დროდადრო ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	არა, არ ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში
ბაკალავრიატი	72.4	79.3	66.7
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა /	1.8	1.4	1.9

რა ხარისხის მინიჭებას გულისხმობს თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (%) (N=4771)	ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი მიმდინარე სემესტრში		
	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	დიახ, დროდადრო ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	არა, არ ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში
მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა			
მაგისტრატურა	17.3	9.1	7.6
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	8.5	10.1	23.8

მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებულ რესპონდენტთა შორის დომინანტურ პოზიციებს იკავებენ **ბიზნესის ადმინისტრირებისა** (22.4%) და **სოციალური მეცნიერებების** (17.3%) სტუდენტები. სოციალური მეცნიერების მიმართულების სტუდენტები არიან სემესტრის განმავლობაში დროდადრო დასაქმებული რესპონდენტების თითქმის მეხუთედი (18.3%). ამ სამიზნე ჯგუფის 15.9% ინჟინერიის სტუდენტია. ხაზგასასმელია, რომ მიმდინარე სემესტრში უმუშევარ სტუდენტთა თითქმის მეოთხედს (23.9%) წარმოადგენენ ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტები. მსგავსი შედეგი ლოგიკურია, რადგან, როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებაზე სწავლის პროცესი ხანგრძლივია და სხვადასხვა კლინიკაში დასაქმებაც, ძირითად შემთხვევაში, სასწავლო კურიკულუმის ნაწილია. ამდენად, არ ერთიანდება ცალკე ანაზღაურებადი სამსახურის კომპონენტში (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=300601, $p<0.05$) (იხ. ცხრილი #12.4.2).

ცხრილი #12.4.2

რომელია თქვენი მიმდინარე (ძირითადი) სასწავლო პროგრამა (N=4771)	ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი მიმდინარე სემესტრში		
	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში
აგრარული მეცნიერებანი	3	2.7	2.8
ბიზნესის ადმინისტრირება	22.4	10.1	10.4
განათლება	4.2	4.5	4
ინჟინერია	12.7	15.9	11.2
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	3.3	5.8	4.1
სამართალი	11.6	12.5	10
სოციალური მეცნიერებები	17.3	18.3	12.5
ხელოვნება	1.8	2.9	2.1
ჯანდაცვა	7.8	9.9	23.9
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	7.2	6.1	8.1
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	6.5	9	8.9
<არ არის გაწერილი>	2.2	2.2	2.1

მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებადი სამსახურის არმქონე სტუდენტების 79.7% **არ მუშაობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველად ჩაბარებამდე.** მსგავსი გამოცდილება აქვთ ამჟამად დასაქმებულთა უმრავლესობასაც: მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 54.6%, დროდადრო დასაქმებული - 57.6%. მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებულთა მეოთხედზე მეტს (27%) უმაღლესში პირველად ჩაბარებამდეც ჰქონდა ანაზღაურებადი სამსახური და მუშაობდა, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში და, სულ მცირე, 20 საათს კვირაში, რაც სხვა სამიზნე ჯგუფის რესპონდენტების მაჩვენებელს აღემატება: დროდადრო დასაქმებული - 15.2%, დაუსაქმებელი - 6.3% (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=434806, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.2).

დიაგრამა #12.4.2



ანაზღაურებადი სამსახურის არმქონე სტუდენტების 41% მიიჩნევს, რომ **კოვიდ-19 პანდემიას არანაირი გავლენა არ ჰქონია საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე.**[17] ანაზღაურებადი სამსახურის მქონე სტუდენტების საშუალოდ მესამედი იზიარებს მსგავს პოზიციას. სემესტრის განმავლობაში დროდადრო დასაქმებული სტუდენტების 27.7% კოვიდ-19 პანდემიის გავლენას პოზიტიურად აფასებს (ქულები 1 და 2), რაც მაღალი მაჩვენებელია სამუშაო გამოცდილების ქონის სხვა კატეგორიებთან შედარებით. მსგავსი შედეგი შესაძლოა დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციასთან - თუკი რეგიონიდან ჩამოსულმა სტუდენტმა პანდემიის პერიოდში დაკარგა სამსახური, მისთვის პოზიტიური შედეგი იქნებოდა დედაქალაქიდან რეგიონში დაბრუნება, რაც მის საყოფაცხოვრებო ხარჯებს შეამცირებდა (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=53463, p<0.05). სტუდენტების ძირითადი ნაწილისთვის **კოვიდ-19 პანდემიას სწავლის საფასურის გადახდაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია:** მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 50.3%, დროდადრო დასაქმებული - 45.8%, დაუსაქმებელი - 54.8%. აქ, სავარაუდოდ, ხაზი უნდა გაესვას პირველადი სოციალური ჯგუფის, ოჯახის, აქტიურ ფინანსურ ჩართულობას. პანდემიის ნეგატიურ გავლენას შედარებით ნაკლებად გამოკვეთენ ანაზღაურებადი სამსახურის არმქონე სტუდენტები -

[17] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან დადებითი გავლენა“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალიან უარყოფითი გავლენა“.

თუკი დასაქმებული რესპონდენტების საშუალოდ 34% მიიჩნევს, რომ პანდემიის გამო გაუჭირდათ სწავლის საფასურის გადახდა, უმუშევარი სტუდენტების შემთხვევაში მაჩვენებელი 30%-მდე მცირდება. მსგავსი შედეგი შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ ამჟამად დაუსაქმებელი სტუდენტები, დასაქმებული რესპონდენტებისგან განსხვავებით, არც ყოფილან დამოკიდებულნი სწავლის საფასურის დაფარვისთვის ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებულ შემოსავალზე (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=74075, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.3.).

დიაგრამა #12.4.3



მიმდინარე სემესტრში ნებისმიერი დატვირთვით დასაქმებული (საშუალოდ 43%) და უმუშევარი სტუდენტების (46.7%) ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ **სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ ეროვნულ შრომის ბაზარზე ადეკვატური სამსახურის პოვნის შესაძლებლობა მაღალია** (ქულები 1 და 2).[18] დასაქმებული სტუდენტების საშუალოდ 24% მიიჩნევს, რომ ეროვნულ დონეზე სამუშაოს მოძებნა გაუჭირდება, დაბალია ამის შესაძლებლობა (ქულები 4 და 5). მსგავსი შედეგი შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ დასაქმებული სტუდენტები საკუთარი პროფესიით არ მუშაობენ. დაუსაქმებელ სტუდენტთა შემთხვევაში მაჩვენებელი 16.5%-მდეა შემცირებული (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=85855, p<0.05). **საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების მხრივაც** სკეპტიკური დამოკიდებულება უფრო მეტადაა მიმდინარე სემესტრში ანაზღაურებადი სამსახურის მქონე სტუდენტთა შორის (საშუალოდ 26%), ვიდრე დაუსაქმებელ რესპონდენტებში (20.8%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=44747, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.4).

[18] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „ძალიან მაღალი შესაძლებლობა“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „ძალიან დაბალი შესაძლებლობა“. სკალის მეექვსე კატეგორიად განსაზღვრული იყო შემდეგი - „ვერ ვაფასებ“.

დიაგრამა #12.4.4



გამოკითხვის პერიოდში ანაზღაურებადი სამსახურის მქონე სტუდენტთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ **სწავლის მოდელების ამჟამინდელი თანაფარდობა** დისტანციურისკენ იხრება (ქულები 1 და 2).[19] ყოველი მესამე უმუშევარი სტუდენტის შეფასებით კი, სასწავლო მოდელი უფრო პირისპირია, ვიდრე დისტანციური (33.6%). მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ თუკი სემესტრის განმავლობაში მუდმივად დასაქმებული სტუდენტების ძირითადი ნაწილი (42.3%) **იდეალური თანაფარდობის** შეფასებისას უპირატესობას დისტანციურ მოდელს ანიჭებს, დროდადრო დასაქმებულების (39.5%) და ანაზღაურებადი სამსახურის არმქონეთა შემთხვევაში (41.3%) პოზიცია პირისპირი სასწავლო მოდელის სასარგებლოდ იხრება (ქულები 4 და 5). მსგავსი შედეგი სწორედ სამუშაო დატვირთვით და სასწავლო მოდელების ეფექტიანობითაა განპირობებული (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=226427, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.5).

დიაგრამა #12.4.5



[19] შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5-ქულიანი სკალა, რომელზეც ქულა 1 აღწერდა კატეგორიას „სრულად დისტანციური“, ხოლო ქულა 5 - კატეგორიას „სრულად პირისპირი“.

დასაქმების გამოცდილების შეფასებისას ვლინდება, რომ იმ პირთა უმრავლესობას, რომლებიც მიმდინარე სემესტრის განმავლობაში მუდმივად (84.2%) ან დროდადრო (74.5%) მუშაობენ, **ბოლო 12 თვის განმავლობაში ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი არასალექციო პერიოდშიც ჰქონია.** ამჟამად უმუშევარ სტუდენტთა 78%-ს კი მსგავსი გამოცდილება არ აქვს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=1560402, p<0.05).

სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას იკვეთება, რომ სემესტრის განმავლობაში დროდადრო დასაქმებული (60.4%) და უმუშევარი სტუდენტების (79.2%) დიდი ნაწილი იღებს **ოჯახისგან ფინანსურ მხარდაჭერას,** ნაღდი ფულით ან საბანკო გადარიცხვით. მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული სტუდენტების შემთხვევაში მაჩვენებელი 43.6%-მდე მცირდება. შედეგი ლოგიკურია, რადგან პერიოდულად ან მუდმივად დაუსაქმებელ პირს შემოსავლის არარსებობის გამო სჭირდება სხვისი, განსაკუთრებით კი პირველადი სოციალური ჯგუფის, დახმარება. მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული სტუდენტების შემთხვევაში ოჯახის კონტრიბუცია არაფულადი დახმარებებით უფრო გამოიხატება (44.5%), როგორებიც შეიძლება იყოს უფასო საცხოვრებლით, საკვებით, ტანსაცმლით და ა.შ. უზრუნველყოფა. ოჯახის მსგავსი ტიპის ჩართულობა დაუსაქმებელ სტუდენტთა მხოლოდ 12.1%-ის შემთხვევაში იკვეთება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=1141601, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.6).

დიაგრამა #12.4.6



მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული სტუდენტები, სხვა სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებთან შედარებით, **საკუთარი ჯიბიდან** მეტ თანხას იხდიან საკვებში (314.59 ლარი; დროდადრო დასაქმებული - 232.60 ლარი, დაუსაქმებელი - 261.12 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=14409, p<0.05). ტრანსპორტირების ხარჯიც განსხვავებულია - სავარაუდოდ, იმის გათვალისწინებით, რომ მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებულ სტუდენტებს ყოველდღიურად სამსახურში უწევთ სიარული, მათ მიერ საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯი სხვებისას აღემატება და საშუალოდ 84.14 ლარს უტოლდება (დროდადრო დასაქმებული - 54.91 ლარი, უმუშევარი - 50.94 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=40154, p<0,05). სესხების კატეგორიაშიც წამყვან პოზიციას იკავებენ მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული სტუდენტები - საკუთარი ჯიბიდან საშუალოდ 71.49 ლარს ხარჯავენ (დროდადრო დასაქმებული - 26.31 ლარი, უმუშევარი - 13.90 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=139877, p<0.05). მსგავსი შედეგი ლოგიკურია, რადგანაც მუდმივი შემოსავლის გარეშე სესხი, როგორც წესი, არ გაიცემა.

ანაზღაურებადი სამსახურის არმქონე სტუდენტების შემთხვევაში, სხვა ჯგუფებთან შედარებით, მაღალია **სხვის მიერ გადახდილი** საცხოვრებელი ხარჯის ოდენობა, რაც 282.27 ლარს უტოლდება (მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 197.33 ლარი, დროდადრო დასაქმებული - 234.38 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=13262, p<0.05). სხვის მიერ გაწეული საერთო საყოფაცხოვრებო ხარჯი, რაც აერთიანებს საცხოვრებელსაც, საკვებსაც, ტრანსპორტსაც, ჯანდაცვასაც, სესხსაც და ა.შ. ანაზღაურებადი სამსახურის არმქონე პირებში გაცილებით მაღალია - 754.08 ლარი (მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 637.48 ლარი, დროდადრო დასაქმებული - 651.23 ლარი) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=5508, p<0.05) (იხ. ცხრილი #12.4.3).

ცხრილი #12.4.3

როგორია თქვენი საშუალო ხარჯი ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე მიმდინარე სემესტრში? (რეგიონის ჭრილში)			საცხოვრებელი ხარჯები (N=2077)	საკვები (N=2882)	ტრანსპორტი (N=4522)	კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.) (N=4618)	ჯანდაცვის ხარჯები (მაგ.: წამლები, სამედიცინო დაზღვევა) (N=4602)	ბავშვზე ზრუნვა (N=366)	სესხები (იპოთეკის გარდა) (N=4604)	სოციალური და რეკრეაციული აქტივობები (N=4613)	სხვა რეგულარული საყოფაცხოვრებო ხარჯები (N=4555)	უნივერსიტეტის გადასახადი (N=4622)	უნივერსიტეტის სხვა გადასახადი (N=4629)	სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (N=4626)	**საცხოვრებელი ხარჯების ჯამი (N=2032)**	**სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების ჯამი (N=4630)**
დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	420.54	314.59	84.14	41.62	37.18	151.90	71.49	55.57	121.58	163.55	15.49	33.59	**1326.76**	**212.57**
		სტანდარტული გადახრა	430.27	283.98	135.79	51.81	64.59	235.39	148.66	72.18	159.77	169.32	68.05	60.13	**843.67**	**210.32**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	197.33	173.24	33.23	17.11	18.75	74.90	31.86	6.72	57.65	343.98	6.67	15.65	**637.48**	**366.22**
		სტანდარტული გადახრა	294.97	266.14	92.80	35.58	47.78	205.00	103.83	26.52	127.75	651.94	45.70	44.15	**798.04**	**655.13**
დიახ, დროდადრო ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	342.80	232.60	54.91	29.52	31.49	128.65	26.31	37.91	89.14	142.13	25.91	40.73	**976.04**	**208.72**
		სტანდარტული გადახრა	408.22	240.16	110.74	48.89	64.27	193.03	88.52	58.27	148.70	177.46	90.44	64.46	**730.54**	**236.56**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	234.38	164.98	35.31	17.31	22.07	28.69	27.61	7.06	44.20	327.30	21.37	21.18	**651.23**	**369.77**
		სტანდარტული გადახრა	385.32	244.28	89.39	33.71	55.10	86.20	93.73	26.10	110.92	608.78	81.95	51.26	**750.08**	**613.36**
არა, არ ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	საკუთარი ჯიბიდან გადახდილი	საშუალო	451.37	261.12	50.94	32.48	28.63	149.80	13.90	36.50	87.47	153.86	30.48	41.07	**1119.76**	**225.13**
		სტანდარტული გადახრა	467.24	315.29	94.38	49.35	60.83	241.00	70.35	60.86	152.23	197.77	100.92	65.60	**874.88**	**264.20**
	სხვის მიერ გადახდილი	საშუალო	282.27	199.50	37.43	23.91	22.90	89.05	13.99	11.77	61.34	292.24	18.76	23.44	**754.08**	**333.92**
		სტანდარტული გადახრა	394.83	281.57	85.38	45.43	55.92	194.04	75.04	38.25	131.87	534.61	78.87	51.84	**821.02**	**548.23**

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

საცხოვრებლის ან სწავლის გადასახადის თუნდაც ნაწილს დანაზოგით არ იხდის არც დასაქმებული და არც უმუშევარი სტუდენტების ძირითადი ნაწილი. თუმცა, ცხადია, მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია უმუშევარ სტუდენტთა შორის: მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 58.1%, დროდადრო დასაქმებული - 48.9%, დაუსაქმებელი - 75.8%. წინა სამსახურებიდან დაგროვებული დანაზოგით ხარჯის თუნდაც ნაწილის დაფარვა შედარებით გავრცელებული პრაქტიკაა მუდმივად დასაქმებული სტუდენტებისთვის (34.4%). დროდადრო დასაქმებული რესპონდენტების მეხუთედზე მეტი (21.1%) მიუთითებს, რომ საცხოვრებელი თუ სწავლის გადასახადის თუნდაც ნაწილის დაფარვას ახერხებს არა ანაზღაურებადი სამსახურიდან დაგროვებული თანხით, არამედ სხვა სახის დანაზოგით (მაგ.: მემკვიდრეობით მიღებული თანხა, ფულადი საჩუქრები, გაყიდვებიდან მიღებული თანხა და ა.შ.), რაც სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია (მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 7.5%, დაუსაქმებელი - 13.7%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=349504, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.7).

დიაგრამა #12.4.7



როგორც უკვე აღინიშნა, დაუსაქმებელი სტუდენტების უფრო დიდი ნაწილი იღებს ოჯახისგან ფინანსურ მხარდაჭერას. რაც შეეხება **უშუალო ოდენობას,** გაცემული პასუხების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ თუკი უმუშევარი სტუდენტები თვიურად ოჯახისგან საშუალოდ 245.47 ლარს იღებენ, მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული რესპონდენტების შემთხვევაში მაჩვენებელი 105.63 ლარამდე მცირდება, დროდადრო დასაქმებულების შემთხვევაში კი 152.34 ლარს უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=128406, p<0.05). ამასთან, ლოგიკურია, რომ ანაზღაურებადი სამსახურიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა უმუშევრების შემთხვევაში 0 ლარია. მკვეთრი განსხვავებაა მუდმივად და დროდადრო დასაქმებულთა შორის - თუკი მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული სტუდენტები თვიურად საშუალოდ 653.49 ლარს იღებენ, დროდადრო დასაქმებულების შემთხვევაში შემოსავლის საშუალო ოდენობა 354.19 ლარამდე მცირდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=1020201, p<0.05). სამიზნე ჯგუფებს შორის განსხვავებულია წინა სამსახურ(ებ)იდან დაგროვებული დანაზოგის ოდენობაც - მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული პირები თვიურად 70.92 ლარის ოდენობის დანაზოგის შენახვას ახერხებენ, რაც შემცირებულია დროდადრო დასაქმებულებისა (47.83 ლარი) და უმუშევარი სტუდენტების (23.81 ლარი) შემთხვევაში (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=1322, p<0.05). მთლიანობაში,

სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლით გამოირჩევიან მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული სტუდენტები - მათი საშუალო თვიური შემოსავლის ოდენობა 1056.70 ლარს უტოლდება. დროდადრო დასაქმებულთა შემთხვევაში შემოსავლის ოდენობა 819.51 ლარამდე მცირდება, ხოლო უმუშევარი სტუდენტების საშუალო თვიური შემოსავალი 489.52 ლარს შეადგენს (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: F=293519, p<0.05) (იხ. ცხრილი #12.4.4).

ცხრილი #12.4.4

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში?	ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი მიმდინარე სემესტრში					
	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში		დიახ, დროდადრო ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში		არა, არ ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	
	საშუალო	სტანდარტული გადახრა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
ოჯახისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები (N=3129)	105.63	206.62	152.34	205.63	245.47	239.56
პარტნიორისგან: ნაღდი ფული ან საბანკო გადმორიცხვები (N=3167)	18.04	93.79	31.84	142.44	18.02	103.08
სახელმწიფო გრანტი (N=3190)	63.50	88.54	54.88	82.85	60.54	81.67
სწავლისთვის ფინანსური დახმარება სახელმწიფო სოციალური პროგრამების ფარგლებში (N=3190)	7.20	47.54	17.03	94.60	10.51	63.88
სწავლისთვის ფინანსური დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან (მერია, გამგეობა) (N=3108)	4.38	38.30	5.33	47.35	6.04	63.62
სტიპენდიას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან (N=3165)	14.07	69.70	30.02	117.51	17.34	88.87
სტუდენტური სესხი უნივერსიტეტიდან/ბანკიდან (N=3190)	2.84	34.22	4.60	47.72	1.53	23.99
სტიპენდია უნივერსიტეტისგან (N=3162)	14.32	81.00	15.85	84.80	22.95	109.08
სახელმწიფო გრანტი/სტიპენდია/სესხი სხვა ქვეყნისგან (N=3138)	16.63	133.64	32.11	280.92	9.14	64.40
ხელზე ასაღები შემოსავალი ანაზღაურებადი სამსახურიდან მიმდინარე სემესტრში (N=3142)	653.49	589.31	354.19	450.22	0.00	0.00
დანაზოგი წინა სამსახურ(ებ)იდან მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის (N=3166)	70.92	235.10	47.83	173.96	23.81	133.99
სხვა დანაზოგი (არა წინა სამსახურ(ებ)იდან) მიმდინარე სემესტრში საცხოვრებლად/სწავლისთვის (N=3158)	11.67	89.86	18.55	95.07	10.98	75.90
სხვა შემოსავალი სახელმწიფო წყაროებიდან (მაგ.: ბავშვის დახმარება,	29.00	117.83	42.17	122.13	25.10	100.11

ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან, საშუალოდ რა რაოდენობის თანხაა თქვენთვის ხელმისაწვდომი თვეში ნაღდი ფულის ან საბანკო გადმორიცხვების სახით, მიმდინარე სემესტრში?	ანაზღაურებადი სამსახურ(ებ)ი მიმდინარე სემესტრში					
	დიახ, ვმუშაობ მთელი სემესტრის განმავლობაში		დიახ, დროდადრო ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში		არა, არ ვმუშაობ სემესტრის განმავლობაში	
	საშუალო	სტანდარტული გადახრა	საშუალო	სტანდარტული გადახრა	საშუალო	სტანდარტული გადახრა
საოჯახო დახმარება, პენსია, უმუშევრობის შემწეობა, ობლობის დახმარება) (N=3096)						
სხვა შემოსავალი (დასაბრუნებელი ან დაუბრუნებელი) კერძო წყაროებიდან (მაგ.: ალიმენტი, კერძო სტიპენდიები, შემოსავალი კაპიტალიდან, უძრავი ქონებიდან, პერიოდული გაყიდვებიდან, საჩუქრები, ბანკის სესხი, კერძო პირისგან სესხი) (N=3116)	42.37	150.02	35.74	123.36	39.81	146.25
მთლიანი თანხა (N=2956)	**1056.70**	**748.54**	**819.51**	**690.09**	**489.52**	**422.72**

	სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის

არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული სტუდენტების მესამედზე მეტი (39.8%) შეძლებდა **372 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯის გადახდას.** მსგავს შესაძლებლობაზე მიუთითებს დროდადრო დასაქმებულთა მხოლოდ 26.8%, უმუშევარ სტუდენტთა შორის კი მაჩვენებელი 13%-მდე მცირდება. როგორც დროდადრო დასაქმებული (48.4%), ისე დაუსაქმებელი რესპონდენტების ყველაზე დიდი წილი (51.9%) მიიჩნევს, რომ თავად ვერ შეძლებდა ამ ოდენობის ხარჯის გაწევას, თუმცა ვინმე (მშობელი, ოჯახი, პარტნიორი და ა.შ.) გადაუხდიდა. მსგავსი შედეგი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ოჯახი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის ძირითადი რგოლია (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=388177, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #12.4.8).

დიაგრამა #12.4.8



რაც შეეხება სტუდენტების **სტაჟირების** გამოცდილებას, იკვეთება, რომ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელთა ძირითადი ნაწილი არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ არ ყოფილა სავალდებულო ან ნებაყოფლობით სტაჟირებაზე. ნეგატიური გამოცდილების მქონე სტუდენტების წილი განსაკუთრებით მაღალია მიმდინარე სემესტრში დაუსაქმებელ რესპონდენტთა შორის (71.4%), დასაქმებულთა შემთხვევაში კი მაჩვენებელი საშუალოდ 43%-ს უტოლდება. მთელი სემესტრის განმავლობაში (43%) ან დროდადრო დასაქმებული სტუდენტების (38.1%) საშუალოდ 40%-ს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი სტაჟირება საქართველოში აქვს გავლილი. დაუსაქმებელ პირთა შორის კი საქართველოში სტაჟირებაგავლილი სტუდენტების წილი მხოლოდ მეხუთედს (19.6%) უტოლდება (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=318532, $p<0.05$) (იხ. დიაგრამა #12.4.9).

დიაგრამა #12.4.9



ამასთან, იკვეთება, რომ ამჟამად დაუსაქმებელ სტუდენტთა 80.4% არასდროს ყოფილა **საზღვარგარეთ სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების გამო,** რაც სხვა სამიზნე ჯგუფებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (მთელი სემესტრის განმავლობაში დასაქმებული - 68.4%, დროდადრო დასაქმებული - 63.2%). მთელი სემესტრის განმავლობაში

დასაქმებულ სტუდენტთა მეათედზე მეტი (11.1%) ნამყოფია საზღვარგარეთ კვლევის/საველე მივლინების გამო; მსგავსი გამოცდილება აქვს დროდადრო დასაქმებულთა მხოლოდ 3.7%-ს. სემესტრის განმავლობაში პერიოდულად დასაქმებული სტუდენტების შემთხვევაში დომინანტურია არა კვლევის, ენის კურსების ან საზაფხულო/ზამთრის სკოლის მიზეზით, არამედ სწავლასთან დაკავშირებული სხვა აქტივობის გამო საზღვარგარეთ გამგზავრების გამოცდილება (15.3%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა: X^2=296311, p<0.05) (იხ. დიაგრამა #12.4.10).

დიაგრამა #12.4.10



5. სტუდენტები, რომლებიც მშობლებთან, დამოუკიდებლად / მარტო და სტუდენტურ საცხოვრებელში ცხოვრობენ

ანალიზისთვის გამოიყო სამი ჯგუფი საცხოვრებელი პირობების მიხედვით: სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ მშობლებთან/მეურვესთან, ცხოვრობენ მარტო ან უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში.

კორელაციური ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ მარტო მცხოვრები სტუდენტები (34.6%) შედარებით ხშირად მიუთითებენ მთელი სემესტრის გამავლობაში მუშაობაზე, ვიდრე უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები რესპონდენტები (20.8%). მეორე მხრივ, საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთა მეოთხედი (24.4%) ამბობს, რომ სემესტრის განმავლობაში დროდადრო მუშაობს. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით დაბალია იმ სტუდენტებისთვის, ვინც მარტო ცხოვრობს (7.9%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დიაგრამა #12.5.1)

დიაგრამა #12.5.1



სტუდენტებმა დაასახელეს, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სხვადასხვა სასწავლო საჭიროებები მათ საცხოვრებელ სივრცეში. როგორც ირკვევა, მარტო ან საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტებთან შედარებით მშობლებთან მცხოვრები სტუდენტების მიერ ხშირად სახელდება ხელმისაწვდომობა:

- კომპიუტერზე/ლეპტოპზე/პლანშეტზე (ცხოვრობს მშობლებთან-76.8%; ცხოვრობს მარტო - 65.5%; ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში - 64.3%);
- სამუშაო მაგიდაზე (ცხოვრობს მშობლებთან-73.5%; ცხოვრობს მარტო - 59.4%; ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში - 55.4%);
- საკმარის ინტერნეტ კავშირზე (ცხოვრობს მშობლებთან-73.1%; ცხოვრობს მარტო - 60.2%; ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში - 52%).

ამავდროულად, სასწავლად მშვიდი გარემოს არსებობაზე უფრო მეტად მიუთითებენ მარტო მცხოვრები სტუდენტები (59.4%), ვიდრე საერთო საცხოვრებელში მცხოვრები რესპონდენტები (50%). ხაზგასასმელია, რომ ყველა აღნიშნულ პირობაზე ხელმისაწვდომობას შედარებით ნაკლებად

ასახელებენ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები რესპონდენტები. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #12.5.1)

ცხრილი #12.5.1

სახლში ყოფნისას, სასწავლო საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიგიწვდებათ...?		ცხოვრობს მშობლებთან (N=2713)	ცხოვრობს მარტო (N=618)	ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში (N=197)
		%		
კომპიუტერზე/ლეპტოპზე/ პლანშეტზე	**ყოველთვის**	64.4	57.8	45.9
	2	12.4	7.8	18.4
	3	12.6	18.8	17.9
	4	5.6	6.3	6.6
	არასდროს	3.2	3.2	5.6
	შეუსაბამოა ჩემს სასწავლო საჭიროებებთან	1.8	6.1	5.6
		X^2=53.513; P<0.05	X^2=49.151; P<0.05	X^2=20.063; P<0.05
სამუშაო მაგიდაზე	**ყოველთვის**	61.3	48.9	39.5
	2	12.2	10.5	15.9
	3	15.4	22.7	22.6
	4	6.0	7.9	6.7
	არასდროს	3.1	2.8	9.7
	შეუსაბამოა ჩემს სასწავლო საჭიროებებთან	2.0	7.3	5.6
		X^2=60.582; P<0.05	X^2=65.880; P<0.05	X^2=24.415; P<0.05
საკმარის ინტერნეტ კავშირზე	**ყოველთვის**	53.7	45.1	35.7
	2	19.4	15.0	16.3
	3	17.4	23.9	26.5
	4	6.0	8.1	11.2
	არასდროს	2.3	2.9	7.1
	შეუსაბამოა ჩემს სასწავლო საჭიროებებთან	1.2	4.9	3.1

სახლში ყოფნისას, სასწავლო საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიგიწვდებათ...?		ცხოვრობს მშობლებთან (N=2713)	ცხოვრობს მარტო (N=618)	ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში (N=197)
		%		
		X^2=67.460; P<0.05	X^2=42.731; P<0.05	X^2=21.122; P<0.05
სასწავლად მშვიდ გარემოზე	**ყოველთვის**	39.5	42.2	31.6
	2	20.6	17.2	18.4
	3	21.6	24.1	28.6
	4	10.8	8.3	8.2
	არასდროს	4.5	2.8	10.2
	შეუსაბამოა ჩემს სასწავლო საჭიროებებთან	2.9	5.5	3.1
		X^2=9.953; P>0.05	X^2=22.841; P<0.05	X^2=20.471; P<0.05

იმ სტუდენტებმა, ვინც სემესტრის განმავლობაში მუშაობს, შეაფასეს სხვადასხვა სიტუაციების საკუთარ გამოცდილებებთან შესაბამისობა. როგორც აღმოჩნდა, ის რესპონდენტები, რომლებიც მარტო ცხოვრობენ (55.9%), შედარებით ხშირად მიუთითებენ, რომ მუშაობენ, რათა დაფარონ საკუთარი საცხოვრებელი ხარჯები, ვიდრე მშობლებთან (43.5%) ან საერთო საცხოვრებელში (34.8%) მცხოვრები სტუდენტები.

მშობლებთან მცხოვრები სტუდენტები (41.4%), საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტებთან (24.7%) შედარებით ხშირად აღნიშნავენ, რომ ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე ვერ შეძლებდნენ ყოფილიყვნენ სტუდენტები.

ამავდროულად, მშობლებთან მცხოვრები რესპონდენტები (48%), მარტო მცხოვრებ სტუდენტებთან (33.3%) შედარებით, უფრო მეტად მიუთითებენ, რომ მუშაობენ, რათა ფინანსურად დაეხმარონ სხვებს.

როგორც ირკვევა, მშობლებთან მცხოვრები რესპონდენტები (66.7%), სხვა ჯგუფებთან შედარებით, ხშირად აღნიშნავენ, რომ მუშაობით შეუძლიათ იყიდონ ნივთები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ შეიძენდნენ. აღნიშნულს ასევე ეთანხმება მარტო (56.4%) და საერთო საცხოვრებელში (52.3) მცხოვრებთა ნახევარზე მეტი. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. ცხრილი #12.5.2)

ცხრილი #12.5.2

რამდენად შეესაბამება ქვემოთ მოცემული დებულებები თქვენს სიტუაციას?		ცხოვრობს მშობლებთან (N=2713)	ცხოვრობს მარტო (N=618)	ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში (N=197)
		%		
მე ვმუშაობ, რათა დავფარო ჩემი საცხოვრებელი ხარჯები	სრულიად შეესაბამება	25.7	43.7	16.9
	2	17.8	12.2	18.0
	3	18.6	22.8	38.2
	4	12.2	4.9	16.9
	საერთოდ არ შეესაბამება	25.8	16.3	10.1
		X^2=64.453; P<0.05	X^2=33.557; P<0.05	X^2=48.180; P<0.05
ჩემი ანაზღაურებადი სამსახურის გარეშე, ვერ შევძლებდი, ყოფილიყავი სტუდენტი	სრულიად შეესაბამება	28.0	30.7	12.4
	2	13.4	12.9	12.4
	3	16.7	24.6	39.3
	4	10.5	6.4	16.9
	საერთოდ არ შეესაბამება	31.4	25.4	19.1
		X^2=34.290; P<0.05	X^2=7.875; P>0.05	X^2=37.361; P<0.05
მე ვმუშაობ იმიტომ, რომ ფინანსურად დავეხმარო სხვებს (ბავშვები, პარტნიორი, მშობლები და ა.შ.)	სრულიად შეესაბამება	29.7	17.4	14.8
	2	18.3	15.9	18.2
	3	24.8	27.3	35.2
	4	9.6	8.3	11.4
	საერთოდ არ შეესაბამება	17.6	31.1	20.5
		X^2=25.144; P<0.05	X^2=27.712; P<0.05	X^2=7.683; P>0.05
ჩემი მუშაობით შემიძლია ვიყიდო ის ნივთები, რომლებსაც სხვა შემთხვევაში ვერ შევიძენდი	სრულიად შეესაბამება	47.8	37.9	18.2
	2	18.9	18.6	34.1
	3	19.2	26.1	30.7
	4	5.4	5.7	11.4
	საერთოდ არ შეესაბამება	8.7	11.7	5.7
		X^2=18.813; P<0.05	X^2=10.086; P<0.05	X^2=28.323; P<0.05

საინტერესოა, რომ მშობლებთან (41.8%), მარტო (45.5%) და საერთო საცხოვრებელში (43.75) მცხოვრები სტუდენტები მიახლოებით თანაბრად მიუთითებენ, რომ ამჟამად ფინანსური პრობლემები აწუხებთ. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დიაგრამა #12.5.2)

დიაგრამა #12.5.2



როგორც აღმოჩნდა, საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტთა (43.8%) შედარებით დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სხვა ოჯახებთან შედარებით მათი ოჯახები ფინანსურად უზრუნველყოფილნი არიან, ვიდრე მარტო მცხოვრები სტუდენტების იგივე კატეგორია (32.6%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (იხ. დიაგრამა #12.5.3)

დიაგრამა #12.5.3



სტუდენტებმა დაასახელეს, თუ რამდენად ხშირად გრძნობენ თავს გარიყულად სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მხრიდან. როგორც აღმოჩნდა, საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტები, სხვა გარემოებებში მცხოვრებ რესპონდენტებთან შედარებით, ხშირად მიუთითებენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან გარიყულობის შეგრძნებაზე. კერძოდ, ეს ჯგუფებია:

- სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტები (ცხოვრობს მშობლებთან-15.4%; ცხოვრობს მარტო - 25%; ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში - 28.2%);
- ოჯახი/პარტნიორი (ცხოვრობს მშობლებთან-13.3%; ცხოვრობს მარტო - 21.9%; ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში - 34.7%);

- მეგობრები (ცხოვრობს მშობლებთან-13.3%; ცხოვრობს მარტო - 19.7%; ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში - 28.1%);
- ზოგადად სხვები (ცხოვრობს მშობლებთან-16.7%; ცხოვრობს მარტო - 22.6%; ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში - 25.5%).

მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილი #12.5.3)

ცხრილი #12.5.3

რამდენად ხშირად გრძნობთ თავს გარიყულად...		ცხოვრობს მშობლებთან (N=2713)	ცხოვრობს მარტო (N=618)	ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში (N=197)
		%		
... თქვენი სასწავლო პროგრამის სხვა სტუდენტებისგან?	ყოველთვის	7.8	9.3	13.6
	2	7.5	15.8	14.7
	3	22.6	22.8	33.3
	4	14.3	12.4	13.6
	არასოდეს	47.7	39.7	24.9
		X^2=28672; P<0.05	X^2=34.433; P<0.05	X^2=41.258; P<0.05
... თქვენი ოჯახისგან/პარტნიორის გან?	ყოველთვის	5.9	9.4	15.3
	2	7.4	12.5	19.4
	3	16.3	21.9	28.2
	4	11.9	9.4	6.5
	არასოდეს	58.5	46.9	30.6
		X^2=33.831; P<0.05	X^2=50.211; P<0.05	X^2=29.291; P<0.05
... თქვენი მეგობრებისგან?	ყოველთვის	6.2	6.9	9.9
	2	7.1	12.8	18.1
	3	19.0	24.9	29.8
	4	13.2	10.0	14.0
	არასოდეს	54.5	45.4	28.1
		X^2=30.497; P<0.05	X^2=35.565; P<0.05	X^2=21.857; P<0.05
... ზოგადად, სხვებისგან?	ყოველთვის	7.5	8.6	15.2
	2	9.1	14.0	10.3
	3	25.0	25.7	33.9
	4	15.1	12.7	9.1

რამდენად ხშირად გრძნობთ თავს გარიყულად...		ცხოვრობს მშობლებთან (N=2713)	ცხოვრობს მარტო (N=618)	ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში (N=197)
		%		
	არასოდეს	43.3	39.0	31.5
		X^2=25.144; P<0.05	X^2=11.258; P<0.05	X^2=27.016; P<0.05

6. სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო მხარდაჭერას იღებენ / არ იღებენ

ანალიზის ფარგლებში გამოიყო ორი ჯგუფი: სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ და სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას არ იღებენ. აღნიშნულ ჭრილში გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირები.

იმ სტუდენტებს შორის, ვინც სახელმწიფო დახმარებას არ იღებს, სტუდენტთა ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ სემესტრის განმავლობაში მუშაობს სრული პერიოდი ან დროდადრო (46.5%), აღემატება ამავე მაჩვენებელს სახელმწიფო მხარდაჭერის მიმღებ სტუდენტებში (39.2%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=45934, p<0.05). (იხ. დიაგრამა #12.6.1)

დიაგრამა #12.6.1



საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტებს შორის, ვინც ასახელებს, რომ სემესტრის განმავლობაში მუშაობს, ის სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას არ იღებენ, შედარებით ხშირად ამბობენ, რომ უპირველეს ყოვლისა არიან სტუდენტები და ამას გარდა მუშაობენ (75.7%), ვიდრე ის რესპონდენტები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ (66.7%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=18472, p<0.05). (იხ. დიაგრამა #12.6.2)

დიაგრამა #12.6.2



ბოლო 12 თვის განმავლობაში არასალექციო პერიოდში მუშაობაზე შედარებით ხშირად მიუთითებენ ის რესპონდენტები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ (56.3%), ვიდრე ისინი, ვინც

სახელმწიფო დახმარებას არ იღებენ (48.5%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=27154, p<0.05). (იხ. დიაგრამა #12.6.3)

დიაგრამა #12.6.3



როგორც ირკვევა, სახელმწიფო დახმარების მიმღები (44.6%) და არმიმღები (41.7%) სტუდენტები დაახლოებით თანაბრად მიუთითებენ ამჟამად ფინანსური პრობლემების გამო წუხილზე. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=20288, p<0.05). (იხ. დიაგრამა #12.6.4)

დიაგრამა #12.6.4



სტუდენტებმა დაასახელეს, საჭიროების შემთხვევაში შეძლებდნენ თუ არა, გადაეხადათ 372 ლარის ოდენობის გაუთვალისწინებელი ხარჯი. იმ სტუდენტებს შორის, ვინც სახელწიფო დახმარებას არ იღებს, დადებით პასუხს აფიქსირებს მეოთხედი (25.7%). ხოლო სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის იმავე მოსაზრებას ადასტურებს სტუდენტთა მეხუთედი (20.4%). მეორე მხრივ, სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის (34.7%) შედარებით დიდი ნაწილი ამბობს, რომ გაუთვალისწინებელ ხარჯს ვერ გაწევდა და ვერც სხვა გადაიხდიდა მის მაგივრად, ვიდრე სახელმწიფოს დახმარების არმიმღები სტუდენტები (28.6%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=26702, p<0.05). (იხ. დიაგრამა #12.6.5)

დიაგრამა #12.6.5



იმ სტუდენტებს შორის, ვინც სახელმწიფო დახმარებას არ იღებს, მიახლოებით მეხუთედია (19.7%) ისეთი, ვისაც დროებით უსწავლია საზღვარგარეთ, მას შემდეგ, რაც პირველად ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. სახელმწიფო მხარდაჭერის მიმღებთა შორის ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია (6.7%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=170539, $p<0.05$). (იხ. დიაგრამა #12.6.6)

დიაგრამა #12.6.6



იმ რესპონდენტებმა, ვისაც საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება აქვს, ასევე დაასახელეს, რომელი სტრუქტურის მიერ იყო ორგანიზებული ეს პროცესი. როგორც სახელმწიფო დახმარების მიმღებთა (31.1%), ასევე არმიმღებთა (30.8%) შორის მიახლოებით მესამედი მიუთითებს ერაზმუსის პროგრამით სარგებლობაზე. მეორე მხრივ, ის სტუდენტები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას არ იღებენ, მნიშვნელოვნად მიუთითებენ ევროკავშირის სხვა პროგრამებით სარგებლობაზე (30.1%). სახელმწიფო დახმარების მიმღებთა შორის შედარებით დიდი ნაწილი მიუთითებს საზღვარგარეთ სწავლების დამოუკიდებლად ორგანიზებაზე (31.1%). მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=15612, $p<0.05$). (იხ. დიაგრამა #12.6.7)

დიაგრამა #12.6.7



როგორც ირკვევა, სახელმწიფო დახმარების მიმღები რესპონდენტები (23.7%) შედარებით ნაკლებად მიუთითებენ მათი მშობლების ფინანსურ უზრუნველყოფაზე, ვიდრე ის სტუდენტები, ვინც სახელმწიფო დახმარებას არ იღებს (29.1%). აღსანიშნავია, რომ როგორც სახელმწიფო დახმარების მიმღები (56.8%), ასევე არმიმღები (50.3%) სტუდენტები უმეტესწილად მიიჩნევენ, რომ მათი მშობლები/მეურვეები ფინანსურად საშუალოდ უზრუნველყოფილნი არიან. მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (X^2=34187, $p<0.05$). (იხ. დიაგრამა #12.6.8)

დიაგრამა #12.6.8



დანართი

დანართი #1 - შერჩევითი ერთობლიობის გადანაწილება

ჯგუფი	დაგეგმილი ინტერვიუების რაოდენობა	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	ცდომილება 95%-იანი სანდოობის დონეზე
რეგიონი			
აჭარა	375	350	5%
თბილისი	2673	2952	2%
იმერეთი	369	315	5%
კახეთი	312	301	5%
სამეგრელო	272	269	4%
სამცხე-ჯავახეთი	316	291	5%
შიდა ქართლი	314	293	5%
სწავლის საფეხური			
ბაკალავრიატი	2964	3257	2%
მაგისტრატურა	376	384	5%
ერთსაფეხურიანი პროგრამა (სამედიცინო, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო)	700	701	4%
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	591	429	4%
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი			
კოლეჯი	290	286	5%
სასწავლო უნივერსიტეტი	600	751	4%
უნივერსიტეტი	3741	3734	2%
სქესი			
მამრობითი	2100	2046	2%
მდედრობითი	2531	2725	2%
ასაკობრივი ჯგუფები			
21 წლამდე ასაკის	1401	2505	2%
22-24 წლის	2217	1400	3%
25-29 წლის	653	624	4%
30 ან მეტი წლის	360	242	6%
საქართველოს მოქალაქეობა			
საქართველოს მოქალაქე	4256	4365	1%

ჯგუფი	დაგეგმილი ინტერვიუების რაოდენობა	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	ცდომილება 95%-იანი სანდოობის დონეზე
საქართველოს მოქალაქეობის არმქონე	375	398	5%
სასწავლო მიმართულება			
<არ არის გაწერილი>	591	344	5%
01 აგრარული მეცნიერებანი	346	437	5%
02 ბიზნესის ადმინისტრირება	371	237	6%
03 განათლება	340	368	5%
04 ინჟინერია	370	355	5%
05 მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	355	371	5%
06 სამართალი	370	385	5%
07 სოციალური მეცნიერებები	373	332	5%
08 ხელოვნება	333	560	4%
09 ჯანდაცვა	448	388	5%
10 ჰუმანიტარული მეცნიერებანი	367	366	5%
11 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	367	628	4%
სულ	**4631**	**4771**	**1.4%**

დანართი #2 - კვლევაში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

#	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	რესპონდენტთა რაოდენობა
1	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	667
2	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	415
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	283
4	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	305
5	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	270
6	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	2
7	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	286
8	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	33
9	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	294
10	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	293
11	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	65
12	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	52
13	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	55
14	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	21
15	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	83
16	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	70
17	შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	38
18	შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	59
19	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	61
20	შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	13
21	შპს - ალტე უნივერსიტეტი	3
22	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	70
23	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	21
24	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	107
25	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	2

#	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	რესპონდენტთა რაოდენობა
26	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	32
27	სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	17
28	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	4
29	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	17
30	შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	13
31	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“	6
32	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	17
33	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	248
34	შპს - თბილისის თავისუფალი აკადემია	46
35	შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	19
36	შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	63
37	შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	12
38	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	12
39	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	1
40	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი	5
41	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	24
42	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	282
43	ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია	12
44	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი	34
45	ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია	20
46	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია	7
47	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი	72
48	შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი- ნიუ უნი	149
49	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	9

#	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	რესპონდენტთა რაოდენობა
50	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია	3
51	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	4
52	შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი	6
53	ა(ა)იპ - ახალი საქართველოს უნივერსიტეტი	21
54	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია	9
55	შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	24
56	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	6
57	შპს - მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“	6
58	შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	3
სულ		**4771**

დანართი #3 - მონაცემების შეწონვის მოდელი

მონაცემების შეწონვაში ჩართულია რეგიონის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის, სასწავლო საფეხურის, საგანმანათლებლო (სასწავლო) მიმართულების, სქესის, ასაკის, საქართველოს მოქალაქეობის ზომები.

$N_{s,u}$ - s-ური სტრატის u - უნივერსიტეტის ზომა.

$N_{s,q}$ - s-ური სტრატის q - ქვესტრატის (სასწავლო მიმართულების) ზომა.

$N_{s,u,q}$ - s-ური სტრატის u - უნივერსიტეტის და q - ქვესტრატის ზომა.

n_s - s-ური სტრატში გამოპასუხების რაოდენობა.

$n_{s,u}$ - s-ური სტრატის u - უნივერსიტეტში გამოპასუხების რაოდენობა.

$n_{s,u,q}$ - s-ური სტრატის u - უნივერსიტეტში და q - ქვესტრატაში გამოპასუხების რაოდენობა.

S- ური სტრატის q – ქვესტრატის რესპოდენტის შერჩევაში მოხვედრის ალბათობა ტოლია:

$$P(q|s,u) = \frac{n_{s,u,q}}{N_{s,u,q}}$$

s-ური სტრატის u - უნივერსიტეტის და q – ქვესტრატის წონა ტოლი იქნება:

$$W_{s,u,q} = \frac{1}{P(s,u,q)} = \frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}}$$

სტრატაში სტუდენტების რაოდენობა ქვესტრატებისთვის: $N_{s,q}^{est} = \sum_u W_{s,u,q} \times n_{s,u,q}$

s-ური სტრატის q - ქვესტრატის კორექტირებული წონა:

$$W_{s,q} = \frac{N_{s,q}}{N_{s,q}^{est}}$$

შესაბამისად, s-ური სტრატის u - უნივერსიტეტის და q – ქვესტრატის წონა ტოლი იქნება:

$$W_{s,u,q} = \frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}} \times \frac{N_{s,q}}{N_{s,q}^{est}}$$

დანართი #4 - ISCED-ის კლასიფიკაცია

სასწავლო მიმართულებები:

სასწავლო მიმართულებები	
Agriculture	აგრარული მეცნიერებანი
Business and administration	ბიზნესის ადმინისტრირება
Education	განათლება
Engineering	ინჟინერია
Natural sciences, mathematics and statistics	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
Law	სამართალი
Social sciences	სოციალური მეცნიერებები
Arts	ხელოვნება
Health	ჯანდაცვა
Humanities	ჰუმანიტარული მეცნიერებანი
Interdisciplinary Specialties	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები

სასწავლო საფეხურები:

სასწავლო საფეხურები	
Primary education (ISCED 0, 1,2)	დაწყებითი განათლება
Basic general education (ISCED 0, 1,2)	საბაზო ზოგადი განათლება
Secondary general education (ISCED 3)	საშუალო ზოგადი განათლება
Basic Vocational education (ISCED 3)	საბაზო პროფესიული განათლება
Secondary Vocational Education (ISCED 4)	საშუალო პროფესიული განათლების პროგრამა
Higher Vocational Education (ISCED 4)	უმაღლესი პროფესიული განათლება
Bachelor degree (ISCED 6)	ბაკალავრიატი
Georgian Language Educational Program (ISCED 6)	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
Teachers' Training Educational Program (ISCED 6)	მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
Master degree (ISCED 7)	მაგისტრატურა
One Stage Medical Program (ISCED 7)	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
Teachers' Training Integrated Bachelor-Master Program (ISCED 7)	მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
PhD (ISCED 8)	დოქტორანტურა

დანართი #5 - სასწავლო მიმართულებები და ქვედარგები

დასახელება	რესპონდენტთა რაოდენობა
აგრარული მეცნიერებანი	**344**
0101 აგრონომია	180
0102 ვეტერინარია	20
0103 მეცხოველეობა	2
0104 სასურსათო ტექნოლოგია	138
0105 სატყეო საქმე	2
0106 სატყეო მეცნიერება	2
ბიზნესის ადმინისტრირება	**437**
0201 საბუღალტრო აღრიცხვა	43
0202 მარკეტინგი	51
0203 მენეჯმენტი	217
0204 ფინანსები	126
განათლება	**237**
0301 განათლების მეცნიერებები	108
0302 მასწავლებლის განათლება	129
ინჟინერია	**368**
0401 კომპიუტინგი/ინფორმატიკა	63
0402 ტელეკომუნიკაცია	9
0403 ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები	5
0404 საინჟინრო ფიზიკა	4
0405 ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	18
0406 მშენებლობა	137
0407 ტრანსპორტი	12
0408 მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია	19
0409 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია	11
0410 ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია	15
0411 მეტალურგია	1
0412 მასალათამცოდნეობა	7
0413 გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება	6
0414 სამთო და გეოინჟინერია	2
0415 აგროინჟინერია	2
0416 საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია	36
0417 საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა	1
0418 კომპიუტერული ინჟინერია	9
0419 საზღვაო ინჟინერია	4
0420 საზღვარო ელექტროინჟინერია	1
0421 სამოქალაქო ინჟინერია	6
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	**355**
0501 მათემატიკა	51
0502 ფიზიკა	15

დასახელება	რესპონდენტთა რაოდენობა
0503 ქიმია	19
0504 ბიოლოგია / სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი / გამოყენებითი ბიომეცნიერებები	133
0505 გეოგრაფია	27
0506 გეოლოგია	8
0507 საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგთაშორისი, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	85
0508 ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია	17
სამართალი	**371**
0601 სამართალმცოდნეობა	249
0602 საერთაშორისო სამართალი	10
0603 კერძო/ბიზნეს სამართალი	15
0604 სისხლის სამართალი	52
0605 საჯარო სამართალი	45
სოციალური მეცნიერებები	**385**
0701 ეკონომიკა	40
0702 პოლიტიკის მეცნიერება	39
0703 მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა	40
0705 საერთაშორისო ურთიერთობები	124
0706 სოციოლოგია	49
0707 ფსიქოლოგია	85
0708 კულტურული მემკვიდრეობა	8
ხელოვნება	**332**
0801 აუდიოვიზუალური ხელოვნება	57
0802 მედიახელოვნება	38
0803 დიზაინი	65
0804 თეატრალური ხელოვნება	21
0805 სამუსიკო ხელოვნება	80
0806 სახვითი ხელოვნება	53
0807 ქორეოგრაფიული ხელოვნება	18
ჯანდაცვა	**560**
0901 მედიცინა	383
0902 სტომატოლოგია	90
0903 ფარმაცია	56
0904 საზოგადოებრივი ჯანდაცვა	13
0905 საექთნო საქმე (ექთანი/ბებია ქალი)	2
0906 ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	16
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	**388**
1002 ეთნოლოგია	3
1003 თეოლოგია	1
1004 ისტორია	81

დასახელება	რესპონდენტთა რაოდენობა
1005 ფილოლოგია, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	277
1006 ფილოსოფია	15
1007 ხელოვნებათმცოდნეობა/ხელოვნების ისტორია და თეორია	11
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	**366**
1101 არქიტექტურა	28
1102 ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა	3
1103 კულტურის კვლევები	4
1104 რეგიონმცოდნეობა, მათ შორის ქვედარგის/სპეციალიზაციის შესაბამისი მოდიფიცირებით	10
1105 ანთროპოლოგია	10
1107 სოციალური მუშაობა	5
1108 თავისუფალი მეცნიერებები	2
1109 საჯარო მმართველობა	42
1110 საზღვაოსნო მეცნიერება	4
1113 თავდაცვა და უსაფრთხოება	1
1114 სამხედრო მეცნიერება, შესაბამისი ქვედარგის/სპეციალიზაციის დაკონკრეტებით	2
1115 არქეოლოგია	1
1118 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერება, ქვედარგის / სპეციალიზაციის დაკონკრეტებით	7
1120 ტურიზმი	77
1121 ჯანმრთელობის მეცნიერებები	56
1124 ციფრული ჰუმანიტარია	11
(ქვედარგის მითითების გარეშე)	103
<არ არის გაწერილი>	**628**
სულ	**4771**

დანართი #6

ამჟამად **რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (N=4771)** 1=ძალიან დადებითი გავლენა 3=არანაირი გავლენა 5=ძალიან უარყოფითი გავლენა		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მიმართულება	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
		%											
სწავლის ხანგრძლივობაზე (X^2=168.172; P<0.05)	1	8.6	7.5	13.6	7.3	4.9	7.3	3.8	7.4	6.8	3.8	5.6	7.4
	2	18.0	17.1	17.9	8.6	10.3	10.0	9.7	10.6	11.2	15.5	13.2	7.4
	3	38.3	37.0	33.7	38.6	36.4	34.3	41.2	45.7	49.2	29.3	43.3	40.0
	4	18.8	22.3	20.7	27.6	30.4	25.8	29.7	19.1	23.4	30.5	23.1	25.3
	5	16.4	16.1	14.1	17.9	17.9	22.7	15.6	17.0	9.4	20.8	14.8	20.0
სწავლასთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე (X^2=118.028; P<0.05)	1	15.6	12.1	13.1	10.8	11.4	13.5	8.9	17.0	14.0	13.2	11.3	15.6
	2	20.3	16.1	26.2	12.6	18.5	15.2	15.3	10.6	18.5	11.8	15.6	11.5
	3	37.5	38.5	36.1	37.7	29.9	37.2	46.1	43.6	41.9	42.1	44.6	38.5
	4	18.0	23.3	14.8	25.2	29.9	24.5	20.0	18.1	21.1	20.3	22.6	22.9
	5	8.6	9.9	9.8	13.7	10.3	9.6	9.7	10.6	4.5	12.6	5.9	11.5
მოტივაციაზე, სტუდენტები არ ჩამორჩენენ ზსწავლას (X^2=111.625; P<0.05)	1	19.0	12.0	12.5	11.3	7.6	11.8	9.8	12.6	14.9	10.6	11.0	11.6
	2	14.3	12.3	15.2	10.0	15.7	8.7	10.3	10.5	13.5	12.3	7.2	8.4
	3	38.9	36.5	32.6	31.0	29.7	30.9	37.4	37.9	36.2	30.2	45.3	35.8
	4	16.7	20.9	20.1	24.5	24.9	24.5	24.4	21.1	20.2	25.2	26.0	23.2
	5	11.1	18.3	19.6	23.2	22.2	24.1	18.2	17.9	15.2	21.7	10.5	21.1
სწავლების ხარისხზე (X^2=124.172; P<0.05)	1	15.7	12.0	12.0	6.6	7.6	11.2	5.6	10.5	10.0	12.9	9.7	10.5
	2	15.7	10.0	16.9	10.9	14.7	13.5	10.9	9.5	15.0	13.5	18.5	12.6
	3	36.2	28.7	31.1	29.4	19.0	27.8	34.5	35.8	29.0	28.2	29.8	27.4
	4	20.5	30.9	24.6	32.1	35.3	28.8	37.4	28.4	32.1	27.9	29.0	32.6
	5	11.8	18.3	15.3	21.0	23.4	18.7	11.6	15.8	13.8	17.4	13.1	16.8
სხვა სტუდენტებთან კონტაქტზე (X^2=178.122; P<0.05)	1	13.4	9.4	13.5	9.3	10.9	7.9	6.2	10.6	13.9	13.5	9.4	13.7
	2	17.3	7.5	13.5	7.7	8.7	8.3	6.4	9.6	11.4	7.1	10.2	9.5
	3	31.5	24.9	25.9	26.9	25.1	28.6	18.5	36.2	29.8	26.5	36.6	25.3
	4	15.7	25.7	24.3	26.5	27.3	25.9	34.5	16.0	25.4	22.6	18.3	25.3
	5	22.0	32.5	22.7	29.6	27.9	29.3	34.5	27.7	19.5	30.3	25.5	26.3
სწავლისა და სხვა პასუხისმგებლობების დაბალანსებაზე (X^2=130.469; P<0.05)	1	16.5	12.9	13.6	9.7	8.1	14.1	11.3	11.6	12.2	19.1	23.9	14.6
	2	17.3	11.0	14.7	13.9	14.6	11.2	14.2	9.5	15.4	7.6	11.0	11.5
	3	38.6	34.6	39.7	34.2	31.9	37.0	39.5	43.2	38.5	32.1	39.1	37.5
	4	16.5	26.6	22.3	24.7	31.9	23.7	23.6	21.1	24.7	26.2	18.8	22.9
	5	11.0	14.8	9.8	17.6	13.5	13.9	11.3	14.7	9.1	15.0	7.2	13.5
პროფესიულ უნარ-ჩვევებზე (X^2=98.959; P<0.05)	1	14.2	9.7	12.0	9.8	8.7	10.6	5.3	9.6	11.8	13.8	9.1	10.5
	2	14.2	14.2	15.8	9.8	15.2	12.2	10.7	10.6	13.5	12.9	13.7	14.7
	3	38.6	37.3	34.2	35.5	30.4	35.2	35.6	41.5	36.0	31.7	46.6	35.8
	4	21.3	26.0	23.9	28.4	27.2	25.1	33.9	23.4	25.1	22.0	22.0	25.3
	5	11.8	12.8	14.1	16.4	18.5	17.0	14.5	14.9	13.6	19.6	8.6	13.7
	1	13.4	8.3	12.5	6.8	4.9	3.7	5.6	9.6	9.5	5.0	8.3	10.3

<u>ამჟამად</u> რამდენად განიცდით კოვიდ-19 პანდემიის დადებით ან უარყოფით გავლენას... (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (N=4771) 1=ძალიან დადებითი გავლენა 3=არანაირი გავლენა 5=ძალიან უარყოფითი გავლენა		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მიმართულებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათამშრომისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
		%											
სწავლის საფასურის გადახდაზე (X^2=177.712; P<0.05)	2	14.2	4.3	9.2	10.0	9.8	6.2	5.0	3.2	10.0	12.6	7.3	6.2
	3	53.5	49.8	57.6	55.8	56.5	51.6	53.3	53.2	45.8	50.3	58.3	56.7
	4	7.1	14.0	9.2	11.9	13.6	17.2	19.8	19.1	20.3	11.8	13.7	12.4
	5	11.8	23.6	11.4	15.5	15.2	21.3	16.3	14.9	14.4	20.3	12.4	14.4
დასაქმებაზე/სამსახურებრივ მდგომარეობაზე (X^2=208.314; P<0.05)	1	15.1	13.7	10.9	11.9	10.9	9.5	7.6	10.6	8.6	8.8	13.4	13.5
	2	15.1	12.8	13.6	13.3	12.5	8.9	12.6	7.4	6.0	15.6	7.2	12.5
	3	42.9	35.3	48.4	41.3	46.2	38.8	41.1	48.9	57.7	35.3	55.5	44.8
	4	15.9	22.8	16.8	18.1	16.8	20.1	22.7	14.9	14.4	15.6	12.1	14.6
	5	11.1	15.3	10.3	15.4	13.6	22.6	16.0	18.1	13.2	24.7	11.8	14.6
საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევაზე (X^2=142.677; P<0.05)	1	15.0	11.8	12.5	6.6	10.9	6.8	7.4	12.8	7.5	8.5	15.0	12.6
	2	23.6	11.2	16.3	14.6	14.7	18.0	13.9	8.5	11.8	14.4	8.0	10.5
	3	36.2	34.4	30.4	38.0	39.7	36.9	37.6	42.6	38.9	39.1	47.5	41.1
	4	11.8	21.2	22.3	23.6	19.0	18.0	23.0	17.0	26.0	14.4	13.1	17.9
	5	13.4	21.4	18.5	17.2	15.8	20.1	18.1	19.1	15.8	23.5	16.4	17.9

დანართი #7

ზოგადად, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (N=4771) 1=სავსებით ვეთანხმები 5=სრულიად არ ვეთანხმები		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მიმართულებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მიმართულებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
		%											
ჩვეულებრივ, ლექტორები მაძლევენ სასარგებლო უკუკავშირს ჩემს სწავლასთან დაკავშირებით (X^2=177.159; P<0.05)	1	32.3	38.0	34.2	27.0	27.2	44.5	31.2	40.0	27.9	41.2	32.0	35.4
	2	26.8	20.9	28.3	21.4	22.8	17.7	34.5	18.9	28.9	21.2	25.8	24.0
	3	29.1	21.5	27.7	31.6	27.7	20.6	19.1	24.2	24.0	20.9	31.7	28.1
	4	5.5	11.6	7.6	10.4	11.4	11.2	9.1	10.5	10.5	7.9	4.0	7.3
	5	6.3	8.0	2.2	9.7	10.9	6.0	6.2	6.3	8.6	8.8	6.5	5.2
ლექტორები მაძლევენ მოტივაციას, რათა ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო (X^2=139.926; P<0.05)	1	32.3	34.9	34.8	29.6	21.7	38.7	23.5	35.8	30.1	41.2	31.9	32.3
	2	27.6	23.9	25.0	21.4	25.0	21.6	28.9	22.1	24.6	20.3	22.0	21.9
	3	27.6	28.2	22.3	29.3	27.7	18.5	28.2	21.1	21.8	19.7	28.7	25.0
	4	9.4	5.1	11.4	12.2	16.8	13.5	12.4	14.7	11.3	11.2	11.8	12.5
	5	3.1	7.8	6.5	7.5	8.7	7.7	7.0	6.3	12.2	7.6	5.6	8.3
ლექტორები საკითხებს/თემებს ძალიან კარგად ხსნიან (X^2=191.012; P<0.05)	1	37.5	40.2	40.8	30.5	26.1	46.2	37.4	42.1	26.8	44.2	28.5	34.4
	2	31.3	25.2	25.0	22.3	29.3	22.4	32.4	18.9	26.6	24.6	27.4	26.0
	3	26.6	24.6	21.7	32.5	26.1	19.3	23.3	23.2	26.3	19.6	30.4	29.2
	4	3.1	6.4	8.7	8.8	12.5	8.5	5.0	9.5	12.1	7.9	10.8	7.3
	5	1.6	3.7	3.8	6.0	6.0	3.7	1.8	6.3	8.2	3.8	3.0	3.1
ბევრ ისეთ სტუდენტს ვიცნობ, რომლებთანაც კურსებთან დაკავშირებული შეკითხვები შემიძლია განვიხილო (X^2=119.280; P<0.05)	1	36.7	33.0	39.3	28.5	28.8	42.5	26.2	40.0	32.4	39.4	30.1	29.8
	2	22.7	26.8	25.7	19.4	24.5	19.9	25.6	20.0	27.0	17.9	19.9	20.2
	3	29.7	23.6	24.0	27.4	26.1	19.1	26.8	21.1	24.9	25.0	32.0	26.6
	4	7.8	7.8	8.2	14.8	10.3	11.4	12.4	9.5	9.1	9.1	9.9	16.0
	5	3.1	8.9	2.7	9.9	10.3	7.1	9.1	9.5	6.6	8.5	8.1	7.4
ჩემს მიმდინარე (ძირითად) სასწავლო პროგრამას რეკომენდაციას გავუწევდი (X^2=154.176; P<0.05)	1	42.5	41.5	47.3	37.3	29.0	46.3	43.1	35.8	32.7	43.5	29.2	40.0
	2	22.0	24.6	24.5	19.4	22.4	22.0	26.6	18.9	27.1	22.6	28.7	23.2
	3	27.6	21.7	17.9	27.1	27.9	16.0	21.2	28.4	25.2	17.1	28.4	23.2
	4	5.5	4.0	4.9	9.0	13.1	9.5	6.1	6.3	7.2	5.6	9.1	7.4
	5	2.4	8.1	5.4	7.3	7.7	6.2	3.0	10.5	7.8	11.2	4.6	6.3
ხშირად მაქვს განცდა, რომ უმაღლეს განათლებაში ჩემი ადგილი არ არის (X^2=101.255; P<0.05)	1	13.4	9.3	12.6	6.9	7.1	11.4	5.3	10.5	8.4	6.8	6.2	10.4
	2	15.7	7.2	10.9	8.6	8.7	5.8	5.9	10.5	8.0	7.9	6.5	8.3
	3	19.7	15.9	13.1	22.1	20.1	14.3	15.6	14.7	15.3	13.5	21.8	16.7
	4	8.7	13.2	12.0	9.7	12.0	12.7	15.6	14.7	10.5	14.1	16.7	11.5
	5	42.5	54.4	51.4	52.7	52.2	55.7	57.6	49.5	57.8	57.6	48.9	53.1
ყოველთვის ნათელი იყო, რომ ერთ დღესაც უმაღლეს საგანმანათლებლო	1	59.1	65.8	62.8	53.2	58.2	68.3	72.8	57.4	71.6	67.4	57.9	64.6
	2	18.1	16.1	14.8	12.6	17.9	12.2	12.9	12.8	10.5	15.3	16.4	13.5
	3	16.5	12.3	16.4	21.2	13.6	13.5	11.5	16.0	12.6	11.5	19.3	16.7
	4	3.9	2.9	2.7	6.8	7.1	3.3	2.1	7.4	2.2	3.5	5.1	3.1

ზოგადად, რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს თქვენს სწავლასთან დაკავშირებით? (სასწავლო მიმართულებების ჭრილში) (N=4771) 1=სავსებით ვეთანხმები 5=სრულიად არ ვეთანხმები		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მიმართულება	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მიმართულება	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
		%											
დაწესებულებაში ვისწავლიდი (X^2=157.242; P<0.05)	5	2.4	3.0	3.3	6.2	3.3	2.7	0.8	6.4	3.1	2.4	1.3	2.1
სერიოზულად ვფიქრობ, რომ საერთოდ თავი დავანებო უმაღლესში სწავლას (X^2=173.762; P<0.05)	1	14.2	7.0	10.8	6.4	8.2	12.0	3.3	10.5	11.3	4.7	6.5	9.4
	2	9.4	6.4	8.6	9.3	7.1	6.4	4.5	7.4	6.2	5.6	3.5	7.3
	3	21.3	12.7	17.8	17.9	19.6	14.1	11.3	15.8	11.7	8.8	22.0	15.6
	4	6.3	9.2	13.0	10.9	12.0	10.6	11.6	9.5	7.1	17.1	9.7	9.4
	5	48.8	64.6	49.7	55.5	53.3	56.8	69.1	56.8	63.8	63.8	58.3	58.3

დანართი #8

გთხოვთ, გვითხრათ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებებს (სასწავლო მიმართულების ჭრილში) (N=4771) 1=სავსებით ვეთანხმები 5=საერთოდ არ ვეთანხმები		აგრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
		%											
საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს ჩემს აკადემიურ წარმატებაზე (X^2=109.881; P<0.05)	1	35.2	36.4	37.5	25.4	20.7	31.8	28.0	34.7	27.9	32.4	29.8	32.3
	2	24.2	22.2	22.3	23.0	21.7	18.3	25.6	20.0	24.8	19.2	24.2	24.0
	3	25.0	24.4	26.1	27.2	25.5	28.7	25.7	26.3	23.4	27.4	25.5	27.1
	4	9.4	9.4	2.2	10.6	16.3	13.9	12.4	8.4	12.9	7.7	14.0	9.4
	5	6.3	7.7	12.0	13.7	15.8	7.3	8.3	10.5	11.1	13.3	6.5	7.3
ჩემი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობს ჩემს არასასწავლო/სოციალურ ჩართულობას (X^2=191.298; P<0.05)	1	28.3	30.3	30.4	16.1	15.2	23.7	20.1	23.4	15.9	25.9	22.3	23.2
	2	21.3	24.4	18.5	20.8	21.2	16.0	21.9	20.2	20.1	22.6	17.7	22.1
	3	30.7	25.8	29.9	36.1	30.4	27.2	23.3	35.1	32.4	23.5	34.9	29.5
	4	8.7	9.1	8.2	11.9	12.5	14.9	20.1	8.5	12.9	8.2	15.8	12.6
	5	11.0	10.4	13.0	15.1	20.7	18.3	14.5	12.8	18.8	19.7	9.4	12.6
ლექტორები სასწავლო კურსის ფარგლებში მიზიარებენ დამატებით წყაროებს (X^2=109.196; P<0.05)	1	35.9	42.4	46.2	30.8	29.0	44.6	40.4	40.4	33.4	40.4	30.8	38.5
	2	29.7	24.6	22.3	25.9	25.7	20.1	28.0	19.1	23.7	26.0	29.8	25.0
	3	24.2	18.2	15.2	26.8	25.7	23.7	17.5	26.6	24.8	18.9	29.2	22.9
	4	5.5	8.1	9.2	8.2	9.3	6.4	8.5	7.4	10.3	7.4	4.8	8.3
	5	4.7	6.7	7.1	8.4	10.4	5.2	5.6	6.4	7.8	7.4	5.4	5.2
საუნივერსიტეტო რესურსები საშუალებას მაძლევს დამოუკიდებლად გავეცნო ჩემთვის საინტერესო დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას/კვლევებს (X^2=179.411; P<0.05)	1	38.1	47.4	37.8	29.1	25.4	45.9	43.0	34.0	34.0	44.7	31.7	35.4
	2	27.8	20.6	21.1	24.5	23.2	17.0	29.0	20.2	24.2	22.4	25.8	24.0
	3	24.6	15.6	21.1	26.9	27.6	19.9	15.7	27.7	23.8	17.4	26.9	24.0
	4	4.0	7.3	12.4	9.1	10.8	12.7	8.8	9.6	10.4	7.1	9.7	8.3
	5	5.6	9.1	7.6	10.4	13.0	4.6	3.5	8.5	7.6	8.5	5.9	8.3

დანართი #9

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (N=4771) 1=სრულიად უწყობს ხელს 5=საერთოდ არ უწყობს ხელს 77=ვერ ვაფასებ		ადრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მიმართულებანი	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მიმართულებანი	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
		%											
აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (X^2=300.933; P<0.05)	1	31.5	39.7	32.8	25.9	23.9	36.0	47.4	27.7	25.8	38.9	25.4	26.3
	2	22.0	23.6	31.7	16.2	17.9	15.4	26.0	14.9	18.9	18.7	18.4	21.1
	3	25.2	18.5	18.6	25.9	25.0	22.5	17.1	22.3	27.6	20.5	27.5	23.2
	4	7.1	6.9	2.2	9.9	10.3	9.8	3.6	7.4	10.4	6.1	10.4	8.4
	5	3.9	2.9	4.9	4.4	7.6	5.6	2.1	4.3	5.7	4.4	3.2	4.2
	77	10.2	8.5	9.8	17.7	15.2	10.8	3.8	23.4	11.6	11.4	15.0	16.8
საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა (X^2=322.244; P<0.05)	1	41.3	43.2	36.4	27.0	27.7	42.7	49.8	36.2	23.3	43.7	25.6	33.3
	2	19.8	21.4	26.1	25.0	23.4	17.0	22.1	19.1	22.8	21.4	25.6	22.9
	3	27.0	19.1	23.9	22.0	22.3	22.4	18.6	20.2	33.2	20.8	27.5	22.9
	4	4.0	6.9	3.3	12.6	13.0	8.3	3.5	8.5	10.3	3.5	9.2	10.4
	5	1.6	1.8	6.0	3.5	6.0	5.0	2.1	4.3	7.2	3.5	5.7	4.2
	77	6.3	7.7	4.3	10.0	7.6	4.8	3.8	11.7	3.3	7.0	6.5	6.3
კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (X^2=249.594; P<0.05)	1	37.8	42.3	37.5	25.5	27.7	41.0	45.5	33.7	27.5	44.4	27.2	32.3
	2	21.3	23.0	27.2	23.4	20.1	22.7	28.3	16.8	27.4	17.1	25.3	25.0
	3	25.2	19.6	22.3	25.7	28.8	16.4	16.5	23.2	26.3	23.5	28.0	21.9
	4	7.1	5.3	7.1	11.7	11.4	11.2	4.8	8.4	9.3	7.4	7.0	8.3
	5	2.4	2.7	3.3	4.4	6.5	5.6	2.7	4.2	4.2	2.1	7.5	5.2
	77	6.3	7.2	2.7	9.3	5.4	3.1	2.1	13.7	5.3	5.6	5.1	7.3
სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (X^2=248.014; P<0.05)	1	35.4	38.4	37.9	23.2	24.9	33.7	40.2	27.1	22.4	33.1	23.9	30.9
	2	23.6	22.8	21.4	20.1	23.2	17.2	27.1	15.6	23.4	16.4	24.5	19.1
	3	24.4	21.9	25.3	28.5	28.1	27.7	19.5	20.8	31.0	26.4	27.7	25.5
	4	5.5	6.5	7.7	11.5	11.4	5.6	5.7	9.4	13.2	7.0	8.3	10.6
	5	3.9	3.7	5.5	4.4	7.0	4.6	1.7	5.2	3.6	5.6	5.6	3.2
	77	7.1	6.7	2.2	12.4	5.4	11.2	5.7	21.9	6.4	11.4	9.9	10.6
პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (X^2=139.832; P<0.05)	1	33.3	36.9	41.8	26.1	20.8	33.7	28.4	33.7	25.3	35.0	21.8	30.5
	2	23.0	21.5	20.1	20.7	19.1	22.2	23.3	17.9	22.5	16.8	25.8	24.2
	3	25.4	19.4	19.0	25.6	25.7	22.9	24.8	22.1	25.2	20.6	29.8	23.2
	4	5.6	8.3	9.2	12.6	15.3	9.8	10.9	9.5	13.1	9.4	9.1	8.4
	5	4.8	6.1	6.0	4.4	10.9	7.7	6.4	5.3	6.7	6.2	4.3	5.3
	77	7.9	7.8	3.8	10.6	8.2	3.7	6.2	11.6	7.2	12.1	9.1	8.4
გუნდური მუშაობა (X^2=175.602; P<0.05)	1	37.3	40.9	45.9	29.4	24.5	36.8	36.8	36.2	29.2	38.2	30.0	34.7
	2	19.0	21.8	19.5	19.2	16.3	19.3	30.0	18.1	24.3	19.7	24.7	22.1
	3	28.6	20.5	18.4	23.8	29.3	22.9	18.2	21.3	25.6	19.4	22.8	22.1
	4	6.3	8.0	7.6	13.3	12.5	9.4	8.2	8.5	10.3	9.1	12.3	10.5
	5	3.2	2.5	5.9	4.6	9.2	6.0	3.5	4.3	6.2	5.0	1.3	5.3
	77	5.6	6.2	2.7	9.7	8.2	5.6	3.3	11.7	4.5	8.5	8.8	5.3
	1	35.2	39.2	41.3	27.2	27.2	39.2	46.7	40.0	30.2	45.7	29.0	32.3
	2	22.7	28.4	25.0	18.5	20.1	22.8	28.4	15.8	26.3	17.3	25.2	24.0

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა პირდაპირ ან ირიბად შემდეგი უნარების განვითარებას (N=4771) 1=სრულიად უწყობს ხელს 5=საერთოდ არ უწყობს ხელს 77=ვერ ვაფასებ		ადრარული მეცნიერებანი	ბიზნესის ადმინისტრირება	განათლება	ინჟინერია	მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მიმართულება	სამართალი	სოციალური მეცნიერებები	ხელოვნება	ჯანდაცვა	ჰუმანიტარული მიმართულება	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არ არის გაწერილი
		%											
აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (X^2=233.667; P<0.05)	3	25.8	18.0	20.1	29.4	27.2	23.0	15.9	24.2	25.0	15.5	25.2	20.8
	4	7.8	6.2	8.2	11.2	9.8	6.6	3.9	7.4	8.8	11.1	9.9	10.4
	5	2.3	2.2	3.3	4.2	6.0	3.5	2.7	4.2	4.6	2.1	6.2	4.2
	77	6.3	5.9	2.2	9.5	9.8	4.8	2.3	8.4	5.1	8.2	4.6	8.3
განსხვავებული სოციალური ფონის (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ.) მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (X^2=322.641; P<0.05)	1	40.9	46.9	55.1	31.9	33.0	51.1	58.1	38.9	38.3	50.4	29.2	42.7
	2	22.8	20.7	15.7	21.2	20.0	15.4	17.9	14.7	21.5	12.9	21.4	20.8
	3	22.8	17.9	15.7	22.3	22.7	12.1	14.7	22.1	20.8	17.6	27.6	18.8
	4	5.5	4.0	8.1	10.6	7.6	12.5	2.3	9.5	8.4	7.0	5.9	6.3
	5	1.6	3.0	3.2	2.7	6.5	4.2	0.8	2.1	6.2	3.2	9.1	1.0
	77	6.3	7.5	2.2	11.2	10.3	4.8	6.4	12.6	4.9	8.8	6.7	10.4
კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (X^2=190.124; P<0.05)	1	34.6	37.8	34.1	22.9	22.7	35.6	30.7	26.3	21.4	32.4	21.3	31.6
	2	22.8	19.1	18.4	17.9	18.4	20.6	26.1	17.9	27.1	15.0	23.7	20.0
	3	27.6	20.9	29.7	30.0	24.3	24.3	19.8	24.2	26.1	20.3	27.2	23.2
	4	6.3	8.0	7.0	10.6	14.1	9.1	7.4	8.4	10.4	12.4	8.1	8.4
	5	2.4	3.3	5.9	5.9	8.1	5.2	5.1	4.2	6.3	7.4	8.9	5.3
	77	6.3	10.8	4.9	12.8	12.4	5.2	10.9	18.9	8.7	12.6	10.8	11.6
ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (X^2=192.548; P<0.05)	1	34.6	37.3	32.6	26.5	21.7	38.3	40.7	34.0	26.0	37.6	24.9	31.6
	2	19.7	19.3	25.0	19.2	21.2	22.5	25.0	21.3	23.7	17.9	21.9	25.3
	3	28.3	26.0	21.7	28.1	28.8	24.3	21.0	21.3	23.5	21.5	29.4	22.1
	4	7.1	5.9	11.4	11.5	10.9	4.8	5.7	10.6	12.3	10.6	8.6	7.4
	5	4.7	3.2	3.3	4.0	8.2	7.3	2.1	2.1	7.2	5.3	6.7	5.3
	77	5.5	8.3	6.0	10.8	9.2	2.9	5.4	10.6	7.3	7.1	8.6	8.4

დანართი #10

რამდენად უწყობს ხელს თქვენი სასწავლო პროგრამა შემდეგი უნარების განვითარებას (სასწავლო საფეხურის ჭრილში)(N=4771) (%) 1=სრულიად უწყობს ხელს 5=სრულიად არ უწყობს ხელს 6=ვერ ვაფასებ		აკადემიური სტანდარტების დაცვით წერა (X^2=58.748; P<0.05)	საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ და არგუმენტირებულად გადმოცემა X^2=87.365; P<0.05)	კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება (X^2=117.713; P<0.05)	სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი (X^2=48.678; P<0.05)	პროფესიით დასაქმებასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების შეძენა (X^2=84.369; P<0.05)	გუნდური მუშაობა (X^2=37.010; P<0.05)	აკადემიური ღირებულებებისა და ეთიკის დაცვა (X^2=43.855; P<0.05)	განსხვავებული სოციალური ფონის მქონე ადამიანების მოსაზრებების პატივისცემა/გაგება (X^2=43.855; P<0.05)	კრიზისულ სიტუაციებში ორიენტაცია (X^2=44.327; P<0.05)	ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქედ ყოფნა (X^2=49.722; P<0.05)
ბაკალავრიატი	1	35.7	39.2	37.5	33.2	31.5	35.7	38.3	45.8	30.9	34.9
	2	20.7	22.1	23.7	21.6	22.1	23.0	23.4	18.7	20.4	21.3
	3	21.0	21.5	21.0	24.9	23.4	20.8	21.4	17.8	23.3	24.6
	4	7.3	7.1	8.1	7.2	9.6	9.7	7.3	6.8	8.9	7.4
	5	4.1	3.5	3.9	3.8	5.8	4.1	3.4	3.2	5.5	4.4
	6	11.3	6.6	5.9	9.3	7.6	6.7	6.2	7.7	10.9	7.4
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	1	32.6	35.6	37.0	29.1	29.1	35.8	34.4	41.2	27.3	28.2
	2	19.4	24.1	24.5	26.2	18.4	18.8	26.9	18.2	20.9	22.3
	3	28.0	24.7	25.9	22.4	26.6	26.4	22.5	21.3	29.2	26.3
	4	7.7	6.1	5.6	11.9	11.9	9.2	9.6	8.2	7.9	12.5
	5	2.7	4.0	4.0	4.6	6.5	4.2	3.5	4.6	6.1	4.6
	6	9.6	5.6	2.9	5.9	7.5	5.6	2.9	6.5	8.6	6.1
მაგისტრატურა	1	32.5	33.3	33.3	32.1	28.6	29.8	31.3	34.9	22.6	28.2
	2	18.1	16.7	20.2	14.3	16.7	16.7	20.5	16.9	22.6	17.6
	3	21.7	21.4	19.0	22.6	20.2	21.4	25.3	19.3	22.6	24.7
	4	4.8	11.9	11.9	11.9	13.1	11.9	6.0	13.3	11.9	12.9
	5	9.6	7.1	7.1	9.5	13.1	11.9	8.4	7.2	9.5	9.4
	6	13.3	9.5	8.3	9.5	8.3	8.3	8.4	8.4	10.7	7.1
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა / მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა	1	25.3	23.6	27.8	22.9	24.1	29.8	29.9	38.4	22.3	26.5
	2	20.1	22.5	26.7	21.9	22.7	23.1	25.6	21.4	26.5	23.9
	3	26.5	31.7	26.4	31.9	24.5	26.5	24.5	22.4	25.9	24.2
	4	10.8	11.5	9.2	12.0	13.6	10.1	10.1	7.0	11.1	10.9
	5	4.8	6.7	4.7	4.5	6.9	5.7	4.5	5.9	6.2	7.0
	6	12.5	4.0	5.3	6.8	8.2	4.8	5.4	4.9	8.1	7.4